ISSN 1987-5789

ეკონომიკა და ბიზნესი
ECONOMICS AND BUSINESS
ЭКОНОМИКА И БИЗНЕС

3

ტომი ✧ Volume ✧ Том
IX
№3, 2016

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და
რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Practical Journal
of the Faculty of Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Реферируемый и рецензируемый международный научно-практический журнал
факультета экономики и бизнеса Тбилисского государственного университета
им. Иванэ Джавахишвили

გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,
2015 წლიდან – კვარტალში ერთხელ

Published since January 2008 once in two months,
Since 2015- Quarterly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,
თსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ.,
ტელ. 230-36-68, 599-10-38-16; 599 24-77-47.
e-mail: ebf.journal@tsu.ge
lia_lugela@mail.ru

სარედაქციო კოლეგია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: რამაზ აბესაძე, იური ანანიაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, **რევაზ გოგოხია** *(მთავარი რედაქტორი),* **თამაზ ზუბიაშვილი** *(პასუხისმგებელი მდივანი),* ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, ქეთევან მარშავა, მურთაზ მაღრაძე, იაკობ მესხია, ელგუჯა მექვაბიშვილი, დავით ნარმანია, ვლადიმერ პაპავა *(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი),* ავთანდილ სილაგაძე *(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი),* დემურ სიჭინავა, მირიან ტუხაშვილი, გიორგი ღაღანიძე, თეიმურაზ შენგელია, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ეთერ ხარაიშვილი.

EDITORIAL BOARD

Doctors of Economic Sciences, Professors: Ramaz Abesadze, Iuri Ananiashvili, Teimuraz Beridze, George Ghaghanidze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, **Revaz Gogokhia** *(Editor-in-Chief),* **Tamaz Zubiashvili** *(Executive Secretary),* Nugzar Todua, Irakli Kovzanadze, Ketevan Marshava, Murtaz Maghradze, Iakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Davit Narmania, Vladimer Papava *(Academician of the National Academy of Sciences of Georgia),* Avtandil Silagadze *(Academician of the National Academy of Sciences of Georgia),* Demur Sichinava, Mirian Tukhashvili, Temur Shengelia, Nodar Khaduri, Elene Kharabadze, Eter Kharaishvili.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Доктора экономических наук, профессора: Рамаз Абесадзе, Юрий Ананиашвили, Теймураз Беридзе, Георгий Гаганидзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, **Реваз Гогохия** *(главный редактор),* **Тамаз Зубиашвили** *(ответственный секретарь),* Нугзар Тодуа, Ираклий Ковзанадзе, Муртаз Маградзе, Кетеван Маршава, Элгуджа Меквабишвили, Якоб Месхия, Давид Нармания, Владимер Папава *(Академик Национальной Академии Наук Грузии),* Автандил Силагадзе *(Академик Национальной Академии Наук Грузии),* Демур Сичинава, Мириан Тухашвили, Темур Шенгелия, Нодар Хадури, Элене Харабадзе, Этер Хараишвили.

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

ვოლფგანგ ვენგი – *ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი;* ოლეგ კარასევი – *ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;* გრაჟინა კარმოვსკა - *დასავლეთ პომერანიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ფინანსებისა და სისტემური ანალიზის კათედრა, პროფესორი (ქ. შჩეცინი, პოლონეთი);* იან მიხალეკი – *ვარშავის უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკ-ის დეკანი, ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;* დიმიტრი სოროკინი – *რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;* ვიტალი ტამბოვცევი - *ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივრსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის ინსტიტუციური ანალიზის ლაბორატორიის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;*
ტომას ჰალდმა – *ტარტუს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.*

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

Wolfgang Weng – *Berlin University, Professor;* Oleg Karasev – *Lomonosov Moscow State University, Chair of the Department of Statistics, Doctor of Economic Sciences, Professor;* Grazyna Karmowska*, Faculty of Economics, West Pomerania University of Technology in Szczecin, Professor (Poland);* Jan Mikhalek – *University of Warsaw, Dean of the Faculty of Economic sciences, Doctor of Economic Sciences, Professor;* Dmitry Sorokin – *Corresponding Member of the Russian Academy of Sciences, Doctor of Economic Sciences, Professor;* Vitaly Tambovtsev *- head of the Laboratory for Institutional Analysis of Economic Faculty of Lomonosow Moscow State University, Doctor of Economic Sciences, Professor;* Toomas Haldma – *Tartu University, Dean of the Faculty of Economics and Business Administration, Professor.*

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ

Вольфганг Венг – *профессор Берлинского Университета;* Олег Карасев – *зав. кафедрой статистики Московского Государственного Университета им. Ломоносова, д.э.н., профессор;* Гражина Кармовска, *д. э. н., Экономический фак. Технологического Университета Западного Померания, Шчецин (Польша);* Ян Михалек – *декан факультета экономических наук Варшавского Университета, д.э.н., профессор;* Дмитрий Сорокин – *член корреспондент Российской Академии Наук, д.э.н. профессор;* Виталий Тамбовцев –*Заведующий Лабораторией институционального анализа Экономического факультета Московского Государственного Университета им. Ломоносова, д. э. н., профессор;*Томас Халдма – *декан факультета экономики и администрирования бизнесса университета Тарту, профессор.*

ს ა რ ჩ ე ვ ი

შოთა რუსთაველი– 850

ვასილ ჩანტლაძე. ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება რუსთაველის ეპოქის საქართველოში 9

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

ვლადიმერ ბასარია. ცოდნა და ეკონომიკა.....30
ბადრი რამიშვილი. იმპორტჩანაცვლება - საქართველოს ეკონომიკის განვითარების უმთავრესი რეზერვი.....44
გიორგი წულაძე, ვანო შუშტაკაშვილი, ვლადიმერ სულაბერიძე. პროგნოზებში დემოგრაფიულ პროცესთა ფაქტორული დეტერმინაციის გამოყენების მეთოდოლოგიური ასპექტები.....71
მარინა ტაბატაძე. მმართველობის დეცენტრალიზაციის მექანიზმი ბიუჯეტთაშორის ურთიერთობათა სისტემაში.....84
გიული ქეშელაშვილი. XIX საუკუნის მეორე ნახევრის სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციები და მისი გამოძახილი საქართველოში.....99

მიკროეკონომიკა ✧ მაკროეკონომიკა ✧ ეკონომეტრიკა

რევაზ გველესიანი. სოციალურ მეწარმეობაზე ორიენტაცია – საზოგადოებრივი უთანასწორობის დაძლევის ახალი მოცემულობა.....107
ინეზა გაგნიძე. სამეწარმეო უნივერსიტეტი – ბიზნესის ინოვაციური განვითარების მნიშვნელოვანი რგოლი.....117
ლია კვარაცხელია. ერგონომიკული ეკონომიკა – ინოვაციური ეკონომიკის ზედნაშენი.....130

მენეჯმენტი ✧ მარკეტინგი ✧ ტურიზმი

გიორგი შუბლაძე. კიდევ ერთხელ მენჯმენტის არსისა და ფუნქციების შესახებ.....138
ნინო აბესაძე, მარინა მინდორაშვილი, ნინო ფარესაშვილი. უცხოელი ვიზიტორების ტურისტული ხარჯების სტატისტიკური კვლევის მეთოდოლოგიური საკითხები.....144
რევაზ ჯორბენაძე, თენგიზ ვერულავა. მაღალტექნოლოგიური კარდიოლოგიის განვითარების პრობლემები და პერსპეტივები საქარველოში.....150
*ნინო ბერაია.*საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის პროგნოზირება ნეირონული ქსელების მეშვეობით (თბილისის მაგალითზე).....160
გურამ მეტეხელი ზურაბ კოლხიდაშვილი. არჩევნების ჩატარება რეიტინგულ-რანჟირებული სისტემით.....171

საერთაშორისო ვაჭრობის პრობლემები

უშანგი სამადაშვილი. საქართველოს სავაჭრო ბალანსის დეფიციტი და მისი დაძლევის გზები 176
მარინა თავართქილაძე. პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების გავლენა . მსოფლიო ეკონომიკაში მცირე ქვეყნების ინტეგრირების წესრიგზე.....196
თამთა მიქაბერიძე. საერთაშორისო ვაჭრობის ტექნოლოგიების მნიშვნელობა მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისათვის.....209

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ელგუჯა მექვაბიშვილი. გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ფუნდამენტური გამოკვლევა.....218

ჩვენი იუბილარები

გედევან ხელაია. პროფესორი რევაზ კაკულია – 80.....223

* * *

† იაშა (იაკობ) მესხია. ქართული მეცნიერების დიდი დანაკლისი.....226

CONTENTS

SHOTA RUSTAVELI – 850

Vasil Chantladze. Economic, political and cultural situation in Georgia in the era of Rustaveli 9

ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

Vladimer Basaria. Knowledge and Economy …….....…30

Badri Ramishvili. Import Substitution – The Major Reserve of the Georgian Economic Development …….....….44

Giorgi Tsuladze, Vano Shushtakashvili, Vladimer Sulaberidze. Factual Determination Methodology Aspects of Demographic Processes in Forecasts …….....……..71

Marina Tabatadze. Mechanism of Management Decentralization in the System of Inter-Budgetary Relations …….....……84

Giuli Keshelashvili. Socio-economic Trends of the Second Half of the XIX Century and their Echo in Today's Georgia …….....…99

MICROECONOMICS ✧ MACROECONOMICS ✧ ECONOMETRICS

Revaz Gvelesiani. Orientation Towards Social Entrepreneurship – New Givens for Overcoming Social Inequality …….....107

Ineza Gagnidze. The Entrepreneurial University – An Important Element for Effective Business Development …….....117

Lia Kvaratskhelia. Ergonomic Economy as the Superstructure of Innovative Economy …….....…130

MANAGEMENT ✧ MARKETING ✧ TOURISM

Giorgi Shubladze. Once Again About the Essence and Functions of Marketing …….....138

Nino Abesadze, Marina Mindorashvili, Nino Paresashvili. Methodological Issues of the Statistical Research on Foreign Visitors Travel Costs ……...144

Revaz Jorbenadze, Tengiz Verulava. The Problems and Prospects of the Development of High-Tech Cardiology in Georgia …….....…….150

Nino Beraia. Residential Real Estate Market Prognosis with Neural Networks (Case of Tbilisi) ….....160

Guram Metekheli, Zurab Kolkhidashvili. Conduct of Elections under the Rating - Ranked System…….....171

PROBLEMS OF INTERNATIONAL TRADE

Ushangi Samadashvili. Georgia's Trade Deficit and the Ways for Its Overcoming …….....176

Marine Tavartkiladze. Impact of Preferential Trade Regimes on the Integration of Small Countries into the World Economy ……...196

Tamta Mikaberidze. The Importance of International Trade Technologies for Small Open Economics …….....209

CRITICISM AND BIBLIOGRAPHY

Elguja Mekvabishvili. The fundamental Research of the Global Financial and Economic Crisis 218

OUR ANNIVERSARIANS

Gedevan Khelaia. PROFESSOR REVAZ KAKULIA – 80…….....223

* * *

† ***IASHA (IAKOB) MESKHIA.*** Great Loss to Georgian Science…….....226

С О Д Е Р Ж А Н И Е

ШОТА РУСТАВЕЛИ – 850

Василий Чантладзе. Экономико-политическое и культурное положение в Грузии в эпоху Руставели …….....9

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

Владимер Басария. Знание и экономика …….....30

Бадри Рамишвили. Импортозамещаемость - главный резерв экономического развития Грузии 44

Георгий Цуладзе, Вано Шуштакашвили, Владимер Сулаберидзе. Методологические аспекты применения в прогнозах демографических процессов факторных детерминации…….....71

Марина Табатадзе. Механизм децентрализации управления в системе межбюджетного отношения …… 84

Гиули Кешелашвили. Социально-экономические тенденции второй половины XIX века и её отклик в Грузии …….....99

МИКРОЭКОНОМИКА ✧ МАКРОЭКОНОМИКА ✧ ЭКОНОМЕТРИКА

Реваз Гвелесиани. Ориентация на социальное предпринимательство – новая данность преодоления общественного неравенства …….....107

Инеза Гагнидзе. Предпринимательский университет - важное звено инновационного развития бизнеса …….....117

Лиа Кварацхелия. Эргономическая экономика, как надстройка инновационной экономики …….....130

МЕНЕДЖМЕ0.1НТ ✧ МАРКЕТИНГ ✧ ТУРИЗМ

Георгий Шубладзе. Еще раз о сущности и функциях менеджмента …….....138

Нино Абесадзе, Марина Миндорашвили, Нино Пересашвили. Методологические вопросы статистического исследования туристических затрат иностранных визиторов …..144

Реваз Джорбенадзе, Тенгиз Верулава. Проблемы и перспективы развития высоких технологий кардиологии в Грузии …….....150

Нино Берая. Прогнозирование рынка жилой недвижимости с нейронными сетями (на примере г. Тбилиси) 160

Гурам Метехели. Зураб Колхидашвили. Проведение выборов рейтингово-ранжированной системой …….....171

ПРОБЛЕМЫ МЕЖДУНАРОДНОЙ ТОРГОВЛИ

Ушанги Самадашвили. Дефицит торгового баланса Грузии и пути его преодоления …....176

Марина Таварткиладзе. Воздействие преференциального торгового режима на порядок интегрирования малых стран в мировую экономику ……....196

Тамта Микаберидзе. Значение технологии международной торговли для экономики малых открытых стран ……. 209

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Элгуджа Меквабишвили. Фундаментальное исследование глобального финансово-экономического кризиса …….....…….218

НАШИ ЮБИЛЯРЫ

Гедеван Хелая. ***ПРОФЕССОРУ РЕВАЗ КАКУЛИЯ*** – 80.....223

* * *

† ***ИАША (ЯКОВ) МЕСХИЯ.*** Большая утрата для грузинской науки..…….....226

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 3, გვ. 9-29
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 3, pp. 9-29

შოთა რუსთაველი - 850
SHOTA RUSTAVELI - 850

ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება რუსთაველის ეპოქის საქართველოში*

ვასილ ჩანტლაძე (1905-1995)

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
აკადემიკოსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რუსთაველის ეპოქა არის განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდი საქართველოში, რომელიც მოიცავს XI, XII სს. და XIII ს. 20-იან წლებამდე. იგი წარმოადგენს საქართველოში პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული აყვავების უდიდეს ხანას. ამ დროს მოხდა საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანება და მისი ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. გაერთიანდა ქართლი, დასავლეთ საქართველო, ტაო-კლარჯეთი და კახეთ-ჰერეთი ერთიან სახელმწიფოებრივ და საეკლესიო ენაზე. ამ დროს მოახერხა საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაეძლია შინაური მტრები, მოწინააღმდეგე დიდგვარიანი აზნაურები, დაემარცხებია გარეშე მტრები, მოესპო არაბ დამპყრობთა ნაშთების თვითნებობა საქართველოში და გზა გადაეღობა ბიზანტიის გაბატონებისათვის აღმოსავლეთში. ქართული ფეოდალური საზოგადოების ნაწილმა მოახდინა პლიტიკური გადატრიალება, რასაც შედეგად მოყვა ახალგაზრდა დავითის (IV) გამეფება. დავითმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა დიდგვარიანი აზნაურობის თავგასულობას, მან მოაწესრიგა ურთიერთობა ეკლესიასთან სამეფო ხელისუფლების განმტკიცების მიმართულებით; დემოკრატიზაცია მოახდინა სამხედრო საქმისა, შექმნა ლაშქარი ყმა მოლაშქრეებისაგან და წვრილი აზნაურებისაგან; ჩამოაყალიბა მუდმივი ჯარი და გამოიყენა დაქირავებული ჯარიც[1], რაც ფულადი ურთიერთობის განვითარებას და ვაჭართა კლასის ინტერესების დაცვის გაძლიერებას გულისხმობდა. ყოველივე ეს, თავის მხრივ, მოძრავი საკუთრების ავტორიტეტს ამაღლებდა.

---

* ამონარიდი წიგნიდან - ვასილ ჩანტლაძე, შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები, თბ., მეცნიერება, 1992, გვ. 17-40.

1 დაქირავებული ჯარი ფეოდალიზმის სისტემის საწინააღმდეგო მოვლენას წარმოადგენდა, ის ხელს უწყობდა ფულადი მეურნეობის გაფართოებას, რაც ძირს უთხრიდა ფეოდალიზმს; მეორე მხრივ, ეს ჯარი მეფეს შეეძლო ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ გამოეყენებინა საჭირო შემთხვევაში.

ამას მოყვა საქართველოსათვის ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება. ეს იყო, ერთი მხრივ, სელჯუკ სულთანის მემკვიდრეებს შორის ამტყდარი დაუნდობელი შინა ომი, მეორე მხრივ, დავითის მიერ სელჯუკთა კოალიციური არმიის განადგურება მანგლის-დიდგორის ომში და ჯვაროსნული ლაშქრობანი იერუსალიმის გასანთავისუფლებლად.

საქართველომ შემოიერთა ჰერეთ-კახეთი, ციხეOალაOი სამშვილდე, OალაOი რუსთავი, ქვემო ქართლის დიდი ნაწილი, ლორის ციხე, გაანთავისუფლა არაბთა ბატონობისაგან თბილისი, დავით IV-მ ასევე სასტიკად დაამარცხა სულთანი, რომელმაც მაჰმადიანთა დიდი ჯარი შემოუსია საქართველოს, შემოიერთა შირვანი და მაჰმადიანებისაგან გაანთავისუფლა სომხეთის დედაქალაქი. ამგვარად, საქართველოს საზღვრები გადაიშალა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე (დერბენტი), ჩრდილოეთ ოსეთიდან არაგაწამდე.

ამას ემატება გიორგი III-ის, თამარ მეფის და ლაშა გიორგის წარმატებანი, როდესაც საქართველომ მიაღწია ირანის შუაგულამდის, ტამინის ნახევარკუნძულამდე, აფშერონამდე და არდაველამდე; თამარმა ჩამოაყალიბა აგრეთვე საქართველოს ორიენტაციის ტრაპეზუნტის სახელმწიფო. საქართველო გადაიქცა ეკონომიკურად დაწინაურებულ და პოლიტიკურად მძლავრ სახელმწიფოდ.

XI-XII საუკუნეებში საქართველოში დაწინაურდა სოფლის მეურნეობა, გაუმჯობესდა სასოფლო-სამეურნეო იარაღები, გამოყენებულ იქნა გუთნეული კავის ნაცვლად, ორბორბლიანი ურემი ბარში, გაყვანილ იქნა არხები და წყალსადენები ტირიფონის ველზე, რუის-ურბნისის მიდამოებში, მუხრანში, სამგორში და სხვ.; აგებულ იქნა რთული ნაგებობები, გამოყენებულ იქნა მიწისქვეშა წყალი, დაძლეულ იქნა წყლის მისაღები პუნტქების სიმაღლის დონეთა სხვადასხვაობა.

ამ დროს მოყავდათ უხვმოსავლიანი პურეული, პარკოსანი მცენარეები და ბრინჯი; მისდევდნენ მევენახეობას, მეხილეობას, მებაღეობას, მებოსტნეობას; მოყავდათ საკვები და ტექნკურიმცენარეები.მევენახეობამაღალგანვითარებული იყო.აკად. ივ. ჯავახიშვილისდამოწმებით,იმხანადსაქართველოშიცნობილიიყო420-მდეჯიშისყურძენი; ღვინოექსპორტის საგანს წარმოადგენდა. იმდროინდელსაქართველოშიგანვითარებულიიყო მსხვილფეხადაწვრილფეხამესაქონლეობა; აშენებდნენ საუკეთესო ჯიშის ცხენებს, რომლის ექსპორტიც წარმოებდა; გავრცელებული იყო ცხვრის სხვადასხვა ჯიში. მესაქონლეობა შემოსავლის წყარო იყო ეკლესია-მონასტრებისათვის, რომლებიც გასაყიდ საქონელს აშენებდნენ. მატყლი ფართო ვაჭრობის საგანს წარმოადგენდა, მისდევდნენ მეფუტკრეობასაც.

ფართოდ იყო გავრცელებული სამრეწველო დანიშნულების ტექნიკური მცენარეები: სელი, კანაფი, რომლებიც საზღვარგარეთაც გაიზიდებოდა, სელის ზეთს ასანტებად ხმარობდნენ. მოყავდათ ბამბაც, აწარმოებდნენ აბრეშუმს, რომელიც იმდენად განვითარებული იყო, რომ გასაყიდადაც გაჰქონდათ. ამ დარგის მეურნეობაზე სპეციალური გადასახადიც, „საყაჭო“ იყო დაწესებული.

სოფლის მეურნეობის დასახელებულ პროდუქტთა უმრავლესობა საზღვარგარეთაც გაიზიდებოდა.

ისტორიული წყაროებით დასტურდება[1], რომ მიწათმფლობელობის ყველა ფორმაში – სამეფო-სახელმწიფო საკუთრების, საუფლისწულო, კერძო მემამულური, სააზნაურო თუ საეკლესიო-სატაძრო – რენტის ცნობილი სამი ფორმიდან საქართველოში X-XIII საუკუნეებში სჭარბობდა პროდუქტადი რენტა, ამასთანავე, ფართოდ გამოიყენებოდა ფულადი რენტაც. რენტის ეს ფორმები, შრომამიგებით რენტასთან შედარებით, როგორც აღნიშნული გვქონდა, უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებდნენ პროდუქციის უშუალო მწარმოებლებს; გარდა მისა, პროდუქტადი რენტა უფრო მწარმოებლურია კიდევ იმიტომ, რომ უშუალო მწარმოებელი იხდის პროდუქციის მხოლოდ გადაკვეთის რაოდენობას და ყველა ზედმეტი რჩება მას, რაც მწარმოებლის დაინტერესებას ზრდის და მეურნეობა უფრო ინტენსიური ხება. რაც შეეხება ფულად რენტას, ის კიდევ უფრო მეტ მოხერხებულობას უქმნის უშუალო მწარმოებელს, რამდენადაც თავისუფლებას ანიჭებს აირჩიოს პროდუქციის წარმოების ერთი ან რამდენიმე დარგი საბაზრო პირობების გათვალისწინებით და მასში დასპეციალდეს. ამდენად, რენტის ეს ფორმები წარმოების ინტენსიფიკაციას, ეფექტურობას და საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდას, სხვა შრომამიგებით ფორმასთან შედარებით, უფრო მეტად უწყობენ ხელს.

XI-XIIIსს. 20-იან წლებამდე საქართველოში ფართოდ და მაღალ დონეზე იყო განვითარებული ხელოსნობა.

სწრაფად განვითარდა ქალაქები: სამშვილდე, რუსთავი, თბილისი, დმანისი, გორი; აშენდა ახალი ქალაქებიც, რომლებიც წარმოადგენდნენ ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრებს. აქ განვითარებული იყო უამრავი დარგი: მეთუნეობა-მეკეცეობა, მეჭურჭლეობა, მჭედლობა, კალატოზობა, დურგლობა, მეხამლეობა, ოქრომჭედლობა, მეპურეობა, მენელსაცხებლობა, წიგნების გადაწერა, აკინძვა. მზადდებოდა აგური, კრამიტი, მოჭიქული ჭურჭელი, თიხის მილები, სპილენძისა და ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი და სხვ. მეჭურჭლეობა დაწინაურებული დარგი იყო.

ქსოვა და კერვა – საქართველოში ძველთაგანვე ცნობილი დარგი – ამ პერიოდში მაღლად განვითარებული იყო. არსებობდა სამკერვალოები ქალის შესამოსელისა, სადარბაზო, სამეფო, საქორწინო, სამღვდელო და სხვ. სამოსელისა.

ცალკე დარგებს შეადგენდა ქარგვა, რთვა; ხალების, ნოხების, აბრეშუმის, ფარჩის, შალის ქსოვილების წარმოება. ასევე ცალკე დარგად იყო ჩამოყალიბებული მეხამლეობა – ფეხსაცმლის კერვა. ხელოსნობის დარგს შეადგენდა აგრეთვე მენელსაცხებელნი და „დამყვანელნი წვერთანი“ ანუ „მკვეცარნი“

1 სარგის კაკაბაძე, ორი საშემოსავლო ნუსხა. – საისტორიო კრებული, წიგნი IV, 1929; ტფ. უნივ. სიძვ. საცავის საბუთი №15; გიორგი III-ის სიგელის ტექსტი, თ. ჟორდანია, ქრონიკები..., – 265.

და სხვ. მრავალი; წარმოებდა ძვირფასი ქვების მოპოვება-დამუშავება, სამკაულების დამზადება და სხვ. იყვნენ ისეთი ხელოსნებიც, რომლებიც საშოვარზე დადიოდნენ[1]. თავისუფალი ხელოსნებიც მრავლად იყვნენ. ზოგიერთები დიდ მოგებასაც ღებულობდნენ[2]. იყვნენ ყმა ხელოსნებიც, რომლებიც თავიანთი პატრონებისათვის მუშაობდნენ.

ხელოსნებში შრომა დანაწილებული იყო: ზოგიერთნი დაკვეთით მუშაობდნენ, ნაწილი საბაზროდ მუშაობდა. ქალაქებში ჩამოყალიბებული იყო ხელოსანთა ამქრები, რომლებიც ამ დროისათვის მსხვილ საზოგადოებრივ ძალად გადაიქცნენ და დამოუკიდებელნი გახდნენ.

იმხანად საქართველოში დაწინაურდნენ ქალაქები, დაწინაურდა არტანუჯი, ტაო-კლარჯეთის რეზიდენცია, სადაც X საუკუნეში იყო დიდი სასაწყობო ადგილი შავი ზღვის სანაპიროდან შემოზიდული საქონლისათვის. თბილისი ფართო ვაჭრობას ეწეოდა ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან. ქ. რუსთავი ორი დიდი სავაჭრო გზით უკავშირდებოდა უცხოეთის ქვეყნებს. ერთი გზა იყო ბარდავ-თბილისი; ამ გზაზე მდებარეობდნენ ქალაქები: განძა, ხუნანი, შამქორი; მეორე იყო ბიზანტიისაკენ მიმავალი გზა, რომელიც გადიოდა თბილისი-დმანისი-ანისი-კარნუ ქალაქზე და ჯავახეთ-მესხეთით ერზრუმიდან მიემართებოდა აფხაზეთისაკენ.

სახელმწიფო ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას. ამ მიზნით გაყვანილ იქნა ახალი გზები, შეკეთდა ძველი, აშენდა ხიდები, სასტუმროები, ქარვასლები და საერთოდ, ფართოდ ჩატარდა ამგვარი მშენებლობები.

იმხანად საქართველოში თითქმის ყველა საგანი იყო ყიდვა-გაყიდვის ობიექტი. თანდათან ფართოვდებოდა ვაჭრობა სამომხმარებლო და წარმოებრივი მოხმარების საგნებით. წინა საუკუნეებშიც კი ბაზარზე იყიდებოდა სამშენებლო მასალა (ქვა, ქვიშა, კირი, ხე-ტყე), ლითონი, სახნისი, ნედლეული, მატყლი, ტყავი და სხვ. იყიდებოდა წარმოების საშუალებანი და წარმოების პირობა – მიწის ნაკვეთები: მამულები, ყანები, ვენახები და თვით სოფლებიც[3].

იმხანად საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა არაბეთთან, ბიზანტიასთან, იტალიასთან, ეგვიპტესთან, ირანთან, რუსეთთან, ჩინეთთან, ინდოეთთან, სასომხეთთან და სხვ.

საქართველოდან გაჰქონდათ უცხოეთში შალის, ბამბის, აბრეშუმის ნაწარმი, სხვადასხვა სახის ხალიჩები, ტანისამოსი, საიუველირო ხელოვნების ნივთები, კერამიკული ნაწარმი.

აღმოსავლეთუს ქვეყნებიდან შემოჰქონდათ ნელსაცხებელი, ცხენის აღკაზმულობა, ძვირფასი ქვები, თვალმარგალიტი, ზოდური ოქრო, ფოლადი, შაქარი, სხვადასხვა ქსოვილი, კერამიკა. ბიზანტიიდან შემოჰქონდათ ქსოვილი, სამეფო და საღვდელმსახურო ნივთები, სასომხეთიდან ფარჩეულობა, ეგვიპტიდან ხარისხიანი მატყლი და სხვ.

1 აბუსერიძე ტბელი, საქართველოს ისტორია, III, გვ. 107.

2 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ისტორია, 1907, გვ. 40.

3 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ისტორია, 1907, გვ. 31-32.

ამ მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობაზე ლაპარაკობს უცხო მონეტების გავრცელება საქართველოში. მაგ., X-XIII საუკუნეებში საქართველოში ტრიალებდა კონსტანტინატი და პერპერა, დრაჰკანი კონსტანტინატი, დუკატი, დრაჰკანი დუკანი, ბოტინატი, დრამა, დანგი და სხვ. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია აგრეთვე ეიუბიდების, ელდიგიზიდების, მოსულის ათაბეგების, ორთუკადების, რუმის სელჩუკიდების, ჯალალედინის, ჰულაგუიდების და სხვ. მონეტები. ამასვე ლაპარაკობს ქართული მონეტების გავრცელება უცხო ქვეყნებში. X საუკუნეში თბილისში გაჭედილი ფულები დიდ სივრცეზე, გაფანტულად, ნაპოვნია ჩრდილო რუსეთში, სკანდინავიის ქვეყნებში და აღმოსავლეთ გერმანიაში[1].

ამ დროს, გაცხოველებული ვაჭრობის ნიადაგზე, არსებობდა შესაძლებლობა დიდი ფული დაეგროვებინათ ვაჭრებს. ცნობილია დიდვაჭრების პიროვნებებიც, რომელთა ავტორიტეტი და გავლენა იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ თამარის საქმროს მოყვანა დიდვაჭარს დაევალა. დიდი ვაჭრის ავტორიტეტზე მეტყველებს შემდეგიც: ულუ დავითის დროს უმეფოდ დარჩენილ აღმოსავლეთ საქართველოში შეიქმნა იმის საშირშროება, რომ სამეფო მესაჭეობა ხელში ჩაეგდო დიდვაჭარს შადინს[2].

ამასვე ადასტურებს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი (XIს.), სადაც ნათქვამია: „დიდი ვაჭარი კარგი და წკვიანი მოსამართლე იქნება, რომელიც არ იტყვის რაიმე არაკანონიერს“[3].

საქართველოს საშინაო და საგარეო ვაჭრობაზე ზეგავლენას ახდენენ დიდვაჭრები, ისინი მეთაურობდნენ საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობას.

საქონლურ-ფულად მეურნეობაში ფული აუცილებელია ყველა წრისათვის. საგარეო ვაჭრობის განვითარება ზრდის ოქრო-ვერცხლის მოთხოვნას. ფულის ნაკლებობა იწვევს კრედიტს. მოცემულ ეპოქაში გაჩაღებული იყო სასესხო-ვახშური ოპერაციები. კაპიტალების დაგროვებამ, თავისუფალი კაპიტალების არსებობამ ხელი შეუწყვეს ვაჭრობის დაკავშირებას საბანკო საკრედიტო საქმიანობასთან. როგორც ვხედავთ, იმხანად საქართველოში ტრიალებდა როგორც შინ მოჭრილი, ისე უამრავი სხვადასხვა ქვეყნის უცხოური ფული, რასაც აუცილებლად უნდა გამოეწვია ფულის დამხურდავებლების და გადამცვლელების წარმოშობა. ეს მოითხოვდა საქმის ცოდნას, მოითხოვდა სპეციალისტების სხვადასხვა ფულების ღირსებაში რომ გარკვეულიყვნენ, შენობებს მონეტების შესანახად და დასაცავად. არსებობდა ვაჭართა მსხვილი გაერთიანებები, რომლებსაც უწოდებდნენ, ქარტული წყაროების მიხედვით, „ორტაღებს”, რუსულ წყაროებში მოხსენებულია „ურტაღების” სახელწოდებით. ეს ტერმინი ქართულ ძეგლებში მოხსენებულია XIII საუკუნის შუა წლებში. იგულისხმება, ისინი ასეთი თუ სხვა სახელწოდებით მანამდე, ბევრად უფრო ადრეც არსებობდა.

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 108-109.

2 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 573.

3 ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953. გვ. 335; საქ. სიძ. ნარკვევი, გვ. 114.

„ორტაღი” თათრული სიტყვაა და ნიშნავს ამხანაგს ან ამხანაგობის წევრს. ეს გაერთიანებები მოძრავი ქონებითაც ვაჭრობდნენ და ადგილ-მამულებითაც.

ორტაღები წარმოადგენდნენ არა მარტო სავაჭრო, არამედ საკრედიტო ორგანიზაციებსაც.

ისინი დიდ სავაჭრო და საკრედიტო ოპერაციებს აწარმოებდნენ. სარგებლის აღებით დიდ თანხებს ასესხებდნენ, რამდენიმე ათეული თუ ასეული ათასი თეთრის ოდენობით.

დასავლეთ ევროპაში მსგავს ორგანიზაციებს უწოდებდნენ «ცომმენო-ებს.

ვაჭართა ამ ორგანიზაციებთან კავშირი ჰქონდა ფეოდალურ არისტოკრატიასაც. ზოგიერთი ფეოდალი ამ ორგანიზაციის წევრი იყო. მაგალითად, ასეთად ცნობილია ერისთავთერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი კახა, რომელიც ორტაღებისგან დიდძალ სესხს იღებდა და სხვადასხვა გარიგებებს დებდა. ასეთ ორგანიზაციებში ჩაბმული იყვნენ დიდვაჭრები – ზორაბაბელი, შადინი და სხვ.

ორტაღების ფორმით მეწარმე საქმიანობდა არა მარტო თავისი კაპიტალით, არამედ იყენებდა სხვის კაპიტალებსაც, რომლებიც აქტიურად ვერ ან არ მონაწილეობდნენ ამ საქმეში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი კაპიტალები გამოიყენებოდა არა მარტო საქონლით და ფულით ვაჭრობაში, არამედ მრეწველობაშიც. ბუნებრივია, ორტაღის წევრებს სამრეწველო ოპერაციების ჩატარების სურვილიც აღეძვროდათ იქ, სადაც სამრეწველო საქმიანობა უფრო მეტ მოგებას უქადდა.

ამგვარად, არსებობდა თავისებური ფორმის ბირჟაც, სადაც საქონელი იყიდებოდა ბითუმად და ნიმუშებით, ხურდავდებოდა და იყიდებოდა სხვადასხვა ქვეყნის ფულები.

სავაჭრო საკრედიტო საქმიანობაში ჩაბმული იყვნენ მონასტრებიც, შიო მღვიმის მონასტრებს თბილისში ჰქონდათ დუქნები[1], ყმა ვაჭრები ჰყავდა ქ. ჟინვალში[2] და საქართველოს სხვა ქალაქებში[3]. თამარ მეფისროს რუსთავის ეპისკოპოსს ქ. რუსთავში ჰყავდა 65 კომლი ყმა მოქალაქე.

ეკლესია-მონასტრების ყმა ვაჭართაგან ზოგი იყო ფეოდალების მიერ შეწირული, ზოგი თვით ეკლესია-მონასტრების მიერ შეძენილი.

ფულის დიდმა საჭიროებამ აიძულა მეფეები დაინტერესებულიყვნენ მოძრავი საკუთრებით. ეს ტენდენცია განსაკუთრებულად აღინიშნა ბაგრატ III-ის, დავით აღმაშენებლის და გიორგი III-ის დროს. სამეფო ხელისუფლებამ დაიწყო ბრძოლა ქალაქების დაუფლებისათვის. დავით აღმაშენებელმა, თურქსელჯუკების გარეკვის შემდეგ, ქალაქები სამეფო ხელისუფლებას დაუმორჩილა, გიორგი III-მ ქალაქები ჩამოართვა ფეოდალებს. ქალაქის მოსახლეობის ნაწილიც მეფეს უჭერდა მხარს. ამის შედეგად «მეფის ხელში აღმოჩნდა ქალა-

1 თ. ჟორდანია, შიო მღვიმის მონასტრის ისტორიული დოკუმენტები, თბ., 1896, გვ. 16.

2 იქვე, გვ. 22.

3 საქართველოს სიძველენი, ტ. III. დამატება, თბ., 1926, გვ. 5.

ქები: თბილისი, რუსთავი, გორი, ქუთაისი, სამშვილდე, დმანისი, ატენი, ხუნანი და სხვ".[1]

სავაჭრო და სავახშო კაპიტალი საქართველოში თავის ორბიტაში ამწყვევდა ფეოდალურ არისტოკრატიას, მისი წარმომადგენლები დაკავშირებული იყვნენ არა მარტო ქალაქის ვაჭრობასთან, არამედ სახსრებს აბანდებდნენ მსხვილ საბითუმო-საქარავნო საგარეო ვაჭრობაში, მსხვილ ვაჭართა კომპანიებში – ორტაღებში. ზემოხსენებული კახა ერისთავთერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი, ერთ-ერთი უძლიერესი დიდებულთაგანი თავისი თანამდებობით, დაკავშირებული იყო ქალაქის მოსახლეობასთან, მაგრამ მისი მოქალაქეებთან კავშირი ამით არ ამოიწურებოდა. ის აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის ვაჭრობაში და ამ გზით დიდ მოგებას ღებულობდა. ფეოდალური არისტოკრატიის ასეთივე წარმომადგენელი იყო თამარის მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი. იგი, მოხვდა რა ფეოდალური არისტოკრატიის რიგებში, მჭიდრო კავშირში იყო ქალაქის სავაჭრო წრეებთან, რის გამოც ზოგი ისტორიული წყარო მას თვლის სიმდიდრით აღზევებულ პიროვნებად.

თბილისის საქალაქო ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული აგრეთვე ქართლის ერისთავი და თბილისის ამირა აბულასანი, მის ხელში იყო ქალაქი რუსთავიც. ვახუშტი ბაგრატიონი ამ მსხვილ ფეოდალს თბილისელ ვაჭარს უწოდებს[2].

ერთ-ერთი ქართველი ფეოდალი, შანშე მხარგრძელი 15 ქალაქის მფლობელი იყო[3].

ქალაქის ფეოდალური არისტოკრატიის მჭიდრო კავშირი დიდ ვაჭრებთან აშორებდა მათ ფეოდალებისაგან და აახლოვებდა ბიურგერებთან, რაც ფეოდალიზმის დაშლას უწყობდა ხელს[4].

ფეოდალური არსიტოკრატიის დაინტერესება ქალაქების ხელში ჩაგდებით და მათი ქალაქებში გაბატონება მაჩვენებელი იყო იმისა, რომ ფეოდალური სიმდიდრის, ადგილ-მამულების, სხვანაირად, უძრავი საკუთრების სახით გამოხატული სიმდიდრის გვერდით განვითარდა მოძრავი სიმდიდრით, ე.ი. ფულით გამოხატული საკუთრება, რომელიც თავისკენ ითრევდა ფეოდალურ არისტოკრატიასაც. სავაჭრო და სავახშო კაპიტალს რღვევა შეჰქონდა ფეოდალიზმის სისტემაში. აქ ისახებოდა და თანდათან ღრმავდებოდა წინააღმდეგობა ფეოდალიზმის ურთიერთობის ეკონომიკურსა და მის პოლიტიკურ ფორმას შორის.

მას შემდეგ, რაც ჯვაროსნულმა ომებმა დიდი დარტყმა აგემეს მუსლიმანთა და ბიზანტილეთა ვაჭრობას, მას შემდეგ, რაც ქართველთა ჯარებმა მრა-

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, 1979, თბ., გვ. 116.

2 ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, დ. ბაქრაძის გამოცემა, თბ., 1885, გვ. 188.

3 მ. თამარაშვილი. ისტორია კათალიკოსობისა ქართველთა შორის. თბ., 1902, გვ. 9.

4 საქართველოს ისტორიის ნარკვევები. III. 1979, გვ. 118.

ვალგზის მოიგერიეს მუსლიმანთა შემოსევები, დაამარცხეს მათი ჯარები მათსავე ტერიტორიაზეც და საქართველოს მთავრობამ ტრაპეზუნდის სამეფოც კი ჩამოაყალიბა, საქართველო იქცა მოწინავე სახელმწიფოდ ახლო აღმოსავლეთში, გაიზარდა მისი ვატორიტეტი ვაჭრობაშიც. თუ XI საუკუნემდე საერთაშორისო ვაჭრობაში აქტიურ როლს თამაშობდნენ არაბი და ბიზანტიელი ვაჭრები, ჯვაროსნებმა არაბები დაამარცხეს, ბიზანტია გაანადგურეს. ცხადია, გაიზარდა იტალიის, ვენეციის ვაჭრობა და გაფართოვდა საქართველოს საგარეო ვაჭრობაც.

საქართველოში XII-XIII საუკუნეების ვაჭრობის სისტემაში მომხდარი ცვლილებები, თავის მხრივ, მეტყველებენ იმდროინდელი საქართველოს ღრმა სოციალურ პროცესებზეც[1].

საქართველოს მთავრობამ, რომელიც საგარეო ვაჭრობის პოლიტიკას ეწეოდა, მიზნად დაისახა გაბატონებულიყო მთავარ საქარავნო გზაზე, დაეპყრო ირანიდან ლევანტისაკენ მიმავალი გზა, ამით საქართველო შუამავლის როლს შეასრულებდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის; ამისათვის საჭირო იყო ხლათის ხელში ჩაგდება[2].

ქალაქის მოსახლეობის ერთი ნაწილი წარმოადგენდა ღარიბ-ღატაკებს. ეს იყო ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა იმ დროისათვის, რაც მოითხოვდა სახელმწიფოებრივი ღონისძიებების გატარებას და დასაქმების პრობლემის მოგვარებას, ეს საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით იდგა გიორგი III-ისა და თამარის მეფობის დროს. ეს გარემოებაც, თავის მხრივ, მოითხოვდა მრეწველობისა და ვაჭრობის საქმეებში მთავრობის ჩარევას, გლახაკთა საქმიანობის მოგვარებას.

გრიგოლ ხანძთელის დროს გლახაკების გარკვეული ნაწილი თავს ირჩენდა „ხელსაქმარით". როდესაც ისინი საეკლესიო და სამონასტრო მშენებლობაში დაასაქმეს, ცხადი გახდა, რომ „ხელსაქმეობას" უკვე ვეღარ გასწევდნენ და ამიტომ საერთო დახმარებას მიმართეს. მონასტრებში მონაზვნები თვითონ მუშაობდნენ. შემდეგში მონასტრებმა მოძრავი და უძრავი ქონებაც შეიძინეს და შიგნით სიგლახაკე მოსპეს, გამდიდრდნენ და დაქირავებული მომსახურენიც გაიჩინეს. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილს აქვს გამოკვლეული, მონასტრებში ნამდვილი აღებ-მიცემაც გაჩაღდა. „შეწირულობა უსასყიდლო აღარ იყო, აზნაური ან ხელისუფალი მონასტერს მამულს აძლევდა, რომ სიკვდილის შემდეგ მონასტერს მისი სული ღვთაებისათვის შეევედრებინა. მონასტრებმა დიდძალი ქონება დააგროვეს[3]: მამულები, სახნავი და საძოვარი ადგილები, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი, სახლები და ქულბაქები და საკუთარი ვაჭრებიც და ყმებიც. ამას გარდა, ამ ქონების უმეტესი ნაწილი სახელმწიფო და მრავალი სხვა გადასახადისა და ბეგარისაგან განთავისუფლებული იყო[4].

1 ვ. ჩანტლაძე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ერთი ადგილის გაგებისათვის. - ცისკარი. №5, 1965, გვ. 119.

2 ვ. გაბაშვილი. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში. - თსუ შრომები, ტ. 21, გვ. 2015.

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნაკვ. მეორე, გვ. 92-94, 97.

4 იქვე.

ბერებმა გამდიდრების შემდეგ, მუშაობას თავი მიანებეს და მიწის დამუშავებაში დაქირავებული მუშები გამოიყენეს.

საქველმოქმედო სიმდიდრის მონაზვნებისა და ბერების ხელში გადასვლის შემდეგ სახელმწიფო იძულებული შეიქნა ეზრუნა გლახაკებზე. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ბაგრატ კურაპალატმა IX საუკუნეში დააწესა გლახაკთა დახმარება. დავით აღმაშენებელმა შიო მღვიმის მონასტრის ბერებს განუსაზღვრა დღიური ულუფა.

თამარ მეფის დროს გლახაკთა მზრუნველობას დიდად მოწესრიგებული ხასიათი ჰქონდა. თამარის მეორე ისტორიკოსი წერს: «ხოლო გლახაკთათვის განეჩინნეს სარწმუნონი ზედამდგმელნი, და ყოვლისა სამეფოსა ნაათალი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებლად ერთისა ქართლისა მარცვლამდე”[1].

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ საქმისათვის შექმნილი იყო საკმაოდ რთული სპეციალური ორგანიზაცია, რომელსაც ზუსტად უნდა სცოდნოდა სახელმწიფო შინა და გარე შემოსავლის მეათედი და გამოეყენებინა, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის. ამ ორგანიზაციას აღრიცხული უნდა ჰყოლოდა ყველა პირი, ვისაც დახმარება უნდა მიეღო; შესწავლილი უნდა ჰქონოდა მათი გაჭირვების ხარისხი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოებრივი ეს ღონისძიება თავის დანიშნულებას ვერ გაამართლებდა. ზოგიერთი ნაკლებად გაჭირვებული, მაგრამ დიდად მოხეხრებულიმიირებდა ბევრად მეტს, ვიდრე ზოგიერთი დიდად გაჭირვებული, მაგრამ კეთილსინდისიერი და მორიდებული. ზოგი კიდევ ამ საქმეს ხელობად გახდიდა, რასაც სახელმწიფო ვრე დაუშვებდა. თუ ქველმოქმედებას განუკითხავად გასცემდნენ სახელმწიფო, ეკლესიები, მონასტრები, ხელოსანთა კორპორაციები, კერძო პირები და ამის ზევით მეფეები და დიდგვარიანი შეძლებულები თავიანთი პირადი და შრომითი შენაძეიდან, მაშინ მწარმოებლური მოსახლეობის დიდი ნაწილის თავს დაანებებდა მუშაობას და მოწყალების მისეღებად გაეშურებოდა; ეს ადვილად წარმოსადგენია ფეოდალური საზოგადოების მძიმე ექსპლუატაციის პირობებში.

მაშინდელ სამზრუნველო ორგანიზაციას, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ „სარწმუნონი ზედამდგომელნი”, უნდა სცოდნოდა გლახაკთა კატეგორიები. მთელი ეს მასა ერთგვაროვანი არ იყო. წყაროებში გვხვდება ტერმინები: „ობოლთა და ქვრივთა შეწყალება”, „გლახაკთა და დავრდომილთა”, „ობოლთა და დავრდომილთა”[2].

„გლახაკი” სულხანის მიხედვით, არის „მათხოვარი, ღარიბი, მამადედით უქონელი”, მეორე – გლახაკები, დავრდომილები, „დავრდომილი – სიმდიდრისაგან დაგლახაკავებული, პატივისაგან დავრდომილი”, მესამე – გლახაკები, რომელთაც ძალით წაართვეს, გააღარიბეს, „მიმძლავრებული

1 ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, 1959, გვ. 147.

2 იქვე, II, გვ. 99, 149.

– ვისზედაც ძალა იხმარეს“[1]. ივ. იმნაიშვილს „გლახაკი” განმარტებული აქვს როგორც ღარიბი[2].

რუსთაველის მიხედვით, გლახაკები იყვნენ მათხოვრები, ეს ჩანს რუსთაველის შემდეგი სიტყვებიდან: „ყოველთა სწორად წყალობას ვითა თოვლსა მოათოვდეს, ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს”[3].

აქედან ჩანს, რომ საერთოდ გლახაკები ითხოვდნენ, მათხოვრებდნენ, მაგრამ როდესაც წყალობა უხვად გასცეს, გლახაკებმა თავი მიანებეს მათხოვრობას.

გლახაკთა წრეს მიეკუთვნებოდნენ აგრეთვე ინვალიდები, დაბადებით ან რაიმე უბედური შემთხვევებით და ომში დაშავებულნი. ესენი ერთნაირ შემწეობას ვერ მიიღებდნენ. საჭირო იქნებოდა დახმარების სხვადასხვა კატეგორიების დადგენა.

შუა საუკუნეებში გლახაკთა რიცხვს ამრავლებდა საომარი მოქმედებები, მოუსავლიანობა და ეპიდემიები. იმხანად იყო საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელსაც არც ქონება გააჩნდა და არც პრივილეგიები. „ვეფხისტყაოსანში” გამოყენებულია ამის შესატყვისი სიტყვა „არას მქონები”, „შენ დაამდიდრე ყოველი ობოლოი, არას მქონები” (794ვ). ეს არასმქონები იყო ყველაზე უღარიბესი ნაწილი საზოგადოებისა, რომელსაც მძიმე ბეგარით, გადასახადით დატვრითული მამულებიც კი არ ჰქონდა, რასაც გლეხები და წვრილი ბიურგერები ფლობდნენ. არასმქონებნი არსებული ოფიციალური საზოგადოების გარეშე იმყოფებოდნენ; იმდროინდელი დაწესებულებები მათ გვერდს უვლიდნენ. ამიტომ ისინი ბრძოლას ეწეოდნენ ფეოდალიზმის წინააღმდეგ აჯანყებებით, მეკობრეობით; ამასთანავე, თავიანთი მისწრაფებებით და ოცნებით ცდილობდნენ იმდროინდელი სინამდვილის ფარგლებსგარეთ გასვლას; მაგრამ პრაქტიკაში ისინი კმაყოფილდებოდნენ ისეთი მოთხოვნის წამოყენებით, როგორიც ქველმოქმედებაა.

XII საუკუნის საქართველოში, როგორც წყაროებიდან ირკვევა, დიდი ზომით იყო „ღარიბ-ღატაკთა მასა”[4]. ამას მოწმობს მეკობრეთა (ყაჩაღი, მძარცველი, ფირალი) და გლახაკთა (მაწანწალა, მათხოვარი) სიმრავლე[5], რომლის დიდ ნაწილს შეადგენდმემ გაჩანაგებული მდაბიო მოლაშქრენი; მათ სხვა გზა არ ჰქონდათ, ან უნდა ეყაჩაღათ ან ემათხოვრათ. როგორც ცნობილია ჩვენი ისტორიიდან, გიორგი III-მ და თამარ მეფემ ყოველგვარი აჯანყებისა და განსაკუთრებით მეკობროების წინააღმდეგ მიიღეს სასტიკი ზომები. მაგრამ მარტო ასეთი ადმინისტრაციული ღონისძიება საკითხის გადაჭრა ვერ იქნებოდა. ძალადმინისტრაციული ღონისძიება უძლური იყო მის აღმოსაფხვრელადო[6].

1 ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი.

2 ოთხთავის სიმფონია, ლექსიკონი, გვ. 149.

3 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1966, თბ., სტრ. 1582.

4 რ. მეტრეველი. მეფე თამარი. თბ., 1991, გვ. 267-270.

5 საქართველოს ისტორია, I, 1956, თბ., გვ. 166.

6 იქვე. გვ. 166.

ამგვარი ღრმა სოციალური მოვლენის მიმართ აუცილებელი იყო ამ მასის გარკვეული ზომით მატერიალური უზრუნველყოფა. ამ უზრუნველყოფისათვის დაწესებული იყო ბიუჯეტური დაფინანსება – მთელი სახელმწიფო შემოსავლის 10% ოდენობით. ამასვე ემსახურებოდა ყოველგვარი საეკლესიო და კერძო ქველმოქმედებაც. მაგრამ ყოველივე ესეც საკმარისი არ იყო. გლახაკთა წრე, რომელიც დახმარებას საჭიროებდა, შედგებოდა შრომისუნარმოკლებულთა და შრომსუნარიანთაგან. შრომისუნარიანთა მთელი მასის სისტემური მატერიალური დაკმაყოფილება ქველმოქმედებით ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა ეკონომიკური თვალსაზრისით. თუ შრომისუნარიანნი სისტემურად მიიღებდნენ უსასყიდლოდ საცხოვრებელ საშუალებებს, მაშინ ეს წრე გაფართოვდებოდა; უშრომელად შემოსავლის მიმღებთა რიცხვი სწრაფად გაიზრდებოდა დაფინანსების წყაროები, როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით, სწრაფად შემცირდებოდა, ვინაიდან რაც უფრო მეტი მიანებებდა თავს მუშაობას, სახელმწიფო შემოსავალი მით უფრო შემცირდებოდა და გლახაკთა რიცხვიც გაიზრდებოდა და, მაშასადამე, მით უფრო ნაკლები თანხა განაწილდებოდა დახმარების მირების მსურველთა გაზრდილ რიცხვზე. ამას, რასაკვირველია, თამარისა და ზოგიერთ დიდებულთა მიერ სულის საცხონებლად გაწეული პირადი შრომა – „ხელსაქმობა" და მით მოპოვებული შემოსავალი ვერ უშველიდა.

ამისათვის აუცილებელი იყო, იმდროისათვის ცნობილ მრავალ ფორმასთან ერთად, გამოყენებული ყოფილიყო შრომისუნარიანთა დასაქმებაც, რასაც თავისი ისტორია აქვს. ხანძთელი არქიმანდრიტი წერს: „განგებასა ღმერთისასა ესე ჩვეულება აქვს, რაჲთა წმიდათ მათთა უდაბნოთა მონასტერნი ხელითა გლახაკთაითა აღაშენნეს" (ცჲ გ–გლ, ხანძთელს, იქვე კდ–კე)"[1].

შრომისუნარიათა დასაქმება პროგრესული ნაბიჯი იყო მოცემული ეპოქის ვითარებაში.

იმ დროს საქართველოში მოსახლეობის მწარმოებლური ნაწილი ინახავდა აზნაურებს, დიდებულებს, სამღვდელოებას, ბერ-მონაზვნებს, ქვრივ-ობლებს, მოხუცებულებს, დავრდომილებს, ინვალიდებს, ბავშვებს, სახელმწიფო აპარატს, ქალაქის მოსახლეობას, მსახურებს და მხედრობას. თუSამასვე დაეკისრებოდა შრომისუნარიანი ღატაკების შენახვაც, რომელთა წრე სწრაფად გაიზრდებოდა ზემოაღნიშნული მიზეზებისა გამო და, მაშასადამე, შემცირდებოდა მოსახლეობის მწარმოებლური ნაწილი, მაშინ როგორ შეძლებდნენ დავით აღმაშენებელი და თამარი იმ დიდ მეურნეობრივ და კულტურულ მშენებლობას, რომელსაც ისინი ეწეოდნენ; როგორ შეძლებდნენ ისინი გაემართათ გზები, ხიდები, სარწყავი არხები, აეგოთ ეკლესიები, მონასტრები, ციხე-კოშკები, სასახლეები, ეწარმოებინათ დიდი მშენებლობანი, რომ არაფერი ვთქვათ ისეთებზე, როგორიც არის გელათი, იყალთო, ფიტარეთი, ვარძია და სხვ. მრავალი. იმდროინდელი ტექნიკის პირობებში ასეთი დიდი მშენებლობა მოითხოვდა კოლოსალურ მუშაძალას.

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, თბ., 1929, გვ. 31.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ იმ ხანის საქართველოში მაღალგანვითარებული იყო მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, ტექნიკური მცენარეების მოყვანა, შინამრეწველობა და ხელოსნური წარმოება, რაც აგრეთვე დიდი ოდენობის მუშაძალას საჭიროებდა.

ყოველივე ამის გაკეთება შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომ თამარ მეფის საქმიანობას _ ხელით ქსოვას, რასაკვირველია, სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდათ, ეს მაგალითი მისაბაძი უნდა ყოფილიყო სხვებისათვის, რომ დიდებულებს შრომა სამარცხვინოდ არ მიეჩნიათ და ყოველივე ამით მშრომელთა სულისკვეთება აემაღლებიათ. ცხადია, რადგან თამარი თვითონ არ თაკილობდა ფიზიკურ შრომას, ის უსაქმოდ არ დატოვებდა სხვებსაც. აკი წერს თამარის მეორე ისტორიკოსი, რომ თამარი, დავითი „არც თვით უქმობდა და არც თვისთა ყმათა აუქმებდა"[1]. ცხადია, ყველა ხედავდა და რწმუნდებოდა, რომ თუ მეფე თავის თავს არ აძლევდა ნებას უზრუნველი ყოფილიყო, ამის ნებას იგი, ბუნებრივია, არ მისცემდა სხვებსაც.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაში იხმარებოდა სიზარმაცის და უსაქმურობის აღმნიშვნელი მრავალი ტერმინი: „ლერდანი", „სილენძი", „უდები", „უქმი", „მცონარი", „მედგარი" და სხვ. სიზარმაცისა და უსაქუმორბის ამდენი სინონიმის შემუშავება მოწმობს ამ მოვლენისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას და მასთან ბრძოლის ინტენსივობასაც.

ყოველივე ამის გამო „ისტორიათა და აზმათა" ეს ადგილი, სადაც წერია: „თქმულ არს ესეცა, დაღათუ მოუწყობელ არს სიტყვა, ვითარმედ თვისთა ხელითა ამასცა შურებოდა, რომელ მის დღისა საჭამადი მისი დაფასის რაოდენ დღივ შეჭამის, ხელით საქმარი მისი განყიდის და ეგოდენ ფასი გლახაკთა ახელსაქმრის და მისცის არა სამეფოდ შემოსავალთაგან"[2], უნდა გავიგოთ ასე: თამარი თვითაც შრომობდა, და გლახაკებსაც ასაქმებდა, ე.ი. ხელსაქმეს აკეთებინებდა. დასაქმებულ მუშებს აძლევდა ულუფას, დღიურ საზრდოს, მათ დღიურ საჭამადს ათვასებდა წარმოების დანახარჯების, შექმნილი პროდუქტის თვითღირებულების გაანგარიშებით. ამა თუ იმ ოდენობის პროდუქტების დამზადების პერიოდში მუშებს ულუფა ეძლეოდათ, მათი „ხელსაქმრის" გაყიდვიდან ამოგებული თანხის გაანგარიშებით. ამგვარად, დასაქმებული შრომისუნარიანი გლახაკები ამ შემთხვევაში დახმარებას ღებულობდნენ არა სამეფო შემოსავლიდან, ე.ი. არა ბიუჯეტური წყაროდან, არამედ მათი წარმოებული შემოსავლიდან. ამდენად, გლახაკების ეს ნაწილი დაქირავებული მუშის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ოშკის XIს. წარწერაში დაცულია ძვირფასი მასალა მშენებლობაში მომუშავე დაქირავებული ხელოსნების ან ძმუშაკებისო გასასტუმრებელი ხარჯების შესახებ[3].

---

1 ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, გვ. 130.

2 ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. 1959, გვ. 80-81.

3 ექვთ. თაყაიშვილი, 1917წ. არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 48.

შრომის დანაწილებამ მუშაძალაც გადააქცია საქონლად. ქსოვილების წარმოებაში, სამთო წარმოებაში, მიწათმოქმედებაშიც, რიგ შემთხვევაში, დაქირავებული შრომაც იყო გამოყენებული. დაქირავებულ მუშაძალად გამოიყენებოდნენ გაკოტრებული ამქრის წევრები, ომიანობის, ეპიდემიების, მოუსავლიანობის ან დავალიანების შედეგად უმიწაწყლოდ დარჩენილი თავისუფალი გლეხების ნაწილი ან მებატონეებს გამოქცეული (ქალაქად) გლეხები; ადამიანთა დაქირავების მომენტს ზრდის დაქირავებული ჯარის გამოყენებაც.

ეს მით უფრო სარწმუნო უნდა იყოს, ვინაიდან XI-XVII საუკუნეებში საქართველოში დართოდ იყო გამოყენებული მონასტრებში და მის გარეთაც დაქირავეული შრომა, ბერების ინტენსიურ შრომასთან ერთად.

თამარ მეფეს, როგორც სახელმწიფო მეთაურს, ცხადია, უნდა ეზრუნა სამუშაო ძალის პრობლემებზედაც. გლახაკთა დასაქმება, უქონელთა დაქირავეული მუშის მდგომარეობამდე დაყვანა ერთ-ერთ გამოსავალს წარმოადგენდა საქართველოს იმდროინდელ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში. გარდა ამისა, გლახაკთა დასაქმება ნაკარნახევი იყო არა მარტო ამ მასის სოციალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით, არამედ შალეულობის და საერთოდ, ქსოვილების მრეწველობის განვითარებისათვის ხელშეწყობის თვალსაზრისითაც, ცხადია, მოსახლეობა ჩაცმული უნდა ყოფილიყო იმ დროის კულტურული განვითარების დონის შესაბამისად. XI-XII საუკუნეების უნიკალური ძეგლები ხუროთმოძღვრების, მხატვრობის, მინანქრის, ჭედური ხელოვნების, მწერლობის, მუსიკის დარგში მეტყველებენ მაღალგანვითარებულ მხატვრულ გემოვნებაზე. აშკარაა, ამ გემოვნების შესაბამისი უნდა ყოფილიყო მაშინდელი ჩაცმა-დახურვაც. ამასთანავე, მას მეტ-ნაკლებად მასობრივი ხაისთიც უნდა ჰქონოდა. ამას მოწმობს ისტორიკოსის ცნობა: ძ...აზნაურის ყმანი პატრონთა სწორად იმოსებოდესო[1].

როგორც თამარის პირველ ისტორიკოსს აქვს მოხსენებული, მატყლი საქართველოში შემოიზიდებოდა ალექსანდრიიდან. თამარმა იწყო ამ მატყლის შესყიდვა და დამუშავება. საქართველოს საკუთარი მატყლი ჰქონდა, მაგრამ შალეულის მრეწველობა, ჩანს, იმდენად განვითარებული ყოფილა, რომ მას საკუთარი ნედლეული არ ყოფნიდა და შემოზიდულიც მუშავდებოდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მისი რეალიზაცია ძნელი არ ყოფილა; შალის ნაწარმს ისეთი გასავალი ჰქონია, რომ შორიდან მოზიდული ნედლეულის ხარჯსაც ანაზღაურებდა. ცხადია, ქსოვილი მზადდებოდა არა მარტო ადგილობრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არამედ ექსპორტის საგანსაც შეადგენდა. ამაზე წყაროებში მოიპოვება პირდაპირი მითითებებიც.

ამგვარად, თამარის დროს შალეულისა და საერთოდ, ქსოვილების წარმოება და რეალიზაცია მიმდინარეობდა არა მხოლოდ კერძოთა – დიდვაჭართა – ინიციატივით, არამედ მას სახელმწიფოებრივად ორგანიზებული ხასიათიც ჰქონია.

1 ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბ., 1942, გვ. 241.

საქართველოში, განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, სამრეწველო და სავაჭრო საქმიანობას ძირითადად ეწეოდნენ კერძო პირები, ქალაქის კორპორაციები – ე.წ. ამქრები და გილდები, დიდ ვაჭართა კორპორაციები – ორტაღები.

დასაწყისში სახელმწიფო ერეოდა სამეურნეო საქმიანობაში მხოლოდ მიწათმოქმედებისა და საერთოდ, დომენების გამგებლობის ხაზით. აქ შრომა განაწილებული იყო და ხელმძღვანელები წვრილმან სამეურნეო საქმიანობასაც აწესრიგებდნენ. ჭარბ პროდუქციას, რაც მეფისა და მისი კარის შენახვას აღემატებოდა, მეფის ბრძანებით, საბაზრო დანიშნულება ეძლეოდა, ფულზე იყიდებოდა.

შემდეგში სახელმწიფო ჩაერია სამრეწველო და სავაჭრო საქმიანობაშიც, რაც გამოწვეული იყო შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზებით. ამას მოითხოვდა გაერთიანებული ქვეყნის ეროვნული ინტერესები, სამხედრო ძლიერება, ეკონომიკური უპირატესობა და ფინანსური მოსაზრებები. ვაჭრობა-მრეწველობის სახელმწიფო შემოსავლის წყაროდ გადაქცევისა და დასაქმების მოწესრიგების საკითხიც დაისვა.

როგორც ზოგიერთი წყაროდან ირკვევა, XII საუკუნეში საქართველოში იყო სახელმწიფო საწარმოები, რომლებიც ასაქმებდნენ გლახაკებს[1]. წყაროში წერია: ძთამარი გლახაკთა ახელსაქმრის და მისცის არა სამეფოდ შემოსავალთაგანო[2], სხვაიანირად, არაბიუჯეტური წყაროდან, არამედ გლახაკების მიერ ნაწარმოების გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგებიდან.

ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ იმხანად სახელმწიფო საწარმოები არსებობდა ქვეყნებში, რომლებთანაც საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა. ჩინეთში, მაგალითად, ხელოსნურ წარმოებაში თვალსაჩინო როლი ეჭირა სახელმწიფო საწაროებს, გამოყენებული იყო ყმის შრომა. ასევე იყო ინდოეთში.

სახელმწიფო საწარმოები არსებობდა ეგვიპტეში, რომელთანაც სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს. წყაროებიდან ცნობილია, რომ ალექსანდრიიდან შემოზიდულ მატყლს ამუშავებდნენ საქართველოში.

ეგვიპტეში საწარმოები ამუშავებდნენ ოქრომკედის, შალის, ბამბის და კანაფის ქსოვილებს. არ არის გასაკვირი, რომ საწარმოები იქმნებოდა საქართველოშიც, როგორც საფეიქრო ნაწარმის, ისე სამხედრო საჭურველის დამზადების დარგში.

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, ვაჭრობა-მრეწველობა იმდენად იყო განვითარებული, რომ „XII-XIII საუკუნეებში ბამბის ქსოვილები საქართველოდან უცხოეთშიც კი გაჰქონდათ”[3].

---

1 ვ. ჩანტლაძე, ,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი”-ს ერთი ადგილის გაგებისათვის. - ცისკარი, №5, 1968.

2 ქართლის ცხოვრება, ყ. III, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, თბ., 1959, გვ. 81.

3 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. 1930, გვ. 376, 412.

XI-XIII საუკუნეებში ქსოვილების წარმოება საქართველოში მაღალგანვითარებული იყო, ამზადებდნენ სხვადასხვაგვარ ქსოვილებს. ეკლესია-მონასტრებში ფრესკების, მხატვრული ილუსტრაციების კვალობაზე, შესაძლებელია გარკვეული დასკვნები გაკეთდეს სქესის, ასაკის, წოდების ან პროფესიის მიხედვით სეზონურად როგორი ტანსაცმელი ეცვათ, და როგორ იყო შეკერილი – სადად მოქარგული, თუ ნახჭით გაწყობილი; ან რა მასალისაგან იყო იგო დამზადებული – შალის, ბამბის, თუ კანაფისაგან.

ხელსაქმე საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული უძველესი დროიდანვე. საქართველო განთქმული იყო საფეიქრო წარმოებით. ამის დამადასტურებელ მასალას გვაძლევს არქეოლოგიური გათხრები, ხელოვნების მუზეუმებში დაცული ექსპონატები, ძველ საექიმო წიგნებში ასახული ნიმუშები და სხვ.

ქართულ ქსოვილებს იცნობდნენ სხვა ქვეყნებშიც. ძვირფას ქსოვილებს აფორმებდნენ მხატვრული ნაქარგებით. ამ მხრივ ქართველმა ოსტატებმა შექმნეს შესანიშნავი ტრადიციები – ფერთა შეხამების განსაცვიფრებელი ჰარმონია, დახვეწილი ორიგინალური სტილი და უზადო ტექნიკა. ხელსაქმეს, კერძოდ, ქარგვას, ქართველ გოგონებს ასწავლიდნენ სასწავლებლებში და მონასტრებში. საქარგავად იყენებდნენ უცხოურ და ადგილობრივ ქსოვილებს.

უცზხოეთიდან შემოჰქონდათ ფაი, ლიბერტი, ხავერდი და სხვ. ქსოვილები; ადგილობრივ ამზადებდნენ დარაიას, ჯეჯიმს, ბამბას, შალის, თივთიკის, სელის ქსოვილებს. ხმარობდნენ ლამაზად შეხამებულ და ესთეტიკურად დამუშავებულ მცენარეულ საღებავებს. „წითლისათვის იყენებდნენ ენდროს, ყვითლისათVის – თრიმლს, ვაშლისა და მსხლის ხის ქერქებს, თუთის შემოდგომის ფოთლებს, ხახვის ფურცლებს, რძიანას, ყავისფრისათვის – კაკლის ქერქს, წენგოს, ასკილს, ლეღვის ფოთლებს, შავისათვის – შევბალახას. ასევე იყენებდნენ ანწლს, პიტნას, მურყანს და სხვ”[1].

ქართულ ქსოვილებს, უცხოურისგან განსხვავებით, ისე როგორც ჭედურ ხელოვნებაში და მხატვრობაში, თავისებურებები ახასიათებს, რაც კომპოზიციის სხვადასხვა ელემენტებში აისახება.

როდესაც ქსოვილების წარმოებამ მიიღო საშინაო მრეწველობის ხასიათი, ხელოსნები მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდნენ ვაჭარ-კაპიტალისტებისაგან.

ვინაიდან, ისტორიული წყაროების მიხედვით, ცნობილია XI-XIII სს-ის საქართველოში ამა თუ იმ ზომით დაქირავებული შრომის გამოყენება, დაკვეთით მომუშავე ხელოსნების არსებობა და აგრეთვე დიდი კაპიტალების მქონე სავაჭრო-საკრედიტო ორგანიზაციების არსებობა, ცხადია, საგარეო ვაჭრობის გაფართოების პირობებში, ხელოსნები მიიღებდნენ ვაჭრებისაგან გადიდებულ

1 ირინე უზნაძე, ძველი ქართული ნაქარგობა – ლიტერატურული საქართველი. 1973, 20/XII, №51; ვ. ბერიძე, ნაქარგობის ისტორიიდან. 1983; მ. კეცხოველი. შუა საუკუნეების დეკორატიული ქსოვილები ზემო სვანეთიდამ. 1988.

დაკვეთებს და ისინი, შეძლებისდაგვარად, დამხმარე ძალებს გამოიყენებდნენ ამის შესასრულებლად.

ამასთანავე, სარწმუნოა საქართველოში ამა თუ იმ ზომის სახელმწიფო საწარმოების არსებობაც. მეფის მეურნეობაში შედიოდა მრავალი დამხმარე მეურნეობა. ასეთი იყო სათონეები, სახელოსნოები, სამჭედლოები, იარაღების საწარმოები და სხვ. როგორც ისტორიული წყაროებით დასტურდება, ძსამეფო მეურნეობის ნაწარმი ბაზარზეც იყიდებოდაო[1]. ამას ადასტურებს თამარ მეფის ისტორიკოსიც.

ამგვარად, XI-XIII საუკუნეებში, საქართველოში ვაჭრული და ვახშური კაპიტალი მაღალგანვითარებული იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ვაჭრობაზე დამყარებულ ხელოსნობის დარგში ზოგიერთი ვაჭარი ამა თუ იმ ზომით მრეწველობასაც დაიწყებდა. ისინი დაკვეთებს აძლევდნენ წვრილ ხელოსნებს ან შინამრეწველ გლეხებს, მათ თავიანთ შუამავლებად აქცევდნენ, ან უშუალოდ მწარმოებლებისაგან ყიდულობდნენ, ზოგიერთი მრეწველი კი იქცეოდა ვაჭრად და უშუალოდ ეწეოდა დიდი მასშტაბით ვაჭრობას.

ძეგლებში მოხსენიებულია იმ დიდ ვაჭრებზე, რომლებიც ქვედა ფენებიდან იყვნენ წარმოსული და, რომელთაც „სიმდიდრით აღზევებულთ" უწოდებდნენ: ზანქან ზორაბაბელი, მაჰმად იალავაჩი, პარონ უმეკი, რაჟდენ განბენდელი, ტიგრან ჰონეცი. ზოგი მათგანი არა მარტო ვაჭრობდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ მრეწველიც იყო.

ეკონომიკური დაწინაურების მაჩვენებელია XI საუკუნის 80-იანი წლებიდან თბილისში ქალაქ-კომუნის ჩამოყალიბება. ქალაქის თვითმმართველობას განაგებდა ქალაქის საბჭო, „ქალაქის უხუცესთა კრებული", რომელსაც ირჩევდნენ ქალაქის აღზევებულთა ზედაფენიდან. მორიგებით, ერთი წლის ვადით ამ საბჭოდან ირჩევდნენ ხელმძღვანელს, ქალაქი წარმოადგენდა დამოუკიდებელ ერთეულს. ასე იყო საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ზოგიერთ სხვა ქალაქშიც[2]. ამგვარად, განვითარებული ფეოდალიზმის პირობებში ფეოდალიზმის მოწინააღმდეგე ელემენტები თავიანთი კლასობრივი ინტერესებიდან გამოდიოდნენ.

საქართველოში ამ დროისათვის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების მაჩვენებელია აგრეთვე გამოსვლა ყუთლუ არსლანის დასისა, რომელიც მოითხოვდა ერთგვარ პარლამენტარიზმს. ყუთლუ არსლანი საერთოდ ცენტრალურ ხელისუფლებას კი არ ებრძოდა პარტიკულარიზმის თვალსაზრისით, არამედ მოითხოვდა მის უფლებათა დანაწილებას, სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას საკანონმდებლო უფლებათა გამოყოფით. მას სურდა დაედგათ კარავი ისანში და „დასხდომილნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარსა და დედოფალსა: მაშინღა სრულ იქნებოდეს განმგებელნი ჩვენნი"[3].

1 საქართველოს ისტორია, ტ. I. თბ., 1956. გ. მელიქიშვილის რედაქციით. გვ. 69.

2 შოთა მესხია. საისტორიო ძიებანი. 1982, გვ. 232-262.

3 ქართლის ცხოვრება. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. 1959, გვ. 31.

როგორც ვხედავთ, წამოყენებულია მოთხოვნა არა ცენტრალური ხელისუფლების გაუქმებისა, თამარის გადაყენებისა, არამედ საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების გამოცალკევებისა. ეს იყო მოტხოვნა სიმდიდრით აღზევებულთა, უგვაროთა, მოქალაქეთა და აგრეთვე მოძრავი ქონებით გამდიდრებული დიდებულისა. ეს მოძრაობა ჯერ კიდევ იმის შემძლე არ იყო, რა მოთხოვნებსაც აყენებდა და ამიტომ სამეფო ხელისუფლებამ იგი ჩაახშო, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ ასეთი მოძრაობა წარმოიშვა და აგრეთვე ის გარემოება, რომ მეფემ ეს დასი და მეთაური არ დასაჯა, მეტყველებენ ამ მოძრაობის ეკონომიკურ სიძლიერეზე და ავტორიტეტზე. გარდა ამისა, ამ დასის ძალა მეფეს სჭირდებოდა დასაპირისპირებლად და გასანეიტრალებლად იმ შემოტევებისა, რომელსაც მის წინააღმდეგ ეწეოდა დიდგვაროვანთა ფეოდალური დასი.

ამ საკითხის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებანი ყუთლუ არსლანის დასის მოთხოვნებსა და პროგრესულობაზე. სხვადასხვა აზრია გამოთქმული იმის შესახებ, თუ რომელ წრეს ეკუთვნოდა ყუთლუ არსლანი – გვარიანთა თუ უგვაროთა. ზოგიერთის აზრით, ის იყო უგვარო და ეკუთვნოდა სიმდიდრით აღზევებულთა წრეს. სხვებს მიაჩნიათ, რომ იყო დიდგვარიანი ფეოდალი. ჩვენს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, ყუთლუ არსლანი დიდგვარიანი აზნაური იყო თუ უგვარო, არამედ იმას, თუ რომელი წრის ინტერესების დამცველად გამოდიოდა და რას მოითხოვდა იგი; რამდენი ფაქტია ისტორიაში ცნობილი, რომ კაცი თავისი სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობით ეკუთვნოდა ერთ კლასს და გამოდიოდა მოპირისპირე კლასის ინტერესების დამცველად. არსლანის მოთხოვნა წარმოიშვა იმ წინააღმდეგობების ნიადაგზე, რომელიც არსებობდა ფეოდალურ არისტოკრატიას, დიდგვარიანებს, ერთი მხრივ და მოქალაქეებს, ბიურგერებს, სიმდიდრით აღზევებულ დიდ ვაჭრებს, წვრილ ფეოდალებს, რაინდებს შორის, მეორე მხრივ. ყუთლუ არსლანის დასს სურდა მეფის ხელისუფლებისათვის ჩამოეშორებინა საკანონმდებლო ხელისუფლება, მას ძირითადად თვითონ დაუფლებოდა და კანონები თავის სასარგებლოდ წარემართა, აქ მთავარია ის, რომ სიმდიდრით აღზევებულთა წრემ ხმა აღიმაღლა და მოითხოვა მისთვის ანგარიშის გაწევა. როგორც ცნობილია, ინგლისში პარლამენტი შეიქმნა XIII საუკუეში; წოდებრივ -წარმომადგენლობითი ყრილობა მოწვეულ იქნა მსხვილ და წვრილ ფეოდალებს, რაინდებს და დიდ ვაჭრენს შორის ხელისუფლების და შემოსავლების განაწილებისათვის ბრძოლის პროცესში.

ყუთლუ არსლანი არ ეკუთვნოდა დიდგვარიანთა იმ წრეს, რომელმაც თამარ მეფე მეორედ აკურთხა და „უგვარონი" თანამდებობიდან გადააყენა. ყუთლუ არსლანი იმ პირველი მოძრაობის შემდეგ გამოდის და იწყებს ახალ მოძრაობას არა სეპარატისტული მიზნით, როგორც დიდგვარიანი ფეოდალები, არამედ როგორც აბსოლუტური მონარქიის მოწინააღმდეგე და მოითხოვს

სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას, მეფისათვის საკანონმდებლო და სასამართლო უფლების ჩამორთმევით. არსლანი დამარცხდა, რადგან სიმდიდრით აღზევებულთა წრე ჯერ კიდევ იმ ზომამდე განვითარებუკუ არ იყო, რომ საამისო ძალა ჰქონოდა, მაგრამ არც ისეთი სუსტი, სამეფო ხელუისუფლებას ანგარიში რომ არ გაეწია. ამ მხრივ საყურადღებოა ის მითქმა-მოთქმა, რომელიც გამოხატავდა შიშს – აღმოსავლეთ საქართველოში შესაძლებელია მეფობა დიდვაჭარმა შადინმა ჩაიგდოს ხელშიო.

აქ იმას არა აქვს მნიშვნელობა ყუთლუ არსლანი დიდგვარიანებს ეკუთვნოდა თუ „ბიჭი" იყო. იმუამად ის იყო მეჭურჭლეთუხუცესი, ქვეყნის შემოსავალგასავლის გამგებელი, რომელსაც ექვემდებარებოდა ვაჭრობის დარგი და ცხადია, ვაჭართა წრეს კარგად იცნობდა. ამასთანავე, ბევრი დიდგვარიანი ფეოდალი ჩაბმული იყო, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, სავაჭრო საქმიანობაში; ზოგი ფეოდალი ქალაქების მფლობელიც იყო და სხვ.

ინგლისის პირველ პარლამენტშიც მონაწილეობდნენ მსხვილი ფეოდალები (ბარონები, პრელატები), დიდ ვაჭრებთან ერთად. ამდენად, ყუთლუ არსლანის გამოსვლა იმავე რეაქციულ ფეოდალთა გამოსვლა კი არ არის, არამედ პირიქით, იმ დროისათვის პროგრესული ბრძოლაა ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით. აქ სავსებით მართალია აკად. ივ. ჯავახიშვილი.

ყველა ზემოხსენებულის საფუძველზე ვერ დავეთანხმებით ბ-ნ ა. ბოგვერაძეს ყუთლუ არსლანის მოღვაწეობის იმ საკითხში, რომ, მისი აზრით, „არავითარი ორი სხვადასხვა გამოსვლა არ ყოფილა. ამ ერთიან მოძრაობას, რომელსაც თამარის გამეფებასთანავე ჰქონდა ადგილი, შეიძლება ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლა ეწოდოს"[1]. საქართველოს პატრონყმური მეურნეობა განსხვავდებოდა აღმოსავლეთის ქვეყნების წყობისაგან და მიუხედავად მრავალი მსგავსებისა, განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების პატრონყმობისაგანაც. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, დასავლეთ ევროპის „იმუნიტეტს" შეესაბამებოდა საქართველოში „შეუვალობის" დაწესებულება, დასავლეთ ევროპაში ყმებისათვის იმუნიტეტის მინიჭება შეეძლო მხოლოდ პატრონს. ამ შეწყალებული ყმის, მონასტრის, ეკლესიის სამფლობელოში შესვლის უფლება არ ჰქონდათ პატრონ-მეფის მოხელეებს, არც სასამართლოს მოხელეებს და გადასახადების ამკრეფთ ჰქონდათ შესვლის უფლება. ამ სამფლობელოს მკვიდრნი განთავისუფლებული იყვნენ სამეფო სასამართლოსა და სამეფო გადასახადებისაგან. ისინი მხოლოდ საკუთარი პატრონის სასამართლოს ექვემდებარებოდნენ. ყოველგვარი გადასახადის გაწერისა და აკრეფის უფლება ჰქონდათ მხოლოდ მათ პატრონებს. მთელი სახელმწიფო დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეებში მრავალი კერძომეურნეობრივი ერთეულისაგან შედგებოდა და მათ ფინანსირებას დეცენტრალიზებული ხასიათი ჰქონდა.

საქართველოში შეუვალობა წარმოადგენდა გამონაკლისს, იგი არ იყო სახელმწიფო ცხოვრების საზოგადო მოვლენა. შეუვალობა ეხებოდა მხოლოდ

1 ა. ბოგვერაძე. ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლის შესახებ. - მაცნე, ისტორიის და სხვ. 4, 1988, გვ. 152.

სახელმწიფო გადასახადებს, სასამართლო შეუვალობა არასდროს ყოფილა. ამასთანავე, გადასახადების შეუვალობა, უმეტესწილად, ჰქონდათ საეკლესიო და სამონასტრო ყმებს. საპატრონო ყმებსაც სახელმწიფო გადასახადებს ახდევინებდა თავისი მოხელეების საშუალებით და მათი პატრონების დაუკითხავად. საქართველოში ყმებიც სამეფო სასამართლოს ექვემდებარებოდნენ, მათ პატრონებს მათდამი მსაჯულების უფლება არ ჰქონდათ. „სახელმწიფოსა და ყველა ქვეშემრდომს შორის კავშირი და პირდაპირი დამოკიდებულება საქართველოში შეწყვეტილი არ ყოფილა და სახელმწიფო სამართლის ორი უზენაესი გამოხატულება, მართლმსაჯულებისა და გადასახადების გაწერისა და აკრეფის უფლება, – მეფეს მტკიცედ ეპყრა. სწორედ ამ მხრივ ქართული პატრონ-ყმობა დასავლეთ ევროპის პატრონ-ყმიბისაგან არსებითად განსხვავდებოდა”[1].

გარდა ზემოხსენებულისა, ქართულ რენესანსს იმ დროისათვის აპირობებდა რიგი დამახასიათებელი მოვლენებისა, როგორიცაა ეროვნული გაერთიანება და ენის მთლიანობა.

როგორც ცნობილია, დასავლეთ ევროპაში, აღორძინების ეპოქაში წარმოიშვა ეროვნული ენები და ადგილობრივი დიალექტებისა და ლათინურის ნაცვლად, გაფორმდა ხალხური ლიტერატურული ენები. XVI საუკუნის პირველი ბახევრის დასასრულს დაიწყეს ამ ენების გამართლება და ქება. ჟ. დიუ ბელემ დაწერა ტრაქტატი „დაცვა და ქებაჲ ფრანგულისა ენისა”.

საქართველოში V-XII საუკუნეები არის ქართული ლიტერატურის კლასიკური ხანა. ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა მოითხოვა ეროვნული გაერთიანება და ენის მთლიანობა. საქართველოში X საუკუნეში დაწერა იოანე ზოსიმემ „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ”. იგი იცავს ქართულ ენაში დამარხულ არსს ეროვნული მთლიანობის თვალსაზრისით. ის ამბობს, რომ მეორედ მოსვლისას „ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა”, გიორგი მთაწმინდელი ამტკიცებდა, რომ ღმერთმა იცის ქართული ენა და ექვთიმე ქართულად ელაპარაკა მას. ლეონტი მროველი ამართლებს დავით აღმაშენებლის საქმიანობას, რომელიც მიმართული იყო ერის მთლიანობის მიღწევისაკენ. ეფრემ მცირემ დაასაბუთა ქართული ეკლესიის თვითმყოფობა.

ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჩიასახა XII საუკუნეში: ჩახრუხაძე, სარგის თმოგველი, მოსე ხონელი, შ. რუსთაველი.

რენესანსის საერთო დამახასიათებელი იყო აგრეთვე ანტიკური კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესება. დასავლეთ ებროპაში ეს დაინტერესება გამოიხატა პეტრარკასა და ბოკაჩოს ნაწარმოებებში, საქართველოში კი იგი არასდროს განელებულა. ამის საბუთია პეტრე იბერიელი, პეტრიწონელი, ეფრემ მცირე და სხვ.

XI–XII საუკუნეების საქართველოში განვითარდა და გაღრმავდა ფილოსოფიური აზრი, შეიქმნა ქართული კულტურული კერები, შიგნით და ქვეყნის

1 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. ნაკვ. II, ნაწ. II, 1929, გვ. 101-102.

გარეთაც; შემიშავდა ახალი შეხედულებები ადამიანზე, მის დანიშნულებაზე. არეოპაგიტულმა მოძთვრებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა XI-XII საუკუნეების საქართველოში. ქართული ფილოსოფიური აზრის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები იყვნენ პეტრე იბერი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და თვით შ. რუსთაველი. ამ დროს გაიშალა მთარგმნელობითი მუშაობა. ანტიკური დროის ფილოსოფოსების სახელები, როგორებიცაა: პლატონი, არისტოტელე, ენეა გაზელი, აისახა მეხოტბეთა ნაშრომებშიც. ამ პერიოდში ითარგმნა არისტოტელეს შრომები „განმარტების შესახებ" და სხვ., პროკლეს ძთეოლოგიის ელემენტებიო ნეოპლატონიკოსის ამონისეს „პორფირიუსის შესავლის კომენტარები", „არისტოტელეს 10 კატეგორიის კომენტარები", ნეოპლატონიკოს ნემესის ემისელის „ბუნებისათვის კაცისა", იოანე დამასკელის „ცოდნის წყარო", არსენ იყალთოელის მიერ ანასტასი სნელის თხზულება „წინამძღვარი" და სხვ. ცნობილი მოაზროვნეები – ბასილ დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი – მრავალგზის ასახელებენ ანტიკური ფილოსოფოსების შეხედულებებს ქართულად თარგმნილი თხზულებებიდან[1].

XI-XII საუკუნეებში ქართულმა ხელოვნებამ განიცადა დიდი აყვავება. ამ დროს ეკუთვნის ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშები: ბაგრატის ტაძარი, მცხეთის სვეტიცხოველი, ალავერდის კათედრალი, გელათის მონასტრის დიდი ტაძარი და სხვ. მრავალი. ამ ეპოქას ეკუთვნის კლდეში ნაკვეთი დიდი ანსამბლი – დავით გარეჯისა და ვარძიის ციხე, სიმაგრეთა მშენებლობა, სახვითი ხელოვნების, სკულპტურის და სხვ. დიდის ხელოვნებით შესრულებული ნიმუშებიც, რომლებიც თავისი დროის მაღალმხატვრულ ფასეულობას წარმოადგენენ.

XII საუკუნემ მოგვცა გარდაქმნილი ქართული მწერლობა, ქართული ხუროთმოძღვრება, ოქრომჭედლობა, ორიგინალური მუსიკა, საკლესიო (პოლიფონია), კედლის მხატვრობა[2].

საქართველო იდგა აზიასა და ევროპას შუა, ორი მსოფლიო კულტურის პირაპირზე, აღმოსავლური და დასავლური კულტურების შეჯახებისა და შერწყმის გზაჯვარედინზე.

1 რენესანსულ მოვლენებთან დაკავშირებით იხ. Ш. Нуцубидзе. Творчество Руставели. 1958; Руставели и Восточный ренессанс. 1946; მისივე. ქართული ფილოსოფიის ისტორია. ტ. I, II; მისივე. Тайна Псевдо-Дионисия Ареопагита. 1955; მისივე. Петр Ивер и сочинение Псевдо-Дионисия Ареопагита, Брюсель, 1953, E. Honigmann, Pietre Iberien at les e'crits de I'cendo Denys I'Areopagite. 1953; Hugo Huppert. Der Recke im Tiegerfell, Schotha Rustaveli. Berlin. Kütten u leoning. „Rustaveli und sein Poem" Jeleitvort des Übersetzers, S. 4; შ. ხიდაშელი. რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები. 1981; მისივე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1988.

2 ვახტანგ ბერიძე. ხელოვნება XI-XIIსს. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 479-492; ც. ჩუბინაშვილი. ქართული ხუროთმოძღვრება შუა საუკუნეებში და მისი კათედრალი, ახალციხე, ტფ., 1925. Ш. Амиранашвили. История грузинского искусства, ч. I. М., 1950; Г. Чубинагвили. История грузинского искусства.1935; როინ მეტრეველი. მეფე თამარი. თბ., 1991, გვ. 290-302; მისივე, დავიტ IV აღმაშენებელი, თბ., 1986.

შოთა რუსთაველმა გადაამუშავა და მაღალ საფეხურზე აიყვანა საქართველოში არსებული ეს კულტურული ვითარებანი და ამ ეპოქის მწვერვალზე მოექცა. ლუი არაგონის დახასიათებით, საქართველომ საუკუნით ადრე წარმოშვა თავისი დანტე. ვაჟა ამბობდა: „რუსთაველი საქართველოა, საქართველო კი ვეფხისტყაოსანიო". მას ეხმაურება კონსტანტინე ბალმონტი: „როგორც ჰომეროსი არის ელადა, დანტე – იტალია, შექსპირი – ინგლისი, კალდერონი და სერვანტესი – ესპანეთი, რუსთაველი არის საქართველო"[1].

ზოგიერთები კიდევ რუსთაველს საკაცობრიო მწერლად სახავენ.

.

1 Шота Руставели. Витязь в тигровой гкуре, перевод с грузинского К.Л. Бальмонта. Из предисловия переводчика, с. XXI.

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 3, გვ. 30-43
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 3, pp. 30-43

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა
ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

ცოდნა და ეკონომიკა

ვლადიმერ ბასარია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს პარლამენტის მიწვეული სპეციალისტი
vbasaria@gmail.com

საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობის, მისი განვითარების ტენდენციების საკითხები აქტიური განსჯისა და აქტუალური ანალიზის საგანია როგორც სპეციალურ ლიტერატურაში, ასევე ჩვეულებრივ პრესაში, ტელეგადაცემებში თუ სხვაგან. ეს თემა განსაკუთრებით წინწამოწეული იყო 2016 წლის ოქტომბრის პარლამენტის წინასაარჩევნო პერიოდში. ამ კამპანიის დროს განზოგადებულად გამოიკვეთა პოლიტიკოსების და ეკონომისტების მიერ ნებისმიერი საბაზრო ეკონომიკის ციკლური განვითარების ხასიათიდან გამომდინარე, შეფასების სამი ძირითადი მიდგომა: ნაწილს მიაჩნია, რომ ჩვენთან პერმანენტული ეკონომიკური კრიზისი, რეცესიაა; ზოგიერთი კი, პირიქით, თვლის, რომ ეკონომიკა აღმავლობას განიცდის; არიან ისეთებიც, ვინც ფატალურად აფასებს საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობას და ფიქრობს, რომ ის ციკლის ფსკერზეა.

რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს ასეთი მოსაზრება, მიგვაჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკა განვითარების ტრადიციული ციკლის რომელიმე კონკრეტულ ფაზაში კი არ იმყოფება, არამედ ხანგრძლივ სტაგფლაციურ მდგომარეობაში ფუნქციონირებს.

საკვანძო სიტყვები: ადამიან-კაპიტალი; შრომა როგორც წარმოების ძირითადი ფაქტორი; ინვესტიციები ადამიანში; სტაგფლაცია; ცოდნა და მწარმოებლურობა; დპლომომანია.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ხანგრძლივი სტაგფლაცია

შევეცდებით დავასაბუთოთ ეს დებულება ეკონომიკის ციკლური განვითარების ცნობილი ოთხივე ფაზის მოკლე განხილვით.

• ცნობილია, რომ განვითარების ფსკერის ფაზისათვის დამახასიათებელია წარმოების მინიმალური (ნულთან მიახლოებული) და უმუშევრობის უმაღლესი (ტოტალური) დონე. უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში რიგ წლებში წარმოების ზრდის დაბალი ტემპების[1](და ეს საწყის პერიოდში მისი კატასტროფულად დაცემის პირობებში ხდებოდა) მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკის ამ ფაზისთვის მიკუთვნება სწორი არ იქნებოდა, ვინაიდან უმუშევრობის დონე სადღაც 12-16%-ის ფარგლებში იყო. ეს კი უმაღლესი მაჩვენებელი ნამდვილად არ არის.

• ჩვენი ეკონომიკა რომ ზენიტის ფაზაში არ არის, ამას მტკიცება, ალბათ, არ სჭირდება.

• პოლიტიკოსების და ეკონომისტების დიდ ნაწილს მიაჩნია (ზოგი დარწმუნებულია, ზოგი კი, ეტყობა, გარკვეული პოლიტიკური მიზნების გამო თვლის ასე), რომ ქართული ეკონომიკა (განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში) კრიზისის ფაზაში აღმოჩნდა. ეს მოსაზრებაც არამართლზომიერია და აი რატომ.

ეკონომიკის ვარდნის ფაზა გულისხმობს წარმოების დაცემას და იმავდროულად უმუშევრობის ზრდას. ჩვენთან კი, 2013-2015 წლებში, თითოეულ წელს წარმოებული მშპ-ის ღირებულება (რა თქმა უნდა, უცვლელი ფასებით) ყოველთვის აღემატებოდა წინა წლის მშპ-ის ღირებულებას. დასაქმების თვალსაზრისითაც მზარდი ტენდენცია აღინიშნა (2013წ. – 85,4%, 2014 წ. – 87,6%, 2015 წ. – 88%).

• ეკონომიკის ციკლური განვითარების აღმავლობის ფაზა გულისხმობს წარმოებისა და დასაქმების ზრდას. ჩვენი ეკონომიკა, შეიძლება ითქვას, განვითარების ციკლის ამ ფაზაშიც არ იმყოფება: 2013 წლიდან ქვეყანაში ეკონომიკის ზრდის ტემპების დაცემა შეინიშნება (2013-2014 წლების საშუალო 4%-იანი ზრდის მაჩვენებლიდან 2015 წლის 2,8%-მდე; ასეთი ზრდა კი (განსაკუთრებით ჩვენი დაბალი დონისათვის), რა თქმა უნდა, უმნიშვნელოა;

ასეთი ვითარება, თითქოსდა, შეიძლება ფაქტობრივად სტაგნაციად შევაფასოთ, მაგრამ ესეც არ იქნებოდა ზუსტი დასკვნა, ვინაიდან სტაგნაციას ფასების ვარდნა უნდა ახასიათებდეს. ჩვენთან კი, ბოლო სამ წელიწადში, წარმოების დაბალი აქტიურობის პარალელურად ადგილი ჰქონდა ინფლაციის ზრდის ტემპებს (2013წ. -0,5%; 2014წ. + 3,1%; 2015 წ. + 4%).

1 მთელ ამ პერიოდში (1990-2015 წწ.) მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) მოცულობა 15 პროცენტული პუნქტით შემცირდა (ეს და სტატიაში მოყვანილი სხვა სტატისტიკური ინფორმაცია ეყრდნობა „საქსტატის“ მონაცემებს-ავტ.).

ეკონომიკური თეორია ჩვენთან დამკვიდრებულ სიტუაციასაც იცნობს XX საუკუნის 70-იანი წლებიდან **სტაგფლაციის** სახელწოდებით. სტაგფლაციას კი, როგორც წესი, იწვევს ორი ძირითადი ფაქტორი: მონოპოლიური ტენდენციები ეკონომიკაში და ხელისუფლების მიერ ეკონომიკის არარაციონალური, ინფლაციური რეგულაცია. ეს მიზეზები - ერთიც და მეორეც - საკმარისზე მეტია საქართველოს ეკონომიკის ფუნქციონირებაში და მათი განხილვა აუცილებელი პირობაა ქვეყნის ეკონომიკის რეალური განვითარების მიღწევისა და მოსახლეობის კეთილლდღეობის ამაღლებისათვის.

ზემოთქმულთან ერთად, როგორც სათაურშია გაცხადებული, სტატიაში ძირითადად იმაზე შევჩერდებით, თუ როგორ გამოიყენება ქვეყანაში წარმოების ძირითადი ფაქტორი - შრომა, მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები და რა შეიძლება გაკეთდეს ამ მიმართულებით არსებული უმძიმესი მდგომარეობის მკვეთრად გასაუმჯობესებლად.

ინვესტიციები ადამიან-კაპიტალში მწარმოებლურობის საერთო ზრდისათვის

როგორც ცნობილია, მოსახლეობის კეთილდღეობის დონის, ასევე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შეფასებისათვის გამოიყენება სტატისტიკურ (ეკონომიკურ) მაჩვენებელთა ერთობლიობა, რომელშიც უდიდესი როლი (ძირითადი დატვირთვა) მშპ-ზე მოდის - გადამწყვეტია მისი წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე. ამ მაჩვენებლით ჩვენ ქვეყნებს შორის მოწინავეთა რიგებში ნამდვილად არა ვართ. მაშასადამე, ამოცანა ის არის, რომ ეკონომიკური ზრდის მიღწევაში ნებისმიერმა საზოგადოებამ უპირველესად მის უზრუნველმყოფ იმ ფაქტორების ამოქმედებაზე და უკუგებაზე უნდა წარმართოს ძალისხმევა, რომლებიც, როგორც რესურსები, შედარებით ნაკლებად შეზღუდული და ამავდროულად მაღალშედეგიანია.

მშპ-ის წარმოება გამსხვილებულად ორ პარამეტრზეა დამოკიდებული: წარმოების ფაქტორებზე (მ.შ. პირველ რიგში - შრომასა და კაპიტალზე) და საწარმოო ფუნქციაზე. ამ დამოკიდებულებას შემდეგი მათემატიკური განტოლება წარმოგვიდგენს:

$$Y=f(L,K),$$

სადაც იგივეობის მარცხენა მხარეს მშპ-ის წარმოებაა მოცემული, ხოლო მარჯვენა მხარეს - მისი შექმნის განმპირობებელი პარამეტრები, მათ შორის: L - შრომა, K -კაპიტალი, f - საწარმოო ფუნქცია (ანუ დოვლათის წარმოებასა და წარმოების ფაქტორებს შორის ფუნქციური დამოკიდებულება. მასში იგულისხმება წარმოებაში გამოყენებული ტექნოლოგიები და წარმოების ორგანიზაციის ფორმები).

გასაგებია, რომ ამ იგევეობაში ჩვენი მსჯელობის თემა (ცოდნა) ეხება შრომის ფაქტორს, მაგრამ შევეცდებით დავასაბუთოთ ამ ფაქტორის სრულყოფის დადებითი ზემოქმედება ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელ სხვა ფაქტორებზეც. შრომის ფაქტორში ჩვეულებრივად დაქირავებულ მუშაკთა შრომას გულისხმობენ. ჩვენ კი გვაინტერესებს, ამასთან ერთად, მთელი საზოგადოება როგორც მწარმოებლური (სარგებლიანი) საქმიანობის სუბიექტი; ჩვენი მსჯელობის თემაა ასევე წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა ზრდა (რიცხოვნობის მატება), რომელიც ეკონომიკურ ზრდას მხოლოდ ამ ერთეულების კაპიტალშეიარაღების შენარჩუნების პირობებში უზრუნველყოფს. მხედველობაში მაქვს შრომის ყოველი (და არა გასაშუალებული) ერთეული და მისი მწარმოებლურობა, ანუ ეკონომიკური ზრდის მიღწევა მთელი საზოგადოების შრომის როგორც წარმოების ფაქტორის, რაოდენობის უცვლელობის პირობებში. ამასთან, ასეთი დაშვების დროსაც (როცა L არ მატულობს) ადამიანში კაპიტალის ჩადების შედეგად მისი ცოდნა-განათლების გაღრმავების კვალობაზე, იზრდება შრომის მწარმოებლურობა და მისი მონაწილეობა მშპ-ის წარმოებაში.

ცნობილია ასევე დებულება (ეკონომიკური ზრდის სოლოუს მოდელი [1, გვ. 144]), რომ ხანგრძლივი პერიოდისათვის ეკონომიკურ ზრდას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას წარმოების ფაქტორების ზრდა კი არ განაპირობებს, არამედ წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფა. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ეკონომიკაში კაპიტალის ზრდას თან ახლავს მისი გადინების (ცვეთის) მატება, რის შედეგად, საბოლოო ანგარიშით, ამ ორი ცვლადის გატოლება ხდება (მდგრადი კაპიტალშეიარაღება), ამ პირობებში კი შრომის კაპიტალშეიარაღება, როგორც ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელი პარამეტრი, წყვეტს თავის მოქმედებას. ამ დებულების აბსოლუტიზაცია შრომის როლის (როგორც წარმოების ფაქტორის) შეფასებისას სწორი არ უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ შრომის უფრო მაღალი კვალიფიკაცია (მაღალი განათლების დონე), არსებული დანარჩენი რესურსების (მ.შ. თვით შრომის რაოდენობის) უცვლელობის პირობებშიც, მწარმოებლურობის თავისთავადი ზრდის განმაპირობებელი პარამეტრია მნიშვნელოვანწილად, ამ თვალსაზრისით, წარმოებაში მუშაკთა კვალიფიკაცია-განათლების ზრდა ერთგვარად წაგავს თვით წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფას. ამას ისიც უნდა დაემატოს, ალბათ, რომ მთლიანობაში საზოგადოების განათლებულობის ზრდა-გაღრმავებაც დადებითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე, შეზღუდული რესურსების გამოყენების შედეგიანობაზე.

როგორც ცნობილია, ინვესტიციები ეკონომიკაში არის ხარჯების (ეროვნული შემოსავლის ნაწილის) მიმართვა არა უშუალოდ მოსახმარად, არამედ დოვლათ-სიკეთის წარმოებისათვის. ამ თვალსაზრისით, ინვესტიციების ცნებაში იგულისხმება არა მარტო ფიზიკური, არამედ ადამიან - კაპიტალის ზრდაც (ინვესტიციები ადამიანებში). საქმე ის არის, რომ მშპ-ის ზრდას განაპირობებს არა მარტო შრომის კაპიტალშეიარაღების გადიდება, არამედ თვით შრომის კაპი-

ტალისაგან დამოუკიდებლად მწარმოებლური შესაძლებლობების, ასე ვთქვათ, შინაგანად (დამოუკიდებლად) მატება. ეს კი დაკავშირებულია ადამიანის ცოდნა-განათლებასთან, მის კომპეტენტურობა-გამოცდილებასთან. გასაგებია, რომ სპეციალურ ცოდნას დაუფლებული და, მით უმეტეს, საქმეს უფრო მაღალ დონეზე ჩაწვდომილი (ე.ი. გამოცდილი) ადამიანის მწარმოებლურობა, სხვა თანაბარ პირობებში, უფრო მაღალი იქნება: ერთი და იგივე მწარმოებლურობის რეალური კაპიტალი სხვადასხვა შედეგ-ეფექტიანობას იძლევა განსხვავებული ცოდნა-გამოცდილების მქონე ადამიანის (მშრომელის, დაქირავებული მუშაკის) ხელში. ამიტომაა, რომ საქმეში სათანადოდ გარკვეული, წარმატებული ბიზნესმენები წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მისაღწევად სერიოზულ ხარჯებს ეწევიან არა მარტო რეალური კაპიტალის განახლებისათვის, არამედ წარმოების პერსონალის ცოდნა-კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მათი დახელოვნება-დაოსტატებისათვის.

ტერმინში „კაპიტალი“ ჩვეულებრივად ფიზიკურ კაპიტალს - მანქანა-დანადგარებს, შენობა-ნაგებობებს და წარმოების სხვა საშუალებებს (ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი) გულისხმობენ. ეს არის, ასე ვთქვათ, საგნობრივი, შეხებით შესაგრძნობი დოვლათის შემქმნელი წარმოების საშუალება. მაგრამ არსებობს კაპიტალის მეორე სახეობაც - ნაკლებად ხელშესახები, მაგრამ მშპ-ის წარმოებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი ადამიან - კაპიტალი, რომლის ძირითადი ფორმაა საზოგადოების ცოდნა-განათლებულობა. ეს კაპიტალი იმიტომაა „ადამიანური“, რომ მის შესაქმნელად ინვესტიციების ჩადება ადამიანში ხდება, ამ კაპიტალის მატება-დაგროვება (ცოდნის მიღება - გაღრმავება-გაფართოვება) ზრდის შრომის ერთეულის გამოყენების ეფექტიანობას.

ეკონომისტები ცდილობენ ციფრობრივი მახასიათებლებით და სხვადასხვა მიდგომის გამოყენებით წარმოადგინონ ეკონომიკური ზრდის განმპირობებელი ფაქტორების რეალური წილი მშპ-ის მოცულობაში. ამერიკელი ეკონომისტის ედვარდ დენისონის გაანგარიშებით, მთლიანობაში ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის შრომითი დანახარჯების (დასაქმებულთა რიცხოვნობა და გამომუშავებული საათების საერთო რაოდენობა) ზრდაზე მოდის 32%, ხოლო დანარჩენი 68% - შრომის მწარმოებლურობის მატებაზე. საინტერესოა, რომ ამ „დანარჩენი“ 68%-დან 14% სწორედ განათლების და პროფესიული მომზადების წილია [2, გვ.48]. ეს მნიშვნელოვანი ციფრი უეჭველად ახლოსაა რეალობასთან, ვინაიდან სხვა გამოკვლევების შედეგებიც დაახლოებით ასეთია [3, გვ. 86]. ამან კი სერიოზულად უნდა დაგვაფიქროს საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ მთლიანობაში უკანასკნელი 2-3 ათეული წლის განმავლობაში ჩვენი მოსახლეობის განათლებულობა და პროფესიულო მომზადება მკვეთრად დაეცა.

ეკონომიკური კვლევა-ანალიზის ობიექტი ჩვეულბერივად ეკონომიკურ ადამიანთა იმ უმეტესობის ქცევაა, რომელთა სამეურნეო (და საერთოდ ყოველგვარ) საქმიანობას მაქსიმალური სარგებლიანობის მიღების სურვილი განსაზღვრავს; ასეთი ადამიანების მოქმედებას ნაკლები დანახარჯებით მეტი სიკეთის

დაუფლების პერმანენტული სწრაფვა ახასიათებს. ამასთან, ერთია სურვილი-მოტივაცია და მეორეა ის, თუ რამდენად რაციონალური და მიზანსწრაფულია, ფაქტობრივად, მათი ქმედობა. რაციონალური ქცევის უზრუნველყოფა ყოველთვის მოითხოვდა საქმეში გარკვევის მაღალ უნარ-ჩვევებს, საჭირო ცოდნას. დღევანდელ უსაზღვროდ გართულებულ სიტუაციაში კი, როდესაც თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სამეურნეო გარიგება (ყიდვა-გაყიდვა), ყოველი საქმის დაწყება-წარმართვა უამრავი (მ.შ. ხშირად რთული) ინფორმაციის მოპოვება-გადახარშვას, ურთულესი ტექნოლოგიების და წარმოების ორგანიზაციის ხერხების შეფასებას და სწორ შერჩევა - გამოყენებას მოითხოვს, ეკონომიკური ადამიანის (წარმოებაში ფიზიკური შრომით დასაქმებულის და წარმოების ორგანიზატორის-ბიზნესმენის, მენეჯერის) გონებრივი შესაძლებლობები მთლიანობაში გაცილებით უფრო მაღალი უნდა იყოს, რათა მიღწეული იქნეს როგორც ინდივიდის, ასევე მთლიანად საზოგადოების საქმიანობის რაციონალურობა. ეს კი დროის მოთხოვნის შესაბამისი განათლებულობის გარეშე შეუძლებელია.

მატერიალურ კაპიტალსა და ადამიან - კაპიტალში ინვესტიციის საერთო მახასიათებელი არის ის, რომ სახსრების ორივე მიმართულებით ჩადება მწარმოებლურობის გაზრდისთვის ხდება. ამასთან, ამ ორი ახალი (უკვე შექმნილი) კაპიტალის გამოყენება თვისებრივი სპეციფიკურობით გამოირჩევა: ძირითადი კაპიტალის გამოყენება იწვევს მისი მოცულობის შემცირებას (კაპიტალის ცვეთა); ადამიან - კაპიტალის გამოყენებისას მისი მოცულობა კი არ კლებულობს, არამედ მთლიანობაში შეიძლება გაიზარდოს კიდევაც, თუ ამით მიღებული გამოცდილება გადაფარავს დროში ცოდნის დანაკარგებს. ეს მოსაზრებაც (რომ ადამიან-კაპიტალი პირდაპირ არ კლებულობს გამოყენების შედეგად) გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ სხვა თანაბარ პირობებში (!), განათლებაში ხარჯების ჩადება, მათი ეფექტიანობის თვალსაზრისით, ხშირად უფრო პერსპექტიულია, ვიდრე წარმოების ძირითად საშუალებებში.

კიდევ ერთ საკითხს უნდა გაესვას ხაზი ამასთან მიმართებით. შრომის მწარმოებლურობა დაკავშირებულია არა მარტო ადამიანების ცოდნა-განათლებასთან; მეტად სერიოზულია მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების და ტალანტის (ნიჭის) როლი. ამასთან, ძალზე საყურადღებოა და საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შრომის მწარმოებლურობის, დოვლათ-სიკეთის წარმოების გაზრდის, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების უზრუნველმყოფი ეს რესურსი, თუ მისი მატარებელი საჭირო ცოდნას არ დაეუფლა, ფაქტობრივად უნაყოფოა („მკვდარია“), მისი საქმეში ჩართვა-ამოქმედება მხოლოდ სათანადო განათლების კვალობაზე ხდება შესაძლებელი. თანაც, საინტერესო ის არის, რომ ამ რეზერვის „გაცოცხლებას“ დამატებითი ხარჯები არ სჭირდება, ეს ცოდნა-განათლებაზე გაღებული ინვესტიციების თნამდევი მოვლენაა, ეკონომიკური ზრდის უზრუნველმყოფი რესურსის თითქმის მუქთად დაუფლებაა; რომ არა ცოდნაზე კაპიტალდაბანდება, ის უკვალოდ დაიკარგებოდა.

ინფორმაცია სამუშაო ძალის (შრომის) განათლებულობაზე

მაღალმაწრმოებლურობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ადამიანის ნიჭი, მისი უნარი, აგრეთვე გულმოდგინება და სიბეჯითე. ეჭვგარეშეა, რომ მწარმოებლურობის უზრუნველმყოფი ამ პარამეტრების შედეგიანად და სრულად გამოყენებასთან უშუალო კავშირი აქვს არა მარტო თვით სამუშაო ძალის განათლებას, არამედ ამ განათლების თაობაზე ინფორმაციას - მის დამადასტურებელ დოკუმენტს.

რა გვაქვს მხედველობაში?

შრომის დამქირავებლისათვის პიროვნების მიერ წარმოდგენილი დიპლომი, მისი ხარისხი, აგრეთვე დოკუმენტის გამცემი სასწავლებლის პრესტიჟი (თუ, რასაკვირეველია, ის მაღალრეიტინგულია) სერიოზული სიგნალ-ინფორმაციაა იმის გარკვევაში, თუ როგორი მწარმოებლურობა ექნება სამუშაოს მაძიებელს: სხვა თანაბარ პირობებში, სამუშაოზე მოწყობისას წარმოდგენილი განათლების დამადასტურებელი საბუთი და მისი მაღალი ხარისხი მნიშვნელოვანწილად იმის მიმნიშნებელია, რომ დასაქმების პრეტენდენტმა სწავლის დროს გამოამჟღავნა სათანადო ნიჭი და მონდომება; მაშასადამე, მეტია მისი მუშაობის დროსაც ამ დადებითი თვისებების გამოვლენის ალბათობა. ასე, რომ ამ თვალსაზრისითაც, რეალური სწავლის მიღება, განათლება მასტიმულირებელ როლს არულებს ეკონომიკაში შრომის მწარმოებლურობის ამაღლების საქმეში, უზრუნველყოფს რა სამუშაოს მაძიებელთა ერთობლიობაში (განათლების დონის თაობაზე სწორი ინფორმაციის - დიპლომის საფუძველზე) უფრო ნიჭიერების და ბეჯითების შერჩევას. შრომის საკითხებზე ეკონომიკურ ლიტერატურაში ამას „სიგნალის თეორიას“ უწოდებენ [4, გვ. 446]. ამასთან ასევე უნდა შევნიშნოთ, რომ ეკონომიკაში შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენების თვალსაზრისით, სრულიად საწინააღმდეგოდ (უარყოფითად) უნდა შეფასდეს ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებული, ხშირად არაფრის მთქმელი, განათლების მოწმობების დარიგება. ასეთი „ატესტაციის“ პირობებში დაგროვებული დიპლომების დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, ცრუ ინფორმაციაა და ხელს უშლის დამქირავებელს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

ცოდნა-განათლება და სწორი კომერციული გადაწყვეტილების მიღება

ცოდნა-განათლებას რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამეურეო-კომერციული საქმიანობის მაღალშედეგიანად ორგანიზებისათვის, ამას ცალსახად ადასტურებს მსოფლიო პრაქტიკა, განსაკუთრებით განვითარებული ქვეყნების მაგალითი. დღეს ძალიან ბევრ ქვეყანაში მოქმედებს საყოველთაო უფასო საშუალო განათლების სისტემა (ზოგან ასევე, უმაღლესი განათლებისა) და ეს პირდაპირ კავშირშია არა მარტო ხელისუფალთა (სახელმწიფოს) სოციალურ-

ჰუმანურ პოლიტიკასთან - აღზარდონ განათლებული და კულტურული თაობა; ამას სერიოზული პრაგმატული მნიშვნელობა აქვს მომავალში ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც. გამოკვლევები მეტყველებს, რომ იმ მოსწავლეების შრომის მწარმოებულობა (და, შესაბამისად, შრომის ანაზღაურება), რომლებმაც მეტი დრო დაჰყვეს სკოლაში (სადაც უფრო ხანგრძლივი სწავლა იყო) შედარებით უფრო მაღალია [5, გვ. 33].

მშპ-ის წარმოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, სტატიაში ვერ ვმსჯელობთ მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის თაობაზე. ამასთან, არასწორი იქნება, თუ გაკვრით მაინც არ აღვნიშნეთ, რომ საზოგადოების ცოდნა-განათლებულობის დონეს აქვს სწორედ გადამწყვეტი მნიშვნელობა მეცნიერული აღმოჩენებისა და პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენება-დანერგვის აქტივიზაციაში (თუ „აღმოჩენები“ აუცილებელი არ არის - ის სხვებისაგანაც შეიძლება შევიძინოთ, მაგრამ მის წარმატებულად დანერგვა-ათვისებას მაინც შესაბამისი განათლება სჭირება).

მაღალი დონის ცოდნა-განათლება განსაკუთრებით საჭიროა ეკონომიკაში კაპიტალდაბანდების მიმართულებების საკითხის გადაწყვეტისას, რა დონეზეც არ უნდა წყდებოდეს ის. ყოველგვარი ინვესტიცია არ შეიძლება სიკეთის მომტანი (მამრავლებელი) იყოს; ინვესტიციების გაღებისას შეიძლება შეცდომები იქნეს დაშვებული. გამორიცხული არ არის, რომ ფირმამ (თუ ინდივიდმა), სახელმწიფო სტრუქტურამ ინვესტიციების მიმართულებების განსაზღვრისას არასწორი გადაწყვეტილება მიიღოს, ისეთ სფეროში (ტექნოლოგიაში, საქმეში) ჩადოს კაპიტალი, რომელიც უპერსპექტივოა, რის შედეგადაც, მოგების გაზრდის ნაცვლად, ეს ქმედობა ინვესტორს ბევრ უსიამოვნებას მიაყენებს და შეიძლება გააკოტროს კიდევაც.

ეს იმიტომ ხდება მნიშვნელოვანწილად, რომ გადაწყვეტილების მიმღებს არასაკმარისი ან არასწორის ინფორმაცია ჰქონდა ეკონომიკის (დარგის თუ კონკრეტულად საქმიანობის) პერსპექტივაზე, ტექნოლოგიის ნამდვილ სარგებლიანობაზე, ალტერნატიულ შესაძლებლობებზე. ამასთან (და ეს განსაკუთრებით ხაზგასასმელია) მას არ აღმოაჩნდა ასეთი ინფორმაციის მოპოვების, მასში კვალიფიკაციურად გარკვევისა და სწორი (რაციონალური) გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარი. შეცდომით გაღებული ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის საწინააღმდეგო ქმედობაა, ეს ფაქტობრივად რესურსების უთავბოლოდ ხარჯვა და განიავებაა, ბედოვლათობაა, ვინაიდან ისინი უკვე დაბმულია ისეთ პროექტებში, რომლებიც დაგეგმილ-განსაზღვრულ შედეგებს არ მოგვცემს.

ასე, რომ ეკონომიკურ ცოდნას და საერთოდ მეცნიერული ცოდნას-ახალ ტექნოლოგიებზე, სამეურნეო კონიუნქტურის პერსპექტივებზე, მოთხოვნის მომავალ ცვლილებებზე და ა.შ., უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ზრდის და მოსახლეობის კეთილდღეობის ამალების უზრუნველყოფისათვის. ეს ეხება როგორც უშუალოდ მენეჯერებს (რომლებსაც უნდა გააჩნდეთ შესაბამისი ცოდ-

ნა და უნარი, რომ სწორი, ოპტიმალური, საუკეთესო გადაწყვეტილება მიიღონ ინვესტიციების გაღებისას და შეაგუონ ეს მომავალში ახალი პროდუქციის გასაღების შესაძლო პირობებს), ასევე საწარმოების მთელ პერსონალს: რაც უფრო კვალიფიციური და ახალი ტექნიკის ათვისებისათვის მომზადებული, კომპეტენტური სამუშაო ძალა იქნება მოზიდული ფირმაში, მით უფრო გარანტირებული და მყარი იქნება სიახლეების სწორად (შედეგიანად) გამოყენება, შრომის მწარმოებლურობის ზრდა და წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხი, შესაბამისად, ფირმის და ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, ეკონომიკური წარმატებები. გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ცოდნას და პროფესიონალიზმს მაკროეკონომიკური პოლიტიკის სწორად განსაზღვრა-გატარებისათვის.

ცოდნა-განათლება და საზოგადოების საერთო სოციალური მდგომარეობა

საზოგადოებაში ცოდნა-განათლების გაღრმავება სასარგებლოა არა მარტო ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ამაღლებისათვის; არ შეიძლება სოციალური ასპექტების უგულებელყოფაც. განათლებულ საზოგადოებაში უფრო დაცულია მართლწესრიგი, შედარებით ნაკლებია კანონდარღვევები, ადამიანის უსაფრთხოების, მისი უფლებების ხელყოფის შემთხვევები, უფრო კომფორტულად ცხოვრობს პიროვნება და გარანტირებულია მისი პირადი კანონიერი ინტერესების ხელუხლებლობა, მაშასადამე, მთლიანობაში უფრო მაღალია პიროვნების თავისუფლების დონე; ეს კი დღესდღეობით ამოსავალ პარამეტრად არის მიჩნეული (რაც სწორია უეჭველად) ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წესრიგის, დემოკრატიულობის შეფასებისათვის. მართალია, ძალზე გაძნელებულია განათლების ხარჯების სოციალური სარგებლიანობის შეფასება ჩვეულებრივი - „დანახარჯები-უკუგების“ მატერიალური (ფულადი) მახასიათებლების შედარების მეთოდით, ეს მნიშნელოვანწილად გათავისებული უნდა იქნეს აპრიორი, ასე ვთქვათ, ვარაუდის პოზიციიდან, მაგრამ სწორედ ამ „ვარაუდის“ პრაქტიკულ-ისტორიული რეალურობა განაწყობს აბსოლუტურად ყველა სახელმწიფოს არ დაიშუროს რესურსები და მონდომება საზოგადოების განათლებულობის დონის ამაღლებისათვის.

პრობლემის ორივე შემადგენელი (რომ ინვესტივიები ადამიანში სასარგებლო და აუცილებელია როგორც ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, ასევე სოციალური შედეგების თვალსაზრისით) ძალზე აქტუალურია დღევანდელი საქართველოსათვის, ვინაიდან ამ ბოლო 3-4 ათეული წლის განმავლობაში მდგომარეობა ამ მიმართულებით მკვეთრად გაუარესდა: კატასტროფულად დაეცა ცოდნა - განათლების დონე, მაღალკვალიფიკაციური კადრების დეფიციტი შეინიშნება საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში, ამიტომ აუცილებელია, რომ ჩვენს საზოგადოებაში, ხელისუფლებაში დამკვიდრდეს სახელმწიფო ხარჯებში განათლების და მეცნიერების დაფინანსების პრიორიტეტულობის პრინცი-

პი და ეს რეალიზებული უნდა იქნეს იმის მიუხედავად, თუ როგორი შესაძლებლობები ექნება მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტს ამა თუ იმ პერიოდში და როგორი სიმწვავის სხვა პრობლემები იქნება ქვეყნის წინაშე. რეალურად კი ასეთი განწყობა-მიდგომა ბიუჯეტის ხარჯების დაგეგმვაში ჩვენთან, სამწუხაროდ, არ იგრძნობა. 2011 წელს განათლების საბიუჯეტო ხარჯების წილი მშპ-ში შეადგენდა 2,7%-ს და ეს ყველაზე დაბალია როგორც ევროკავშირის (იქ მინიმალურია 4,1% - სლოვაკეთი, მაქსიმალური 6,9%-მალტა), ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შდეგად შექმნილ დამოუკიდებელ ქვეყნებში (ჩვენზე ნაკლებია აზერბაიჯანში - 2,4%, ყველაზე მაღალი - 8,6% მოლდოვაში).

დიპლომომანიის სენი და მისგან სასწრაფოდ განკურვნის აუცილებლობა

დაზოლოს, ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების მისაღწევად ადამიან-კაპიტალში ინვესტიციების მნიშვნელოვანი გაზრდის და მოსახლეობაში ცოდნა-განათლებულობის მკვეთრად ამაღლების ზემოშემოთავაზებული ღონისძიება-წინადადების გატარება ბევრს ვერაფერს მოგვიტანს, თუ პირველ რიგში არ გადაილახა ის გაუკუღმართებული განწყობა-მენტალიტეტი, რომელიც დამკვიდრდა ქართულ საზოგადოებაში და რომელმაც ძირშივე შეცვალა და ფაქტობრივად ჩაანაცვლა ამ საზოგადოებისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი ცოდნა-განათლების მიღება-გაღრმავების ჯანმრთელი, ყოველგვარი განვითარების უზრუნველმყოფი სურვილი-ნდომა. საქმე ეხება, ფაქტობრივად, თითქმის მთელი საზოგადოებისათვის მოდებული იმ სულიერ ავადმყოფობა-სენთან რომელსაც დიპლომომანია ჰქვია. მოსახლეობის განწყობის ამ მოვლენას საფუძვლები ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-70-იან წლებში ჩაეყარა. სწორედ იქიდან იწყება კანონიერი თუ უკანონო გზით მიღებული უმაღლესი განათლების „დამადასტურებელი“ (ამ შემთხვევაში ბრჭყალები, მხოლოდ მეორე ნაწილს ეხება) დიპლომების გაცემის ზრდა. მაგრამ მოვლენის, ასე ვთქვათ, „გაფურჩქვნა“ და საყოველთაო ხასიათი მაინც დამოუკიდებელ საქართველოს ფუნქციონირების პირველ ათეულ წლებზე მოდის და ამას, უპირველეს ყოვლისა, იმ სიდუხჭირემაც შეუწყო ხელი, რომ სახელმწიფო სასწავლებლებს თითქმის შეუწყდათ ტრადიციული დაფინანსება, ხოლო პროფესორ-მასწავლებელთა ფიზიკური გადარჩენის მიზნით შექმნილი კერძო ფსევდო უმაღლესი „სასწავლებლები“ (აქაც ბრჭყალები, რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება) სოკოებივით მომრავლდა.

ასე იყო თუ ისე, დამკვიდრდა ის, რაც დამკვიდრდა: დღეს უნივერსიტეტ-ინსტიტუტებში მნიშვნელოვანწილად (თუ ძირითადად? - ამის სტატისტიკას ვერავინ დაგიდებთ) ცოდნა-განათლების მისაღებად კი არა, ასეთი ცონის დამადასტურებელი დიპლომის მისაღებად მიდის.

რა გამოდის?

უმაღლეს სკოლაში ახალგაზრდა ცოდნის მისაღებად ფულს იხდის, მაგრამ, შესაბამისი „საქონლის“ დაუფლების ნაცვლად, დიპლომის მიღებას ყაბულდება. პარადოქსულ კატასტროფულ რეალობასთან გვაქვს საქმე. საზოგადოების ამ რეალურ ავადობას ეროვნული მისაღები გამოცდების პრაქტიკა, მიუხედავად ერთგვარი შემსუბუქებისა, ვერ მოერევა, პრობლემას ვერ გადაწყვეტს. ამასთან, თუ პრობლემა არ გადაწყდა და ახალგაზრდობის, მთლიანად საზოგადოების განწყობა-ნდომა რეალური ცოდნის, პროფესიის მაღალ დონეზე დაუფლების მიღების განწყობისაკენ არ შემობრუნდა, განათლებასა და მეცნიერებაზე ხარჯების ზრდა, რომლის აუცილებლობის დასაბუთებასაც მივუძღვენით სტატიის ძირითადი ნაწილი, ბევრს ვერაფერს მოგვიტანს.

დავსვამთ აქ ასეთ კითხვას: აწყობს კი ეს მდგომარეობა ვინმეს? სწორი პასუხის გაცემა სიტუაციის ფაქტობრივად ორჭოფულ ხასიათს უნდა დავუკავშიროთ. ერთი მხრივ, მთლიანად საზოგადოებისათვის, ქვეყნისათვის ასეთი მდგომარეობის შენარჩუნება-გაგრძელება პრინციპულად მიუღებელია, ვინაიდან განვითარების პერსპექტივას ემუქრება, ზღუდავს. მეორე მხრივ, თუ იმავე საზოგადოების მენტალიტეტს მისი სტრუქტურული დანაწილების საფუძველზე განვიხილავთ, საწინააღმდეგო დასკვნას გავაკეთებთ:

• სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც არ სურს, ასე ვთქვათ, ცოდნის მიღებისათვის გაისარჯოს ან არ ძალუძს (დაბალი საწყისი განათლების ან სხვა მიზეზების გამო) მიიღოს მოთხოვნის შესაბამისი ცოდნა, წინააღმდეგია მდგომარეობის კარდინალურად შეცვლის;

• არსებულ სიტუაციაში ასეთი სტუდენტების მშობლებიც (სწავლის საფასურის რეალური გადამხდელები) შეგუებულია მდგომარეობას და ერთგვარად კომფორტულადაც კი გრძნობენ თავს (მათ შვილებს მატერიალურად შეუწყვეს ხელი განათლების მიღებაში და მეტი რა უნდა ქნან);

• უმაღლესი სასწავლებლების ის პედპერსონალიც, რომელიც უეჭველად განიცდის სინდისის ქეჯნას იმასთან დაკავშირებით, რომ ბევრი სტუდენტი ხშირად სწავლისათვის გადახდილი საფასურის ადეკვატურ ცოდნას/ფასეულობას არ (ვერ) ღებულობს თავისივე მიზეზით, არ არის მაინცდამაინც დაინტერესებული სიტუაციის შეცვლაში;

• დაბოლოს, ერთგვარად მშვიდადაა ხელისუფლება, ვინაიდან საზოგადოების განსწავლულობისათვის საჭირო ხარჯების დიდ ნაწილს (საკმარისია ეს განსწავლულობა თუ არა) საოჯახო მეურნეობები აანაზღაურებენ.

შეიძლება კი ასეთი რთული ვითარების შეცვლა და არის კი ამის რეალური საშუალება? ღრმად დარწმუნებულად ვაცხადებთ, რომ ამის როგორც აუცილებლობა, ასევე რეალური საშუალება არსებობს და ამის გაკეთება ხელეწიფება სახელმწიფოს (ხელისუფლებას). პრობლემის რეალურად გადაწყვეტისათვის, მდგომარეობის თვისებრივად შესაცვლელად აუცილებელია ქვეყნის როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებულ იქნეს სპეციალისტების დიპლომირების ერთიან პრინციპებზე ორგანიზებული

პროფესიონალების მომზადების (ცოდნის) შემოწმების **სავალდებულო სახელმწიფო გამოსაშვები გამოცდების** სპეციალურად შექმნილი სახელისუფლო კომისების მიერ ჩატარების პრაქტიკა. ქვეყანაში უმაღლესი განათლების დამადასტურებელი საბუთის (სახელმწიფო დიპლომის) გაცემა-არგაცემის საკითხი კი უნდა წყდებოდეს მხოლოდ ამ კომისიების გადაწყვეტილების შედეგად, მათი საქმიანობა-მიდგომა კი უნდა იყოს ისეთი პრინციპული და ობიექტური, რომ პრაქტიკულად გამოირიცხოს თანამედროვე პროფესიონალისათვის აუცილებელი ცოდნის არმქონე კურსდამთავრებულების დიპლომირება. ამ ღონისძიების გატარება, რაც მის მიერ ქვეყნისათვის უმაღლესი დადებითი შედეგის მოტანის რეალური შესაძლებლობის მომტანია, საბედნიეროდ, არ მოითხოვს განხორციელებისათვის ძალიან დიდ დანახარჯებს; მთავარია, საქმე გაკეთდეს სერიოზული განწყობა-მონდომება-პროფესიონალიზმის საფუძველზე.

* * *

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას წარმოების ფაქტორების მწარმოებლურობა განაპირობებს, მათ შორის შრომა როგორც ძირითადი ეკონომიკური რესურსი. ამასთან მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში მეურნეობრიობაში დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდას კი არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ ყოველი დასაქმებულის უკუგებას. ამას კი დასაქმებულების კაპიტალშეიარაღების ზრდასთან ერთად, განსაზღვრავს თვით სამუშაო ძალის, მისი ყოველი ერთეულის პროფესიული მომზადება და უნარ-ჩვევები: მაღალი უკუგებით გამოიყენოს წარმოებაში ჩართული სხვა ფაქტორები, ახალი ტექნიკა-ტექნოლოგია, მეცნიერული მიღწევები.

საქართველოს ეკონომიკა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მძიმე სტაგფლაციურ მდგომარეობაში იმყოფება. ზოგიერთ სხვა მიზეზთან ერთად, ამას განაპირობებს ჩვენი ქვეყნის რეალობაში არსებული წარმოების ძირითადი ფაქტორის - შრომის დაბალი პროფესიონალიზმი, ასევე მთლიანად საზოგადოებაში ცოდნა-განათლებულობის არასაკმარისი დონე. ამის შედეგია ის, რომ ქართულ შრომის ბაზარს ერთდროულად უმუშევრობის მაღალი დონე და პროფესიონალი სამუშაო ძალის დეფიციტი ახასიათებს; ამის შედეგია, ასევე საინვესტიციო პოლიტიკაში ხშირი შეცდომების დაშვება, ბიზნესსაქმიანობაში შედარებით დაბალი ეფექტიანობა და ბანკროტობაც კი, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ქვეყანაში ცოდნა-განათლებაზე ნაკლები რესურსების გაღებასთან, მთლიან შინა პროდუქტში შესაბამისი ხარჯების დაბალ დონესთან.

ამ მიმართულებით მდგომარეობის შეცვლა, საზოგადოების ცოდნა-განათლებულობის, პროფესიონალიზმის ამაღლებისათვის სახსრების გაღების წილის გაზრდა უნდა განხორციელდეს იმის მიუხედავად, რომ ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე დღეს დაბალია.

ამასთან, ეს ბევრს ვერაფერს მოგვცემს ჩვენს დღევანდელ პირობებში (პირიქით, რესურსების არაეფექტიანი, უთავბოლო ხარჯვა იქნება), თუ სასწრა-

ფოდ არ იქნა დაძლეული ის სპეციფიკური მენტალური სენი-მოვლენა, რომელიც მოდებული აქვს ჩვენს საზოგადოებას და რომელსაც დიპლომომანია ჰქვია, თუ არ გადაიკეტება ქართული უნივერსიტეტების, აკადემიების და ინსტიტუტების მიერ რეალურად პროფესიის არმქონე კურსდამთავრებულთათვის მათ მიერ გადახდილი სწავლის საფასურის შესაბამისი ცოდნის სანაცვლოდ უმაღლესი განათლების „დამადასტურებელი“ დიპლომების დარიგება.

ლიტერატურა:

1) **Н. Грегори Менкью.** “Макроэкономика”. Издательство Московского университета, 1994, (735 стр.).
2) **Э. Денисон.** Исследование различий в темпах экономического роста. Изд. «Прогресс». – Москва, 1971, (486 стр.).
3) **Егоров С.** Человеческий фактор и экономический рост в условиях постиндустриализма. Ж. «Вопросы экономики». 2004, №5, (стр. 81-95).
4) Словарь современной экономической теории Макмилана. – М.: ИНФА – М, 1997, (607 стр.).
5) **Кресс В., Грачев В.** Научно образовательный потенциал как фактор экономического развития. Ж. «Экономика», 2000, №3, (стр. 22-38).

Knowledge and Economy

Vladimer Basaria

Doctor of Economics

vbasaria@yahoo.com

Georgia's economy has long been in a difficult stagflation situation. First of all, welfare of men depends on producing a single national product. To use resources rationally and to solve a problem of economic growth becomes aggravated because of their shortage over the world that strongly pronounced (consequently rather less deficit and high productive resources). There is a special place among production factors that make welfare for labor (common activity of man) and human capital. This resource is specific and qualitatively different: to achieve its productive growth (refutation) is possible even in number permanent condition. But it is conditioned by level of labor force and of education (and society in general). So on solving problem to use a part of saving from the national income should be useful to protect priority for increase human capital by financing. Finances for the development of population education and spread of knowledge and erudition in society influence directly on professional labor productivity, assist and provide with working interior abilities and talent of man naturally, develop scientific and technical potential in country. Having such important resource that provides common labor growth (i.e. economic growth) it is acquisition actually for nothing for society.

In working on economic policy, it is necessary to consider as well social results to extend education: there is less delinquency, protected legal interests of people and in whole person lives more comfortable and democracy is on a high level in society where education is on a high level. The above-mentioned problems or primacy goal to finance education activities in economic policy are too actual in Georgia today. But we cannot do anything, until we overcome the specific illness, which has spread in our society, and which is called "diploma mania" – diploma satisfaction, instead of satisfaction of acquired knowledge.

Keywords: Human capital, labor as a main factor of production, investments in human, stagflation, skills and productivity, "diploma mania."

JEL Codes: J24, J31, O15

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 3, გვ. 44-70
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 3, pp. 44-70

იმპორტჩანაცვლება – საქართველოს ეკონომიკის განვითარების უმთავრესი რეზერვი

ბადრი რამიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

საქართველოს წინაშე არსებული პრობლემებიდან ერთ-ერთი უმწვავესია მეტად უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, რაც განსაკუთარებით მძიმედ სასაქონლო პოზიციიდან განხილვისას მოსჩანს. თუმცა, სწორად განხორციელებული იმპორტჩანაცვლების პოლიტიკის შემთხვევაში, ეს პრობლემა საქართველოს ეკონომიკური განვითარების დიდი რეზერვიც შეიძლება იყოს. წინამდებარე სტატია სწორედ ამ პრობლემის გამოკვლევას ეძღვნება. მასში დეტალურადაა გაანალიზებული საქართველოსთვის აქტუალურ პარტნიორ ქვეყნებთან ვაჭრობის მაჩვენებლები და მინიშნებულია ის სასაქონლო მიმართულებები, რომელთა მიხედვითაც პირველ რიგში უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს იმპორტჩანაცვლების პოლიტიკა.

საკვანძო სიტყვები: იმპორტჩანაცვლება; ეკონომიკური ზრდა; სავაჭრო ბურნვა; სავაჭრო ბალანსი; იმპორტი; ექსპორტი; იმპორტჩანაცვლების მიმართულებები.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის ძირითადი პარამეტრები

საქართველო ეკონომიკური განვითარების უკიდურესად კრიტიკულ პერიოდში იმყოფება და უახლოესი 15-20 წელი მეტად მნიშვნელოვანი იქნება მისთვის რამდენიმე ფაქტორის გამო: უპირველესად აღსანიშნავია ის, რომ, სწორედ ამ ვადებში უნდა მოხერხდეს საქართველოს დასავლურ ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სამხედრო სივრცეში ინტეგრაცია, რაც წარმოუდგენელია შესაბამისი ეკონომიკური ფონის გარეშე. მეორე რიგში, გასათვალიწინებელია, რომ ჩვენი არჩევანი არ არის მრავალფეროვანი და სწრაფი განვითარების ალტერნატივა, დიდი ალბათობით, სრული ეროვნული კატასტროფა იქნება. ზემოხსენებული

მიზნის ვერ მიღწევის შემთხვევაში, ე.ი. თუ საქართველო ვერ დაძლევს მის წინაშე არსებულ მრავალრიცხოვან, უპირველესად კი ეკონომიკურ პრობლემებს, ის როგორც სუვერენული სახელმწიფო, შეწყვეტს არსებობას. მესამე, საქართველოს ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი რესურსია ემიგრაცია, რომელიც სოლიდურ ფინანსური ინექციას ახორციელებს ქართულ ეკონომიკაში. 15-20 წლის შემდეგ, დემოგრაფიული რესურსის მძაფრი შეზღუდულობისა და ემიგრაციის ქართულ რეალობასთან კავშირების თანდათან შესუსტების გამო, ეკონომიკის დაფინანსების ეს წყარო შემცირდება. მეოთხე, სწრაფი ეკონომიკური განვითარების გარეშე საქართველოს ფარდობითი ჩამორჩენა მახლობელი სახელმწიფოების მიმართ გაიზრდება, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს ჩვენი ქვეყნის პრობლემებს. სწორედ ამიტომ, თანამედროვე ქართული სახელმწიფოს არსებობისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარების სწრაფი ტემპის მიღწევა და 15-20 წლით შენარჩუნება. ეს არ არის ბედნიერი ცხოვრების შესახებ ფუტურისტული ოცნება, არამედ, სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების უმთავრესი პირობაა.

სწრაფი ეკონომიკური განვითარება გულისხმობს მშპ-ის ზრდის 7-12%-იანი ტემპის მიღწევას, რისი შენარჩუნებაც, როგორც ზემოთ ითქვა, გარკვეული პერიოდით, დაახლოებით 15-20 წლით უნდა მოხდეს. რატომ მოგვაქვს ეს პროცენტული მაჩვენებლები? ზედა ზღვრად მშპ-ის 12%-იანი ზრდის განსაზღვრა, რაც ცალკეულ წლებში შეიძლება იქნეს მიღწეული, რამდენიმე ფაქტს ეფუძნება: უპირველესად, ეს საქართველოს ეკონომიკის განვითარების არსებული დონის ფონზეა შესაძლებელი. მსოფლიოში ძირითადად სწორედ დაბალი საბაზისო მაჩვენებლების ფონზეა ზემოხსენებული სწრაფი ეკონომიკური განვითარება მიღწეული. მეორე, ცხადია, რომ საქართველოს ეკონომიკას მეტად აზარალებს მძიმე პოლიტიკური ფონი, რაც მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციითაა გამოწვეული. თუმცა, არსებობს რეზერვები, რაც ამსუბუქებს ამ პრობლემის გავლენას და ერთ-ერთ ასეთ უმნიშვნელოვანეს რეზერვს ეძღვნება წინამდებარე გამოკვლევა. მესამე, ზრდის მსგავსი ტემპი უკვე ჰქონდა საქართველოს ეკონომიკას, კერძოდ, 2007 წელს ეს მაჩვენებელი 12.6%[1] იყო. მეოთხე, ასეთი ტემპის მიღწევა რომ შესაძლებელია, ამას მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის მაგალითიც ადასტურებს. კერძოდ, ეკონომიკური განვითარების საშუალო წლიური ტემპი 2011-2014 წწ. პერიოდში იყო: მონღოლეთში 12.3%[2], თურქმენეთში 11.6%[2], 2006-2010 წწ. აზერბაიჯანში 16.9%[2], ჩინეთში 11.26%[2]. ცალკეულ წლებში, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, არაერთი ქვეყნის ეკონომიკამ აჩვენა ზრდის არამარტო მსგავსი, არამედ გაცილებით მაღალი ტემპი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშპ-ის ზრდის 12%-იანი საშუალოწლიური ზრდა ჩვენ ოპტიმისტურ პროგნოზშიც არ გვაქვს გათვალისწინებული და ხაზს ვუსვამთ, რომ ის მხოლოდ ცალკეულ წლებში შეიძლება დაფიქსირდეს და ამავე დროს მას ოპტიმისტური სცენარის ზღვრულ მაჩვენებლად გამოვიყენებთ, რის მეშვეობითაც ამ სცენარის მშპ-ის მატების საშუალოწლიურ ტემპს გამოვთვლით.

რაც შეეხება ჩვენ მიერ მოყვანილი პროცენტული დერეფნის ქვედა ზღვარს - 7%-იანი ეკონომიკური ზრდა ის მაჩვენებელია, რაც უახლოეს პერსპექტივაში ევროკავშირში გაწევრიანების ეკონომიკურ საფუძველს შეგვიქმნის. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ევროპერსპექტივის დეკლარირებისა და იმ სხვადასხვა ხელშეკრულებისა და ქმედებების ფოქნზე, რაც ამ მიმართულებით ხორციელდება.

უკანასკნელ წლებში ევროკავშირში არსებულმა კრიზისმა და საბერძნეთში განვითარებულმა მოვლენებმა კითხვის ქვეშ დააყენა ამ გაერთიანების მომავალი. აღნიშნული მძიმე მაგალითის გათვალისწინებით, ძნელი წარმოსადგენია ევროკავშირმა საკუთარ რიგებში მიიღოს ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა. ამიტომ, ჩვენი აზრით, იმისთვის, რომ დასაბუთებული და რეალური პრეტენზია განვაცხადოთ ევროკავშირის წევრობაზე, ეკონომიკურად როგორც მინიმუმი უნდა გავუთანაბრდეთ მასში შემავალ ყველაზე დაბალგანვითარებულ ქვეყანას.

მშპ-ის 7%-იანი ზრდა 10 წელიწადში მისი გაორმაგების შესაძლებლობას მოგვცემს, მე-20-ე წლის დასაწყისისთვის კი საქართველო მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მოცულობით, სავარაუდოდ, გაუსწრებს ევროკავშირის ეკონომიკურად ყველაზე დაბალგანვითარებულ ქვეყანას - ბულგარეთს. მაგალითად, აშშ დოლარის პარიტეტული მყიდველობით უნარიანობის მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე ბულგარეთის მშპ 2015 წელს $19,100[3], ხოლო მშპ-ის ზრდის ტემპი 3%[3] იყო.[1] ამ ტემპის შენარჩუნების პირობებში, 19 წლის შემდეგ, ეს მაჩვენებელი იქნება დაახლოებით $33,500-ის შესაბამისი. საქართველოში, 2015 წელს მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მაჩვენებელი იყო $9,600[3], ე.ი. ჩვენი ქვეყანა ეკონომიკური განვითარების ბულგარეთისეულ დონეს, 7%-იანი საშუალოწლიური ზრდის პირობებში, მე-19 წელს მიაღწევს და წლის ბოლოს საქართველოს მშპ მოსახლეობის ერთ სულზე დაახლოებით $34,700-ს გაუტოლდება.

ჩვენ მიერ მოყვანილი ზრდის საორიენტაციო საზღვრების მიხედვით, შეესაძლებელია მეორე, უფრო ოპტიმისტური სცენარის განხილვაც. მაგალითად, თუ საქართველოს მშპ წელიწადში საშუალოდ გაიზრდება (12%+7%)/2=9.5%-ით, რაც 7%-თან შედარებით დაახლოებით მესამედით მეტია და ზრდის ამგვარი ტემპი ცალსახად მიანიშნებს რეგიონული მასშტაბით არსებულ კარგ ეკონომიკურ გარემოზე, ამიტომ ლოგიკური იქნება თუ ბულგარეთის ზრდის ტემპსაც დაახლოებით იმავე პროპორციით, ანუ 4%-მდე გავზრდით. ასეთ შემთხვევაში,

1 წყაროში მშპ-ის ზრდის ტემპები მოყვანილია ქვეყნის მთლიანი მშპ-ის მიხედვით, მაგრამ ვინაიდან ბულგარეთის და საქართველოს მოსახლეობის წლიური ცვლილების მაჩვენებლები ნულთანაა მიახლოებული, ამ პარამეტრის გავლენა შეიძლება არ გავითვალისწინოთ და მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი მოსახლეობის ერთ სულზე იგივე პროცენტული მაჩვენებლით გავიანგარიშოთ.

აშშ დოლარის პარიტეტული მყიდველობითუნარიანობის მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოს მშპ-ს მაჩვენებელი 14 წლის შემდეგ იქნება დაახლოებით $34,200, ხოლო ბულგარეთისა კი იმავე პერიოდში და ზრდის 4%-იანი სავარაუდო ტემპის პირობებში, დაახლოებით $33,100. ანუ ოპტიმისტური სცენარის მიხედვით საქართველოს ეკონომიკა ევროკავშირის ყველაზე დაბალგანვითარებული ქვეყნის ეკონომიკას 14 წლის შემდეგ გაასწრებს. ეს მსჯელობა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასტურია ჩვენ მიერ მოყვანილი ზრდის საორიენტაციო ვადებისა და ტემპებისთვის (15-20 წელი და 7%-12%). თუ პირველ და მეორე სცენარებს შევადარებთ, ერთ ნიშანდობლივ ფაქტსაც შევნიშნავთ, კერძოდ მშპ-ს ზრდის საშუალოწლიური ტემპის 1%-იანი მატება დაახლოებით 2 წლით აჩქარებს საქართველოს ევროპულ პერსპექტივას.

ეკონომიკური ზრდის ტემპთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი გარემოებაც. მსოფლიოს უკანასკნელი წლების მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი 3%-ს ოდნავ აღემატება, ამ მონაცემთან ახლოსაა ევროკავშირის ეკონომიკურად ყველაზე დაბალგანვითარებული ქვეყნების (ბულგარეთი, რუმინეთი) შესაბამისი მაჩვენებლებიც. ამასთან, დიდი ალბათობით, მეორე შემთხვევაში ზრდის მაჩვენებელი რამდენადმე მოიმატებს, რადგან 2011-2015 წწ. ევროკავშირისთვის პოსტკრიზისული პერიოდი იყო, აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, ბულგარეთის ან რუმინეთის მშპ-ის ზრდის ტემპები, სავარაუდოდ, 3-4%-ის ფარგლებში დასტაბილურდება. ეს კი ნიშნავს, რომ თუ საქართველოს მშპ 3%-4%-იანი ტემპებით გაიზრდება, მისი ეკონომიკა მსოფლიოს საშუალო დონის ან ევროკავშირის წევრი ზემოხსენებული სახელმწიფოების მშპ-სთან დაკავშირებულ ათვლის სისტემაში არ გაიზრდება, ხოლო 5-6%-იანი ტემპის მიღწევის პირობებში კი მეტად უმნიშვნელოდ განვითარდება. ეს კი მიუთითებს, რომ პირველ შემთხევაში ევროკავშირში გაწევრებას ვერასდროს შევძლებთ, რადგან ამ გაერთიანების ეკონომიკურად ყველაზე დაბალგანვითარებულ ქვეყნებთან საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენა გაიზრდება ან უკეთეს შემთხვევაში, იგივე დარჩება, რაც ამჟამად არის, ხოლო მეორე შემთხვევაში კი, ფარდობითი განვითარების ტემპი იმდენად მცირე იქნება, რომ ამ ფონზე საქართველო ზემოხსენებული ქვეყნების ეკონომიკური დონის მიღწევას უკეთეს შემთხვევაში 35 წლის შემდეგ თუ შეძლებს, რაც ჩვენს ქვეყანაში არსებული სოციალური, დემოგრაფიული და ა.შ. პრობლემების ფონზე მძიმე, შეიძლება ითქვას, არარეალური პერსპექტივაა.

უარყოფითი სავაჭრო ბალანსი - საქართველოს მძიმე ეკონომიკური ვითარების მაჩვენებელი

საქართველოს ანომალიურად დიდი უარყოფითი სავაჭრო სალდო, ბევრ სხვა ეკონომიკურ პრობლემასთან ერთად, ეკონომიკის სტრუქტურულ დეგრადაციაზეც მიუთითებს, რისი გამომწვევიც ძირითადად მასშტაბური სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური დესტაბილიზაციაა. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები აქტუალური სავაჭრო პარტნიორების მიხედვით 2014 წლის მონაცემებით [4]

ცხრილი 1

	სასაქონლო ექსპორტი ($მლნ)	სასაქონლო იმპორტი ($მლნ)	საგაჭრო ბრუნვა 1,2 პოზიციების მიხედვით ($მლნ)	საგაჭრო ბალანსი 1,2 პოზიციების მიხედვით ($მლნ)	საგაჭრო ბრუნვაში იმპორტის წილი 1,2 პოზიციების მიხედვით (%)	ექსპორტის ცვლილება 2010-2014 წწ პერიოდში1,2 პოზიციების მიხედვით (%)	იმპორტის ცვლილება 2010-2014 წწ პერიოდში 1,2 პოზიციების მიხედვით (%)	მომსახურების ექსპორტი ($მლნ)	მომსახურების იმპორტი ($მლნ)
	1	2	3	4	5	6	7	8	9
ევროკავშირი	2262120	2232380	4494500	29740	50	6	2	984942	744349
აშშ	1620532	2412547	4033079	-792015	60	6	5	687605	451683
ჩინეთი	2342306	1959356	4301662	382950	46	10	9	232456	381582
ინდოეთი	321596	463033	784629	-141437	59	9	7	155627	146930
იაპონია	683846	822251	1506097	-138405	55	-3	4	158081	189932
აგე	360000	262000	622000	98000	42	14	12	19769	70279
ბრაზილია	225101	239150	464251	-14049	52	3	6	39 210	85 834
ირანი	88800	51000	139800	37800	37	-3	-6	8587	14316
ბულგარეთი	29299	34783	64082	-5484	54	9	8	10015	6183
რუმინეთი	69739	77773	147512	-8034	53	9	6	19747	11968
თურქეთი	157617	242177	399794	-84560	61	8	7	49759	23024
რუსეთი	497764	308027	805791	189737	38	6	6	64872	118943
ბელორუსი	36392	40788	77180	-4396	53	10	4	7784	5613
აზერბაიჯანი	28260	9332	37592	18928	25	2	8	4269	10187
სომხეთი	1519	4402	5921	-2883	74	11	4	1604	1704
უკრაინა	54199	54 330	108529	-131	50	1	-3	14478	11817
მოლდოვა	2340	5317	7657	-2977	69	11	8	1090	966
ლიტვა	32417	35246	67663	-2829	52	12	11	7755	5624
ლატვია	14569	17675	32244	-3106	55	11	11	5048	2764
ესტონეთი	16062	18261	34323	-2199	53	8	10	6786	4790
ყაზახეთი	78238	41213	119451	37025	35	7	7	6270	12627
უზბეკეთი	13300	13900	27200	-600	51	3	12	2526	1032
ყირგიზეთი	1650	5732	7382	-4082	78	-2	15	890	1218
თურქმენეთი	17500	10300	27800	7200	37	28	16	...	...
ტაჯიკეთი	1078	4500	5578	-3422	81	-3	14	496	790
საქართველო	2861	8593	11454	-5732	75	14	13	2954	1573

შეიძლება გამოვიყენოთ ცხრილ 1-ში მოყვანილი მონაცემები. მხედველობაში გვაქვს სასაქონლო პოზიციის მიხედვით სავაჭრო ბრუნვაში იმპორტის წილის ამსახველი მაჩვენებლები, რაც საქართველოსთვის 75%-ს შეადგენს და რასთანაც მიახლოებული შედეგები აქვთ მოლდოვას - 69%, სომხეთს - 74%, ყირგიზეთს - 78% და ტაჯიკეთს - 81%, ანუ იმ ქვეყნებს, რომლებმაც უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ამა თუ იმ სახის მადესტაბილიზებელი სამხედრო-პოლიტიკური ზემოქმედება განიცადეს და რის გამოც მთლიანად ან მნიშვნელოვნად მოიშალა ადგილობრივი საწარმოო სისტემები. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებიდან სამს - სომხეთს, ტაჯიკეთსა და და ყირგიზეთს, უარყოფითი სალდო აქვთ მომსახურების საგარეო ვაჭრობის მხრივაც, მოლდოვას - მცირედ დადებითი, ხოლო საქართველოს - მკვეთრად დადებითი, ანუ დაახლოებით $1.4 მლრდ-ს შესაბამისი, რაც საკმაოდ კარგი შედეგია და საქართველოს ეკონომიკაში ორი მნიშვნელოვანი დარგის - ტურიზმისა და სატრანსპორტო გადაზიდვების როლზე მიუთითებს, რომელთა წილი ექსპორტში კიდევ უფრო გაიზრდება საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის რეალიზების ფონზე. ზემოაღნიშნული ქვეყნები ვითარების გამოსასწორებლად უნდა ეცადონ სასაქონლო სავაჭრო ბრუნვაში იმპორტის წილის შემცირებას, რისი მიღწევის ორი მთავარი გზა - ექსპორტის ზრდა და იმპორტჩანაცვლებაა. განსახილველი ცხრილის 6, 7 პოზიციების მონაცემები აჩვენებს, რომ 2010-2014 წწ. პერიოდში სომხეთის ექსპორტის ზრდის მაჩვენებელი 11% იყო, ხოლო იმპორტისა კი 4%, რაც ამ ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვის მკვეთრ გაჯანსაღებაზე მიუთითებს. ამ მხრივ ვითარება შესამჩნევად უმჯობესდება მოლდოვაშიც, ხოლო საქართველოში კი - მეტად უმნიშვნელოდ. ტაჯიკეთსა და ყირგიზეთში კი ექსპორტი იკლებს, ხოლო იმპორტი სწრაფად იზრება, რაც განსახილველ პერიოდში იქ არსებულ პოლიტიკურ დესტაბილიზაციაზე მიუთითებს.

საგარეო ვაჭრობის მკვეთრად უარყოფითი ბალანსი აქვს თურქეთს და $84.6 მლრდს უტოლდება, ხოლო სავაჭრო ბრუნვაში იმპორტის წილი 61%-ია. ეს ფაქტი შემდეგი დასკვნის საშუალებას გვაძლევს. თურქეთი შეეცდება შეამციროს ორივე მაჩვენებელი, ეს კი არსებული პროტექციონისტული პოლიტიკის მინიმუმ შენარჩუნებაზე მიანიშნებს, რაც საქართველოს გაურთულებს, ერთი მხრივ, ექსპორტს ამ ქვეყანაში, ხოლო მეორე მხრივ კი, იმპორტჩანაცვლების პოლიტიკის განხორციელებას. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით დამაფიქრებელია, რადგან იმპორტის მხრივ საქართველოს უმნიშვნელოვანესი პარტნიორი სწორედ თურქეთია და ამავე დროს ამ ქვეყნიდან იმ ნომენკლატურის და ღირსების საქონელი შემოდის, რომლის ადგილობრივი ნაწარმით ჩანაცვლება პირველ რიგში უნდა განხორციელდეს.

ცხრილში დასახელებულ თითეულ იმ სახელმწიფოში (რუსეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, თურქმენეთი, ირანი), სადაც იმპორტის წილი სასაქონლო სავაჭრო ბრუნვაში მნიშვნელოვნად დაბალია, ეს ეფექტი მიღწეულია რესურსების და ძირითადად ენერგომატარებლების დიდი ექსპორტის ხარჯზე და ყოველ მათ-

განში, ფაქტობრივად, ამოწურულია ექსპორტის იმპორტის მიმართ ფარდობითი ზრდის შესაძლებლობა. ამ ქვეყნებიდან, ამჟამად საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორებია რუსეთი და აზერბაიჯანი, თუმცა, ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან ვაჭრობა, ტურიზმის, რეექსპორტისა და ტრანზიტული გადაზიდვების მიმართულებით მეტად პერსპექტიულია.

საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი იქნება სასაქონლო სავაჭრო ბრუნვის უარყოფითი ბალანსის შემცირება. მიუხედავად იმისა, რომ 2010-2014 წლებში საქართველოდან ექსპორტის ზრდამ 1%-ით გადააჭარბა იმპორტის ზრდის მაჩვენებელს, ამგვარი ტენდენიის შენარჩუნება არ იქნება საკმარისი. თუ ცხრილი 1-ის მონაცემებს გავაანალიზებთ ვნახავთ, რომ ევროკავშირისა და ჩვენთვის საინტერესო ამ გაერთიანების წევრი ქვეყნების სავაჭრო ბრუნვაში სასაქონლო პოზიციის მიხედვით, იმპორტის წილის მაჩვენებლები 50%-55% შუალედში მერყეობდა. ვფიქრობთ, კარგი შედეგი იქნება თუ ამ მხრივ 55%-იან მაჩვენებელს მივაღწევთ 10-15 წლის შემდეგ, რაც უპირველესად იმპორტჩანაცვლების ხარჯზე უნდა განხორციელდეს.

საქართველოში იმპორტჩანაცვლების პოლიტიკაზე მსჯელობისას, სასაქონლო მიმართულებას ვგულისხმობთ, რადგან სწორედ ამგვარი აქტივობა შეიძლება იქნას აღქმული პოზიტიური ჭრილით, ხოლო რაც შეეხება მომსახურების იმპორტს, საქართველოსთვის მისი შემცირება არ არის აქტუალური ეკონომიკური პრობლემა, თუნდაც იმიტომ, რომ ამ მხრივ ჩვენს ქვეყანას, 2014 წლის მონაცემებით, დაახლოებით $1.4 მლრდ-ს დადებითი სალდო ჰქონდა, ხოლო საკუთრივ მომსახურების იმპორტი $1.6 მლრდ-ა, რაც არ არის მაღალი მაჩვენებელი, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, მასში დიდი წილი სატრანსპორტო მომსახურებაზე მოდის, რისი ჩანაცვლებაც შეუძლებელია და მისი მხოლოდ ოპტიმიზება შეიძლება. ამავე დროს, საქართვლოს ეკონომიკური განვითარების შესაბამისად ეს მაჩვენებელი გაიზრდება, რაც პოზიტიური იქნება ქვეყნისთვის.

საქართველოს საგარეო სასაქონლო ვაჭრობის მაჩვენებლები [1]

ცხრილი 2

მაჩვენებლები	2010	2011	2012	2013	2014	2015
იმპორტი ($მლრდ)	5.257	7.038	8.037	8.012	8.593	7.728
იმპორტის დინამიკა წინა წელთან შედარებით (%)	117	134	114	99.7	107	90
ექსპორტი ($მლრდ)	1.677	2.187	2.376	2.910	2.861	2.204
ექსპორტის დინამიკა წინა წელთან შედარებით (%)	148	130	109	123	98	90
სავაჭრო ბრუნვა ($მლრდ)	6.935	9.225	10.413	10.921	11.454	9.932
სავაჭრო ბრუნვაში იმპორტის წილი (%)	76	76	77	73	75	78
სავაჭრო ბალანსი ($მლრდ)	-3.580	-4.852	-5.661	-5.102	-5.733	-5.524

ცხრილი 2-ის თანახმად, სავაჭრო ბრუნვაში იმპორტის წილი, განსახილველ პერიოდში სტაბილურად მაღალი იყო და ის 73%-78% ფარგლებში მერყეობდა. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი 1995 წლიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ, რაც საქართველოში ექსპორტისა და იმპორტის აღრიცხვის საკითხი მეტ-ნაკლებად მოწესრიგდა, ყოველთვის მაღალი იყო და 2006-2009 წწ. პერიოდში დაახლოებით 80%-ს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ 2000-2003 წწ. პერიოდში, ოფიციალური მონაცემებით, სავაჭრო ბრუნვაში იმპორტის წილი რამდენადმე დაბალი იყო და 69-71%-ს შეადგენდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდში განსაკუთრებულად მაღალი კორუფციის გამო არ ხდებოდა იმპორტის სრულად აღრიცხვა, მაშინ, როდესაც ექსპორტის დამალვის არანაირი საჭიროება ბიზნესს არ ჰქონდა. 2010-2015 წწ. პერიოდში ზრდის ტენდენცია აღინიშნება სავაჭრო ბრუნვის მხრივ, გამონაკლისია მხოლოდ 2015 წელი, როდესაც საქართველოს საგარეო ბაზრებზე და ქართული ემიგრაციის ძირითად ქვეყნებში მიმდინარე კრიზისის და ლარის კურსის ვარდნის გამო, შემცირდა ეკონომიკური აქტივობა. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს ექსპორტიც და იმპორტიც თანაბრად - 10%-ით დაეცა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს ეკონომიკაში იმდენად სუსტადაა განვითარებული მატერიალური წარმოების სექტორი, რომ მან ვერ ისარგებლა ლარის კურსის დაცემის შედეგად წარმოშობილი მნიშვნელოვანი შეღავათით.

ცხრილი 2-ის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 2010-2015 წწ. პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმპორტის მოცულობა. თავისთავად ეს ტენდენცია არ არის უარყოფითი მოვლენა, მაგრამ ვითარებას ართულებს ექსპორტის შეუსაბამოდ მცირე მაჩვენებლები და თავად იმპორტის სტრუქტურა. ცხრილი 3 ასახავს საქართველოში განხორციელებული იმპორტის სტრუქტურას, მსხვილი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით.

საქართველოში განხორციელებული სასაქონლო იმპორტის სტრუქტურა (მლნ აშშ დოლარი)[1]

ცხრილი 3

	2010	2011	2012	2013	2014	2015
საკვები პროდუქტები და სასმელები	832	1016	1086	1088	1080	904
სამრეწველო მარაგები	1223	1641	1908	1874	2103	1872
საწვავი და საცხები მასალები	908	1228	1350	1347	1388	1204
კაპიტალური საქონელი	692	1072	1320	1117	1268	1173
სატრანსპორტო მოწყობილობები	601	850	1048	1114	1130	761
სამომხმარებლო საქონელი	981	1213	1306	1431	1604	1792
დანარჩენი საქონელი	17	15	14	37	16	20

იმპორტჩანაცვლების პოლიტიკაზე მსჯელობისას აუცილებელია კონკრეტული მიდგომა, რადგან მოცემულ ცხრილში არის რამდენიმე პოზიცია, რომლის არათუ ჩანაცვლება, არამედ მიზანმიმართული წახალისება უნდა მოხდეს. მაგალითად, ასეთია კაპიტალური საქონელი და თუ ამ მიმართულებით სახელმწიფო შესამამის ღონისძიებებს გაატარებს და თანამედროვე ტექნოლოგიების შედეგად დამზადებულ წარმოების საშუალებების იმპორტირების წაახალისებს, ეს მხოლოდ წაადგება საქართველოს ეკონომიკას და სხვა სასაქონლო პოზიციებზე ამან იმპორტჩანაცვლებასაც შეიძლება შეუწყოს ხელი. სატრანსპორტო მოწყობილობების იმპორტი 2015 წელს მკვეთრად შემცირდა და ესეც საკმაოდ არასასურველი პროცესია, რადგან ამ პოზიციაში გაერთიანებულია რეექსპორტისთვის გამიზნული მსუბუქი ავტომობილები, რაც მნიშვნელოვანი შემოსავლების წყარო იყო ათასობით ქართული ოჯახისთვის. შემცირება გამოიწვია პარტნიორი ქვეყნების (ძირითადად ყაზახეთი და აზერბაიჯანი) მიერ განხორციელებულმა პოლიტიკამ.

მიუხედავად იმისა, რომ სამრეწველო მარაგების ზოგიერთი სასაქონლო ჯგუფი შეიძლება ჩანაცვლდეს ადგილობრივი ნაწარმით, სამომავლოდ თანხობრივად ეს პოზიცია ეკონომიკის განვითარების მიხედვით გაიზრდება, რაც პრობლემას არ წარმოადგენს. საწვავი და საცხები მასალების იმპორტის ღირებულების მკვეთრი შემცირების სამი წყარო არსებობს: პირველი, ესაა ნახშირწყალბადების ახალი საბადოების გახსნის მოსალოდნელობა საქართველოში და არსებული ქვანახშირის ეფექტიანი გამოყენება; მეორე, განახლებადი ენერგეტიკის, პირველყოვლისა ჰიდროენერგეტიკის განვითარება და მესამე, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენება, რაც როგორც აღვნიშნეთ, საშუალებას მოგვცემს საქართველოში მოხმარებული თხევადი საწვავის ფასეულობის მნიშვნელოვანი წილი ადგილობრივად შეიქმნას და შესაბამისად შემცირდეს იმპორტის ღირებულებაც.

იმპორტჩანაცვლების მხრივ განსაკუთრებით კარგი შესაძლებლობები არსებობს საკვები პროდუქტებისა და სასმელების და სამომხმარებლო საქონლის პოზიციების მიხედვით. 2010-2015 წწ. პერიოდში საქართველოში საშუალოდ დაახლოებით $1 მლრდ-ს ღირებულების სურსათისა და სასმელის იმპორტირება განხორციელდა და ეს იმ ვითარებაში, როდესაც საქართველოს აქვს 12-16 მლნ ადამიანის გამოკვების პოტენციალი. ჩვენი აზრით, საქართველოში უნდა განხორციელდეს მხოლოდ მარცვლეულისა და ეგზოტიკური მცენარეული პროდუქტების მსხვილი იმპორტი, ხოლო სხვა მიმართულებებით ქვეყანამ უნდა მიაღწიოს სავაჭრო ბრუნვის მინიმუმ ნულოვან მაჩვენებელს. სამომხმარებლო საქონლის პოზიციაში არის ბევრი მიმართულება რისი იმპორტჩანაცვლება, ცხადია, ვერ მოხერხდება და არც არის ამის აუცილებლობა, თუმცა, იქ ასევე ბევრია სასაქონლო ჯგუფი, რომლის მიხედვითაც ასევე შეიძლება იქნეს მიღწეული მინიმუმ ნულოვანი იმპორტის დონე. იმპორტჩანაცვლების პოლიტიკის შესახებ კონკრეტული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

უმნიშვნელოვანეს პარტნიორებთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების ანალიზი

ნაშრომის ამ ნაწილში გაანალიზებულია საქართველოს ვაჭრობის მაჩვენებლები წინამდებარე კვლევისთვის აქტუალურ ქვეყნებთან. მასში მოტანილია როგორც ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორების, ასევე, იმ ქვეყნების მონაცემები, რომლებთანაც საქართველოს ტრადიციული ეკონომიკური კავშირები ჰქონდა და იმათიც, რომლებიც ამა თუ იმ თვალსაზრისით საინტერესოა კვლევისთვის. ცხრილი 4-ის მაჩვენებლების თანახმად, განსახილველ პერიოდში საქართველოს ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ ევროკავშირი, თურქეთი, აზერბაიჯანი, ჩინეთი, რუსეთი და უკრაინა. სამწუხაროდ, თითოეულ მათგანთან საქართველოს მკვეთრად უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს. აღსანიშნავია ისიც, რომ განსახილველ პერიოდში მხოლოდ 2013 წელს ჰქონდა საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი აზერბაიჯანთან.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირთან საქართველოს მკვეთრად უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს, მასთან ვაჭრობა, თუნდაც იმპორტის ჭრილში, პოზიტიური ფაქტია, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს მაღალი ხარისხის, ევროსტანდარტების შესაბამის პროდუქციასთან. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთი ძირითადი პოზიცია, რისი იმპორტირებაც ხდება ევროკავშირიდან, მეორადი ავტომობილებია. ერთი მხრივ ეს ფაქტი დადებითი მოვლენაა იმიტომ, რომ ის მნიშვნელოვანი სარეექსპრტო საქონელია, თუმცა, კარგი იქნება თუ ევროკავშირიდან იმპორტის სტრუქტურა თანამდროვე ტექნოლოგიების სასარგებლოდ შეიცვლება, რადგან სწორედ ევროკავშირია, აშშ-სა და იაპონიასთან ერთად, ის მნიშვნელოვანი წყარო, საიდანაც მათ შემოტანას შევძლებთ. რაც შეეხება ექსპორტს, კარგია, რომ ევროკავშირი პირველ ადგილს იკავებს საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის ამ მიმართულებითაც. უკანსკნელ წლებში ზრდის მდგრადი ტენდენციაც გამოიკვეთა ამ მხრივ, თუმცა, ტემპის აჩქარება, საქართველოს ეკონომიკური განვითარების კარგი ინდიკატორი იქნება. სავაჭრო ბრუნვის მიხედვით ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან საქართველოს მნიშვნელოვანი პარტნიორებია გერმანია, რუმინეთი და ბულგარეთი. 2015 წელს ნახტომისებურად გაიზარდა იმპორტი ირლანდიიდან.

მეორე სავაჭრო პარტნიორი საქართველოსთვის თურქეთია. რაც ბუნებრივია, რადგან ეს ქვეყანა უახლოესი მეზობელი და მახლობელ სახელმწიფოებში რიგით მეორე ეკონომიკაა, ვისთანაც არ გვაქვს პოლიტიკური პრობლემები. მიუხედავად მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობებისა, სავაჭრო თვალსაზრისით, საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობები, არ არის თანასწორი. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ამ ქვეყანასთან მნიშვნელოვნად აღემატება $1 მლრდ-ს. 2010-2015 წწ. პერიოდში სავაჭრო ბრუნვის შესაბამისად მხოლოდ 19.6%, 15.1%, 8.7%, 11.5%, 12.2%, 12.3% მოდიოდა ექსპორტზე. ვითარებას ამწვავებს ის გარემოება, რომ თურქული პროდუქცია არ გამოირჩევა მაღალი ხარისხით, ამ ქვეყა-

ნაში თითქმის არ ქმნიან თანამედროვე ტექნოლოგიებს, ამიტომ ამ მასშტაბების იმპორტს ვერ ექნება პოზიტიური შედეგი. გამომდინარე აქედან, საქართველომ სახელმწიფო რანგში უნდა აიყვანოს თურქული იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკა უპირველესად ადგილობრივი წარმოების ხარჯზე. აღნიშნული საქონლის ნომენკლატურის უდიდესი ნაწილი და თვისებები ამის შესაძლებლობას იძლევა.

აზერბაიჯანი ერთადერთია საქართველოს მსხვილ სავაჭრო პარტნიორებს შორის, რომელთანაც მეტ-ნაკლებად დაბალანსებული სავაჭრო ბრუნვა ჰქონდა 2015 წლამდე და ამის მიზეზი იყო რეექსპორტის დიდი ღირებულება. თუმცა, მას შემდეგ რაც ამ ქვეყანამ შეზღუდა ძველი მსუბუქი ავტომობილების შეტანა, საქართველოდან აზერბაიჯანში ექსპორტი მკვეთრად - 55%-ით შემცირდა. ამ ქვეყნიდან იმპორტის დიდი წილი უკავია ნახშირწყალბადოვან საწვავს და როგორც აღვნიშნეთ, მისი პირდაპირი ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოების ხარჯზე, თუ არ მოხდება ადგილობრივი ახალი საბადოების აღმოჩენა, ვერ მოხდება. თუმცა, თუ აშენდება ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ახალი ჰიდრო და სხვა განახლებადი ენერგოგენერაციის ობიექტები, შესაძლებელი იქნება იმპორტის (და არამარტო ამ ქვეყნიდან) ღირებულების შემცირება. აზერბაიჯანთან პერსპექტივაში, ალბათ, შენარჩუნდება გარკვეული დისბალანსი სასაქონლო ვაჭრობის მიხედვით, თუმცა, ვაჭრობის მაჩვენებლების დაბალანსების კარგ შესაძლებლობებს იძლევა ტურიზმი და სატრანსპორტო მომსახურება.

ის, რომ რუსეთი საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის მხოლოდ მეოთხეა, დადებითი მოვლენაა. ამავე დროს, პერსპექტივაში, მასთან ვაჭრობის წილი დიდი ალბათობით შემცირდება, მიუხედავად ბრუნვის აბსოლუტური მაჩვენებლების ზრდისა, რაც ასევე სასარგებლო იქნება საქართველოს ეკონომიკისთვის. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ რუსეთი სამეზობლოში ერთ-ერთი დიდი ბაზარია, თუმცა, ვინაიდან ამ ქვეყნის ეკონომიკური გადაწყვეტილებები მთლიანადაა დაქვემდებარებული პოლიტიკურ კონიუნქტურას, ხოლო პოლიტიკა კი გამსჭვალულია იმპერიული ამბიციებით, სასურველია, რაციონალურად მაქსიმალურად შეიზღუდოს მასთან ეკონომიკური ურთიერთობები. ეს ეხება ვაჭრობასაც, როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის მიმართულებით. რუსეთის მიერ სავაჭრო ბერკეტების პოლიტიკური მიზნებით გამოყენების უამრავი ფაქტი არსებობს, მ.შ. ამ მხრივ „განებივრებული“ საქართველოცაა. მაგალითად, რუსეთი პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, პერიოდულად ხურავდა და ხსნიდა თავის ბაზარს ქართული საქონლისთვის, რითაც დიდად აზარალებდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას. უფრო მეტიც, ის არამარტო ექსპორტის ემბარგოს ახორციელებდა, არამედ ახდენდა ბუნებრივი აირის მოწოდების ბლოკირებასაც, რითაც არამარტო ეკონომიკურ, არამედ ჰუმანიტარულ ზიანსაც აყანებდა საქართველოს. ამიტომ, მეტად სწორი გადაწყვეტილება იყო, როდესაც რუსეთიდან ბუნებრივი აირის მოწოდება ჩანაცვლდა აზერბაიჯანული რესურსით. საქართველო მუდმივად უნდა ეცადოს მოახდინოს რუსეთიდან სტრატეგიული მნიშვნელობის იმპორტის ჩანაცვლება, თუნდაც სხვა ქვეყნებიდან ანალოგიური პროდუქციის შემოტანით.

ზოგიერთი შეფასებით, ჩინეთი უკვე გახდა ან უახლოეს მომავალში გახდება მსოფლიოს პირველი ეკონომიკა. ეს სახელმწიფო პირველი სასაქონლო ექსპორტიორია მსოფლიოში, მას ყველაზე დიდი დადებითი სავაჭრო სალდო აქვს და ეკონომიკური ჟარგონით მას „მსოფლიო ფაბრიკასაც“ უწოდებენ. ჩინეთი აბრეშუმის გზის საწყისია და ამ ფაქტის გამო განუზომლად იზრდება მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის. მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო პარტნიორებს შორის ის მეხუთე ადგილზეა, ზემოაღნიშნულის გამო უნდა ვივარაუდოთ, რომ პერსპექტივაში მისი როლი კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდება. რაც შეეხება ჩინეთიდან განხორციელებულ იმპორტს, აქ ორი სასაქონლო ნომენკლატურა უნდა გამოვყოთ. პირველია მსოფლიო ბრენდების მიერ წარმოებული მაღალი კლასის საქონელი, მ.შ. მაღალი ტექნოლოგიები და წარმოების სხვა საშუალებები. ასეთი პროდუქციის იმპორტირება სასურველია და მისი ჩანაცვლებაც, განსაკუთრებით ადგილობრივი წარმოებით, ვერ მოხერხდება. მეორე ჯგუფში კი მოვიაზრებთ მდარე ხარისხის, ძირითადად სამომხმარებლო საქონელს, რის დამზადებაც საქართველოშიცაა შესაძლებელი. ამ მიმართულებით სახელმწიფომ აქტიურად უნდა დაიწყოს იმპორტჩანაცვლების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება.

პოლიტიკური, გეოგრაფიული, კულტურული თუ ეკონომიკური თვალსაზრისით უკრაინა ერთ-ერთი ყველაზე სასურველი სავაჭრო პარტნიორია საქართველოსთვის. სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა მნიშვნელოვნად ავნეს ეკონომიკას და მის კავშირებს პარტნიორ ქვეყნებთან, მ.შ. საქართველოსთან. უკრაინისა და საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები განსაკუთრებით პერსპექტიულია რამდენიმე ფაქტორის გამო: პირველი - ამ ორ ქვეყანაში ექსპორტზე ორიენტირებულია ეკონომიკის განსხვავებული დარგები თუ ქვედარგები; მეორე - ამ დარგებისა თუ ქვედარგების პროდუქცია, როგორც წესი, დეფიციტურია მეორე სახელმწიფოსთვის; მესამეა ტერიტორიული სიახლოვე და საზღვაო პირდაპირი კავშირის შესაძლებლობა; მეოთხე, ტრადიციული ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა სახის კავშირები; მეხუთე - პოზიციების სტრატეგიული თანხვედრა ძირითადი პოლიტიკური საკითხების მიმართ. ყოველივე ამის შედეგია ის, რომ საქართველო და უკრაინა რამდენიმე რეგიონული ორგანიზაციის წევრები არიან და მათ შორის გაუქმებულია სავაჭრო ბარიერები. მიუხედავად აშკარად პოზიტიური პერსპექტივისა უნდა აღინიშნოს საქართველოს მკვეთრად უარყოფითი სავაჭრო სალდოს შესახებ. თუმცა, მისი გამოსწორება ნაკლებადსავარაუდოა იმპორტჩანაცვლების ხარჯზე და ის სასაქონლო და მომსახურების ექსპორტის გაზრდით უნდა დაბალანსდეს.

მეორე ეშელონის ქვეყნებიდან, ანუ მათგან, ვისთანაც ექსპორტ-იმპორტის საერთო მოცულობა $200-$400 მლნ-ს შორისაა, პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ აშშ. ამ ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობები, შეიძლება ითქვას, მეტად პოზიტიურად ვითარდება. პირველ რიგში ვგულისხმობთ ყველაზე უფრო დაბალანსებულ სავაჭრო სალდოს განვითარებულ ქვეყნებს შორის. განსახილ-

საქართველოს სასაქონლო ვაჭრობის მაჩვენებლები მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორების მიხედვით [1]

ცხრილი 4

	2010		2011		2012		2013		2014		2015	
	სავაჭრო სალდო	სავაჭრო ბრუნვა	სავაჭრო სალდო	სავაჭრო ბრუნვა	სავაჭრო სალდო	სავაჭრო ბრუნვა	სავაჭრო სალდო	სავაჭრო ბრუნვა	სავაჭრო სალდო	სავაჭრო ბრუნვა	სავაჭრო სალდო	სავაჭრო ბრუნვა
ევროკავშირი	-1161.1	1780.1	-1628.2	2476.8	-2075.6	2781.4	-1656.5	2870.7	-1745.6	2993.6	-1872.3	3165.1
აშშ	6.3	368.1	-102.1	388.9	13.1	439.3	-116.3	391.3	-79.7	494.3	-148.1	356.3
ჩინეთი	-308.4	362.0	-496.2	554.0	-587.9	639.1	-577.6	645.4	-642.7	823.3	-461.2	712.8
ინდოეთი	-20.1	44.7	-36.1	74.5	-58.9	88.7	-49.3	61.9	-39.7	61.1	-36.2	64.8
იაპონია	-162.3	178.5	-171.2	177.0	-306.9	318.1	-316.4	323.4	-364.9	371.3	-208.0	214.6
აგე	-130.9	187.5	-186.5	266.5	-145.1	222.7	-141.5	280.7	-170.9	226.9	-184.7	240.9
ბრაზილია	-74.7	86.5	-112.9	12.9	-119.8	119.8	-99.0	99.8	-104.5	113.5	-51.2	91.0
ირანი	-40.2	70.0	-48.6	81.0	-81.8	118.8	-82.8	176.6	-94.5	150.7	-56.3	127.7
ბულგარეთი	-65.0	198.4	-161.8	349.0	-201.4	340.6	-43.5	344.9	-42.7	376.9	46.6	381.8
რუმინეთი	-111.2	170.4	-166.5	205.9	-255.6	262.6	-318.1	328.1	-307.2	315.6	-180.2	234.0
თურქეთი	-669.9	1103.3	-1050.1	1502.7	-1328.8	1608.8	-1225.2	1592.6	-1488.1	1966.5	-1144.2	1517.4
რუსეთი	-255.8	325.2	-351.3	424.5	-429.6	523.2	-393.3	773.9	-300.8	850.0	-461.4	787.0
ბელორუსი	-12.3	59.7	-1.6	58.2	-0.4	68.0	20.2	60.8	14.2	55.4	-0.3	41.1
აზერბაიჯანი	-228.3	740.7	-184.8	1036.6	-64.9	1318.5	57.1	1362.7	-93	1182.0	-297.5	778.3
სომხეთი	120.6	212.8	164.8	281.4	187.6	329.0	133.7	497.1	77.9	498.1	5.0	355.0
უკრაინა	-450.5	671.1	-550.2	832.4	-420.8	754.8	-408.6	794	-406.2	686.0	-395.3	514.9
მოლდოვა	3.1	12.3	4.0	16.2	2.6	20.2	1.8	26.8	-9.0	18.2	-3.7	16.7
ლატვია	-8.8	21.8	-9.4	24.6	-17.9	30.1	-17.8	31.0	-12.4	28.4	-13.5	26.1
ლიტვა	-14.9	37.3	-21.1	57.9	-31.5	69.7	-15.1	58.5	-12.9	76.3	-11.9	78.5
ესტონეთი	-4.4	6.0	-2.0	7.4	-5.4	12.6	-4.0	7.8	-2.9	7.9	-2.5	6.9
უზბეკეთი	-1.5	17.9	1.0	24.4	4.1	28.3	7.3	38.1	41.4	68.2	90.1	104.1
ყაზახეთი	-44.4	144.4	87.2	226.4	-69.5	193.9	48.2	158.8	53.4	123.6	22.8	67.0
ყირგიზეთი	2.0	4.6	6.2	9.0	6.4	11.2	6.9	10.9	7.3	12.7	4.9	8.3
თურქმენეთი	-46.6	71.8	-50.1	60.9	-22.7	38.5	-33.7	61.9	-55.0	83.6	-95.2	127.2
ტაჯიკეთი	2.76	2.8	3.9	4.9	4.77	4.83	7.88	7.92	10.68	10.72	4.39	4.41

ველ პერიოდში, ზოგიერთ წელს, საქართველოს აშშ-სთან დადებითი სავაჭრო სალდოც კი ჰქონდა. აგრეთვე მნიშვნელოვანია ისიც, რის შესახებაც უკვე გვქონდა ზემოთ მსჯელობა, რომ აშშ-დან განხორციელებული იმპორტი მაღალი ღირსებით გამოირჩევა. გამომდინარე აქედან ამ ქვეყნის მიმართ ვერ განხორციელდება იმპორტჩანაცვლების ღონისძიებები და ეს ეკონომიკური თვალსაზრისით არც არის აქტუალური. აშშ-სთან სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაციის ფონზე გაჩნდება ექსპორტის ზრდის დამატებითი შესაძლებლობები და სავაჭრო ბრუნვის დაბალანსების შესაძლებლობა, რაც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საქართველოს საწინააღმდეგოდ არის დარღვეული.

ის დასკვნები, რაც აშშ-ის მიმართ გავაკეთეთ, აქტუალურია იაპონიის შემთხვევაშიც, განსაკუთრებით ეს, ამ ქვეყნიდან განხორციელებული იმპორტის შემადგენლობასა და ღირსებას ეხება. თუმცა, განსხვავებულია მკვეთრად უარყოფითი სავაჭრო სალდო, რაც საქართველოს ამ ქვეყანასთან უკანასკნელი წლებში ჩამოუყალიბდა. მისი შემცირება ექსპორტის გაზრდით უნდა მოხდეს, რადგან როგორც აშშ-ის შემთხევაში, იმპორტჩანაცვლების პოლიტიკა არც ამ ქვეყნის მიმართ გამოდგება.

საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია სომხეთი. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ორი ქვენის სავაჭრო ბრუნვა $350 მლნ აშშ-ს აღემატება, ხოლო 2013-2014 წლებში თითქმის 500 მლნ-ც იყო. სომხეთია ჩვენს სამეზობლოში ერთადერთი ქვეყანა რომელთანაც საქართველოს დადებითი სავაჭრო სალდო აქვს, თუმცა, მთელი რიგი პოზიციის მიხედვით, შესაძლებელია იმპორტის ჩანაცვლებაც. ვფიქრობთ, ამ ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობები გაცილებით მაღალ დონეზე იქნებოდა, ის საბაჟო კავშირში რომ არ იყოს ინტეგრირებული.

არაბთა გაერთიანებული ემირატებში მდებარე ქალაქი დუბაი მსოფლიო სავაჭრო ჰაბს წარმოადგენს, რაც რამდენიმე ფაქტორით არის გამოწვეული. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ იქ გაუქმებულია გადასახადის ზოგიერთი სახეობა, გარდა ამისა, ამ ქალაქშია რამდენიმე თავისუფალი ეკონომიკური ზონა. სწორედ ამიტომ დუბაი მსოფლიოს ერთ-ერთი მსხვილ რეექსპორტიორია და ცხადია, საქართველოშიც ხვდება იქიდან საქონლის მნიშვნელოვანი მოცულობა. არაბთა გაერთიანებული ემირატებთან საქართველოს მკვეთრად უარყოფითი სავაჭრო სალდო აქვს, რაც უმთავრესად იმაზე მიუთითებს, რომ ის საქონლის ექსპორტისთვის ჯეროვნად ვერ იყენებს დუბაის თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესაძლებლობებს. იმპორტის მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნიდან საქართველოში ხვდება სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული, მეტად მრავალფეროვანი ნომენკლატურისა და განსხვავებული ღირსების მქონე საქონელი. შესაბამისად, მთელი რიგი მიმართულების მხრივ, შესაძლებელია იმპორტჩანაცვლების პოლიტიკის განხორციელება, როგორც ადგილობრივი ნაწარმის მეშვეობით, ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული უფრო მაღალხარისხოვანი საქონლით.

იმპორტჩანაცვლების მხრივ, საინტერესოა ბრაზილია. ამ ქვეყნიდან საქართველოში შემოდის მოხმარებული შაქრის უდიდესი ნაწილი და გაყინული ხორცის მნიშვნელოვანი მოცულობა. უკანასკნელ წლებში განხორციელებული იმპორტი $70-120 მლნ-ს ფარგლებში მერყეობდა და ეს იმ დროს, როდესაც ამ ქვეყანაში ექსპორტის ღირებულება მხოლოდ $5-20 მლნ იყო. ჩვენი აზრით, ორივე ზემოთხსენებული პოზიციის მიხედვით, უნდა განხორციელდეს იმპორტჩანაცვლების მიზანმიმართული სახელმწიფო პროგრამა. საქართველოს თავისუფლად შეუძლია სრულად დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება შაქარზე და ხორცის შემთხვევაში ნეტოიმპორტიორიც გახდეს. ეს კი გაჯანსაღებულ სავაჭრო ბრუნვას, მოსახლეობისთვის უფრო მაღალხარისხოვანი სურსათის მიწოდებას და რამდენიმე ათას ახალ სამუშაო ადგილს ნიშნავს, რაც ბრაზილიასა და საქართველოს შორის არსებულ მანძილისა და ამით გამოწვეულ სატრანსპორტო ხარჯებს გავითვალისწინებით უფრო შესაძლებლად მოსჩანს.

ირანთან სავაჭრო ურთიერთობების პერსპექტივები, ამ ქვეყნის მიმართ დაწესებული ეკონომიკური სანქციების გაუქმების პირობებში, უაღრესად მიმზიდველად გამოიყურება. თუმცა, მიუხედავად სანქციებისა, საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, უკვე დაახლოებით 25 წელია ავითარებს ირანთან ვაჭრობას, რასაც არ ჰქონდა მიზანმიმართული, სისტემური ხასიათი. ამის გამო, ამ ქვეყნიდან განხორციელებულ იმპორტში არის საქონლის ისეთი ნომენტკლატურაც, რისი ჩანაცვლებაც ადგილობრივი ნაწარმით სავსებით შესაძლებელია. ირანიდან იმპორტის მოცულობა უკანასკენელი ოთხი წლის განმავლობაში საშუალოდ $110 მლნ-ა, ხოლო ექსპორტი კი დაახლოებით მესამედი. ამ ქვეყნის დიდი ეკონომიკური პოტენციალიდან გამომდინარე, მასთან ვაჭრობა პერსპექტივაში მნიშვნელოვნად გააქტიურდება, თუმცა, კარგი იქნება თუ ეს განხორციელდება იმპორტჩანაცვლების ღონისძიებების ფონზე.

ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობები აქვს ყაზახეთთან, უზბეკეთსა და თურქმენეთთან. ამასთან, პირველ ორთან საქართველოს დადებითი სავაჭრო სალდო აქვს, თურქმენეთთან კი მკვეთრად უარყოფითი, რაც ამ ქვეყნიდან ძირითადად ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტით არის გამოწვეული. ყაზახეთიდან და უზბეკეთიდან კი ხორციელდება საკმაოდ მცირე ღირებულების იმპორტი. აქედან გამომდინარე, შუა აზიის სახელმწიფოებთან ნაკლებეფექტიანი იქნება იმპორტჩანაცვლების ღონისძიებების გატარება.

იმპორტჩანაცვლების სასაქონლო პოზიციების შერჩევა

იმპორტჩანაცვლებასა და ეკონომიკურ განვითარებაზე მსჯელობისას უნდა გვახსოვდეს, რომ ადგილობრივი წარმოების მიერ აუთვისებელი მოხმარება უდიდესი რეზერვია და მოცემულ ეტაპზე, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში, ის შეიძლება საქართველოს ეკონომიკური განვითარების ლოკო-

მოტივად იქცეს. საქონლის იმპორტირება ნიშნავს, რომ მისი ადგილობრივი ბაზარი, ანუ თანამედროვე ეკონომიკური ფილოსოფიის კონტექსტით წარმოების ინიცირებისთვის უმნიშვნელოვანესი რამ, უკვე არსებობს. სწორედ ამიტომ, ზუსტად უნდა განისაზღვროს ის იმპორტირებული სასაქონლო ჯგუფები, რისი წარმოების ეკონომიკურად დასაბუთებული შესაძლებლობაც საქართველოს აქვს.

იმპორტჩანაცვლების მხრივ სასაქონლო პოზიციების შერჩევისთვის უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმებს თავად მოცემული კვლევის შინაარსი განსაზღვრავს. ოთხნიშნა კოდიფიცირების სისტემის მიხედვით, საქართველო 1000-ზე მეტი დასახელების პროდუქტის იმპორტირებას ახორციელებს და მათი დიდი უმრავლესობის ადგილობრივი ნაწარმით ჩანაცვლებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩამონათვალში მრავლად არის ისეთი პროდუქციაც, რომლის როგორც იმპორტი და ასევე ექსპორტი ხორციელდება, ზოგიერთი მათგანის მიხედვით მიღწეულია დადებითი ბალანსი, ზოგზე კი უარყოფითი სალდო ნარჩუნდება. ცხადია, იმპორტჩანაცვლება შეიძლება ორივე მათგანს შეეხოს, ანუ პირველ შემთხვევაში ბალანსი კიდევ უფრო გაუმჯობესდეს, ხოლო - მეორეში დადებითი მნიშვნელობა შეიძინოს, თუმცა, ჩვენი ყურადღება ნაშრომში განსაკუთრებით მეორე მათგანისკენ იქნება მიმართული, რაც არ გამორიცხავს შემდგომში კვლევის უფრო გაღრმავებას.

იმპორტჩანაცვლების კონტექსტით, საანალიზო სასაქონლო ნუსხის ფორმირებისთვის, შემდეგი კრიტერიუმები გამოვიყენეთ: უდავოა, რომ უმთავრესი, რასაც კვლევის თემატიკიდან გამომდინარე უნდა დავეყრდნოთ, ამა თუ იმ პროდუქტის საქართველოში ეკონომიკური მიზანშეწონილობის კონტექსტით წარმოების შესაძლებლობაა. ამ მიმართულებით გამოვყავით შედეგი კრიტერიუმები: წარმოებისთვის საჭირო საბაზისო საშუალების (მიწა, პირველადი ნედლეული, ბუნებრივ-კლილმატური პირობები და ა.შ.), შესაბამისი შრომითი რესურსების, დამხმარე წარმოების, მონათესავე წარმოების, საწარმოო ტრადიციების, ინტელექტუალური ინფრასტრუქტურის არსებობა, კონკრეტული პროდუქტის ადგილობრივად მოხმარების მოცულობა, ფასეულობატევადობა, უნიკალური უპირატესობის არსებობა და იმიჯი. რადგან პირველი შვიდი ფაქტორი დაახლოებით შეესაბამება მაიკლ პორტერის მოსაზრებებს და ნათელია თუ რას გულისხმობს ის, ჩვენ მათ განმარტებას არ შევუდგებით და მკითხველის ყურადღებას უკანასკნელ სამზე შევაჩერებთ.

ფართო გაგებით ფასეულობატევადობაში იგულისხმება თუ როგორია პროდუქტში დამატებული ფასეულობისა და მისი წარმოებისთვის საჭირო საწყისი ნედლეულის ღირებულების თანაფარდობა. რაც უფრო უახლოვდება პროდუქტი ფასეულობათა ჯაჭვის საბოლოო რგოლს - მოხმარებას, მით უფრო იზრდება მასში დამატებული ფასეულობა. ეს მაჩვენებელი მეტია აგრეთვე შრომატევადი და მეცნიერებატევადი დარგების პროდუქციაში. მოცემული კვლევის თემატიკიდან გამომდინარე, ამ კრიტერიუმს ვიყენებთ იმის შესაფასებლად, თუ რამდენად აღემატება კონკრეტული პროდუქციის საბაზრო ფასი მისი წარმოე-

ბისთვის საჭირო იმპორტირებული ნედლეულის ღირებულებას, ანუ რამდენად მაღალია პროდუქციის შექმნისთვის გაწეულ ძალისხმევაში ადგილობრივი რესურსების წილი. მაგალითად, თუ საქონლის ერთეულის ფასია 100 ლარი, ხოლო მის საწარმოებლად საჭირო რესურსებიდან 20 ლარია იმპორტირებული, მაშინ ამ საქონლის ფასეულობატევადობა 80 %-ია. ცხადია, რომ იმ პროდუქციას, რომელიც, ერთი მხრივ, აკმაყოფილებს სხვა კრიტერიუმებს და ამავე დროს მისი ერთობლივი ფასეულობის დიდი ნაწილი ქვეყნის შიგნით იქმნება (ანუ მისი წარმოებისთვის საჭირო დარგობრივი ფასეულობათა ჯაჭვის რაც შეიძლება მეტი რგოლია ქვეყანაში წარმოდგენილი) მიენიჭება უპირატესობა იმპორტჩანაცვლების შესახებ მსჯელობისას.

უნიკალური უპირატესობის არსებობა მნიშვნელოვანი ფაქტორია არამარტო ადგილობრივ ბაზარზე სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობისთვის, არამედ პერსპექტივაში ის, მისი ექსპორტირების უმნიშვნელოვანესი ხელისშემწყობი შეიძლება გახდეს. ჩვენ ამ კრიტერიუმში ვგულისხმობთ დანარჩენი კრიტერიუმებით გათვალისწინებული რომელიმე ფაქტორის მიხედვით საქართველოში არსებულ განსაკუთრებულ მდგომარეობას. მაგალითად, ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ ვაზისა და ხორბლის მრავალი ენდემური ჯიშის არსებობა, მევენახეობისა და მეღვინეობის ტრადიციები, სასმელი წყლის რესურსები და მისი მაღალი ხარისხი, ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ბიომრავალფეროვნება და ა.შ.

იმიჯი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უპირატესობაა, რაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართული წარმოების ამა თუ იმ პროდუქციამ მოიპოვა და რაც სწორი მიდგომის შემთხვევაში, უმნიშვნელოვანეს კონკურენტულ უპირატესობად შეიძლება იქცეს. მაგალითად, ადგილობრივ ბაზარზე მომხმარებელი მზად არის ქართული წარმოშობის სასურსათო პროდუქციაში მნიშვნელოვნად მეტი გადაიხადოს იმპორტულთან შედარებით. ეს ფაქტორი მოქმედებას იწყებს საგარეო ბაზრებზეც.

კვლევის გასამარტივებლად და მკითხველის მიერ აღქმადობის გაზრდისთვის, ჩვენ ზოგ შემთხვევაში დავაჯგუფეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ოთხნიშნა სასაქონლო პოზიციებით წარმოდგენილი გარკვეული ნომენკლატურული ჯგუფები, ზოგჯერ კი ანალიზს ცალკეულ მათგანის საფუძველზე ვახორციელებთ. საანალიზოდ შერჩეულ იქნა ის სასაქონლო ჯგუფები, რომელთა იმპორტის საერთო მოცულობა ცალკეული წლების მიხედვით $10 მლნ-ს აღემატება, რაც მათ ადგილობრივ სტაბილურ ბაზარზე მიუთითებს, ეს კი, როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ, წარმოების ინიცირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

იმპორტჩანაცვლების სასაქონლო პოზიციების შერჩევისთვის საჭირო კრიტერიუმები ჩვენ მიერ სუბიექტური დაკვირვების შედეგად დადგინდა, ამიტომ ამ და სხვა მიმართულებებითაც სიამოვნებით ჩავერთვებით პოლემიკაში და შემდგომი კვლევისთვის ღირებულ მოსაზრებებსაც გავითვალისწინებთ.

იმპორტჩანაცვლების სასაქონლო მიმართულებები

ზემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, ჩვენ მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების გამოყენებით შედგენილ იქნა ცხრილი 5, სადაც წარმოდგენილია ის იმპორტირებული მსხვილი სასაქონლო ჯგუფები, რომელთა ჩანაცვლებაც, ჩვენი აზრით, ადგილობრივი წარმოებითაა შესაძლებელი.

როგორც ცხრილიდან ჩანს, გარკვეული სასაქონლო პოზიციები განხილულია ცალკე, ხოლო ზოგჯერ კი მათ დაჯგუფებას მსგავსების მიხედვით ვახდენთ. მაგალითად, საანალიზოდ მოტანილი გვაქვს ტანსაცმლისა და სხვა საფეიქრო ნაწარმის კატეგორია, რომელშიც გაერთიანებულია 40-ზე მეტი სასაქონლო პოზიცია ოთხნიშნა კოდირების სისტემის მიხედვით, იქვეა მოტანილი შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი შაქრისგან, რომლის ძირითადი შემადგენელი შაქარია და სადაც მხოლოდ ორი სასაქონლო პოზიციაა, ხოლო ელექტრონერგიას დამოუკიდებლად განვიხილავთ. ცხადია, ჩვენ ვერ დავისახავთ მიზნად, რომ ტანსაცმლისა და სხვა საფეიქრო ნაწარმის კატეგორიის ყველა სასაქონლო პოზიციის მიხედვით გამოყენებულ იქნეს სრული იმპორტჩანაცვლების მიდგომა, რადგან ამ დარგის ასორტიმენტულად მეტად მრავალფეროვნების გამო ეს შეუძლებელია, მაგრამ მთელი ამ ჯგუფის ერთიანად ანალიზი მიზანშეწონილად მივიჩნიეთ რადგან, ჯერ ერთი, ჩვენი აზრით, სავსებით შესაძლებელია ამ მიმართულებით მიღწეულ იქნეს მინიმუმ ნულოვანი ბალანსის დონე და ამასთან, კომპლექსური ხედვა საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს მონათესავე წარმოების უპირატესობა, რაც ჩვენს მიერ წარმოდგენილი ერთ-ერთი კრიტერიუმია კონკრეტული დარგის განვითარებისთვის. რაც შეეხება შაქარს და შაქრისგან დამზადებულ საკონდიტრო ნაწარმს, ამ კატეგორიაში მხოლოდ ორი პოზიციაა, ამასთან შაქარი მეტად არადიფერენცირებადი პროდუქტია, ხოლო შაქრის შემცველი საკონდიტრო ნაწარმის ფასეულობის ლომის წილს სწორედ შაქარი ქმნის. ამიტომ, ამ შემთხვევაში სწორედ შაქრის ადგილობრივად წარმოებაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რაც, თავის მხრივ, უმნიშვნელოვანესი დამხმარე დარგი იქნება საკონდიტრო წარმოებისთვის და მის განვითარებასაც იწვევს. ელექტრონერგია იმდენად სპეციფიკური პროდუქტია, რომ მისი სხვა სასაქონლო პოზიციებთან ერთობლივად განხილვა წარმოუდგენელია, ამასთან, ის სრულიად არადიფერენცირებადი პროდუქტია და დამოუკიდებლადაა წარმოდგენილი ცხრილში.

წარმოდგენილ ცხრილში ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და მისი ხორცი ერთადერთი პოზიციაა, რომლის მიხედვით საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს. უფრო რომ დავკონკრეტდეთ, საქართველოში დიდი რაოდენობით შემოდის გაყინული ხორცი და ამ პროდუქტის ექსპორტი, ფაქტობრივად, არ ხორციელდება. სამაგიეროდ, ასევე დიდი რაოდენობით ხდება ცოცხალი პირუტყვის ექსპორტი, რაც ჭარბობით ფარავს გაყინული ხორ-

ცის იმპორტს. ჩვენ ეს პოზიცია ანალიზში ჩავრთეთ იმიტომ, რომ დაუშვებლად მიგვაჩნია გაყინული ხორცის იმპორტის ის მაჩვენებლები, რაც ცხრილშია წარმოდგენილი და ის თავისუფლად შეიძლება ჩანაცვლდეს ადგილობრივი წარმობის პროდუქციით. ჩვენ მიერ მოყვანილი კრიტერიუმებიდან, ეს სასაქონლო პოზიცია უმრავლესობას აკმაყოფილებს, ხოლო ერთის მიხედვით, უნიკალური უპირატესობაც არსებობს, მხედველობაში გვაქვს ბუნებრივი საძოვრების და სათიბების დიდი რესურსები. ამ რესურსის მაქსიმალურად ათვისების მხრივ პოზიტიური ძვრები შეინიშნება, კერძოდ კომპანია „ბლაუნშტეინ საქართველომ“ [5] 15 მლნ ლარის ინვესტიცია განახორციელა რაჭაში ხორცისა და ხორცის პროდუქტების წარმოებაში. ასეთი წამოწყებების შედეგად შესაძლებელია რძისა და რძის პროდუქტებისა და ძეხვეულისა და ხორცის კონსერვების, ღორის ხორცის, ფრინველის ხორცის მხრივ არსებული მკვეთრად უარყოფითი სავაჭრო სალდოს დაძლევა. ყოველი ამ სასაქონლო პოზიციის მიხედვით კმაყოფილდება ჩვენ მიერ მოყვანილი კრიტერიუმების უმრავლესობა. გარკვეულად პრობლემური საკითხია, თუმცა დაძლევადია მეღორეობისა და მეფრინველეობის მდგრადი საკვები ბაზის შექმნა, თუმცა პირველ ეტაპზე ამ მიზნით ექსპორტირებული მარცვლეულის გამოყენებაც შეიძლება, რადგან ხორცისა და მარცვლეულის ფასეულობატევადობას შორის დიდი განსხვავებაა. თუმცა, ცალკეული ფირმები ადგილობრივი საკვები ბაზის საფუძველზე უკვე ავითარებენ საკუთარ ბიზნესს, ამის მაგალითია მეფრინველეობის კომპანია „ჩირინა“ [6].

საქართველოს შიგა წყლის რესურსებით უზრუნველყოფის მიხედვით, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მდგომარეობა აქვს, რაც მტკნარი წყლის მეთევზეობის განვითარების უნიკალურ პირობებს ქმნის. გარდა ამისა, საქართველო საზღვაო სახელმწიფოც არის, ეს კი თევზსაჭერი ფლოტის შექმნის შესაძლებლობასაც აძლევს მას. ყოველივე ამის ფონზე, მეტად ცუდ მაჩვენებლად მიგვაჩნია ის, რომ უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში წელიწადში საშუალოდ $35 მლნ-ზე მეტი დაიხარჯა თევზისა და თევზის პროდუქტების იმპორტზე, ხოლო მთლიანი ექსპორტი კი

იმავე პერიოდში მხოლოდ $27.1 მლნ იყო, რაც წელიწადში დაახლოებით $4.5 მლნ-ა. საქართველოში შესაძლებელია როგორც მტკნარი წყლის, ასევე საზღვაო მეთევზეობის იმ დონეზე განვითარება, რომ ერთი, მხრივ მინიმუმამდე შემცირდეს თევზისა და მისი პროდუქტების იმპორტი, ხოლო პერსპექტივაში ამ მიმართულებით ჩვენი ქვეყანა ნეტოექსპორტიორადაც იქცეს.

საქართველო არაეგზოტიკური ხილისა და ციტრუსების, კარტოფილის, ბოსტნეულის, პარკოსნების, მცენარეული კონსერვების, წვენების და საწებლების მხრივ ნეტოიმპორტიორი ქვეყანაა. 2010-2016 წლებში საქართველომ აღნიშნული პროდუქციის იმპორტირებისთვის დახარჯა $678.5 მლნ, ხოლო გაიტანა $235.1 მლნ ღირებულების ანალოგიური პროდუქცია. ასეთი დიდი დისბალანსი იმ სასაქონლო პოზიციების მიხედვით, რომლებიც ჩვენ მიერ მოყვანილ თითქმის ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს, სრულიად დაუშვებელია. არ იქნება გადაჭარბებული იმის მტკიცება, რომ საქართველოს შეუძლია თითქმის სრუ-

ლიად აღმოფხვრას ზემოაღნიშნული სასაქონლო მიმართულებების იმპორტი, ექსპორტის ზრდის ფონზე.

მიუხედავად იმისა, რომ შაქრისა და მცენარეული ცხიმების წარმოების კარგი შესაძლებლობები არსებობს, საქართველო, ფაქტობრივად საერთოდ არ აწარმოებს აღნიშნული კატეგორიის საქონელს და მთელ მოთხოვნილებას იმპორტის ხარჯზე იკმაყოფილებს. მართალია ადგილობრივ ბაზარზე დიდი პოპულარობით სარგებლობს ე.წ. „აგარის შაქარი“, მაგრამ მასში აგარის და ქართული მხოლოდ დაფასოებაა, ხოლო ძირითადი ნედლეული ბრაზილიიდან შემოდის. იგივე შეიძლება ითქვას მცენარეული ცხიმების შესახებაც. ზემოაღნიშნული სასაქონლო პოზიციების მიხედვით, განსახილველ პერიოდში საქართველოში განხორციელდა $986 მლნ-ს იმპორტი და $14 მლნ პროდუქციის ექსპორტი.

გარდა იმისა, რომ თამბაქოს მოხმარება მავნებელია ჯანმრთელობისთვის, მისგან დამზადებული პროდუქცია ეკონომიკურ ზიანსაც აყენებს ქვეყანას. მოწევის გამო ჯანმრთლეობის აღდგენისთვის გაწეულ ხარჯებს რომ თავი დავანებოთ, მის გამო ქვეყნიდან ათეულობით მლნ დოლარი გადის ყოველწლიურად. მაგალითად, განსახილველ პერიოდში საქართველოში იმპორტირებულია $661.0 მლნ-ს თამბაქო და თამბაქოს ნაწარმი, ხოლო ექსპორტმა კი, იმავე პერიოდში მხოლოდ $9.3 მლნ შეადგინა. ამ შემთხვევაში ყველაზე კარგი გამოსავალი თამბაქოს მოხმარების შემცირებაა, მაგრამ სანამ ეს მოხდება, მანამდე სჯობს ადგილობრივად ვაწარმოოთ ეს პროდუქცია, რითაც შევამცირებთ და შესაძლოა აღმოვფხვრით კიდეც უარყოფით სალდოს.

2010-2015 წლებში საქართველოში $941 მლნ-ს ხის ფილების, ფანერების, სამშენებლო ნაწარმის, ავეჯისა და მისი ნაწილების იმპორტი განხორციელდა, რაც ცხრაჯერ აღემატება ექსპორტს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იმავე პერიოდში საქართველოდან გავიდა დაახლოებით $60 მლნ-ს ხის მასალა. ასეთი სავაჭრო პოლიტიკა ეკონომიკურ ლოგიკას მოკლებულია, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ ქვეყნიდან სჯობს გავიდეს მაღალი ფასეულობის მზა პროდუქცია, ხოლო იმპორტირება კი ნედლეულისა სჯობს. რაციონალური მიდგომის შემთხვევაში, საქართველოს შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს ხის პროდუქციის წარმოება, არსებითად ჩაანაცვლოს იმპორტი და ამ მიმართულებით დააბალანსოს კიდეც სავაჭრო სალდო, ამის განცხადების საშუალებას გვაძლევს ის, რომ ტყეს საქართველოში 2.8 მლნ ჰა უკავია, ხოლო ტყის ფონდი 2 მლნ ჰა-ს შეადგენს[7,75გვ.]. საექპლუატაციო ტყეები ტყის მთლიანი ფონდის 38,9%-ია, ანუ ფარავს 780.6 ათას ჰა-ს. საქართველოში მერქნის მთლიანი მარაგი 451.7 მლნ მ3-ია, მათგან გადამუშავებისთვის ხელმისაწვდომია 175.7 მლნ $მ^3$[7,76გვ.], რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და გარკვეული მიმართულებებით ადგილობრივი მოხმარებისთვის საკმარისი, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში 2010-2014 წწ პერიოდში წელიწადში საშუალოდ დაახლოებით 690 ათასი $მ^3$ ხე-ტყე[1] მზადდებოდა.

იმპორტის მაჩვენებლები საქართველოში სასაქონლო პოზიციების მიხედვით [1]

ცხრილი 5

სასაქონლო ჯგუფები	ოთხნიშნა კოდი	2010	2011	2012	2013	2014	2015
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - ცოცხალი, ხორცი	0102, 0201, 0202	12.7	21.0	22.8	18.3	20.1	11.7
ღორი - ცოცხალი, ხორცი	0103, 0203	13.4	19.8	35.6	37.1	39.2	30.2
შინაური ფრინველი - ცოცხალი, ხორცი და სუბპროდ.	0105, 0207	49.3	67.7	72.2	73.5	74.9	55.9
თევზი - ცოცხალი, გაყინული, ფილე, დამარილებული	0301-0305	30.5	34.6	37.5	40.1	35.8	33.6
რძე და რძის პროდუქტები	0401-0406	30.2	34.3	36.9	47.3	49.7	42.6
კარტოფილი, ბოსტნეული, პარკოსნები	0701-0713	32.7	60.3	43.4	47.5	59.4	46.1
ხილი, ციტრუსები არაევზოტიკური	0805-0813	10.3	21.1	18.7	26.0	23.7	21.7
ზეთი მზესუმზირის და ა.შ., მარგარინი	1512, 1517	67.7	81.4	79.7	81.1	65.7	68.6
შაქარი, საკონდიტრო ნაწარმი შაქრისაგან	1701, 1704	88.2	110.6	103.5	87.8	85.3	66.4
ძეხვი და ხორცის კონსერვები	1601-1602	18.9	21.8	20.7	17.5	15.2	12.3
მცენარეული დაკონსერვებული და სხვა, წვენები	2001-2009	24.1	28.0	27.6	30.7	33.6	29.7
საწებლები და საწებლების მოსამზადებელი ინგრედ.	2103	11.6	14.5	14.7	19.3	18.7	15.1
თამბაქო და თამბაქოს ნაწარმი	2401-2403	99.5	105.8	109.8	111.5	125.3	109.1
თაბაშირი, ანჰიდრიტი, ბათქაში, ნაწარმი თაბაშირის	2520, 6809	14.5	20.6	34.4	37.7	43.9	25.1
ცემენტი, ნაწარმი ცემენტის ან ხელოვნური ქვისა	2523, 6810	26.1	31.2	46.4	43.3	32.9	25.5
ელექტროენერგია	2716	13.0	24.3	32.6	30.3	51.0	43.4
ხის ფილები, ფანერები, საშენებლო ნაწარმი	4410-4412, 4418	46.5	64.2	76.8	77.9	89.4	70.2
ტანსაცმელი და სხვა საფეიქრო ნაწარმი	6101-6310	163.5	222.8	230.9	237.9	265.6	227.1
ფეხსაცმელი	6401-6405	50.8	72.9	72.8	75.3	79.7	65.7
ქვა დამუშავებული	6802	8.1	11.0	17.4	10.5	14.3	13.3
მოსაპირკეთებელი ფილები კერამიკული	6907-6908	33.7	45.7	47.4	46.9	54.2	45.3
მინა, მინის ჭურჭელი და მინის ნაწარმი	7001-7020	49.9	62.66	82.5	79.9	87.1	54.4
ავეჯი და მისი ნაწილები	9401, 9403	61.5	80.5	100.1	85.1	105.9	82.8
სულ იმპორტი:		**956.7**	**1256.7**	**1364.4**	**1362.5**	**1470.6**	**1195.8**
სულ ექსპორტი:		**149.9**	**168.3**	**208.9**	**251.4**	**255.9**	**218.5**
წმინდა იმპორტი:		**806.8**	**1088.4**	**1155.5**	**1111.1**	**1214.7**	**977.3**

საქართველოში 2010-2015 წლებში $1765 მლნ-ს ღირებულების ტანსაცმელი, საფეიქრო ნაწარმი და ფეხსაცმელი შემოვიდა. ეს ის სასაქონლო პოზიციებია, სადაც ჩვენ მსხვილ იმპორტს თავიდან ვერ ავიცილებთ, თუმცა, იმპორტისა და ექსპორტის დაბალანსებისკენ სწრაფვა სავსებით რეალურია „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცევლი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმების ფონზე. ეს მიმართულებები ჩვენ მიერ წარმოდგენილი კრიტერიუმების ყველაზე ნაკლებ რაოდენობას აკმაყოფილებს, მაგრამ ზემოაღნიშნული შეთანხმება საქართველოში ბევრ ბრენდს მოიზიდავს, რაც ადგილობრივი ბაზრის სამამულო პროდუქციით გაჯერებასაც შეუწყობს ხელს. ამის ნიშნები უკვე არსეობს, მაგალითად, 2010-2011 წლებში საქართველოდან ტანსაცმლისა და საფეიქრო ნაწარმის $54 მლნ-ს ღირებულების პროდუქციის ექსპორტირება განხორციელდა, ხოლო 2014-2015 წლებისთვის ეს მაჩვენებელი $176 მლნ-მდე გაიზარდა. ფეხსაცმლის ექსპორტი საქართველოდან ჯერჯერობით ვერ არის სათანადო დონეზე, თუმცა, ადგილობრივ ბაზარზე უკვე გამოჩნდა რამდენიმე ბრენდი, რომლებმაც აქვე დაიწყეს წარმოება.

საქართველო მთიანი ქვეყანაა და საკმაოდ მდიდარია ისეთი რესურსებით, როგორიცაა: თაბაშირი, ანჰიდრიტი, ბათქაში, მოსაპირკეთებელი ქვები, ცემენტის, კერამიკული და მინის ნედლეული. მაგრამ მიუხედავად ამისა, 2010-2015 წლებში ის მაინც ახდენდა თაბაშირის და მისი ნაწარმის, ანჰიდრიტის, ბათქაშის, ცემენტისა და მისი ნაწარმის, დამუშავებული ქვის, მოსაპირკეთებელი ფილების, კერამიკული მინისა და მინის ნაწარმის იმპორტს, რამაც $1146 მლნ შეადგინა. ექსპორტი კი იმავე პერიოდში მხოლოდ $158 მლნ იყო. ასეთი დიდი უარყოფითი სალდო აღნიშნული სასაქონლო პოზიციების მიხედვით, ყოვლად მიუღებელია, რადგან ყველა ისინი აკმყოფილებს ჩვენს მიერ მოტანილი კრიტერიუმების დიდ უმრავლესობას, ხოლო უმთავრესი უპირატესობა კი მათ საწარმოებლად საჭირო ნედლეულის საქართველოში არსებული მარაგებია. საქართველოში მოსაპირკეთებელი და საშენი ქვების 231 საბადოა, რაც სხვადასხვა ტიპს მიეკუთნება და დეკორატიული თვისებების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მათი მარაგები ძალზედ მნიშვნელოვანია და ის მთლიანობაში 1.5 მლრდ m^3-ს აღემატება. საქართველოში სამინე და საყალიბე სილის 22 საბადოა და თუმცა ეს მარაგები შეზღუდულია, მაგრამ ის მაინც მთლიანად აკმაყოფილებს საქართველოს მოთხოვნას[7,63გვ.]. საცემენტე კლინკერისთვის აუცილებელია ორი კომპონენტი - კირქვა და თიხა. საქართველოში 9 კირქვისა და 9 თიხის ასეთი საბადოა და მათი მთლიანი მარაგები სავსებით საკმარისია მძლავრი ცემენტის მრეწველობის განვითარებისთვის[7,66გვ.]. ჩვენ ქვეყანაში 45 თაბაშირის, ანჰიდრიტისა და გაჯის საბადოა, რომელთა მთლიანი მარაგი დაახლოებით 70 მლნ ტონაა [7,67გვ.].

წარმოდგენილ სასაქონლო პოზიციებს შორის საქართველოს ყველაზე მაღალი თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი ელექტრონერგიის მიხედვით აქვს. 2014 წელს მოხმარებული ელექტრონერგიის 90%-ზე მეტი ადგილზე იქ-

ნა წარმოებული. ამასთან, საქართველო გარკვეული რაოდენობის ელექტრონერგიის ექსპორტსაც ახორციელებს. მაგალითად, 2010-2015 წლების მიხედვით, ელექტრონერგიის ექსპორტის ღირებულება $157 მლნ იყო, იმპორტისა კი - $195 მლნ. მიუხედავად იმისა, რომ უარყოფითი ბალანსი მინიმალურია და ექვს წელიწადში მხოლოდ $38 მლნ-ს შეადგენს. განახლებადი ელექტრონერგიის წარმოების დიდი რესურსების გამო, საქართველო ვალდებულია ამ პროდუქტით სრულად დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება ეკონომომიკის ზრდის პერსპექტივის გათვალისწინებით. სხვა წყაროებზე რომ არაფერი ვთქვათ, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მხრივ. არსებული შეფასებით, საქართველოს ჰიდროენერგიის სრული პოტენციალი 80 ტერავატ/საათს შეადგენს, საიდანაც, როგორც მიჩნეულია, ეკონომიკურად მიზანშეწონილი პოტენციალი 27 ტერავატ/საათია [8,გვ.3] . ეს მაშინ, როდესაც ელექტრონერგიის მთლიანი წლიური მოხმარება საქართველოში დაახლოებით 10 ტერავატ/საათია [9] .

იმპორტჩანაცვლების პოლიტიკის განხორციელების ზოგიერთი შედეგის შესახებ

იმპორტჩანაცვლების პოლიტიკის განხორციელების სხვადასხვა საშუალება არსებობს და ღონისძიებათა სპექტრი მით უფრო მრავალფერვანია, რაც ჩვენ მიერ მოყვანილ უფრო მეტ კრიტერიუმს აკმაყოფილებს ესა თუ ის სასაქონლო პროდუქცია. ამ მხრივ ერთგვარად საინტერესო ვითარებაც იქმნება. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული საქონლის ადგილობრივი წარმოების ეკონომიკური უპირატესობა ცხადია, მაინც ხდება მისი იმპორტირება. ამ პარადოქსულ ვითარებას რამდენიმე ახსნა აქვს: პირველ რიგში, ესაა იმპორტით დაკავებული ბიზნეს-წრეების ლობისტური გავლენა, რაც ამა თუ იმ ფორმით ხშირად ვლინდება; მეორე, იმპორტს არ სჭირდება რთული ეკონომიკური სისტემების ჩამოყალიბება, ხოლო ლობისტური მხარდაჭერის შემთხვევაში, ის მეტად ადვილად განსახორციელებელია, მაშინ როდესაც ნებისმიერი წარმოების, მათ შორის, ყველაზე მარტივის, გაცილებით რთულია, რადგან ის ზოგჯერ რამდენიმე ათეულრგოლიანი ფასეულობათა ჯაჭვის სისტემების ფორმირებას მოითხოვს; მესამე, იმ ქვეყნების უმრავლესობა, საიდანაც საქართველოში ხდება ამა თუ იმ საქონლის შემოტანა და ეს განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას ეხება, საკუთარი წარმოების პროტექციონისტულ პოლიტიკას ატარებს საქართველოში კი ამგვარი პრაქტიკა გასულ წლებში პრინციპულად უარყოფილი იყო; მეოთხე, საქართველოში ხშირად ხდება მეტად მდარე ხარისხის საქონლის იმპორტი, რისი კონტროლის მექანიზმი, ფაქტობრივად, არ არსებობდა და ესეც წინა ხელისუფლების საეჭვო ეკონომიკური ხედვის შედეგი იყო.

თითოეული ზემოხსენებული პრობლემის დაძლევა გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს, ხოლო იმპორტჩანაცვლების ეფექტის მისაღწევად მათი კომ-

პლექსური განხორციელებაა საჭირო. პირველ რიგში, მთავრობამ გარკვეული ადმინისტრაციული თუ წამახალისებელი ღონისძიებების გატარებით იმპორტით დაკავებული ბიზნესწრეების დაინტერესება იმპორტიდან ადგილობრივი წარმოებისკენ უნდა გადმორთოს.

იქ, სადაც საჭიროა რთული საწარმოო სისტემების ჩამოყალიბება, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ამას და ხშირ შემთხვევაში კი, მათ ფორმირებაში როგორც კოორდინატორმა თუ ორგანიზატორმა მონაწილეობაც მიიღოს. მაგალითის სახით განვიხილოთ შაქრის წარმოება. ეს ბიზნესი ჩვენ მიერ წარმოდგენილ თითქმის ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს. შაქრის ჭარხლის წარმოებისთვის, რომელზეც შაქრის ფასეულობის უდიდესი ნაწილი მოდის, არსებობს შრომითი, მიწის და ბიოკლიმატური რესურსები, წარმოების ტრადიციები და ცოდნა, საქართველოში ზოგადად განვითარებულია სოფლის მეურნეობა. თავად შაქარი არ მიეკუთვნება დიფერენცირებადი პროდუქციის ტიპს, შესაბამისად მისი მარკეტიზაცია ადვილია და ძირითად დანახარჯების მინიმიზებას ეფუძნება. პრობლემა ისაა, რომ ერთ შემომტანს თითქმის მონოპოლიზებული აქვს ბაზარი და არ არის დაინტერესებული ადგილობრივი ნედლეულის ბაზის განვითარებით, რასაც რამდენიმეწლიანი სისტემური ძალისხმევა სჭირდება. სწორედ აქ იკვეთება სახელმწიფოს როლი, მან უნდა დააინტერესოს და ორგანიზება გაუწიოს რამდენიმე ათას ფერმერს; პირველ წლებში უნდა მოახდინოს შაქრის ჭარხლის საცდელი წარმოების სუბსიდირება; რამდენიმე შაქრის ქარხნის მშენობლობისთვის, რაც კონკურენტული გარემოს შექმნისთვისაა საჭირო, უნდა გასცეს მიზნობრივი კრედიტი. შაქრის მოხმარება საქართველოში და შაქრის ქარხნის ოპტიმალური მასშტაბი 2-3 ამგვარი წარმოების არსებობის საშუალებას იძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია და ის შეზღუდულია პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების მხრივ, მაინც არსებობს გარკვეული ბერკეტები, რითაც ადგილობრივი ბაზრის არაჯანსაღი კონკურენციისგან დაცვა შეიძლება. ერთ-ერთი ამგვარი საშუალებაა შემოტანილი პროდუქტის ხარისხის მკაცრი ინსპექტირება. გარა ამისა, იმ ქვეყნებთან, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ეწევიან საკუთარი წარმოების პროტექციონიზმს, აუცილებელია ინდივიდუალური მუშაობა და თუ საჭირო გახდა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ეგიდით გათვალისწინებული სანქციების გამოყენებაც.

დაბოლოს, ჩვენ მიერ განხილული სასაქონლო პოზიციების მიხედვით, საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი, მეტი რომ არ ვთქვათ, ეკონომიკური დანაშაულია. ამ მდგომარეობამ უკვე გამოიწვია მილიარდობით დოლარის დანაკარგი, რომელიც ეკონომიკურ ზრდას შეიძლებოდა მოხმარებოდა. ზარალის მასშტაბის საჩვენებლად შემდეგ მაგალითს მოვიტანთ: განხილულ პერიოდში, საანალიზო სასაქონლო პოზიციების მიხედვით, იმპორტისთვის ქვეყნიდან გავიდა $7.7 მლრდ, ხოლო ექსპორტის გათვალისწინებით ვალუტის წმინდა

გადინებამ $6.4 მლრდ შეადგინა, ანუ ყოველწლიური სავალუტო დანაკარგები $1-$1.25 მლრდ იყო. იმავე პერიოდში საქართველოში განხორციელდა $6.9 მლრდ-ს პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, რაც წელიწადში დაახლოებით $1.15 მლრდ-ს შეადგენს, რის პირობებშიც საქართველოს საშუალოწლიური ეკონომიკური ზრდა დაახლოებით 5% იყო.

ლიტერატურა:

1. http://www.geostat.ge/
2. http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?locations=TM
3. https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/
4. http://stat.wto.org/CountryProfile/WSDBCountryPFReporter.aspx?Language=E
5. http://btq.ge/georgian/home
6. http://www.biubiu.ge/
7. **ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გეგია.** საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბ., ნეკერი, 2011.
8. **მანანა ქოჩლაძე**, , საქართველოს ჰიდროენერგეტიკის სექტორის გამოწვევები, თბ., 2013.
9. საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი, 2014 ელექტროენერგიის და თბოენერგიის მიწოდება და მოხმარება http://www.geostat.ge/

Import Substitution – The Major Reserve of the Georgian Economic Development

Badri Ramishvili

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The paper presents the author's view of the main parameters of the Georgian economic development. In his opinion, Georgia should develop the fast pace of GDP growth to overcome a number of problems, which will enable the country to become equated to the most underdeveloped countries of the EU in 15-20 years in terms of economic development. It requires that the GDP growth rate be reached 7-12%.

The paper analyzes the Georgia's negative trade balance; in particular, it is noted that against the background of the partner countries indicators, the trade balance according to the trade in goods in 2014 was about $5.7 billion, and according to the total trade - $4.35 billion. Such balance of foreign trade indicates not only economic problems, but

also economic structural degradation, and it is caused mainly by large-scale state-political destabilization. To illustrate the damage caused to the Georgia economic development as a result of catastrophic negative trade balance, the author has provided the following indicators: during the period under review, according to the analyzed commodity position, the outflow from the country for import amounted to $7.7 billion, while the net outflow of currency, considering the export, amounted to $ 6.4 billion, or an annual foreign currency losses were $1- $1.25 billion. In the same period, $6.9 billion of foreign direct investment was made in Georgia that amounted about to $1.15 billion in a year, in the conditions when Georgia's average annual economic growth was about 5%.

The author analyzes the Georgia's trade relationships with major trading partners, as well as with those countries with which Georgia had traditional economic ties and also with those who, from a certain point of view, is interesting to study. Through this aspect there are discussed primarily Georgia's trade figures with six of the most important trading partners - the European Union, Turkey, Azerbaijan, China, Russia and Ukraine, and then with the rest of partners. The author, analyzing these indicators, has proposed ways of improving the structure of trade, which in some cases is very relevant. According to the author import substitution measures should be implemented with regard to some countries with which Georgia has a very negative trade balance, in this respect the most distinguished country is Turkey.

In the next part of the work the author has selected the necessary criteria for the formation of analyzed commodity list: the basic means of production (land, primary raw materials, natural-climatic conditions, etc.), the labor resources, auxiliary production, related production, manufacturing traditions, intellectual infrastructure, volume of the locally consumed specific product, value capacity, unique advantage and image. On the basis of these criteria the author identifies 23 commodity position to which in the first place it should be carried out import substitution measures.

The final part of the paper is dedicated to the implementation of import substitution policy and its influence on economic growth. The author explains the paradoxical situation in which local production is possible in one or other direction, but still there is a large volume of imports. In his opinion, this is conditioned by: first, lobbying influence of business circles engaged in import which often manifest itself in one or another form; second, the import does not need the formation of complex economic systems, while in case of lobbying support it is very easy to be implemented, while any production, including the most simple, is more complicated, because it sometimes requires the formation of several ten-linked values chain systems; third, the majority of those countries, from where certain goods flow into Georgia and these are particularly agricultural products, pursue protectionist policy of its own production and such practice in Georgia in the past years was rejected in principle; fourth, in Georgia frequently there is imported poor-quality goods, whose control mechanism, in fact, did not exist and this was the result of the previous government's was doubtful economic vision.

At the end of the article, the author formulates the measures for overcoming of each above mentioned problem and concludes that for achieving import substitution effect it is necessary its complex implementation. First of all, the government through certain administrative and promotional measures should shift the interest of business circles, engaged in import, from import to local production. Secondly, wherever required complex industrial systems, the state should support it, and in many cases in their formation, as a coordinator or organizer should also take part. Despite the fact that Georgia is a member of the World Trade Organization and is limited in respect of protectionist policies, at least there is some leverage, with which it is possible to protect the local market from unhealthy competition. One of the means is strict inspection of the quality of introduced product. In addition, those countries, which are engaged in some form of protectionism of its own production, it is necessary to work individually and, if it becomes necessary, the sanctions can be applied under the auspices of the World Trade Organization.

Keywords: import substitution, economic growth; trade turnover, trade balance, import, export; Import substitution directions.
JEL Codes: F10, F12, F13, O24

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 3, გვ. 71-83
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 3, pp. 71-83

პროგნოზებში დემოგრაფიულ პროცესთა ფაქტორული დეტერმინაციის გამოყენების მეთოდოლოგიური ასპექტები

გიორგი წულაძე

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.
polionlge@wanex.net

ვანო შუშტაკაშვილი

ეკონომიკის დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და
სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე
vano74@mail.ru

ვლადიმერ სულაბერიძე

ეკონომიკის დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და
სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
lado.posta@gmail.com

პროგნოზული გაანგარიშებისას ნაკლებად ან საერთოდ არ გამოიყენება დემოგრაფიულ პროცესთა ფაქტორული დეტერმინაცია, ამიტომ, მოკლე და საშუალოვადიანი პროგნოზები, რომ აღარაფერი ვთქვათ გრძელვადიან პროგნიზებზე, საკმაო ცდომილებით ხასიათდება. შესაბამისად, დემოგრაფიულ პროცესებზე ფაქტორთა გავლენის ძალის შეფასება ინდიკატორების სახით, საშუალებას იძლევა უფრო ზუსტად განვსაზღვროთ დემოგრაფიულ პროცესთა პერსპექტიული განვითარების ჰიპითეზები და გავითვალისწონოთ პროგნოზულ გაანგარიშებებში.

დემოგრაფიულ პროცესებზე (შობადობასა და მოკვდაობაზე) მოქმედ ფაქტორთა შეფასებისას, უნდა გამოვყოთ, ერთი მხრივ, დემოგრაფიულ პროცესთა ისტორიული მოდერნიზაციით განსაზღვრული და მეორე მხრივ, ის არადემოგრაფიული ფაქტორები, რომლებიც არაპირდაპირ გავლენას მოახდენენ მათ ცვლილებებზე მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში.

დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედ არადემოგრაფიულ ფაქტორთაგან ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად ცხოვრების დონე და ფასეულობითი ორიენტაციები წარმოჩინდება, რომელთა გავლენის ძალის შეფასება პერსპექტივაში, როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეზე საკმაოდ რთულია. მისი შეფასების ირიბ სტატისტიკურ მაჩვენებლად, როგორც ინდიკატორები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცხოვრების დონეში აკუმულირებული სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრები, გარდა დემოსტატიკური მონაცემებისა, არადემოგრაფიულ ფაქტორთა გავლენის ძალის შეფასების საშუალებას იძლევა სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდი.

საკვანძო სიტყვები: დემოგრაფიული პროგნოზი; არადემოგრაფიული ფაქტორები; ფასეულობითი ორიენტაციები; დემოგრაფიული ქცევა; რეპროდუქციული ქცევა.

სტატიაში დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედ „წმინდა დემოგრაფიულ ფაქტორებთან ერთად", განვიხილავთ არადემოგრაფიულ ფაქტორთა დეტერმინაციული კვლევის მეთოდოლოგიურ საკითხებს. შესაძლოა, ასეთ მეთოდოლოგიას იყენებს ზოგიერთი მეცნიერი ლოკალურად თავისი ქვეყნის მოსახლეობის პროგნოზის გაანგარიშებისას, მაგრამ იგი როგორც საერთო მეთოდოლოგია, ნაკლებად გამოიყენება ყველა ქვეყნისთვის, რაც აისახება კიდეც ცალკეული ქვეყნის დემოგრაფიული პროგნოზების სიზუსტეზე.

ნაშრომში მოტანილია გაეროს, მსოფლიო ბანკის და აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიუროს გაანგარიშებული დემოგრაფიული პროგნოზების გამოყენებული მეთოდოლოგია და შედარებულია საქართველოში შესრულებულ დემოგრაფიულ პროგნოზთა მეთოდთან, სადაც დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედ „წმინდა დემოგრაფიულ" ფაქტორებთან ერთად, ჰიპოთეზურად გათვალისწინებულია ცალკეული სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგად დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედი არადემოგრაფიულ ფაქტორთა შეფასებითი პარამეტრები.

საქართველოს დემოგრაფიულ პროგნოზებში გამოყენებული დემოგრაფიულ-სტატისტიკური მეთოდები

2006 წლისათვის ცნობილი იყო პროგნოზის 60-მდე კომპიუტერული პროგრამა, მათ შორის ყველაზე ცნობილია MortPak და DemoProj-ი. გაეროს პროგნოზები ძირითადად ეფუძნება ორ პროცესს: 1) ცნობილ და სათანადო ინფორმაციას წასულის შესახებ და 2) ჰიპოთეზებს შობადობის, მოკვდაობისა და საერთაშორისო მიგრაციის შესახებ (World Population Prospects: The 2010 Revision, http://esa.un.org/unpd/wpp/index.htm).

მსოფლიო ბანკის დემოგრაფიული პროგნოზი ძირითადად ეფუძნება გაეროს დემოგრაფიული პროგნოზების საშუალო ვარიანტის ტენდენციებს. აშშ-ის

აღწერის ბიუროს პროგნოზები ეფუძნება კოჰორტ-კომპონენტების მეთოდის გამოყენებასა და დაშვებას შობადობის, მოკვდაობისა და საერთაშორისო მიგრაციის შესახებ.

ჩვენ მიერ, საქართველოზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გაანგარიშებული დემოგრაფიული პროგნოზები პირველად 2001 წელს შესრულდა და მოიცავდა 2005-2020 წლების პერიოდს. მეორე გადასაინჯვა (2002 წ.) ასევე მოიცავდა 2005-2020 წწ., ხოლო მესამე (2003 წ.) უკვე 2005-2050 წლების დემოგრაფიულ პროგნოზს და იგი შესრულებულ იქნა MortPak კომპიუტერული პროგრამით. მეოთხე გადასინჯვა შესრულდა 2007 წელს და ასევე მოიცავდა 2005-2050 წლების პერიოდს და შესრულებულ იქნა იმავე კომპიუტერული პროგრამით. ბოლო გადასინჯვა შესრულებულ იქნა 2010 წელს DemProj კომპიუტერული პროგრამის საფუძველზე.

დემოგრაფიული პროგნოზირებისას გავითვალისწინეთ, ერთი მხრივ, დემოგრაფიულ პროცესებზე ხანგრძლივი პერიოდით მოქმედი ისეთი გლობალური სახის ფაქტორები, როგორიცაა – დემოგრაფიული, ეპიდემოლოგიური, მიგრაციული გადსვალა და მოსახლეობის აღწარმოების ისტორიული ტიპის მოდერნიზაციასთან დაკავშირებული ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების შემცირების ტენდენცია. მეორე მხრივ, საშუალო და მოკლევადიან პერსპექტივაზე მოქმედი რეგიონული და ლოკალური დონის დემოგრაფიულ პროცესთა განსხვავებული ტენდენციები.

გარკვეულწილად შევეცადეთ პროგნოზირებისას გაგვეთვალისწინებინა სოციოლოგიური კვლევებით გამოვლენილი დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედ სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური და სხვა სახის არადემოგრაფიულ ფაქტორთა ზემოქმედების ძალა.

ჩვენ მიერ საქართველოსთვის აგებულ დემოგრაფიულ პროგნოზებში დაშვებულ იქნა შობადობის ჯამობრივი და ასაკობრივი კოეფიციენტების, დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის და საერთაშორისო მიგრაციის გარკვეული ჰიპოთეზები. ამასთან, პროგნოზებისთვის შემუშავებულ იქნა შობადობის ოთხი ვარიანტი: შობადობის საშუალო, დაბალი, მაღალი და უცვლელი დონის. შესაბამისად, გამოყენებულ იქნა შობადობის განსხვავებული ჯამობრივი და ასაკობრივი კოეფიციენტები.

გაეროს 2010 წლის გადასინჯვაში, პროგნოზის სხვადსხვა ვარიანტისთვის, მუდმივად დაშვებულ იქნა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას და საერთაშორისო მიგრაციის სალდო. მისგან განსხვავებით, ჩვენს შემთხვევაში, პროგნოზის სხვადასხვა ვარიანტში გათვალისწინებულია როგორც შობადობის ჯამობრივი და ასაკობრივი კიეფიციენტების, ისე დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის და საერთაშორისო მიგრაციის ცვლადი პარამეტრები.

ჩვენ მიერ დაშვებულ ჰიპოთეზათა შესაბამისად, 2015-2050 წწ. პროგნოზი დაეფუძვნა დაბალი შობადობის, მზარდი მოკვდაობის (მოსახლეობის 1000 სულზე) და მათგან გამომდინარე დაბალი ბუნებრივი მატების პარამეტრებს.

პრობლემას ქმნიდა მიგრაციის აღრიცხვის არასწორი მეთოდოლოგია და მისგან გამომდინარე მიგრაციის არაზუსტი სტატისტიკური მონაცემები. ამ უკანასკნელში აღრიცხული იყო მიგრანტ ვიზიტიორთა საერთო რაოდენობა და არ იყო გამოყოფილი არც მუდმივ, არც დროებით მიგრანტთა რაოდენობა. ამიტომ, 2010 წლის პროგნოზის გადასინჯვისას, საერთაშორისო მიგრაციის სალდოს განსაზღვრისას გამოყენებულ იქნა მიგრაციული გადასვლის თეორიის ზოგადი სქემა.

მიგრაციული გადასვლის თეორია, დემოგრაფიული და ეპოდემოლოგიური გადასვლის მიმდინარეობასთან კავშირით განიხილება. საქართველოს შემთხვევაში დემოგრაფიული გადასვლა ნაკლებ როლს თამაშობს მიგრაციულ გადასვლაზე და არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არადემოგრაფიულ ფაქტორს – სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ცხოვრების დონეს. საქმე ის არის, რომ დემოგრაფიული გადასვლის თვალსაზრისით, საქართველო განვითარებულ ქვეყნებს მიეკუთვნება, ხოლო მიგრაციული გადასვლის თვალსაზრისით – ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, რაც ქვეყნის სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარეობს.

მიგრაციული გადასვლის ზოგადი თეორიის შესაბამისად, მიგრაციის ეტაპობრივი ცვლილება გარკვეულ დროს საჭიროებს და იგი დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე. ამიტომ, მიგრაციის პროგნოზირებისას მთავარი იყო განგვესაზღვრა მიგრაციული გადასვლის ეტაპები და დროითი საზღვრები საქართველოსათვის.

მიგრაციული გადასვლის სქემის შესაბამისად, I ეტაპი საქართველომ გაიარა 1990-იანი წლების შუა პერიოდისათვის და 1997-1998 წლებიდან II ეტაპზე გადავიდა. II ეტაპი პრაქტიკულად დღემდე გრძელდება, 2020 წლიდან მოსალოდნელია III ეტაპზე გადასვლა. დაახლოებით 2025 წლამდე მოსალოდნელია საერთაშორისო მიგრაციის უარყოფითი სალდოს მინიმუმამდე შემცირება და 2025-2030 წლებში მიგრაციის დადებითი სალდოთი შეცვლა. აღნიშნული პერიოდიდან საერთაშორისო მიგრაციის დადებითი სალდო თანდათან ზრდას დაიწყებს.

აღსანიშნავია, რომ ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეფასებითი მონაცემებით 1989-2001 წლებში საქართველოსათვის მიგრაციის უარყოფითმა სალდომ 1025 ათასი, ხოლო 2001-2010 წლებში – 250 ათასი შეადგინა. ამდენად, მთლიანობაში, 1989-2010 წლებში მიგრაციის უარყოფითი სალდო 1 მლნ 275 ათასის ტოლია, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლისგან.

შეფასებითი პროგნოზის სხვადასხვა ვარიანტისათვის 2010 წლის გადასინჯვით მიგრაციის სალდო შემდეგნაირად იქნა განსაზღვრული:

საშუალო ვარიანტით: 2010-2025 წწ. – უარყოფითი სალდო – 155 ათასი კაცი; 2025-2050 წწ. – დადებითი სალდო 195 ათასი კაცი; ხოლო მთელ 2010-2050 წლების პერიოდში – დადებითი მიგრაციული სალდო – 40 ათასი.

დაბალი ვარიანტით: 2010-2025 წწ. – უარყოფითი სალდო – 160 ათასი კაცი; 2025-2050 წწ. – დადებითი სალდო 135 ათასი კაცი; ხოლო მთელ 2010-2050 წლების პერიოდში – უარყოფითი მიგრაციული სალდო – 25 ათასი კაცი.

მაღალი ვარიანტით: 2010-2025 წწ. – უარყოფითი მიგრაციული სალდო – 135 ათასი კაცი; 2025-2050 წწ. – დადებითი მიგრაციული სალდო – 240 ათასი კაცი; 2010-2050 წლების პერიოდში დადებითი სალდო – 105 ათასი.

მუდმივი შობადობის ვარიანტი: აღებული იქნა საშუალო ვარიანტისათვის დამახასიათებელი სიდიდეები.

საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის და ასაკობრივ -სქესობრივი შემადგენლობის პროგნოზის ყველა ვარიანტში გავითვალისწინეთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მოსახლეობა, ანუ პროგნოზები შესრულებულია საქართველოს ტერიტორიის 1989 წლის მდგომარეობით.

გაეროს, მსოფლიო ბანკის და აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიუროს მსგავსად, საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის პროგნოზები მოსახლეობის ბოლო ასაკობრივი ჯგუფის გარდა შესრულებულია 5 – წლიანი ასაკობრივი ინტერვალებით, თუმცა, მათ შორის მეთოდური მიდგომების განსხვავება მოსახლეობის 75 წლის ზემო ასაკის ჯგუფებში აღინიშნება. კერძოდ, გაეროსა და აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიურო პროგნოზს მოსახლეობის ბოლო ასაკობრივი ჯგუფისთვის ანგარიშობს 100 და უფროსი ასაკის მოსახლეობაზე, მსოფლიო ბანკი – 75 და უფროსი ასაკის, ხოლო ჩვენ – 80 და უფროსი ასაკის მოსახლეობაზე. შესადარისად მიჩნეულ იქნა მსოფლიო ბანკის სტანდარტი.

შობადობის, მოკვდაობის და საერთაშორისო მიგრაციის პროგნოზებში მსოფლიო ბანკი არ იძლევა ცოცხლად დაბადებულთა, გარდაცვლილთა და საერთაშორისო მიგრაციის სალდოს აბსოლუტურ რაოდენობას. მათ გასაანგარიშებლად გამოყენებულია შესაბამისი წლების მოსახლეობის რაოდენობის ნამრავლი (შესაბამისად) შობადობის, მოკვდაობის და საერთაშორისო მიგრაციის სალდოს ზოგადი კოეფიციენტებზე.

აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიუროს ცოცხლად დაბადებულთა, გარდაცვლილთა და საერთაშორისო მიგრაციის სალდოს აბსოლუტური რაოდენობა მოცემული აქვს ყოველი ცალკეული წლისათვის.

ჩვენ შემთხვევაში, ზემოთ მოტანილი დემოგრაფიული მაჩვენებლების (შობადობის, მოკვდაობის და საერთაშორისო მიგრაციის სალდო) 6-წლიანი ინტერვალები მიღებულ იქნა, როგორც შესაბამისი ცალკეული 6 წლის საშუალო.

შესაბამისად, მოსახლეობის ბუნებრივი მატება გაანგარიშებულია ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობის სხვაობით. მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება კი მიღებულ იქნა როგორც მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა და საერთაშორისო მიგრაციის სალდოს ჯამი.

გაეროსა და მსოფლიო ბანკის პროგნოზებში მოცემულია მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტები. აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიურო იძ-

ლევა მხოლოდ მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტს. ჩვენ პროგნოზებში კი მოტანილია მოსახლეობის აღწარმოების, როგორც ბრუტო, ისე ნეტო კოეფიციენტები.

დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედ არადემოგრაფიულ ფაქტორთა დეტერმინაცია

თუ დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედ დემოგრაფიულ ფაქტორთა დეტერმინაციისათვის სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება შესაძლებელია, იგი რთულია არადემოგრაფიულ ფაქტორთა დეტერმინაციისას. ამ მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია სოციოლოგიური კვლევის მეთოდით არადემოგრაფიულ ფაქტორთა დეტერმინაცია და მათი შეფასებითი პარამეტრების გათვალისწინება პროგნოზში.

გასათვალისწინებელია ის, რომ არადემოგრაფიული ფაქტორებისგან განსხვავებით, დემოგრაფიული ფაქტორები, ერთი მხრივ, შეიძლება წარმოგვიდგეს როგორც დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედი ფაქტორები, მეორე მხრივ, დემოგრაფიული პროცესების ტენდენციის შედეგი. ამიტომ, პროგნოზირების პროცესში მათი ერთმანეთისგან განსხვავება აუცილებელია. საქმე ისაა, რომ მოსახლეობის აღწარმოების ტიპის ცვლილება განაპირობებს შობადობისა და მოკვდაობის ტენდენციის ცვლილებას, მაშინ როდესაც მოსახლეობის აღწარმოების ერთი ტიპის შიგნით, ისინი წარმოგვიდგებიან დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედ არადემოგრაფიული ფაქტორებად და საშულო და მოკლევადიან პერსპექტივაში ხშირად განსაზღვრავენ რეგიონთაშორის დემოგრაფიულ პროცესთა დიფერენცირებულ დონეს.

რამდენადაც, დემოგრაფიული პროცესების ცვლილებებს ძირითადად დემოგრაფიული ქცევა განსაზღვრავს, შესაბამისად ისინი ამ ქცევის შედეგს წარმოადგენენ. ამ შემთხვევაში იგი წარმოგვიდგება, როგორც ქმედებისა და ურთიერთობების სისტემა, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ შედეგის მისაღწევად შვილთაშობასთან, ქორწინებასთან, ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობასთან მიმართებით. დემოგრაფიულ ქცევაზე დიდადაა დამოკიდებული დემოგრაფიული ვითარების როგორც შენარჩუნება, ასევე ცვლილებაც, ზრდის ან შემცირების მიმართულებით.

შესაბამისად, მიკრო დონეზე დემოგრაფიულ პროცესთა დეტერმინაციის კვლევა, პირველ რიგში, დაკავშირებულია დემოგრაფიული ქცევის გამოვლენასა და ანალიზთან.

მოსახლეობის, ოჯახის და პიროვნების დონეზე შობადობის სიდიდეს ძირითადად ფორმირებული რეპროდუქციული ქცევა განსაზღვრავს. მასზე, როგორც შობადობის დონის განმსაზღვრელ ფაქტორზე, თავის მხრივ, არსებით გავლენას ახდენს სხვადასხვა არადემოგრაფიული ფაქტორები, რომლებიც, თავის მხრივ, მის არაარაპირდაპირ სუბფაქტორებად გვევლინება. შესაბამისად,

შობადობის დონის განმსაზღვრელი რეპროდუქციული ქცევა, თავის მხრივ, განპირობებულია მასზე მოქმედი არადემოგრაფიული სუბფაქტორებით, რომელთა შორისაა: განათლება, დასაქმების ტიპი, ეროვნება, რელიგია, ქორწინებითი მდგომარეობა, ფასეულობითი ორიენტაციები და სხვ.

ჩამოთვლილი სუბფაქტორები, როგორც „უჩინარნი", ირიბად მოქმედებენ შობადობის დონეზე და მათი გამოვლენა შესაძლებელია მათთან დაკავშირებული ცხოვრების წესისა და მოთხოვნილებათა სისტემაში ფასეულობათა ორიენტაციების შესწავლით.

შობადობის დონის არადემოგრაფიულ ფაქტორთა კვლევისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს: ოჯახის და პიროვნების ფასეულობითი ორიენტაციების ინდიკატორები (რომლებიც რეპროდუქციური ქცევის სოციოლოგიური გამოკვლევით შეიძლება მივღოთ), ასევე შობადობის და რეპროდუქციული ქცევის მაჩვენებლები, ამასთან, სასურველია მათი დიფერენცირება მოხდეს მოსახლეობის იმ მაჩვენებელთან, რომლებსაც სუბფაქტორებად მოვიხსენიებთ: განათლების დონე, საცხოვრებელი ადგილის ტიპი, ეროვნება, რომლებიც შეიძლება შევისწავლოთ როგორც მოსახლეობის აღწერის მასალების, ასევე მიმდინარე აღრიცხვის შედეგების და სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე. აღმსარებლობის და რელიგიურობის ხარისხის გავლენა შობადობაზე, შეიძლება გამოვავლინოთ მხოლოდ სოციოლოგიურ-დემოგრაფიული კვლევის შედეგად.

შობადობაზე მოქმედ ფაქტორთა მაკროდონეზე ანალიზისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლების მქონე მოსახლეობის წილი, საშუალოსულობრივი ფულადი შემოსავალი, საშუალოთვიური ნომინალური ხელფასი, საცხოვრებლის საერთო ფართით ერთ სულზე, დასაქმებისა და უმუშევრობის დონე და სხვ.

დემოგრაფიული ქცევის დეტერმინანტთა შორის უნდა გამოვყოთ ოჯახში ფასეულობითი ორიენტაციები და ცხოვრების პირობები. გასათვალისწინებელია, რომ ფასეულობითი ორიენტაციები არსებით გავლენას ახდენს ცხოვრების პირობების აღთქმაზე როგორც დემოგრაფიული ორიენტაციების რეალიზაციის ხელშემწყობ, ან ხელშემშლელ ფაქტორზე [10. 11. 12].

შობადობის განმსაზღვრელ რეპროდუქციული ქცევის ანალიზისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ცხოვრების და მატერიალური დაკმაყოფილების დონესა და ხარისხზე, რამდენადაც რეპროდუქციულ ქცევას ზოგადად განსაზღვრავს არა ამ ფაქტორთა სიდიდე, არამედ მათზე ოჯახის და პიროვნების მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონე. საქმე ისაა, რომ ოჯახის და ინდივიდის მოთხოვნილებათა სისტემაში, ფასეულობათა ორიენტაციების სახით, იერარქიულ დონეზე წარმოგვიდგება ცხოვრების დონე, მატერიალური უზრუნველყოფა, ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება და სხვ. შესაბამისად, რეპროდუქციულ ქცევას განსაზღრავს ის, თუ ფასეულობათა იერარქიაში რომელი ადგილი უჭირავს ბავშვთა ყოლის რაოდენობრივ მოთხოვნილებას [10. 11].

ამიტომ, ოჯახისა და პიროვნების ფასეულობით ორიენტაციებში არსებითი როლი ენიჭება ბავშვთა რაოდენობაზე ორიენტაციას. შეიძლება ოჯახში იყოს 3 ან მეტი რაოდენობის ბავშვზე მოთხოვნილება, მაგრამ მისი რეალიზაციის ხელშემშლელ ფაქტორად მოგვევლინოს ცხოვრების დონე მატერიალურთან ერთად და სულიერი მოთხოვნილებანი, რომელთა შორის ბავშვთა ყოლის რაოდენობრივი მოთხოვნილებაცაა. ფასეულობითა ორიენტაციებში, ბავშვთა ყოლის რაოდენობრივი ორიენტაციის რიგითობა შეიძლება დადგინდეს სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგებით მიღებული ფასეულობათა ორიენტაციების რანჟირებით.

სწორედ ეს მეთოდი დაედო საფუძვლად პროფესორ ავთანდილ სულაბერიძის დემოგრაფიული პოლიტიკის არაორდინალურ წინადადებას, რაც გულისხმობს ავტორიტეტული პიროვნების როლს ოჯახში და ინდივიდში ბავშვთა რაოდენობრივი მოთხოვნილების ფორმირებაში. საქართველოს რეალობაში, შობადობის ზრდის მიზნით, საჭირო იყო ისეთი პიროვნება, რომლის მოწოდებასაც მესამე და მომდევნო რიგითობის ბავშის ყოლის თაობაზე ოჯახი და ინდივიდი გაიზიარებდა. ასეთი პიროვნება კი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია მეორეა. 2007 წლის ნოემბერში, საქართველოს საპატრიარქოში შექმნილ დემოგრაფიულ კომისიაზე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, მის უწმინდესობასა და უნეტარესთან, ილია მეორესთან, ქვეყნის რთული დემოგრაფიული ვითარებიდან გამოყვანის მსჯელობისას, პროფესორმა ავთანდილ სულაბერიძემ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა ავტორიტეტული პიროვნების როლს ოჯახსა და ინდივიდში ბავშვთა რაოდენობრივი მოთხოვნილების ფორმირებაში და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს სთხოვა მოენათლა მესამე და მომდევნო რიგითობის დაბადებული ბავშვი, რაც ხელს შეუწყობდა შობადობის ზრდას ქვეყანაში. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობის და უნეტარესის, ილია მეორის მიერ მოწონებულ იქნა ეს წინადადება და გამოვიდა ინიციატივით (მოწოდებით) ოჯახში მესამე და მომდევნო რიგითობის დაბადებულ ბავშვთა მის მიერ მონათლვაზე. ამ ინიციატივამ (მოწოდებამ) ოჯახისა და პიროვნების ფასეულობათა ორიენტაციებში, ცხოვრების დონის და მატერიალური მდგომარეობის მიუხედავად, წინა პლანზე გადმოიწია ბავშვის ფასეულობა. აღნიშნულის შედეგად, 2007-2014 წწ. საქართველოში დაბადებულ ბავშვთა საერთო რაოდენობაში მესამე და მომდევნო რიგითობის ბავშვთა წილი 7,5%-ით გაიზარდა და 2014 წლისათვის 18,3%-ს მიაღწია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია თანამედროვე ეტაპზე ევროპაში.

ამ ინიციატივამ ხელი შეუწყო ოჯახსა და პიროვნებაში გადავადებული სასურველი რაოდენობის ბავშვთა ყოლის გარკვეულ რეალიზაციას, ანუ დაიბადა ის რაოდენობა, რომლებზედაც არსებობდა მოთხოვნილება, მაგრამ შეიძლება არ დაბადებულიყო. პატრიარქის ინიციატივამ (მოწოდებამ) კი გაზარდა ბავშვის

ფასეულობის ხარისხი ოჯახში და სტიმული მიეცა უკეთესი მერმისისათვის გადავადებულ ბავშვის ყოლას. აღნიშნულის შედეგად, 2007 წლიდან 2014 წლისთვის, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის შეფასებითი მაჩვენებელი 1,76-დან 2,33-მდე (ოფიციალურად 1,45-დან – 2,19-მდე) გაიზარდა, ხოლო მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის შეფასებითი მაჩვენებელი 0,89-დან 1,11-მდე ((ოფიციალურად 0,67-დან – 1,04-მდე) გაიზარდა.

ამ მოულოდნელმა დემოგრაფიულმა „გარდატეხამ" პროგნოზით მოსალოდნელი დეპოპულაცია, გაფართოებული აღწარმოების დონით შეცვალა. რთულია განსაზღვრო, როდემდე გაგრძელდება ეს „დემოგრაფიული ფანჯარა", მაგრამ თუ გავითვალისწინებთ რეპროდუქციული ქცევის ინერციულობას, ეს ვითარება 2020 წლამდე მაინც უნდა გაგრძელდეს. ამას ადასტურებს 2014 წელს ჩვენ მიერ საქართველოს ქალაქებში (მსხვილი, დიდი, საშუალო და პატარა) ჩატარებული დემოსოციოლოგიური გამოკვლევისას დაფიქსირებული მოსალოდნელ ბავშვთა რაოდენობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი – 2,5 ბავშვი. თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი თითქმის სასურველ ბავშვთა რაოდენობის (2,6 ბავშვი) ტოლია, ზემოთ გამოთქმული ჰიპოთეზა საფუძველს მოკლებული არ არის. ყოველივე აღნიშნული კი გასათვალისწინებელია შობადობის ახალი პროგნოზის შემუშავებისას.

მოკვდაობის პროგნოზირებისას, დემოგრაფიულ მაჩვენებლებთან შედარებით, ნაკლები ყურადღება ექცევა მოსახლეობის თვითმოვლითი ქცევის, როგორც ენდოგენური და ეგზოგენური არადემოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებას. იგი, რეპროდუქციული ქცევის მსგავსად, ასევე დეტერმინირებულია ცხოვრების დონით და ფასეულობითი ორიენტაციებით მიუხედავად ამისა, რეპროდუქციული ქცევისგან განსხვავებით, იგი დეტერმინანტის სახით უფრო მეტ კომპონენტებს შეიცავს. თუ რეპროდუქციული ქცევა ძირითადად დაკავშირებულია მხოლოდ ბავშვთა ყოლის მოტივებთან, თვითმოვლითი ქცევა, როგორც ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის მოთხოვნილების მოტივაცია, მასთან შედარებით უფრო მაღალია და მისი დაკმაყოფილებას საშუალებებიც გაცილებით ბევრია.

თვითმოვლითი ქცევის შემადგენელ კომპონენტებზე როგორც დეტერმინანტზე, არსებით გავლენას ახდენს ცხოვრების დონე და მისი განმსაზღვრელი სუბფაქტორები. კერძოდ, დღის რეჟიმი, კვება, სამედიცინო მომსახურების დონე და ხარისხი, შრომის პირობები, სპორტული დატვირთვა და ა.შ.

ისევე, როგორც ბავშვთა ყოლის მოთხოვნილებას, ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებას და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მოთხოვნილებას ასევე გარკვეული ადგილი უკავია მოთხოვნილებათა სისტემაში. ბუნებრივია, სხვა მოთხოვნილებებთან შედარებით ეს მოთხოვნილებები იერარქიულად მაღლა დგას და გაცნობიერებული თვითმოვლითი ქცევის შემთხვევაში უპირველესია, რაც თვითმოვლითი ქცევის მოტივაციად აღიქმება. შესაბამისად, ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი სიცოცხლის შენარჩუნების გზების მრავალგვარობა გა-

ნაპირობებს მათი მოტივაციის ფართო სპექტრს და მათ ურთიერთკავშირს. ყოველივე ზემოთქმულის გამოვლენა მხოლოდ სოციოლოგიური კვლევითაა შესაძლებელი, რომლის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება განვსაზღვროთ სუბფაქტორების გავლენის პარამეტრები ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, რაც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოკვდაობისა და დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის პროგნოზებში.

დემოგრაფიული ქცევის მსგავსად, პიროვნების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ასევე განსაზღვრავს მიგრაციულ ქცევასაც. მიგრაციულ ქცევას დემოგრაფიულ ფაქტორებთან შედარებით ბევრად უფრო არადემოგრაფიული ფაქტორები განაპირობებს. მას, თავის მხრივ უკეთეს გარემოში და უკეთესი ცხოვრების დონის პირობებში ცხოვრების მოთხოვნილება განსაზღვრავს. მიგრაციაზე მოტივები და მოთხოვნილების დაკმაყოფილება დამოკიდებულია უკვე ოჯახის და პიროვნების შესაძლებლობაზე.

შესაძლებელია მიგრაციის მოტივაცია არსებობდეს, მაგრამ მიგრაცია სხვა ადგილზე მასზე ისევე სხვა მოტივით არ შედგეს, ან გადავადდეს. მიგრაციაზე მოქმედ ფაქტორთა დეტერმინანტები სუბფაქტორების სახით ასევე მრავალგვარია და რომელიმეს ან რამდენიმე მათგანის დაკმაყოფილებამ მიგრაციაზე მოტივაცია შეიცვალოს.

შესაძლებელია არ არსებობდეს მიგრაციაზე მოთხოვნილება და მოტივაციაც, მაგრამ იგი კონფლიქტების, დევნისა და ომის გამო გაუთვალისწინებლად ძალის გამოყენებით განხორციელდეს. ამის მაგალითია საქართველოს დაკარგული ტერიტორიებიდან დევნილები, რომ აღარაფერი ვთქვათ, სხვა ქვეყნებში არსებული კონფლიქტებით გამოწვეული მიგრაციაზე [13].

მიგრაციული პროცესების პროგნოზირებისას, სოციოლოგიური გამოკვლევით თუ შესაძლებელია მშვიდობიან პერიოდში მიგრაციული ქცევის მოტივაციათა გათვალისწინება, ამას ვერ ვიტყვით ძალისმიერ მიგრანტზე. მიგრაციის მოტივაციებიდან გამომდინარე, პროგნოზირებისას გასათვალისწინებელია რეგიონის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები, რომლებიც გარკვეულწილად განაპირობებს მიგრაციის ჰინდერლანდს, დროის ხანგრძლივობას და სახეს. მიგრაციის მოტივაციებიდან ძირითადად უნდა გამოვყოთ: განათლების მიღება, შრომითი მოწყობის შესაძლებლობა, უკეთესი კლიმატური პირობები, ურბანიზაციის დონე და სხვა, რაც პროგნოზირების პროცესში ინდიკატორების სახით შეიძლება იქნეს გამოყენებული.

კვლევის ზოგიერთი შედეგი

გაეროს, მსოფლიო ბანკის და აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიუროს პროგნოზები საქართველოს დემოგრაფიულ ვითარებაზე, ძირითად კეთდება „საქსტატის“ ოფიციალური დემოსტატისტიკურ მონაცემებზე და არ ითვალისწინებს არადემოგრაფიულ დეტერმინანტებს. მათგან განსხვავებით, ილიას სა-

ხელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტში, ყოველწლიურად ხდება ოფიციალური სტატისტიკის შეფასება. საქმე ისაა, რომ ოფიციალურ სტატისტიკაში, კანონიდან გამომდინარე, ვერ ითვალისწინებენ იმ დემოგრაფიულ შემთხვევებს, რომლებიც აღრიცხვაში ვერ ხვდება (მაგ., ბინაზე დაბადება, გარდაცვლილთა რეგისტრაცია და სხვ.). ეს დაადასტურეს საერთაშორისო ორგანიზაციებმაც. აღნიშნულიდან გამომდინარე ზუსტდება დემოგრაფიულ შემთხვევათა რაოდენობა შეფასებითი მაჩვენებლების სახით, რომლის საფუძველზე, არადემოგრაფიულ ფაქტორთა მათზე ზემოქმედების გათვალისწინებით სრულდება დემოგრაფიული პროგნოზები.

საქართველოზე, 2010 წლის გადასინჯვით (გადასინჯვები სრულდება 2 წელიწადში ერთხელ), სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ „საქსტატის“ ოფიციალურ მონაცემების საფუძველზე, და ჩვენ მიერ [1] შეფასებით დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე 2010-2015 წლებისათვის გაკეთებული პროგნოზები მოტანილია ცხრილში, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ შეფასებითი დემოგრაფიული მაჩვენებლების საფუძველზე შესრულებული პროგნოზი დიდად უფრო ახლოა 2014 წლის მოსახლეობის აღწერის ფაქტობრივ მაჩვენებელთან (3713, 8 ათასი კაცი), ვიდრე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების.

მოსახლეობის რაოდენობა 2010-2015 წწ. სხვადასხვა დემოგრაფიული პროგნოზით (საშუალო ვარიანტი) და 2014 წლის მოსახლეობის აღწერით (ფაქტობრივი)

	პროგნოზი				2014 წლის მოსახლეობის აღწერით (ფაქტობრივი)
	გაერო	მსოფლიო ბანკი	აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიურო	გ. წულაძე	
მოსახლეობის რაოდენობა (ათასი) 2010-2015 წწ.	4225.0	4078.0	4525.0	3905.0	3713.0
სხვაობა პროგნოზსა და მოსახლეობის 2014 წლის აღწერას შორის (ათასი)	512.0	365.0	812.0	192.0	-

კერძოდ, 2010-2015 წლებში სხვადასხვა პროგნოზით (საშუალო ვარიანტი), საქართველოს მოსახლეობა უნდა ყოფილიყო: გაეროს პროგნოზით – 4225 ათასი კაცი, მსოფლიო ბანკის – 4078 ათასი, აშშ მოსახლეობის აღწერის ბიუროს – 4525 ათასი, ხოლო გიორგი წულაძის მიერ შეფასებითი მონაცემებით გაანგარიშებული პროგნოზით – 3905 ათასი კაცი [9]. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ანუ 2014 წლის მოსახლეობის რაოდენობა) საქართველოს მოსახლეობამ 3756,1 ათასი კაცი შეადგინა, სხვაობა უფრო ნაკლებია – 148,9 ათასი კაცი.

ლიტერატურა:

1. წულაძე გ. საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები: 2015-2300 წწ. თბილისი, 2013.
2. Tsuladze, G., Maglaperidze, N. (2001). Population Prospects of Georgia. Tbilisi: RTI Project.
3. Tsuladze, G., Maglaperidze, N., Vadachkoria, A. (2002). Demographic Yearbook of Georgia 2001. Tbilisi. Scientific Publishing Centre. GCL.
4. წულაძე, გ. სულაბერიძე, ა. მაღლაფერიძე, ნ., მამარდაშვილი, გ. (2008). საქართველოს დემოგრაფიული განვითარება: გუშინ, დღეს, ხვალ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი. UNFPA
5. Tsuladze G., Maglaperidze N., Vadachkoria A. (2003). Population Prospects of Georgia. 2003 Revision. UNFPA, Tbilisi.
6. Tsuladze G., Sulaberidz A., Maglaperidze N., Mamardashvili G. Demographic Development of Georgia: Yesterday, Today, Tomorrow. Tbilisi, Ilia State University
7. წულაძე გ. (2011). მსოფლიოს დემოგრაფიული განვითარება (1950-2050 ტ. II. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. გვ. 589-592.
8. არხანგელსკი ვ.ნ. დემოგრაფიულ პროცესთა დეტერმინაციის კვლევის მეთოდოლოგიური საკითხები. კრებული: დემოგრაფიული პროცესების დეტერმინაცია. მოსკოვი, 2012 წ. (რუსულ ენაზე).
9. მედკოვი ვ. მ. ორწლიანი ქალაქური ოჯახის რეპროდუქციული ქცევა და ცხოვრების დონე. // ქორწინების, ოჯახის, შობადობის და რეპროდუქტიული განწყობის სოციალურ-დემოგრაფიული გამოკვლევები. ერევანი, 1983, გვ. 138-139.
10. შუშტაკაშვილი ვ., წიკლაური შ. შობადობა და რეპროდუქციული ქცევა საქართველოს ქალაქებში. კრებული: დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. თბილისი, 2014. გვ. 63-75.
11. გომელაური ნ. ოჯახის ალტერნატიული ფორმები და რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობა. კრებული: დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. თბილისი, 2014. გვ. 76-87.
12. სულაბერიძე ა. ფიქრები ქართულ ოჯახზე და დემოგრაფიაზე. მონოგრაფია. თბილისი, 2007 წ. 490 გვ.
13. Sulaberidze A.. Distored migration terms: cui bono? The Caucasus Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. V. 2. Issue 1. Sweden. 2008, p. 82.

Factual Determination Methodology Aspects of Demographic Processes in Forecasts

Giorgi Tsuladze
Doctor of Historical Sciences, Professor
Ilia State University
polionlge@wanex.net

Vano Shushtakashvili
Doctor of Economic
Ilia State University Institute of Demography and Sociology, Deputy Director
vano74@mail.ru

Vladimer Sulaberidze
Ilia State University, Institute of Demography and Sociology, Researcher
lado.posta@gmail.com

Predictive calculation is less or not used demographic factor determination process, so the short and medium-term forecasts are characterized with significant errors, not to mention the long-term forecasts. Accordingly, the impact of demographic factors on the process of force rate indicators of demographic processes makes it possible to more accurately take into account the long-term development of a hypothesis and prognostic estimates.

Demographic processes (fertility and mortality) of the factors in assessing the need to distinguish between the demographic processes of modernization of the historic and decisive on the other hand - it's non factors that indirectly influence the changes in the short and medium term.

Demographic processes operating on one of the main factors of non factor in living standards and values orientations shown that the influence of the force of the run rate, both macro and micro levels is difficult. His assessment of indirect statistical data, can be used as indicators of the living standards of the accumulated socio-economic parameters, in addition to data non demo-static factors influence the force allows the assessment of sociological research methods.

Keywords: demographic prognosis, non-demographic factors, living standard, valuable orientations, demographic conduct, reproductive conduct
JEL Codes: J10, J11, E17

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 3, გვ. 84-98
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 3, pp. 84-98

მმართველობის დეცენტრალიზაციის მექანიზმი ბიუჯეტთაშორის ურთიერთობათა სისტემაში

მარინა ტაბატაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის
ასისტენტ-პროფესორი
tabatadze_marina@yahoo.com

სტატიაში განხილულია საბიუჯეტო ურთიერთობების ეკონომუკურ-სამართლებრივი საფუძვლები, მმართველობითი უფლებამოსილებების დელეგირების მექანიზმები და საბიუჯეტო მოწყობის კონცეპტუალური საკითხები საქართველოში. მოცემულია დეცენტრალიზაციის პრინციპები, მისი მნიშვნელობა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში და ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური უზრუნველყოფის სფეროში, განხილულია რაციონალური სივრცითი დაგეგმვის მაკროეკონომიკური ფაქტორები, ქვეყნის ტერიტორიული ორგანიზების და სახელისუფლებო ფუნქციების რანჟირების პრინციპები. სტატიაში სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკა წარმოდგენილია როგორც ცენტრალურ ხელისუფლებასა და ტერიტორიულ ერთეულებს შორის ფინანსური რესურსების გადანაწილების და საბიუჯეტო დონეებს შორის ურთიერთდამოკიდებულების მექანიზმი. მოცემულია სახელმწიფოს მხრიდან რეგიონებისათვის ეფექტიანი ფინანსური მხარდაჭერის კონცეპტუალური მიდგომები და ევროგაერთიანების ძირითადი სტანდარტები. საქართველოს რეგიონალიზაციის ძირითად ტენდენციებთან და არსებულ პრობლემებთან ერთად, სტატიაში წარმოდგენილია სათანადო რეკომენდაციები და საკითხისადმი ახლებური მიდგომები.

საკვანძო სიტყვები: მმართველობის დეცენტრალიზაცია; რაციონალური სივრცითი დაგეგმვა; თვითმმართველი სუბიექტი; ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები; ფისკალური პოლიტიკა, სატრანსფერო პოლიტიკა, მუნიციპალური სერვისები; ექსკლუზიური ეფლებამოსილების მინიმალური სტანდარტები.

ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და მმართველობითი სისტემის ვერტიკალიზაციის საკითხი საქართველოში კვლავ ინარჩუნებს აქტუალურობას და მეცნიერული კვლევების ერთ-ერთ მიმართულებად განიხილება. ეს თემატიკა უშუალოდ უკავშირდება დეცენტრალიზაციის პრობლემას და ასახავს ურთიერთდამოკიდებულების მექანიზმებს სახელმწიფოსა და ტერიტორიულ ერთეულებს შორის. კვლევის მნიშვნელობას ისიც განაპირობებს, რომ დეცენტრალიზაციის უნივერსალური მოდელის შექმნა, პრაქტიკულად, შეუძლებელია, რამდენადაც ყველა ქვეყანას თვითმმართველობის სტრუქტურირების საკუთარი ისტორია და სპეციფიკა გააჩნია, ამდენად, ყოველმა მათგანმა ინდივიდუალურად უნდა განსაზღვროს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების გამიჯვნის პრინციპები და თვითმმართველობების ავტონომიურობის ხარისხი.

განვითარებულ საზოგადოებაში დეცენტრალიზაცია განიხილება როგორც მმართველობის დემოკრატიული მოდელის ძირითადი მდგენელი და საბიუჯეტო ფედერალიზმის მთავარი პრინციპი, რამდენადაც, მმართველობითი უფლებამოსილებების დეკონცენტრაციის პროცესი ადგილობრივ და რეგიონულ დონეებს უზრუნველყოფს იმ აუცილებელი სამართლებრივი თუ ინსტიტუციური გარემოთი, რომელშიც მათ უწევთ ფუნქციონირება, ამდენად, მისი პრობლემატიკის შესწავლა აქტუალურია ჩვენს პირობებშიც, ამასთან დაკავშირებით, მეცნიერული კვლევის მნიშვნელოვანი მიმართულება ქვეყნის სივრცითი მოწყობის კონცეპტუალური საკითხები და მმართველობითი დონეების უფლებამოსილებათა რეალიზების მექანიზმებია.

სახელმწიფოს სახელისუფლებო მოწყობასთან დაკავშირებულია რეგიონული პოლიტიკა, რომელმაც ქვეყნის ტერიტორიული ორგანიზება და სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციების რანჟირება იმგვარად უნდა მოახდინოს, რომ, ერთი მხრივ, დაცული იყოს სახელმწიფო მართვის შიგა სტრუქტურის ერთიანობა და, ამასთან, უზრუნველყოფილი იქნეს თვითმმართველი ერთეულების დამოუკიდებლობა [1.გვ.19-20]. რეგიონალიზმი, როგორც ქვეყნის ტერიტირიული მოწყობის კონცეფცია, ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტას, ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად, თვითმმართველ სუბიექტებს აკისრებს. ამ კონცეფციის მიხედვით, მუნიციპალიტეტების დამოუკიდებლობის ხარისხი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და მისი პერსპექტივების არსებით ფაქტორად მიიჩნევა, მაგრამ დეცენტრალიზაციის ხარისხიც ოპტიმიზებას მოითხოვს, რამდენადაც, ადგილობრივი ბიუჯეტების აბსოლუტური დამოუკიდებლობა რეგიონების განვითარებაში მკვეთრად გამოხატულ დიფერენციაციას და სოციალურ-ეკონომიკური პირობების დისპროპორციას იწვევს, ამასთან, გამოთანაბრებითი ფინანსური ურთიერთობა ტერიტორიული ერთეულებისათვის ასიმეტრიულ საშეღავათო გარემოს ქმნის, რაც წინააღმდეგობაში მოდის რეგიონალიზმის ევროპული სტანდარტებით განსაზღვრული დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებთან. ამდენად, ვერტიკალური მმართველობის

დეცენტრალიზაციის პრინციპების და მისი ფინანსური უზრუნველყოფის შესწავლა კვლავ ინარჩუნებს აქტუალურობას და იგი მეცნიერული კვლევის მნიშვნელოვან მიმართულებად განიხილება.

რეგიონალიზაციის სამართლებრივი, ინსტიტუციური და ეკონომიკური საფუძვლები

ერთ-ერთ ძირითად საკითხად რეგიონების ეკონომიკურ-სამართლებრივი საფუძვლების მის ინსტიტუციურ სისტემასთან ჰარმონიზება განიხილება, რაც რეგიონული ურთიერთობების საკანონმდებლო რეგულირების ევროსტანდარტებს უნდა შესაბამებოდეს. ტერიტორიული ერთეულების განვითარებაში ცენტრალური ხელისუფლების როლი, უპირველესად, სწორედ, სამართლებრივი ნორმების და ინსტიტუციური მექანიზმების შექმნაში მდგომარეობს. სისტემური ტრანსფორმაციის პროცესში მნიშვნელოვან ფუნქციას ინარჩუნებს სახელმწიფო რეგულატორები, მათ შორის, ყველაზე აქტიური საბიუჯეტო ურთიერთობათა განსაზღვრის მექანიზმია, ამ ურთიერთობის ამოსავალი პრინციპია ის, რომ მუნიციპალური შემოსავლების ფორმირება უშუალოდ არის დაკავშირებული ცენტრალური ხელისუფლების ფინანსურ მხარდაჭერასთან, მის მიზნობრივ პრიორიტეტებსა და ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენების სტრატეგიასთან. ცენტრისა და ტერიტორიული ერთეულების ფინანსური ურთიერთობის საფუძვლად ფისკალური დეცენტრალიზაცია განიხილება, რაც კიდევ ერთხელ უსვამ ხაზს სახელმწიფო -რეგიონის ურთიერთობაში დემოკრატიული პრინციპების მნიშვნელობას. რეგიონული განვითარების საკითხებისადმი ჩვენი ხელისუფლების კონცეპტუალური მიდგომები ასახულია „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროექტში-„საქართველო 2020“, კერძოდ მითითებულია, რომ ქვეყნის მდგრადი განვითარების გადამწყვეტ ფაქტორებს დეკონცენტრირებული მმართველოობითი სისტემა და ამ სფეროში ინოვაციური მიდგომების დანერგვა წარმოადგენს [2].

რაციონალური სივრცითი დაგეგმვა რეგიონის შედარებითი უპირატესობების კომპლექსურ შესწავლას და ეფექტიან გამოყენებას მოითხოვს. ამ საკითხში იგი ემყარება ევროკავშირის იმ მიდგომებს, რომელიც რეგიონალიზაციის პროცესში ქვეყნის ტერიტორიის ერთიანობის განმტკიცებას და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის პირობების შექმნას ითვალისწინებს. ამ მიზნით, ევროსაბჭოსთან არსებული ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი აყალიბებს თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის ძირითად მოთხოვნებს და კონცეპტუალურ მიდგომებს, რომლის ამოსავალ პრინციპს სხვადასხვა ქვეყანაში ევროსტანდარტების ადაპტირების პროცესში ადგილობრივი სპეციფიკის მაქსიმალური გათვალისწინება და ურთიერთობათა სამართლებრივი საფუძვლების ჰარმონიზება შეადგენს [3]. ამ პრინციპიდან გამომდინარეობს ქვეყნის ვერტიკალური სტრუქტურირების პრო-

ცესში უნიფიცირებული სტანდარტების არარსებობა და, შესაბამისად, ცალკეული ქვეყნისათვის ინდივიდუალური მიდგომების ჩამოყალიბების მოთხოვნაც, რაც ამაღლებს ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობას რეგიონებთან ურთიერთობის სტრატეგიის განსაზღვრაში, მისი ძირითადი პრინციპების და პრიორიტეტების ჩამოყალიბებაში. სწორედ ინდივიდუალურ გადაწყვეტათა პრიორიტეტულობა განაპირობებს უფლებამოსილებათა დეცენტრალიზაციის კვლევის მნიშვნელობას როგორც მეცნიერული კუთხით, ასევე სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ფორმირების თვალსაზრისითაც.

ოპტიმალური რეგიონული პოლიტიკის და ფინანსური დეცენტრალიზაციის რაციონალური მექანიზმების შემუშავება ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ეს პროცესი ხელისუფლებასა და თვითმმართველობას შორის ფინანსური ინსტრუმენტების სწორ გადანაწილებას და სახელმწიფოს მხრიდან რეგიონებისათვის ეფექტიან ფინანსურ მხარდაჭერას ემყარება. იგი, ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურ გამოყენებასა და სტაბილური ბიზნეს-გარემოს შექმნასთან ერთად, პრიორიტეტული დარგების მხარდაჭერას ითვალისწინებს და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

მმართველობის დეცენტრალიზაციის პრინციპი უნდა შეესაბამებოდეს ცალკეული რეგიონის განსხვავებულ პოტენციალს და მათ მიმართ ცენტრალური ხელისუფლების არაერთგვაროვან ინტერესებს. იგი აუცილებლად უნდა ასახავდეს რეგიონული განვითარების უთანაბრობის დასაძლევად სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებას და იმ ეაქტორებს, რომლებიც ამ უთანაბრობას განაპირობებს: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე და ტენდენციები, სახელმწიფო მოწყობის ტიპი, სახელისუფლებო პოლიტიკური პარტიების მიზნები, რეგიონების რესურსული, ბუნებრივ-კლიმატური, სამეწარმეო და ცხოვრების განსხვავებული პირობები, ცალკეული რეგიონის პერიფერიული განლაგება, ტექნოლოგიური განვითარების დონე და ინოვაციური შესაძლებლობები, ინსტიტუციური ფაქტორები, რეგიონული ავტონომიის და ურბანიზაციის დონე, მოსახლეობის განათლების დონე და სხვა.

რეგიონული მართვის მეთოდოლოგიური საფუძვლები

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების მეთოდოლოგია ზოგად-სისტემურ /რეგულაციური, კონკურენტული/ და სელექციურ მიდგომებს განიხილავს [4]. გადსისტემური პოლიტიკის მიზანია რეგიონული განვითარების ინსტიტუციური გარემოს შექმნა, რაც ყველა რეგიონზე თანაბარზომიერ გავლენას ითვალისწინებს და ემყარება რეგულაციური, კონკურეტული ან შერეული ტიპის პოლიტიკის გამოყენებას. უნიტარული სახელმწიფოებისათვის /მ.შ. საქართველო/ დამახასიათებელია რეგულაციური პოლიტიკის ტიპი, სახელმწიფოს დომინანტური როლით და მასზე ფუნქციურად დაქვემდებარებული რე-

გიონებით. რეგიონული პოლიტიკის გატარებისათვის ხელისუფლება ემყარება ექსკლუზიურ რეგულაციებს, მათ შორის ყველაზე ქმედითი ინსტრუმენტი ფინანსებია, ამ მექანიზმით მანიპულირებისათვის იგი იყენებს საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტებს, ტრანსფერებს, დოტაციებს, სოციალური დაცვის გადასახადებს, ზოგადად, საგარეო-ეკონომიკურ, საინვესტიციო, შემოსავლების რეგულირების, მონეტარულ და ფისკალურ ინსტრუმენტებს. კონკურენტული ტიპის პოლიტიკის დროს მთავარ ძალად რეგიონები გვევლინება, ცენტრალური ხელისუფლება კი საკანონმდებლო ფუნქციას ინარჩუნებს და არ მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც დამახასიათებელია, უპირატესად, ფედერალური სახელმწიფოებისათვის.

სელექციური /შერჩევითი/ პოლიტიკა შეიძლება იყოს მხარდამჭერი ტიპის (დეპრესიული რეგიონებისათვის) ან შემზღუდველი (მაღალორგანიზებული რეგიონებისთვის) [5,გვ. 60]. თავის მხრივ, სელექციური პოლიტიკა შეიძლება იყოს პოლარიზებული ან გამოთანაბრებითი: პირველი ითვალისწინებს ერთი ან რამდენიმე, შედარებით მაღალი ეკონომიკური და საინვესტიციო პოტენციალის მქონე რეგიონის პრიორიტეტულ მხარდაჭერას სხვა რეგიონების ხარჯზე, გამოთანაბრებითი სელექციური პოლიტიკა კი ემსახურება რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეების და მათი პოტენციალის გამოთანაბრებას. ასეთი პოლიტიკა, როგორც წესი, პრობლემური რეგიონებისთვის არის დამახასიათებელი.

სახელმწიფოების განვითარების სპეციფიკიდან და ისტორიული ტენდენციებიდან გამომდინარე, განსხვავებულია რეგიონების მართვის პროცესები და არსებული ტრადიციები. უაღრესად მნიშვნელოვანია ამ საკითხში სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება, კერძოდ, საფრანგეთში პირველად შეიქმნა რეგიონული კვლევების ერთიანი სისტემა, ეს იყო "ყველაზე უფრო შრომისუნარიანი რეგიონული დაგეგმვის სისტემა, რომელსაც ხელეწიფებოდა პროგნოზებში გათვალისწინებული ღონისძიებების რეალურ ხორცშესხმამდე მიყვანა" [6.გვ.15]. XXს. 60-იან წლებში საფრანგეთში მანამდე არსებული დეპარტამენტების ნაცვლად, განხორციელებული ახალი ადმინისტრაციული დაყოფით, გამოიყო 22 რეგიონი (რაიონი), ეს რეგიონები აქტიურად მონაწილეობდნენ 1966-1970 წლების საფრანგეთის ეროვნული გეგმის შედგენაში, შეიქმნა რეგიონების საბჭო, რომელიც რეგიონის განვითარების გეგმას ქვეყნის მთავრობას /რეგიონული განვითარების კომიტეტს/ წარუდგენს. დაგეგმვის გენერალური კომისარიატი რეგიონების განვითარების გეგმას და მასში მოცემულ პრიორიტეტებს საფრანგეთის ეკონომიკის განვითარების გენერალურ გეგმაში ასახავს. მთავრობის გადაწყვეტილებით დამატებითი სახსრები გამოიყოფა დეპრესიული რეგიონებისთვის. 1963 წლიდან საფრენგეთში ფუნქციონირებს სააგენტო DATAR – Delegation a L'amenagement du terr; tore problem რომელიც რეგიონული პრობლემების გადაწყვეტაზეა ორიენტირებული.

დიდი ბრიტანეთი XXს. 60-იანი წლების მეორე ნახევარში დაიყო 11 ეკონომიკურ რეგიონად დაგეგმვის ადგილობრივი საბჭოებით, 1963 წელს შემუშავ-

და განვითარების გრძელვადიანი პროგრამები ცენტრალური შოტლანდიისათვის, დიდი ბრიტანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონისა და უელსისათვის. 80-იან წლებში კონსერვატორებმა შეადგინეს რეგიონული განვითარების ახალი პროგრამა, 1993 წელს არჩეული იქნა ჩრდილოეთ ირლანდიის, უელსის ანსამბლეები და შოტლანდიის პარლამენტი, გაფართოვდა საგრაფოების და მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებებიც, განვითარებად რეგიონებს ცენტრალური ხელისუფლებიდან გამოეყო სუბსიდიები.

გერმანიის მთავრობა გაერთიანებამდე განსაკუთრებულ ყურადრებას აქცევდა დეპრესიულ სამრეწველო რაიონებს, სადაც მასტიმულირებელ პოლიტიკას ახორციელებდა. ქვეყნის გაერთიანების შემდეგ შემუშავდა ახალი რეგიონული პოლიტიკა, რომელიც ძირითადად ინფრასტრუქტურის გაფართოებას და აღმოსავლეთის მიწების განვითარებას ემსახურებოდა, შედგა ე.წ. „სოლიდარობის პაკეტის“ პროგრამები, რომელიც აღმოსავლეთ მიწების პრიორიტეტულ დაფინანსებას ითვალისწინებდა [7,გვ. 73].

აშშ-ის პოლიტიკა რეგიონების დამოუკიდებელი განვითარების სტიმულირების საუკეთესო მაგალითია, ასეთი პოლიტიკის შედეგად ცალკეული შტატი გადაიქცა მაღალი ტექნოლოგიების მსოფლიო ცენტრად. დეპრესიული რეგიონების მიმართ აქ გამოიყენება ფინანსური დახმარება ფედერალური ბიუჯეტიდან და იქმნება სამეწარმეო ზონები პრეფერენციული რეჟიმებით [8,გვ.64]. რეგიონულ პროგრამებს ხელმძღვანელობს ათეულობით ფედერალური და რეგიონული კომიტეტი /სამინისტრო/, ამ საკითხის მეცნიერული შესწავლით დაკავებულია ასზე მეტი უნივერსიტეტი.

იაპონიაში 60-იან წლებში შემუშავდა "ტერიტორიული რეგულირების 1965-1985წ.წ. ეროვნული პროგნოზი", იგი მიზნად ისახავდა ტერიტორიული სივრცის ეფექტიან გამოყენებას, გარემოს დაცვას, ქალაქების მოდერნიზაციას, რაიონების დონეების გამოთანაბრებას, ახალი რაიონების განვითარებას. იაპონიის ეკონომიკის განვითარების გეგმებში მთავარი ორიენტირია სივრცე, ანუ ქვეყნის ტერიტორია, სწორედ იგი განიხილება განვითარების ძირითად ფაქტორად და მთავარ რესურსად. იაპონიამ დაიწყო ქალაქების ზრდის შეზღუდვა და მწარმოებლური ძალების გადაადგილება ქვეყნის შედარებით ნაკლებად ათვისებულ რეგიონებში.

ესპანეთის კონსტიტუცია, ქვეყნის მთლიანობის აღიარების პარალელურად, გაფართოებული თვითმმართველობის უფლებას ანიჭებს ადმინისტრაციულ ერთეულებს /17 ავტონომიური ერთეული საკუთარი პარლამენტით და მთავრობით, ორ ავტონომიური ქალაქი/, ისინი ფართო უფლებებით სარგებლობენ და დამოუკიდებლად არეგულირებენ თავიანთ ავტონომიებში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს.

იტალია რთული რეგიონული სტრუქტურით ხასიათდება (3 რეგიონი, 20 ოლქი, 103 პროვინცია, 1000-ზე მეტი კომუნა). 1950-1960 წლებში იტალიის ხელისუფლება აქტიურად შეუდგა ჩრდილოეთისა და სამხრეთის რეგიონების

განვითარების დონეებს შორის არსებული მნიშვნელოვანი დისპროპორციის პრობლემის გადაჭრას და რეგიონების გამოთანაბრების პოლიტიკის გატარებას. ამ მიზნით შემუშავდა ე. წ. "ვანონის" გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა სამხრეთის რეგიონის ზოგიერთ რაიონში დამატებითი საწარმოო სიმძლავრეების შექმნას და სახელმწიფო კაპიტალის აქტიური დაბანდების გზით აქ ცალკეული დარგის უპირატეს განვითარებას. შეიქმნა პროგრამა - "სამხრეთის სალარო", რომელშიც გადარიცხვებს ახორციელებდა მაღალგანვითარებული ჩრდილო რეგიონის ძლიერი სამეურნეო ერთეულები.

შვედეთი უნიტარული სახელმწიფოა, ამასთან, გუბერნიები და თვითმმართველობის ორგანოები დიდ როლს ასრულებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას და პრაქტიკულ რეალიზაციას. ბიუჯეტიდან სუბსიდირება სამ კატეგორიად არის დიფერენცირებული გეოგრაფიული განლაგების მიხედვით [7,გვ.78].

ჩინეთის, როგორც ფედერალური საბიუჯეტო მოწყობის მქონე უნიტარული სახელმწიფოს გამოცდილება, განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოსათვის. აქ უაღრესად წარმატებულია ეკონომიკური დეცენტრალიზაციის პროცესი, რომლის შედეგადაც ტერიტორიულმა ერთეულებმა ფართო ეკონომიკური დამოუკიდებლობა მიიღეს, ადგილობრივ ხელისუფლებას გადაეცა სახელმწიფო საწარმოთა სამი-მეოთხედი, მათვე დაეკისრათ პასუხისმგებლობა რეგიონული ინვესტიციების მართვაზე, თავიანთ ტერიტორიაზე განათლების, ჯანდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის, საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის რეგულირებაზე. გატარდა შესაბამისი საგადასახადო რეფორმა, რომლის მიხედვით შემოსავლები აკუმულირდება რეგიონულ ბიუჯეტში, მთავრობა კი ადგენს ცენტრალურ ბიუჯეტში გადარიცხვების ნორმატივს. ცენტრალურ ხელისუფლებასა და პროვინციებს შორის შემოსავლების განაწილების არსებული სქემა ასტიმულირებს რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას და ზრდის ტერიტორიული ერთეულების საკუთარ შემოსავლებს.

რუსეთში რეგიონულ პოლიტიკას ორი მიმართულება აქვს - ფედერალური და სუბფედერალური [9,გვ87]. ფედერალური გულისხმობს ეროვნული ეკონომიკის ტერიტორიული პრობლემების მართვას, სუბფედერალური კი - რეგიონის შიგნით მეურნეობის სივრცობრივი პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტული ღონისძიებების გატარებას. რეგიონული პოლიტიკის მიზანია დეპრესიული რეგიონების რეანიმაცია, რაც მათი პირდაპირი ფინანსური დახმარებით, საგადასახადო შეღავათებით, სახელმწიფოს მიერ ამ რეგიონებში საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნით, სახელმწიფო შეკვეთების პრეფერენციებით და სხვა ღონისძიებებით მიიღწევა [10,გვ.16].

პოლონეთს რთული ტერიტორიული სტრუქტურირება აქვს (გმინი, მაზრა, ვოევოდი), სახელმწიფო ბიუჯეტში მათ დასაფინანსებლად საერთო სუბვენცია და მიზნობრივი დოტაციები გაითვალისწინება. საერთო სუბვენციისათვის

ცენტრალური ბიუჯეტიდან ყველა გმინს გამოეყოფა შემოსავლების არანაკლებ 1%, სუსტ გმინებს კი ძლიერი გმინებიდან დანარიცხები ემატებათ, მრავალწლიანი პროგრამების დასაფინანსებლად ვოევოდები და მაზრები ცენტრალური ხელისუფლებიდან იღებენ დოტაციას.

ზოგადად, საბიუჯეტო ურთიერთობები საკმაოდ განსხვავებულია ტერიტორიული ორგანიზების სხვადასხვა მოდელის მიხედვით, კერძოდ, ანგლოსაქსური მოდელის ქვეყნებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა, შვედეთი) მაღალია რეგიონების ფისკალური ავტონომია და ბიუჯეტების შემოსავლებში დომინირებს ადგილობრივი გადასახადები. კონტინენტური მოდელის ქვეყნებში (გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ბელგია) რეგიონების ფისკალური ავტონომიურობა შედარებით შეზღუდულია და არსებითია ფინანსური გამოთანაბრების პრინციპი (დოტაციებისა და სუბვენციების გაცემა).

რამდენადაც, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების ერთიანი, ტიპიური მეთოდოლოგია ჯერჯერობით არ არსებობს, თითოეული სახელმწიფო მას თავისი ეკონომიკური სტრატეგიიდან და რეგიონების რესურსული პოტენციალიდან გამომდინარე ატარებს, მაგრამ ყველა ქვეყნისათვის საერთოა თვით ამ პოლიტიკის სტრუქტურა და ძირითადი მიმართულებები, კერძოდ, იგი ასახავს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას, რეგიონების განვითარების დაგეგმვასა და პროგნოზირებას, მიზნობრივი პროგრამების შემუშავებასა და გატარებას, რეგიონის ბუნებრივი სიმდიდრეების ეფექტიან გამოყენებას, მწარმოებლური ძალების რაციონალურ განლაგებას და ა.შ., ყოველივე ეს კი უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებას როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე ცალკეულ ტერიტორიულ სეგმენტში.

ფისკალური პოლიტიკის შეფასების პრინციპები და ინდიკატორები

სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელოვან ინდიკატორს ტერიტორიული განვითარების ოპტიმიზაცია და განვითარების რეგიონული დონეების გამოთანაბრება წარმოადგენს. იგი განსაზღვრავს სახელმწიფოსა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულების მართვის სხვადასხვა დონეებს შორის ურთიერთდამოკიდებულების სისტემას და ფინანსური ელემენტების გადანაწილების მექანიზმებს ამ დონეებს შორის. სახელმწიფოს ამგვარი ფინანსური პოლიტიკა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური დონის გამოთანაბრებასთან ერთად, მაკროეკონომიკური წონასწორობის დაცვას და ეკონომიკის დინამიკურ, პროპორციულ განვითარებას უნდა უზრუნველყოფდეს.

ტერიტორიული ერთეულების მიმართ სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის სწორი სტრატეგიის განსაზღვრა განსაკუთრებით აქტუალურია ღარიბი რეგიონებისათვის, სადაც მან რესურსების კონცენტრირება ყველაზე მნიშვნელოვან პროექტებსა და მიზნებზე უნდა მოახდინოს. ევროპული ქარტია დიდ

მნიშვნელობას ანიჭებს სუსტად განვითარებული რეგიონების ფინანსურ მხარდაჭერას ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან სუბსიდირების გზით, ამასთან, „ადგილობრივი ორგანოების სუბსიდირება ხელისუფლებამ შეძლებისდაგვარად უნდა შეზღუდოს მიზნობრივი დანიშნულებით გარკვეული პროექტების დაფინანსებით, სუბსიდირებამ კი არ უნდა დათრგუნოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფუძემდებლური უფლება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაატაროს დამოუკიდებელი პოლიტიკა“ [11].

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია მიიჩნევს, რომ ტერიტორიული ერთეულების ფინანსური წყაროები შესაბამისობაში უნდა იყოს მათ უფლებამოსილებებთან, ადგილობრივი ბიუჯეტის დიდი ნაწილი საკუთარი წყაროებით, კერძოდ, ადგილობრივი გადასახადებით, ადგილობრივი მოსაკრებლებით და საკუთარი ქონებიდან მიღებული შემოსავლებით უნდა იქმნებოდეს, ამ პირობებში ადგილობრივ ხელისუფლებას მეტი მოტივაცია გააჩნია ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერისათვის. ეს ამაღლებს რა მათ პასუხისმგებლობას მოსახლეობის წინაშე, ასევე ზრდის საზოგადობრივ ინტერესს მუნიციპალური ორგანოების საქმიანობისადმი. ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციაში კი რჩება ის, რომ მან უნდა უზრუნველყოს რეგიონების ფინანსური გარემოს წონასწორული მდგომარეობა, მათი ფინანსების პოტენციურ წყაროებთან ურთიერთობის თანაბარი პირობების შექმნა და საფინანსო ტვირთის გამოთანაბრებითი განაწილება, ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებული უნდა იყოს გადანაწილების გზით თანხების მიღების წესი, ამასთან, ისინი დამოუკიდებლად უნდა პოზიციონირებდნენ კაპიტალის ეროვნულ ბაზარზეც.

ადგილობრივი საგადასახადო-საბიუჯეტო გადაწყვეტილებების დამოუკიდებლობის ხარისხის შეფასებისათვის გამოიყენება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) [12] მიერ შემუშავებული ფისკალური დეცენტრალიზაციის პოლიტიკის სტანდარტები,, რომლის მიხედვითაც ფინანსური დეცენტრალიზაციის მთავარი პირობაა თვითმმართველ ორგანოებს ჰქონდეთ ადგილობრივი გადასახადისა და მოსაკრებლების დაწესების უფლება და აკონტროლებდნენ ადგილობრივ ბიუჯეტში როგორც ადგილობრივი შემოსავლების, ასევე მოზიდული სახსრების /მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერები, სუბსიდიები, სუბვენცია, დონორებისაგან მიღებული მიზნობრივი შემოსულობები და სხვა/ აკუმულირების პროცესს. საქართველოში საბიუჯეტო დამოუკიდებლობის დაბალ დონეზე მიუთითებს ის, რომ გადასახადებისა და მოსაკრებლების ზომის გარდა, ცენტრალური ხელისუფლება საგადასახადო ბაზასაც განსაზღვრავს, რითაც გარკვეული დოზით ზღუდავს რეგიონების დამოუკიდებელი განვითარების უფლებებს, თუმცა, აღსანიშნავია, რომ გარდამავალი ეკონომიკისათვის მსგავსი შეზღუდვები ტიპურია და განვითარების გარკვეულ დონემდე, ურთიერთობათა გარსაზღვრულ სტანდარტებსაც არ არღვევს.

აქტუალურობას ინარჩუნებს სატრანსფერო პოლიტიკის სრულყოფის საკითხი, რაც რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად,

მათი დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებას უნდა ემსახურებოდეს. ცენტრალურმა ხელისუფლებამ თავისი ფინანსური პოლიტიკით თვითმმართველი ერთეულების ეკონომიკურ აქტივობას უნდა შეუწყოს ხელი, რითაც, პერსპექტივაში, ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტი სახელმწიფო ტრანსფერების ნაცვლად, საკუთარ შემოსავლებზე გახდება ორიენტირებული.

ადგილობრივი შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროდ მუნიციპალური საწარმოების ოპტიმიზაცია უნდა იქცეს, აქტიურად განიხილება მათი კორპორატიულ მართვაზე გადასვლის საკითხი, რაც სახელმწიფო საწარმოების მართვის ადმინისტრაციულ-ეკონომიკური პრინციპებისა და კერძო საწარმოების ფუნქციონირების საბაზრო-კონკურენტული მექანიზმების რაციონალურ სინთეზს მოითხოვს. ავტონომიური შემოსავლების ზრდას უკავშირდება სამეურნეო საქმიანობის ორგანიზებისადმი კლასტერული მიდგომის იდეაც, ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტები ახორციელებენ კლასტერულ ფირმებში ინვესტირებას, რითაც უზრუნველყოფენ კლასტერების ანტიკრიზისულ სტაბილურობას და, ზოგადად, ეკონომიკური ზრდის პროცესების სტიმულირებას მუნიციპალურ მეურნეობაში.

საქართველოს საბიუჯეტო მოწყობა: ტენდენციები, პრობლემები და წინადადებები

დღეისათვის საქართველოში საკმაოდ მაღალი რჩება ეკონომიკური სისტემის ცენტრალიზაციის დონე. სახელმწიფო ბიუჯეტში მთლიანადაა ინტეგრირებული სოციალურიი სისტემა, მათ შორის, პენსიები და საჯარო სკოლის ხარჯები, ცენტრალიზებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტების ფორმირების პროცესი, შეზღუდულია ადგილობრივი ორგანოების საგადასახადო უფლებამოსილებები, რამდენადაც არც გადასახადებისა და მოსაკრებლების სახესა და სიდიდეს ადგენენ და ვერც გადასახდების ადმინისტრირებას ახორციელებენ. საგადასახადო ურთიერთობათა ამგვარი ცენტრალიზაცია ზღუდავს ადგილობრივი ერთეულების დამოუკიდებლობას, რითაც სუსტდება ადგილებიდან ფინანსური ინიციატივები და რესურსების ეკონომიური ხარჯვის მოტივაციები.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მაღალია ადგილობრივი ბიუჯეტის სახელმწიფო ფინანსებზე დამოკიდებულების ხარისხი, რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების შემოსულობების მთლიანად ცენტრალურ ბიუჯეტში აკუმულირება. ამასთან, ძალიან მცირეა ერთადერთი ადგილობრივი გადასახადის - ქონების გადასახადის ფისკალური ეფექტიც. რეგიონული განვითარების დაფინანსებაში წამყვან როლს დღეისათვის სახელმწიფო პროგრამული დაფინანსება ასრულებს. პირდაპირი სახელმწიფო ინვესტიციები გაიცემა სამინისტროებიდან, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, უცხოური კრედიტებიდან და გრანტებიდან, მუნიციპალური

განვითარების ფონდიდან, „უბრალო სესხის" პროექტით, კომერციული საბანკო სესხებით და სხვ. პირდაპირი ინვესტიციები ძირითადად გამოიყოფა ინფრაქსტრუქტურული პროექტებისათვის, თუმცა, ეს სისტემა დასახვეწია, რადგანაც ასიგნებები სახელმწიფო ბიუჯეტში არ არის გაწერილი ცალკეული რეგიონისა და ღონისძიების კუთხით, რის გამოც რეგიონული ხელისუფლებისთვის წინასწარ უცნობია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისთვის ამ მიზნით გამოყოფილი თანხის მოცულობა, რაც ართულებს სამუშაოების ოპტიმალურ დაგეგმვას.

თვითმმართველი ერთეულის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა აქვს გამოთანაბრებით ტრანსფერს, რომელიც ექსკლუზიური უფლებამოსილებებისათვის გაიცემა, მაგრამ რამდენადაც არ არსებობს თვით ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიმალური სტანდარტები, ჯერ კიდევ დაუდგენელია ამ ტრანსფერის ოპტიმალური სიდიდე და ვერ ხერხდება მისი ეფექტიანობის გაზომვაც. მუნიციპალიტეტებისათვის შემოსავლების წყაროდ ჯერ კიდევ არ იქცა ისეთი რესურსები, როგორიცაა მიწა, წყალი, ბუნებრივი სიმდიდრეები, რამდენადაც მოუგვარებელია მათი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში გადაცემის პროცესი. საბიუჯეტო ხარჯების ნაწილში პრობლემას ქმნის ის, რომ ჯერ კიდევ დაუდგენელია მინიმალური სახელმწიფო სოციალური სტანდარტები, რაც ართულებს ბიუჯეტის ხარჯვითი პარამეტრების დაგეგმვას. სოციალური სტანდარტების და შემოსავლების განაწილების არსებული პრაქტიკა ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფს რეგიონებისათვის თანაბარი საზოგადოებრივი პროდუქტის მიწოდებას. სახელმწიფო ბიუჯეტის წლიურ კანონში მონაცემები რეგიონულ პროექტებზე მოცემულია აგრეგირებული სახით და არ არის დიფერენცირებული რეგიონული ჭრილით, სუსტია მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო ურთიერთობა მხარჯავ ორგანიზაციებთან, დაბალია ბიუჯეტის შედგენასა და განხილვაში მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხი, სუსტია ადგილობრივი ბიუჯეტების კონტროლის სისტემა, არ არის დადგენილი თვითმმართველი ერთეულების მიერ ფასიანი ქაღალდების (მოკლევადიანი ვალდებულებების) გამოშვების და ფინანსურ ბაზარზე მათი განთავსების წესები.

რეგიონული ფისკალური სისტემა ჯერ კიდევ მოითხოვს დახვეწას, კერძოდ, საჭიროა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონალური უფლებამოსილებების გამიჯვნა, პოლიტიკურთან ერთად, ეკონომიკურ კრიტერიუმებსაც ეფუძნებოდეს; საჭიროა შემუშავდეს რეგიონული განვითარების ფინანსური მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც გაითვალისწინებს მასტიმულირებელი და მაკომპენსირებელი პოლიტიკის გატარებას; უნდა მოხდეს ადგილობრივი დონისათვის იმ მაღალშემოსავლიანი გადასახადების მიმაგრება, რომელიც რეალურ პოზიტიურ გავლენას ახდენს და უზრუნველყოფს ტერიტორიაზე საგადასახადო პოტენციალის ზრდას; საჭიროა საგადასახადო შემოსავლების ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის გადანაწილების გრძელვადიანი ნორმატივების დადგენა, ამ პროცესების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება და საზო-

გადოების მხრიდან მუდმივი მონიტორინგის დაწესება. ზოგადად, ფინანსური დეცენტრალიზაციის მთავარი პირობაა თვითმმართველ ორგანოებს ჰქონდეს ადგილობრივი გადასახადისა და მოსაკრებლის დაწესების უფლება და აკონტროლებდეს ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლების აკუმულირების პროცესს.

საქართველოში ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების დონეზე ამჟამად მოქმედი სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ინსტიტუტი რეგიონებში ახორციელებს კვაზიდეკონცენტრირებულ მმართველობას. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი უფლებამოსილია მოამზადოს რეგიონის განვითარების ხედვა, სტრატეგია, ასევე, განახორციელოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა, თუმცა, დღემდე შემუშავებული არ არის რეგიონული განვითარების მარეგულირებული სამართლებრივი ბაზა, რასაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ის ფაქტიც, რომ ქვეყნის კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული რეგიონის, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, სტატუსი

საქართველო, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევრპულ ქარტიას", 2004 წელს შეუერთდა, მან, ქარტიის პრინციპების საქართველოს კანონმდებლობაში იმპლემენტირებით, თავის თავზე აიღო რეალურ თვითმმართველობაზე გადასვლის და მისი ფუძემდებლური პრინციპების გატარების საერთაშორისო ვალდებულება, თუმცა, ჯერ კიდევ რჩება თვითმმართველობის დონეზე მოქმედი კანონების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის და ზოგიერთი ნორმატიული აქტის ევროპული ქარტიის მოთხოვნებთან ჰარმონიზების პრობლემა.

საქართველოს რეგიონალიზაცია პრინციპული ხასიათის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას საჭიროებს. რეგიონული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებების მომზადება, მიღება და გატარება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის და რეგიონული მართვის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის უფლებამოსილებას განეკუთვნება, მაგრამ ქვეყნის რეგიონალიზაციას პრობლემას უქმნის საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც კანონმდებელს საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის რეგულირების პრეროგატივას მხოლოდ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ ანიჭებს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხის სამართლებრივი გადაწყვეტა ქვეყნის პრიორიტეტულ ამოცანად არის მიჩნეული.

ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობის საკანონმდებლო დარეგულირების მიზნით, აუცილებელია მოქმედი ნორმებისა და ტექნიკური რეგლამენტაციების საკითხში საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა, ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის გაცნობა, რეგიონული ინფრასტრუქტურული პროექტების, სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის,

პოტსდამის და ნეოპოლომიცეს თვითმმართველობის საჯარო სერვისების მიწოდების რეგულაციების გაცნობა და მათ საფუძველზე საქართველოსათვის მინიმალურად აუცილებელი რეგულაციების შემუშავება. ამ თვალსაზრისით საყურადღებო და საგანგაშოცაა კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის პროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის სერვისების მიწოდების სტანდარტები". ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის 46 ძირითადი კომპეტენციის მიხედვით, თვითმმართველი ერთეულებისათვის მინიჭებული უფლებამოსილებების რაოდენობის მიხედვით, 18 ქვეყანას შორის საქართველო ბოლო ადგილზეა (16 კომპეტენცია - 35%), რაც მდგომარეობის გაუარესებაზე მიუთითებს, ეს მნიშვნელოვნად განაპირობა 2005-2006 წლებში განხორციელებულმა რეფორმამ, რასაც შედეგად მუნიციპალიტეტების გამსხვილება მოჰყვა, წარმოიშვა გარკვეული შეუსაბამობა, კერძოდ, მეტისმეტად შეიკვეცა თვითმმართველობების კომპეტენციათა ჩამონათვალი, ხოლო თავიანთი შესაძლებლობებით ახლანდელი მუნიციპალიტეტები დიდად აღემატებიან მათ წინამორბედ წვრილ ადგილობრივ თვითმმართველობებს. საკმაოდ რთული ვითარებაა საზოგადოებრივი სერვისებისათვის საერთო-ეროვნული მინიმალური დონის ნებაყოფლობითი სტანდარტების იმპლემენტაციის საქმეშიც [13, გვ.18].

მუნიციპალური სერვისების სფეროში საჭიროა უნიფიცირებული ჩარჩოდოკუმენტის შექმნა, სადაც ევროპული გამოცდილების საფუძველზე თვითმმართველობებისათვის მინიმალურად აუცილებელი ნორმები და რეგულაციები აისახება, უნდა მოხდეს საჭირო ღონისძიებების რანჟირება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციების მიხედვით. ადგილობრივი მოსახლეობისათვის სერვისების შეუფერხებლად მიწოდების მიზნით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხრიდან მეტი აქტივობაა საჭირო საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სამსახურთან ერთად კოორდინაციაში, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე კი აუცილებელია როგორც უშუალოდ მათი, ასევე დონორი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი სექტორის ჩართულობა.

საქართველოს მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს რეგიონების მიერ საზღვარგარეთის ქვეყნებთან საერთაშორისო შეთანხმებების მიღწევას, რაც თვითმმართველ ერთეულებს უფლებას მისცემს, გააფორმოს ტრანსსასაზღვრო ხელშეკრულებები სხვა თვითმმართველ ერთეულებთან ერთად და გამოსცეს ერთობლივი ნორმატიული აქტები, დასადგენია ამ აქტების მიღების წესებიც. საჭიროა მომზადდეს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების პროექტი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებას და პროცედურებს ტრანსსასაზღვრო ხელშეკრულებების დადების თუ ერთობლივი საკანონმდებლო აქტების მიღების საკითხში.

რეგიონალიზაცია ხელისუფლებისათვის თვითმიზანი არ უნდა იყოს, არამედ მართვის დეცენტრალიზაციის პრინციპებზე დაყრდნობით, სახელმწიფოს ოპტიმალურ იერარქიულ სტრუქტურირებას უნდა ემსახურებოდეს, ამასთან, იგი ხელს უნდა უწყობდეს თვითმმართველი ერთეულების დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებას და უფლებამოსილებათა სწორ გამიჯვნას, ეფექტიანი მართვის განხორციელებას და ადგილობრივი ინტერესების დაცვას.

ლიტერატურა:

1. დეცენტრალიზაცია საქართველოში. არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები. თბ., 2009.
2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროექტი - „საქართველო 2020“, თბ.,2015.
3. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია, სტრასბურგი, 1985.
4. Rodriguez-Pose A.. Do institutions matter for regional development? Working parker in Economics and Social Sciences, Madrid, 2010.
5. ბარათაშვილი ე., გრძელიშვილი ნ., რეგიონული მენეჯმენტი, თბ., 2012.
6. Ларина Н., Кисельников А. Региональная политика в странах рыночной экономики, М., 1998.
7. Хасбулатов О. Развитие страны: центры и периферии, М., 2010.
8. მესხია ი., გველესიანი ე., რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, თბ., 2010.
9. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., აბრალავა ა., რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2009.
10. Региональная экономика, под ред. Г. Поляка, М., 2014.
11. ევროკავშირის ტერიტორიული დღის წესრიგი, - უფრო მეტი კონკურენტუნარიანი და მდგრადი ევროპის მრავალფეროვანი რეგიონებისათვის. http/gov.ge/uv3u4w
12. Organisation for Economic Cooperation and Development. Fiscal Design across Levels of Government Framework and Survey Findings. – OECD Tax Policy Series, 2001, N6.
13. ადგილობრივი თვითმმართველობის სერვისების მიწოდების ს ტანდარტები, კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი, ფონდი „ღია საზოგადოება- საქართველო“, თბილისი, 2010.

Mechanism of Management Decentralization in the System of Inter-Budgetary Relations

Tabatadze Marina

Assistant Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
tabatadze_marina@yahoo.com

Regional policy of the state is related to the organization of government, it has to ensure the optimal territorial distribution of country's spatial structure and functions of the state government, to protect the unity of the internal structure. The territorial organization of the hierarchical principles and realization powers of financial leverage is still subject of the priority areas of scientific study and theoretical debates. Regionalism, the concept of territorial units, local issues imposes on local authorities, within the framework of the legal authorities, independently of the central government and under its control.

Today Georgia is still on high level of centralization in the economic system. The social system is fully integrated in the state budget. The region's financial support should be based on a strategic plan for the development of their main priorities; it will differentiate by the level of resources and economic growth. Development strategies should reflect local conditions and development factors, it must ensure the availability of resources, which contributes to an increase in the maximum efficiency of the local government.

Keywords: Decentralization of management, rational spatial planning, self-governing entity, fiscal policy, financial decentralization mechanism, transfer policy, municipal services and infrastructure projects
JEL Codes: R10, R11, R50, R58

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 3, გვ. 99-106
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 3, pp. 99-106

XIX საუკუნის მეორე ნახევრის სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციები და მისი გამოძახილი საქართველოში

გიული ქეშელაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
Giuli.keshelashvili@tsu.ge
Giuli777@gmail.com

სტატიაში განხილულია XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, რაც აღინიშნა მნიშვნელოვანი ძვრებით ქართველი ხალხის სოციალ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. აღნიშნულ პერიოდში განვითარდა ადრე ჩასახული კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობა, რასაც მოჰყვა ძირეული ცვლილებები კლასობრივ ძალთა განლაგებაში, საზოგადოებრივ აზროვნებასა და მატერიალური და სულიერი ცხოვრების სფეროში. თუ XIX საუკუნის 30-50-იანი წლების საქართველოში ბურჟუაზიული ურთიერთობა ვითარდებოდა ბატონყმური სისტემის არსებობის პირობებში, 50-იანი წლებიდან ახალს ბრძოლა უხდებოდა ძველთან, ანუ ფეოდალიზმთან, როგორც გადმონაშთის სახით არსებულ მოვლენასთან. საქართველოში თანდათანობით ვითარდებოდა კაპიტალიზმი. საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, საგარეო ურთიერთობები განმსაზღვრელ როლს ასრულებდა ქვეყნის საზოგადოებრივ განვითარებაში. ისტორიულად, შიგა კონსოლიდაციისა და ეროვნული ინტეგრაციის პროცესები გამუდმებულად ფერხდებოდა დამპყრობლების მიერ. საქართველოს საგარეო პოლიტიკაში განსაკუთრებული როლი რუსეთთან მეზობლობას ენიჭებოდა.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ილია ჭავჭავაძის შეხედულებებზე, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში საზოგადოებრივი

სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის – FR/101/1-20/14 ,,ეკონომიკური კონცეპტები ქართულ მხატვრულ პროზაში" – ფარგლებში.

წარმოებისა და საქონელმიმოქცევის როლზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, სოფლად ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკის გატარებისა და ,,სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკების“ დაარსებისა და განვითარების საკითხებზე. მოცემულ საკითხებზე მრავალი საინტერესო შრომაა გამოქვეყნებული ქართველ მკვლევართა მიერ [2; 5; 8; 9; 10; 11]. პრობლემათა მრავალმხრივი კვლევის მიუხედავად, ჩვენი აზრით, მასთან დაკავშირებული საკითხების მეცნიერული კვლევა დღეს კვლავაც აქტუალურია.

საკვანძო სიტყვები: სოციალურ-ეკონომიკური პროცესები; სახელ-მწიფო პოლიტიკა; საზოგადოება და სახელმწიფო; სამართლიანი სა-ზოგადოება; ეკონომიკური ბაზისი; კერძო საკუთრება; თავისუფლების ხარისხი; ეკონომიკური პოლიტიკა.

XIX საუკუნის დასავლეთ ევროპული ეკონომიკურ-ფილოსოფიური აზრის გამოძახილი ქართულ სინამდვილეში

საზოგადოება და სახელმწიფო თანამედროვე გაგებით წმინდა ევროპუ-ლი მოვლენაა [1, გვ. 14-22], რომელიც სათავეებს ევროპული ფეოდალიზმიდან იღებს. ევროპული სახელმწიფო მოწყობა დასაბამიდან იცნობს ცენტრალური ხე-ლისუფლისა და პიროვნების თანაარსებობას. ისტორიკოსი დავით პაიჭაძე აღნიშ-ნავს, რომ „დინამიური ბალანსი ამ ინსტიტუტებს შორის არის შიდა ინტეგრაციის მამოძრავებელი ძალა, რამაც დასავლური საზოგადოების განვითარების ეტაპები განაპირობა: ერთობიდან საზოგადოებისაკენ, საზოგადოებიდან „საზოგადოებრივ შეთანხმებამდე“, საზოგადოებრივი შეთანხმებიდან თანამედროვე სახელმწიფომ-დე“ [2. გვ. 9].

ანტიკური ხანის ფილოსოფოსები: პლატონი, არისტოტელე, სოკრატე, ცი-ცერონი, სენეკა და სხვები საკუთრების საკითხს სახელმწიფოს მოწყობის თვალ-საზრისით გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ასევე, „ახალი დროის“ მოაზ-როვნენი, თომას ჰობსი (1588-1679), ჯონ ლოკი (1632-1704) და ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778) კერძო საკუთრებას ინდივიდისა და მისი ქმედების თავისუფლების ხარისხთან უშუალო კავშირში განიხილავდნენ. თანამედროვე განვითარებული სამყაროს მიერ განვლილი გზა ერთობიდან საზოგადოებამდე ადამიანის რთულ სოციალურ ურთიერთობებს გულისხმობს, დაფუძნებულს საკუთრების თავისუ-ფალ ფლობასა და მის ასევე თავისუფალ განკარგვაზე. ამ გარემოებას ეფუძნება ასევე კანტის გამონათქვამი – საკუთრების წარმოქმნას რესპუბლიკურ სახელ-მწიფომდე მივყავართ. სახელმწიფოს ფუნქცია „ახალი დროის“ დასავლური ფი-ლოსოფიური მოძღვრებების მიხედვით, საზოგადოების წევრებს შორის სამარ-

თლიანი ურთიერთობების მენეჯერის ფუნქციაში გამოიხატებოდა. სახელმწიფო „საზოგადოებრივი შეთანხმების“ შედეგია.

დასავლეთ ევროპაში აღმოცენებული ე.წ. „მესამე წოდება“ – „ქალაქელები“ პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებებისათვის ბრძოლაში სოფლად მცხოვრებ ფეოდალებს დაუპირისპირდნენ. გაჩნდა ეროვნული, ანუ ბურჟუაზიული მოძრაობები. რა ხდებოდა ამ დროს აღმოსავლეთში? აღმოსავლეთში გამოიკვეთა ცენტრალური ხელისუფალის ავტორიტარიზმი, ინდივიდის როლი საზოგადოების კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში უგულებელყოფილ იქნა. ამიტომ ვერ ჰპოვეს ბურჟუაზიული განვითარების გზა თავის დროზე მაღალგანვითარებულმა ფეოდალურმა აზიურმა რეგიონებმა [3, გვ. 187].

საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, საგარეო ურთიერთობები ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების საქმეში ყოველთვის განმსაზღვრელ როლს ასრულებდა და დღესაც იგივე გრძელდება. დასავლეთში კი, საპირისპიროდ – საგარეო პოლიტიკა საზოგადოების შიგა განვითარების გაგრძელებას წარმოადგენს [2, გვ. 11]. შიგა კონსოლიდაციისა და ეროვნული ინტეგრაციის პროცესი საქართველოში გამუდმებულად ფერხდებოდა დამპყრობლების მიერ. ამიტომ საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული როლი ჯერ ბიზანტიასთან და შემდგომში კი რუსეთთან მეზობლობას ენიჭებოდა და ენიჭება დღესაც.

ფეოდალიზმის განვითარება რუსეთში შორს არის ევროპული ტრადიციისაგან. რუსეთის ბიუროკრატიული ცენტრალიზმი და ხელისუფლების ავტოკრატიზაცია ივანე მრისხანესაგან იღებს სათავეს, როცა გატარდა გარკვეული რეფორმები (1549-1560), რომლის მიზანი იყო თვითმპყრობელობის გაძლიერება და სახელმწიფოს ცენტრალიზაციის განმტკიცება. მოსკოვის სახელმწიფომ შეიერთა ყაზანის, ასტრახანის სახანოები, დაიმორჩილა ციმბირის ხანი და ნოღაელთა ურდო. იგი ერთპიროვნულად შეუდგა სახელმწიფოს მართვას. საშინაო პოლიტიკაში მან კურსი აიღო თვითმპყრობელური ხელისუფლების განმტკიცებისა და ოპოზიციის დათრგუნვისაკენ. ეს არის ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ წარმოიქმნა რუსეთში ბოიარებისაგან დასავლურის მსგავსი რეგიონულად დამაგრებული წოდების დასაყრდენი. ერთი სიტყვით, ფეოდალიზმი რუსეთში ივანე მრისხანიდან მოყოლებული სულ უფრო და უფრო ავტოკრატიზაციის ინსტრუმენტად ყალიბდებოდა [4, გვ. 268].

საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე ქართველი არისტოკრატიის დიდი ნაწილი რუსეთში იქნა გადასახლებული. ქართული სახელმწიფოებრიობა და ქართული ფეოდალიზმი, ანუ მოსახლეობის მიერ ლეგიტიმურად მიჩნეული სისტემა გაუქმდა. სკოლებში, ეკლესიასა და სასამართლოში საქმის უცხო ენაზე წარმოებამ მოსახლეობასა და ისედაც არალეგიტიმურად აღქმულ რეჟიმს შორის კომუნიკაციის შესაძლებლობა მოსპო. თაობები დარჩნენ უწიგნურნი, ეს გარემოება განსაკუთრებით უწყობდა ხელს დეზინტეგრაციის პროცესს. ამ უფსკრულის

ამოვსებას ილია ჭავჭავაძე „მომრიგებელი მოსამართლის“ ინსტიტუტის შემოღებით ცდილობდა.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა – ქართული ანბანის რეფორმირება, ლიტერატურული ენის დახვეწა, მას იმდროინდელი ევროპული ეროვნული მოძრაობების გმირების რიგში აყენებს, ხოლო ლოზუნგი „მამული, ენა, სარწმუნოება“, ქართველებისათვის ეროვნული ინტეგრაციის ორიენტირების სიმბოლო და მაჩვენებელია. სოციალური პრობლემების მოგვარებას ილია ჭავჭავაძე საქართველოში ეროვნული ბურჟუაზიის, ქართული „მესამე წოდების“ აღმოცენებაში ხედავდა.

XIX საუკუნის ევროპაში მიმდინარე ეროვნული მოძრაობები ეროვნული სახელმწიფოების შექმნას ისახავდა მიზნად და ამ პროცესის მამოძრავებელი ძალა ბურჟუაზია იყო. ეკონომიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობების შემდგომი პროგრესის საფუძველს ილია ჭავჭავაძე ბურჟუაზიული ურთიერთობების სრულყოფა-განვითარებაში ხედავდა. სწორედ ამიტომ მოითხოვდა ეროვნულ დამოუკიდებლობას, მაგრამ, როგორც რეალისტი, პოლიტიკური ავტონომიის ფორმას სჯერდებოდა. ილია ჭავჭავაძისათვის საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობა - ეროვნული „მესამე წოდების“ მიერ დაფუძნებულ სოციალურ წესრიგს ნიშნავდა. მას მომავლის სამართლიანი საზოგადოების შენება მხოლოდ სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფისა და ჩაგვრის ყოველგვარი ელემენტის აღმოფხვრის გზით მიაჩნდა შესაძლებელი. იგი ცდილობდა გამოენახა ეკონომიკური განვითარების ის ოპტიმალური გზები, რაც საქართველოს თავიდან ააცილებდა წოდებრივი დაპირისპირების გაღრმავებას. ამიტომ განიხილავდა წოდებათა შერიგების ეკონომიკურ, იურიდიულ და ზოგად პოლიტიკურ საფუძვლებს და თვლიდა, რომ ამის მიღწევა მხოლოდ კარდინალური ეკონომიკური გარდაქმნებით, მესაკუთრეთა ფენის გამრავლება-გაძლიერებით, შესაბამისი მოქნილი კანონმდებლობითა და თვითმმართველობის დემოკრატიული სისტემის შემოღებით გახდებოდა შესაძლებელი [5, გვ. 112].

ფრაგმენტები ილია ჭავჭავაძის სოციალურ-ეკონომიკური მოძღვრებიდან

ილია ჭავჭავაძე სახელმწიფოს განვითარების მტკიცე საფუძვლად ეკონომიკურ ბაზისს თვლიდა. ამიტომ მოითხოვდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელ გარემოებათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრას და მკაცრად ილაშქრებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი მანკიერი ორგანიზაციის წინააღმდეგ, როგორიცაა ბატონყმობა, მისთვის დამახასიათებელი იძულებითი შრომითა და არარენტაბელური ეკონომიკით. იგი თვლიდა, რომ საზოგადოება კლასთა და ფენათა დაპირისპირებითა და ბრძოლით სასიკეთოდ ვერ განვითარდებოდა და კატასტროფამდე მივიდოდა, რისი გადატანა ძალიან ძვირად დაუჯდებოდა ერებსა და მთელ კაცობრიობას. ის იზიარებდა ინგლისური კლასიკური პოლიტეკო-

ნომიის კორიფეების აზრს იმის შესახებ, რომ გაბატონებულ კლასებს თავისი მოგების ნაწილი მშრომელებისათვის უნდა გაეყოთ და საქართველოში მიწათმფლობელებს გლეხი უმიწოდ არ უნდა დაეტოვებინათ.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ილია ჭავჭავაძე იბრძოდა მიწით სარგებლობის გადასახადის შემცირებისა და გლეხობის მესაკუთრედ გადაქცევისთვის, რასაც წარმოებისადმი ინტერესის გაძლიერება და პროდუქციის ზრდა უნდა მოჰყოლოდა. ილიას პროგრამა ითვალისწინებდა სოციალური ურთიერთობების სამართლიან საფუძველზე მოწყობას, რაც კერძო საკუთრების პირობებში თავისუფალი შრომის ფაქტორს დაუკავშირდებოდა.

საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ილია ჭავჭავაძემ თავისი ცხოვრების განმსაზღვრელი პოზიცია აირჩია: სამართლის წინაშე ფორმალურად თანასწორ საზოგადოებაში, შესაძლებელია ყველა დაპირისპირების მშვიდობიანი გადაჭრა, ყველა ადამიანის მესაკუთრედ გადაქცევა და ყველასთვის შრომის აუცილებლობა. მას სჯეროდა, რომ აღნიშნულის მიღწევისათვის საქართველოში არსებული შესაძლებლობების გონივრული გამოყენება იყო აუცილებელი.

ილია ჭავჭავაძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ხიზნობასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევას. იგი ხიზნობის ძირითად პრობლემას მუშახელს მოკლებული მიწის არსებობაში ხედავდა. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ უმიწო გლეხების სიმრავლემ საიჯარო გადასახადების ზრდა გამოიწვია. ხიზნობისათვის სავალდებულო იყო მიწათსარგებლობის ყოველწლიური გადასახადის გადახდა, რაც ,,სამართლიანი საზოგადოების" ჩამოყალიბების საფუძველი უნდა გამხდარიყო. ხიზნობას, ილიას აზრით, ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე უნდა მოეწესრიგებინა მიწათმოქმედისა და მიწათმფლობელის ურთიერთობები. ,,სამართლიანი საზოგადოება" უნდა დაფუძნებოდა თავისუფალი ადამიანების მიერ შექმნილ ისეთ ეკონომიკურ ურთიერთობებს, რაც გამორიცხავდა ყოველგვარ ჩაგვრასა და უუფლებობას. ივ. ჯავახიშვილის თქმით, მან ,,ჯერ კიდევ 1880 წელს აღიარა ისტორიული პროცესის გასაგებად ეკონომიკური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობა''. ილიამ გააანალიზა ისეთი ისეთი ეკონომიკური კატეგორიები, როგორიცაა ფული, საქონელი, ბაზარი, ღირებულება, ფასი და სხვა.

ილია ჭავჭავაძე ხაზგასმით აღნიშნავდა საზოგადოებრივი წარმოების და საქონელმიმოქცევის როლს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. სასოფლო-სამეურნეო საქონლის კონკურენტუნარიანობის პირობების განსაზღვრას, თვითღირებულების შემცირების გზების ძიებას, სოფლად ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკის გატარებას ილია წარმოების სტიმულირებისათვის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა. იგი აღნიშნავდა, რომ ...მიწასთან გასწორდა, გაქარწყლდა და მტვრად აღიგავა ის ქვეყნები, რომლებმაც უგულებელყვეს წარმოების განვითარების მნიშვნელობა. ამით მოეღო ბოლო დიდ ისრაელს, დიდ საბერძნეთსა და დიდ რომს [6, გვ. 174].

„სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის“ დაარსება და ხელმძღვანელობა ნათელი მაგალითია ილიას ეკონომიკური შეხედულებებისა. ილიას პრინციპულობამ, შრომისმოყვარეობამ, გულისხმიერებამ და საბანკო კანონების განუხრელმა დაცვამ ბანკის საქმიანობის წარმატება და მომგებიანი ფუნქციონირება განაპირობა. ბანკიდან მიღებული შემოსავლები განათლებისა და კულტურის განვითარებას, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას მოხმარდა. ,,სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი“ საერთო-ეროვნულ კუთვნილებად იქცა.

ილია ჭავჭავაძის ეკონომიკურ იდეებს აქვს უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. იგი აქტუალურია დღესაც, როდესაც უარი ვთქვით წარმოების მართვის ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ მეთოდებზე და ვცდილობთ ეკონომიკური მეთოდების გამოყენებას. ილიას დროინდელ საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, იცავდნენ კერძოს მიმართ ზოგადის უპირატესობის დებულებას. სოციოლოგიაში ამის გადმოტანა ნიშნავდა, მთელის უპირატესობის აღიარებას ნაწილის მიმართ, იმას, რომ პიროვნება უნდა ემსახურებოდეს ერს, საზოგადოებას და სახელმწიფოს, რადგან ისინი ღვთაებრივის განხორციელებანი არიან დედამიწაზე და ეს საუკეთესო გარანტიაა პიროვნებისათვის. 1882 წელს ილია ჭავჭავაძემ წამოაყენა დებულება იმის შესახებ, რომ ადამიანი, ერი, საზოგადოება, სახელმწიფო, ცხადია, გარკვეული უფლებების მქონეა, მაგრამ ,,უმაღლესი საგანია” კონკრეტული პიროვნების უფლება. იგი უპირატესია სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე [7, გვ. 286].

* * *

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა რუსეთის იმპერიისათვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენდა, რადგან მისი შეხედულებანი წოდებათა შერიგებაზე, მემამულური და გლეხური მეურნეობის რაციონალიზაციაზე, შრომის საყოველთაო ვალდებულებაზე, სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარებასა და სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაციის საკითხებზე კაცობრიობის ზნეობრივი და სამართლებრივი განვითარების მაღალ საფეხურებს შეესაბამებოდა. მას სურდა, რომ ეკონომიკისა და მეცნიერების განვითარების მთავარი მიზანი ყოფილიყო საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობა, ამიტომ, მის მიერ არჩეული გზა შეუსაბამობაში მოდიოდა რუსეთის იმპერიაში მიმდინარე პროცესებთან.

დღეს, გლობალიზებულ სამყაროში, როდესაც შეიცვალა კაპიტალიზმი მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩასახული ,,ამხანაგობებისა“ და ,,სახალხო კაპიტალიზმის“ პრობლემები კვლავ პრობლემებად რჩება. ილია ჭავჭავაძის იდეებმა თითქმის ვერ შეიძინა სოციალურ-ეროვნული და საერთო-ეროვნული ფუნქციები. ჩვენი დასკვნა კი ის არის, რომ ამ იდეების განხორციელებას სახელმწიფო პოლიტიკა უნდა დაედოს საფუძვლად. სხვაგვარად შეუძლებელი გახდება ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება.

ლიტერატურა:

1. Wolfgang Reinhard, Geschichte der Staatgewalt. Eine vergleichende Verfassungsgeschichte Europas von den Anfängen bis zur Gegenwart, Oskar Beck, München, 1999.
2. პაიჭაძე დ., საქართველოს თანამედროვე ისტორიის საკითხისათვის, თბილისი, 2013. http://dpaitschadse.blogspot.com/2013/04/blog-post_6115.html
3. Chris Wickham, The Uniqueness of the East, კრებულში: Feudalism and Non-European Societies, T.J. Byres und H. Mukhia (Hrg), London, 1985.
4. Michael Borgolte, Otto Hinzes Lehre vom Feudalismus in kritischen Perspektiven des 20. Jahrhunderts, კრებულში: Nathaly Fryde, Pierre Monnet, Otto Gerhard Oexle (Hrg), Die Gegenwart des Feudalismus, Göttingen, 2002.
5. მალაზონია დ., ილია ჭავჭავაძის სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებები, ჟურნალი „კლიო“, 1999; http://eprints.iliauni.edu.ge/usr/share/eprints3/data/2125/1/klio-%203.pdf
6. ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული, ტ.6., თბ.,1956.
7. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი 5 ტომად, ტ.2., თბ.,1985.
8. თევზაძე გ., ილია ჭავჭავაძე და ახალი აზროვნება, https://burusi.wordpress.com/2010/10/27/guram-tevzadze
9. რატიანი პ., ილია ჭავჭავაძე, ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები, თბ., 1954.
10. სურგულაძე ა., ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1973. http://evergreen.tsu.ge/eg/opac/advanced?locg=1
11. ქავთარაძე გ., დასავლური ღირებულებებ ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში, სადოქტორო ნაშრომი' http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000622/g_qavtaradze.pdf

Socio-economic Trends of the Second Half of the XIX Century and their Echo in Today's Georgia

Giuli Keshelashvili

Associate Professor, Doctor of Economics
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

The article offers discussion of the socioeconomic processes in Georgia in the second half of 19th century characterized with significant changes in socioeconomic, political and cultural life of Georgian people. In the mentioned period, capitalistic production relations emerged earlier have developed and this was followed by fundamental changes in balance of power between classes, public thinking and sphere of material and mental life. Due to geo-strategic location of Georgia, the foreign relations were decisive for the social

development of the country. Historically, the process of internal consolidation and national integration has permanently been delayed by the conquerors. Neighborhood relations with Russia has plaid particular role in the foreign policies of Georgia.

The work focuses on Ilia Chavchavadze's views about the role of production and goods circulation with respect of country's economic development, issues of improvement of agricultural products' competitiveness, implementation of effective investment policies in rural areas, establishment and development of the "banks of the nobility".

rrespective of thorough study of these problems, the above issues are still of significance today.

The work demonstrates that Ilia Chavchavadze's activities were particularly dangerous for Russian Empire. His views about conciliation between different titles, rationalization of the landlords' and peasant farm economies, general labor obligations, commercialization and agriculture specialization corresponded to the high level of the moral and legal development of the mankind. Ilia desired that the main goal of the development of economy and science was welfare of Georgian population and therefore, the way chosen by him contradicted to the processes in Russian Empire.

In the end of the work the conclusion is made that today, with change of capitalism, with its characteristic features, the problems of "partnerships" and "public capitalism" emerged in the second half of 19th century still persist. Ilia Chavchavadze's ideas could not acquire the social-national and general-national functions as implementation of these ideas should be based on the state politics. Otherwise, our national heritage cannot be protected and developed.

Keywords: Socio-economic processes, state policy, society and state, jural society, economic basis, private property, degree of freedom, economic policy
JEL Codes: O10, O11, O12

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 3, გვ. 107-116
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 3, pp. 107-116

მიკროეკონომიკა ✧ მაკროეკონომიკა ✧ ეკონომეტრიკა
MICROECONOMICS ✧ MACROECONOMICS ✧ ECONOMETRICS

სოციალურ მეწარმეობაზე ორიენტაცია – საზოგადოებრივი უთანასწორობის დაძლევის ახალი მოცემულობა

რევაზ გველესიანი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი,
ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი

მცირე და საშუალო მეწარმეობის ფუნქციები ქვეყნის საზოგადოებრივი და ეკონომიკური სისტემის შედეგია. საზოგადოებრივი და ეკონომიკური სისტემის შესაბამისობა ზემოქმედებას ახდენს მეწარმეებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ვინც ,,ერთი სისტემის'' თვალსაზრისით მოქმედებს, ამავე დროს ,,მეორე სისტემის'' მიზნებსაც ითვალისწინებს. ორივე სისტემა საკუთრების იმ სტრუქტურიდან გამომდინარეობს, რომელიც უპირატესობას კერძო საკუთრებას ანიჭებს.

საკვანძო სიტყვები: სოციალური მეწარმეობა; ბიზნეს მეწარმეობა; მეწარმეობის ფუნქციები; სოციალური უთანასწორობა; სოციალური ინტერესები; ინტერესთა ჯგუფები; ინტერესთა კონლიქტები.

მეწარმეობისადმი ინოვაციური მიდგომა

დღემდე, თითქმის ექსკლუზიურად, დამწყები მეწარმეების ყურადღება კონცენტრირებული იყო რესურსებზე. რა ოდენობის კაპიტალს განკარგავდა კომპანია? რა საწარმოო აღჭურვილობასა და მანქანა-დანადგარებს ფლობდა იგი? და ა.შ. ეს სხვა არაფერია, თუ არა ფირმის – რესურსებზე დაფუძნებული ხედვა. მაგრამ ბალანსმა გადაინაცვლა. დღესდღეობით შეგვიძლია მეწარმეობა ტრადიციული რესურსების გარეშე დავიწყოთ. ახლა უფრო მნიშვნელოვანია იდეები და მათი რეალიზაცია. დღეს შეგვიძლია, განვიხილოთ კომპანიები, როგორც იდეის პროდუქტი. ამის დასადასტურებლად ცნობილი მეცნიერი და მეწარმე, ლეგენდარული Teekampagne-ის დამფუძნებელი გიუნტერ ფალტინი წარმოგვიდგენს კომპონენტების არსებობისა და იქ შრომის დანაწილების პრინციპებს. მისი აზრით, გადამწყვეტია შემოქმედებითი იდეა და არა მაღალი ტექ-

ნოლოგიები. ასე რომ, სამეწარმეო საქმინობისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იდეის მოფიქრება და მისი დამუშავებაა, მანამ, სანამ არ ჩამოყალიბდება სრულყოფილი კონცეფცია. შემდეგი საფეხური იმ უკვე არსებული პროფესიონალური კომპონენტების პოვნაა, რომელთა დახმარებითაც შეგიძლიათ თქვენი იდეის ხორცშესხმა ყველა მისი მხატვრული დეტალის გათვალისწინებით. გადამწყვეტი ფაქტორი იდეის ხარისხია [1].

გ. ფალტინი გვირჩევს: „თუ გსურს, რაიმე საინტერესო და რევოლუციური შექმნა, ისწავლე შენი მომხმარებლის უგულებელყოფა, რადგან მათი უმრავლესობის ფუნქცია ძალიან ჰგავს იმ სარკეს, რომელიც უკვე გამოვლილ გზას აირეკლავს, თანაც, მეტად კონსერვატიული, მოსაწყენი და ფანტაზიას მოკლებულია. ხშირად, ბევრმა მათგანმა თვითონ არ იცის, რა სურს.“ ხშირად წარმატებული მეწარმეები, აღნიშნავს იგი, არ იგონებენ რაიმე ახალს, არამედ უბრალოდ იღებენ უკვე არსებულს და სხვაგვარად აწყობენ მას, ანუ ისინი არსებული კომპონენტების აწყობით ქმნიან რაღაც ახალს“. ინოვაცია, მეტწილად, იქმნება იქ, სადაც რადიკალურად უპირისპირდებიან დაწესებულ პრაქტიკას [1].

ამრიგად, გ. ფალტინის მიხედვით, არსებობს სამი საფეხური, რომლებითაც ჩვენ შეგვიძლია, რადიკალურად შევცვალოთ სამეწარმეო ლანდშაფტი. ფაქტობრივად, ეს მხოლოდ მენტალური საფეხურებია, პრობლემის ახალი კუთხით დანახვაა, რაც საშუალებას გვაძლევს, ბიზნესის დაწყების საკითხს სრულიად სხვაგვარად მივუდგეთ. პირველი ნაბიჯია, ვაღიაროთ, რომ დღეს კარგი კონცეფცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კაპიტალი; მეორე – მეწარმეობის სფეროში უფრო რადიკალურად გამოვიყენოთ შრომის დანაწილების პრინციპი; მესამე – დავაფუძნოთ კომპონენტებისაგან შემდგარი კომპანია. შრომის დანაწილება და სოციალიზაცია საშუალებას გვაძლევს, შევქმნათ კომპანია, რომელიც თითქმის მხოლოდ კომპონენტებისგან იქნება ფორმირებული. გ. ფალტინის ეს მოდელი, ჩვენი აზრით, ნამდვილად მოასწავებს ,,სამეწარმეო გაზაფხულის'' დადგომას დამწყები მეწარმეებისათვის.

ამ გზით დაფუძნებული კომპანიები დასაწყისიდანვე მაღალეფექტიანად ფუნქციონირებენ, მოითხოვენ ბევრად უფრო ნაკლებ კაპიტალს, ამცირებენ რისკს, ნაკლებად მგრძნობიარენი არიან ტიპური კრიზისის მიმართ, რომელიც მოსალოდნელია კომპანიის ზრდასთან ერთად და წარმატებით ახორციელებენ თავიანთ საზოგადოებრივ, კონკურენციულ, სტრუქტურულ და დასაქმების ფუნქციებს, რითაც ხელს უწყობენ საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის შემცირებას [3].

მეწარმეობის პრიორიტეტული ფუნქციები

მცირე და საშუალო მეწარმეობის საზოგადოებრივი ფუნქცია ხშირად პოლიტიკოსების მიერ სახელმწიფო დახმარების მოთხოვნების დასასაბუთებლად გამოიყენება, ამიტომ სწორედ ამ სფეროშია მნიშვნელოვანი აღნიშნული სამე-

წარმეო პოლიტიკის განსაზღვრულ ,,საზომ'' სიდიდეებზე ორიენტირება. ასეთ ინდიკატორად გამოიყენება დამოუკიდებელთა რიცხვი ანდა მათი ქვოტა. ამ თვალსაზრისით სასურველია, რაც შეიძლება ბევრმა ინდივიდმა აღიქვას ეკონომიკური მოქმედების თავისუფლება და ამგვარად თავისი წვლილი შეიტანოს ძალაუფლების დეცენტრალიზაციაში [4].

ეკონომიკური და საზოგადოებრივი სისტემა ასეთი ადამიანების მიერ უნდა იქმნებოდეს, მაგრამ არ არის გამორიცხული რომელიმე ქვეყანაში ან რეგიონში ეკონომიკური აქტიურობის ,,იმპორტირება'' გარედან, მაშინ, როცა მოსახლეობა თავისი ქვეყნის ან საკუთარი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას თვითონ უნდა გაუძღვეს და აქტიური ზემოქმედება მოახდინოს მასზე.

ბაზრის ყოველი სუბიექტის თავისუფლება, თვითონ გადაწყვიტოს დამოუკიდებელი მეწარმეობა, დიდად არის დამოკიდებული ბაზარზე კონკურენციის ფუნქციონირებისუნარიანობაზე, რადგან თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა ხშირად დეგრადაციის ტენდენციებს (მაგალითად, მონოპოლიის შექმნა) ავლენს. არის თუ არა კონკურენცია ბაზარზე ფუნქციონირებისუნარიანი, ხორციელდება იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც საშუალებას იძლევიან შეჯამდეს კონკურენციის სამი იერარქიულად მოწესრიგებული განზომილება: ბაზრის სტრუქტურა, მიმწოდებლების მოქმედება ბაზარზე და ბაზრის შედეგი. რადგან ეკონომიკურ ცხოვრებაში ერთმანეთს კონკურენციას უწევს არა ყველა საწარმო, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც მსგავს პროდუქციას აწარმოებენ ან გასაცვლელად აწვდიან, ამიტომ კონკურენცია ბაზრის ცალკეულ ნაწილებზე შეიძლება შეფასდეს.

სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში ცხოვრების პირობების ერთიანობა აქტიური სტრუქტურული პოლიტიკით მიიღწევა. კერძოდ, სექტორულმა სტრუქტურულმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ცალკეულ დარგებში ცვალებადი მოთხოვნებისა და წარმოების პირობების შესაბამისობაში მოყვანას;

რეგიონულმა სტრუქტურულმა პოლიტიკამ ეკონომიკური საქმიანობის განწონასწორებული განაწილების ფარგლებში უნდა იმოქმედოს, ხოლო საწარმოთა სიდიდეებზე დამყარებულმა სტრუქტურულმა პოლიტიკამ, საწარმოების განსაზღვრული სიდიდეების სტიმულირებით, უნდა დააჩქაროს ცვალებად საბაზრო პირობებთან ადაპტაცია [4].

დიდი და მცირე საწარმოების ,,ჯანსაღი'' შერწყმით მცირე და საშუალო საწარმოებმა შესაძლებელი უნდა გახადონ საწარმოების სიდიდეთა სტრუქტურის სწრაფი შესაბამისობა ბაზრის ცვლილებებთან. Aამასთან, არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, ეს ცვლილებები მომხმარებლის მხრიდან მომდინარეობს, მაგალითად, მომსახურების უფრო გაძლიერებული დატვირთვით, თუ მიმწოდებლის მხრიდან, მაგალითად, ახალი ტექნოლოგიების დანერგვით. ადაპტაციისუნარიანობა შეიძლება შეეხებოდეს როგორც ცალკეულ საწარმოს, ასევე ბაზრის სტრუქტურას. დიდ საწარმოებთან შედარებით მცირე საწარმოო ერთეულების უფრო მაღალი შესაბამისობისუნარიანი მოქნილობის კვლევა მიზნად

ისახავს, უწინარეს ყოვლისა, საწარმოთა ინოვაციურ მოღვაწეობას. მართალია აშშ-ში, აგრეთვე გერმანიაშიც მცირე და საშუალო საწარმოების მოქნილობის უპირატესობანი აღიარებულია, მაგრამ კრიტიკას ვერც ისინი გადაურჩნენ. ინოვაციური მოქმედების გვერდით მეწარმის პიროვნებაც განიხილება, როგორც განსაკუთრებული შესაბამისობის უნარის მქონე. მაგრამ ამ სფეროში ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ სწორედ ამაშია მცირე და საშუალო საწარმოების არა მხოლოდ ერთ-ერთი განსაკუთრებული სიძლიერე, არამედ ერთ-ერთი უდიდესი სისუსტეც.

შესაბამისობის აღნიშნული პროცესები მიმდინარეობს არა მხოლოდ მთელი ეკონომიკის მასშტაბით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ცალკეული დარგების შიგნით. ეს ცვლილებები შეიძლება გაიზომოს მცირე და საშუალო საწარმოების წმინდა რაოდენობრივი განვითარების ან მათი დასაქმების ამსახველი ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით. შესაბამისობისუნარიანობის ინდიკატორად შეიძლება აღებული იქნას აგრეთვე საწარმოების ინოვაციისუნარიანობა, რადგან იგი გვიჩვენებს თუ რა მასშტაბით ,,შეეწყობიან'' საწარმოები ბაზრის ცვლილებებს.

დასაქმების საერთო ეკონომიკური სიტუაციისათვის მცირე და საშუალო საწარმოების მხრივ, მხედველობაში პირველ რიგში მათი მასტაბილიზებელი ზემოქმედება მიიღება (სამუშაო ადგილების შექმნა). დიდ საწარმოებთან შედარებით მცირე და საშუალო საწარმოების დასაქმების განსხვავებული პოლიტიკის ახსნის ცდები მეტად მრავალრიცხოვანია. დისკუსია ეხება, უწინარეს ყოვლისა, მოქნილობის ჰიპოთეზას და ტექნოლოგიის ჰიპოთეზას. პირველის თანახმად, მცირე და საშუალო საწარმოები უფრო მოქნილი ორგანიზაციის საფუძველზე დროულად რეაგირებენ მოთხოვნის ცვლილებებზე და ბაზრის ნიშებს მომხმარებლებთან დიდი სიახლოვის გამო შედარებით სწრაფად გრძნობენ. ტექნოლოგიის ჰიპოთეზა იქედან გამომდინარეობს, რომ მოთხოვნის სტრუქტურები ინდივიდუალურად და ხარისხობრივად დიფერენცირებული საქონლისა და მომსახურების სასარგებლოდ იცვლება და ამით ხდება მასობრივ წარმოებაზე უარის თქმა. ასეთმა ,,მოძრაობამ'' წარმოება კვლავ მცირე და საშუალო მეწარმეობის პირობებს უნდა მიუახლოოს.

ამ პრობლემატიკის უფრო ახლოს გაცნობის გარეშე შეუძლებელია საერთოდ დასაქმებისათვის მცირე და საშუალო საწარმოების პოზიტიური როლის შეფასება. მათ მასტაბილიზებელი ეფექტი აქვთ შრომის ბაზარზე და კრიზისების დროს უფრო მეტ სამუშაო ადგილებს ქმნიან, ვიდრე დიდი საწარმოები. რიგ ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოები შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის ორ მესამედს ასაქმებს. ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოები ახალი სამუშაო ადგილების შექმნით გადაიქცა ყოფილი სახელმწიფო საწარმოებიდან გამოთავისუფლებული სამუშაო ძალის მიმღებ რეზერვუარად.

თუ რამდენად ახორციელებს მცირე და საშუალო მეწარმეობა ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზანს ტრანსფორმაციის პროცესში, ანუ ახდენს

თუ არა იგი დადებით ზემოქმედებას დასაქმების პოლიტიკაზე, და შესაბამისად, საზოგადოებრივ უთანასწორობაზე, პირველ რიგში მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობით შეიცნობა. დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მოგვცეს აგრეთვე პროფესიული მომზადებისათვის გამოყოფილი სამუშაო ადგილების რიცხვმა. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა როგორც მომავალი დასაქმების, ასევე დარგების განვითარება გამოვიკვლიოთ. დასაქმების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს აგრეთვე საწარმოთა ინვესტიციები. მზარდი ინვესტიციური დანახარჯების საფუძველზე წარმოების გაფართოებას თან სდევს დასაქმების ზრდა [4].

ამ პრობლემასთან დაკავშირებით ასევე ხაზი უნდა გაუსვათ უმუშევრობის შემცირების ან მისი აღმოფხვრის სამ სტრატეგიულ მიმართულებას. პირველი სახის სტრატეგია, უწინარეს ყოვლისა, სატარიფო ხელშეკრულების პარტნიორებისკენ არის მიმართული, მეორე სახის სტრატეგია, რომელიც სამუშაო დროის შემცირებას გულისხმობს, პროფკავშირების მხრიდან ხორციელდება, ხოლო კეინზიანურად დასაბუთებული დასაქმების მაკროეკონომიკური პროგრამები – მესამე სახის სტრატეგიას წარმოადგენს [5], [6].

ამრიგად, ახლად დაფუძნებული ინოვაციური კომპანიების წარმატება იწყება ნათელი და პრეტენზიული მიზნით: იყო საუკეთესო ან #1. ამისათვის კი აუცილებელია გრძელვადიანი ორიენტირება, კვალიფიციური თანამშრომლები და რკინის ნებისყოფა. ბაზრები ვიწროდ უნდა განისაზღვროს, სამეწარმეო საქმიანობა კონცენტრირებული უნდა იყოს ერთ სიმძიმის ცენტრში – ძირითად კომპეტენციებზე.

წარმატება საერთოდ მიიღწევა მხოლოდ გლობალური კომერციალიზაციით – ასე შეიძლება ბაზრის თვით უმცირესი ნიშებიც კი საკმაოდ დიდი გახდეს. ქვეყნების ცოდნა, აგრეთვე, ბაზრის პოზიციების რაც შეიძლება ადრე ,,დაპყრობა'' ქმნის გლობალური წარმატების საფუძველს [7].

საუკეთესო მომსახურება მომხმარებლებთან სიახლოვის მნიშვნელოვანი ასპექტია. ეს არის მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მომენტი. მომხმარებელი ხომ ყველგან საჭიროებს სერვისს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი. ხშირად საწარმოები ახალ საქონელს ქმნიან და შემდეგ ცდილობენ ეს წინსვლა ინოვაციებით შეინარჩუნონ. ამასთან, სიახლეები ყოველთვის არა მხოლოდ ნაწარმს უნდა შეეხოს, არამედ მომხმარებელთა სფეროსაც, რადგან აქ ინოვაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ბაზრის წარმატებული მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენციის უპირატესობანი უფრო ხარისხობრივ გაუმჯობესებებს ემყარება, ვიდრე ფასის მიხედვით უპირატესობებს. მიუხედავად ამისა, ფირმები მუდმივ კონკურენციულ ბრძოლაში იმყოფებიან (ბაზარზე ახალი მასობრივი პროდუქციის მწარმოებელთა შეღწევის წინააღმდეგ) თავიანთი წამყვანი პოზიციის დასაცავად.

მცირე და საშუალო საწარმოები დიდ ყურადღებას უთმობენ აგრეთვე მეწარმეობის კულტურის მოთხოვნების გათვალისწინებას. არადა ამ უკანასკნელს

ხშირად სათანადოდ ვერ აფასებენ. იგი წინა პლანზე წამოწევს და ეყრდნობა ხანგრძლივი წარმატებების მომტან ფასეულობებს [8], [9].

ბაზრის წამყვან სუბიექტებს, განსაკუთრებით მაღალი რანგის მსხვილ მეწარმეებს, როგორც ჩანს, მიდრეკილება აქვთ ,,თამაშის წესები'' დაადუღაბონ, რათა თავიანთი პოზიცია დაიცვან. ასეთი განწყობა განაპირობებს მოუქნელობას, თვითკმაყოფილებასა და საბოლოოდ მთავრდება წამყვანი პოზიციის დაკარგვით. ამ ფენომენს ,,ლიდერების წაგების'' _ სინდრომს უწოდებენ. წარმატებული მცირე და საშუალო საწარმოები ნაკლებად ეწირებიან ამ სინდრომს, ვიდრე დიდი საწარმოები. ბაზარზე მათი წამყვანი მდგომარეობის ხანგრძლივობა თვალნათლივ ადასტურებს, რომ ისინი მეტად მოქნილი და საკმაოდ ფრთხილი არიან, ამ როლში თავს არასოდეს არ გრძნობენ მყარად. სისტემატურად ახდენენ თავიანთი დარგის რეგულირების წესების განახლებასა და მათ მოდიფიცირებას.

ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისაკენ

დღეისათვის საზოგადოებაში არსებული უთანასწორობა სულ უფრო მეტად აძლიერებს ტენდენციას ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისკენ. სოციალური მეწარმეობის იდეა მსოფლიოს მასშტაბით მკვიდრდება. ეს, ალბათ, იმითაა განპირობებული, რომ სოციალური პრობლემებისთვის მხარდაჭერის კონცეფცია დაკავშირებულია სამეწარმეო ინიციატივების იდეასთან, მიზანმიმართულ ორგანიზაციასა და კომპანიის სახელით ხარჯების მოწესრიგებულ მართვასთან. ასეთი კონცეფცია პასუხობს მოძრაობას, რომელიც აცნობიერებს, რომ სახელმწიფოები, ადმინისტრაციები და არსებული სოციალური ორგანიზაციები გარკვეული ტიპის პრობლემების გადაჭრისათვის ნაკლებად იბრძვიან; შეიძლება იმიტომ, რომ ისინი არაეფექტიანად ფუნქციონირებენ, უფრო ორგანიზაციის ადმინისტრირებით არიან დაკავებულნი, ვიდრე სოციალური საჭიროების დაკმაყოფილებით ან, უბრალოდ, ხისტნი და მოძველებულნი არიან. ჩვენ გვჭირდება „სოციალური მეწარმეები,'' რომლებიც ახალი კომპლექსური პრობლემების გადაჭრის ნოვაციურ მიდგომებს გამოძებნიან და შესაბამის რეაგირებას მოახდენენ.

,,ეთიკა იხდის'' – თანდათან რეალური ხდება, რადგან არაკეთილსინდისიერი ბიზნესი, შესაძლოა, უფრო გართულდეს. მნიშვნელოვანია სიტუაციის უფრო ღრმა ანალიზი, მოტივის გააზრება და იმის გარკვევა, თუ როგორ შეგვიძლია ორივე მხარისათვის არაწამგებიანი ვითარების შექმნა. საჭიროა ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე თეზისი, რომლებიც ეხება კარგი ადამიანების მოტივაციას, რომლებიც მხოლოდ ალტრუისტული პრინციპებით კი არ მოქმედებენ, არამედ, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ისახავენ – საკუთარი თავის დაკმაყოფილების, საზოგადოებაში აღიარების მოპოვების, დიდად მნიშვნე-

ლოვანი სამუშაოს მოძიების, რაღაც დადებითის გაკეთების ან წარმატებული მდგომარეობის მიღწევის – მიზანს. იქნებ ეს გზაა საჯარო აღიარებისაკენ თუ საქველმოქმედო ორგანიზაციაში ხელმძღვანელობის პოზიციის დაკავებისაკენ. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ, შესაძლოა, აღნიშნული ადამიანის მიერ სამუშაოს შენარჩუნების საკითხიც იდგეს დღის წესრიგში. ამგვარი მამოტივირებელი შეფასება უფრო რეალისტური და ზუსტია, ვიდრე მთლიანად ალტრუისტულ ასპექტებზე ფოკუსირება.

ბიზნესმეწარმეობა, მოგების მოტივაციიდან გამომდინარე, ხშირად განსხვავდება სოციალური მეწარმეობისგან. შესაძლებელია, ზოგადი წესის სახით ითქვას, რომ დღეს არსებობს მთელი რიგი ტენდენციები, რაც უფრო და უფრო ართულებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წინააღმდეგობის გაწევას არაკეთილსინდისიერი ბიზნესპრაქტიკის შენარჩუნებისათვის. თუ ვივარაუდებთ, რომ ამორალურისაგან კარგს არ უნდა ველოდოთ, მაშინაც კი ბაზრის პირობები ქმნის „კარგი“ქცევის ტენდენციას. ბაზარზე მონაწილეობა ფლობს ადამიანის მორალური მახასიათებლების გაუმჯობესების პოტენციალს.

წარმატებული ბიზნესი მოითხოვს ადამიანებს, რომლებიც წარმოადგენენ უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ პირებს, რომელთაც შეუძლიათ მოგების გაზრდილი ოდენობით მიღება. ბუნებრივია, აღიარების, რაღაც სანახაობრივის, დამოუკიდებლობისა და წარმატების სურვილი ასევე დიდ როლს თამაშობს. ფული და დაგროვილი სიმდიდრე მხოლოდ წარმატების ნიშანია. დამფუძნებელთა თაობა ხშირად ეკონომიურად ცხოვრობს.

სოციალურ და ბიზნესმეწარმეთა შორის განსხვავება უფრო მცირეა, ვიდრე ხალხი ფიქრობს. ფაქტობრივად, ჩვენ შეიძლება მოწმენი გავხდეთ კონვერგენციის: სოციალური მომსახურებისათვის საბიუჯეტო შემცირებები აიძულებს სოციალურ მეწარმეებს, უფრო ხშირად გამოიყენონ ეფექტიანობისა და ბაზრის ორიენტაციის მეთოდები. მაშინ, როდესაც ინფორმაციის გაზრდის, გამჭვირვალობის, კონკურენციისა და შედარების შესაძლებლობები აიძულებს ბიზნესმეწარმეებს, აწარმოონ კარგი პროდუქცია და კეთილსინდისიერად მოემსახურონ მომხმარებელს, თუ სურთ ხანგრძლივი ეკონომიკური წარმატება [1].

მენეჯმენტის სფეროში ცნობილი მრჩეველის გარეტ მორგანის მიხედვით ,,სოციალურ ღირებულებებთან ჰარმონიაში ყოფნა წარმატების წინაპირობაა'' [2]. მეწარმეობის იდეა დაკავშირებული უნდა იყოს სოციალურ ღირებულებებსა და პრობლემებთან, ამასთან, სოციალური პრობლემების მიმართ ინდიფერენტულობა აშინებს ხალხს, საფრთხეს უქმნის მათ ნდობას და თითქმის ყოველთვის უარყოფითი შედეგით სრულდება, სულ მცირე, გრძელვადიან პერსპექტივაში. დღევანდელ დღეს, მეწარმეებმა უნდა წარმოადგინონ პასუხისმგებლობის ბევრად მაღალი ხარისხი, თუმცა ეს არ მოითხოვს თანაბარ მორალურ მოტივაციას – მხოლოდ გადარჩენისა და წარმატების სურვილს. შესაბამისად, შეგვიძლია, ვთქვათ: ბიზნესმეწარმეები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე,

მოძრაობენ სოციალური მეწარმეების მიმართულებით. კარგად ფუნქციონირებადი ბაზრები ქმნიან მექანიზმებს, რომლებიც განაპირობებენ კარგ ქცევას. ეს კი, ფუნქციონირებადი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი თვისებაა [1].

რაც შეეხება სოციალური მეწარმეობის პერსპექტივებს, მეწარმეობის კონცეფციის გაფართოებამ სოციალურ არენაზე შესაძლოა გამოიწვიოს ის შედეგი, რომ ბიზნესის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ხალხი გახდეს უფრო ღია მეწარმეობის, როგორც აქტივობის მიმართ. ეს კი უფრო შემოქმედებითი და კონგენიალურია, ვიდრე მსხვილი, ანონიმური კომპანიების და მულტიმილიონერების ბიზნესი [1].

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მიზანიც – ქვეყანაში შექმნას შემოსავლებისა და ქონების სამართლიანი განაწილების სისტემა – ასევე ემსახურება ეკონომიკური განვითარების პროცესში გარკვეული პირების ან პირთა ჯგუფების დისკრიმინაციის თავიდან აცილებას.

თუ სოციალური და განაწილების პოლიტიკის მიზნად, უპირველეს ყოვლისა, სიღარიბის დაძლევას ან მის შემცირებას მივიჩნევთ, საჭიროა სიღარიბის საზომად განსაკუთრებული ინსტრუმენტების გამოყენება. ამასთან, უნდა განვასხვავოთ აბსოლუტური და შედარებითი სიღარიბის ინდიკატორები. აბსოლუტური სიღარიბის გასაზომად, რომელიც უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია განვითარების პოლიტიკისათვის, ადგილი აქვს მცდელობას, განისაზღვროს შემოსავლების ოდენობა, რომელიც ცხოვრების საარსებო მინიმუმის სტანდარტისათვის უპირობოდ აუცილებელია. მსოფლიო ბანკმა 1990 წელს წარმოადგინა საარსებო მინიმუმის შესაბამისი საქონლის სამომხმარებლო კალათა და აქედან გამომდინარე დაადგინა, რომ აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს წარმოადგენს დღეში 1 ამერიკული დოლარის ან წელიწადში დაახლოებით 400 ამერიკული დოლარის ოდენობის შემოსავალი. შედარებითი სიღარიბის გაზომვისას, რომელსაც განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებული სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება, საჭიროა სიღარიბის ზღვარის კონცეფციაზე დაყრდნობა, რომელიც ყოველთვის საშუალო შემოსავალთან შედარებით დგინდება. ხშირად, სიღარიბის ზღვრად მიიჩნევა საშუალო შემოსავლების მესამედი ან ნახევარი. სიღარიბის ქვოტა შემდგომ ზომავს შემოსავლების მიმღებ იმ პირთა წილს, რომელთა შემოსავალი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება [9].

სახელმწიფოს ჩარევა ზრდისა და კონიუნქტურის პოლიტიკის ფარგლებში პირდაპირ თუ არაპირდაპირ საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებს უწყობს ხელს ან პირიქით. გარდა ამისა, ეკონომიკის მწარმოებლურობა და წარმატებული ფუნქციონირებისუნარიანობა სოციალური დაცვის სისტემის ფორმირების ფუძემდებლურ წანამძღვარს წარმოადგენს. მაშასადამე, სოციალური პოლიტიკის საზღვრებზე გადამწყვეტ გავლენას ეკონომიკური ზრდა ახდენს, ანუ ეკონომიკური განვითარება სოციალური პიოლიტიკის საზღვრებს აწესებს [10; 11].

ლიტერატურა:

1. Guenter Faltin, Kopf Schlaegt Kapital, Carl Hanser Verlag, Muenchen, 2008**, S.**14-17; 98-99; 142-154; 178; 181-182.
2. Morgan, Gareth 1991: ,,Emerging Waves and Challenges: The Need For New Competencies and Mindsets.'' In: Henry, J. (Hrsg.): Creative Management. Sage Publications, London/Newbury Park/New Delhi.
3. ჯოზეფ ჰასიდი, ალექსის-სტეფანოს კომსელისი, ირინა ფაფალიოუ, მარია ფსილაკი, **რევაზ გველესიანი,** ელგუჯა მექვაბიშვილი, ინეზა გაგნიძე, ეკა ლეკაშვილი, მარინა ნაცვალაძე, მეწარმეობის თეორიული საფუძვლები, ნაწილი III, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011 (ქართულ ენაზე), ვვ.10-13.
4. რევაზ გველესიანი, მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა, გამომცემლობა ,,სამშობლო'', თბილისი, 1999 (ქართულ ენაზე). ვვ.10; 12; 14.
5. Walter A.S. Koch, Christian Czogalla, Grundlagen der Wirstcaftspolitik, 2. Auflage, Lucius & Lucius, Stuttgart, 2004. S.286-289.
6. **რევაზ გველესიანი,** ირინა გოგორიშვილი, ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი II, გამომცემლობა ,,უნივერსალი'', თბილისი, 2012 (ქართულ ენაზე). pp. 42-43
7. Hermann Simon, Die Heimlichen Gewinner (Hidden Champions), Die Erfolgsstrategien unbekannter Weltmarktfuehrer, Frankfurt/Main, New York, 1996. **S.**11.
8. Christian Scholz, Hofbauer, Wolfgang, Organisationsstruktur: Die vier erfolgsprinzipen, Wiesbaden: Gabler, 1990.
9. Rainer Klump, Wirtschaftspolitik, Instrumente, Ziele und Institutionen, 2. Auflage, Pearson Studium, Muenchen, 2011. S.62-63; 280.
10. რევაზ გველესიანი, საზოგადოების ეკონომიკური ინტერესების იერარქიაში არსებული წინააღმდეგობების დაძლევის გზები, სამეცნიერო-პოლულარული ჟურნალი თსუ მეცნიერება, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ივლისი, 2012 (ქართულ ენაზე). ვვ.246.
11. **რევაზ გველესიანი,** ირინა გოგორიშვილი, ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I, გამომცემლობა „უნივერსალი'', თბილისი, 2012 (ქართულ ენაზე). ვვ.299-300.

Orientation Towards Social Entrepreneurship – New Givens for Overcoming Social Inequality

Revaz Gvelesiani

Professor, Iv. Javakhishvili Tbilisi State University,
Chair of the Department of Economic Policy,
Director of the Georgian-German Institute of Economic Policy

In social market economy equality in living conditions is reached by means of active structural policy. Namely, sectoral structural policy should help to adjust changing demands and production conditions in separate industries. Regional structural policy should act under balanced allocation of economic activity, while structural policy based on the size of enterprises should enhance adaptation with the changing market conditions by means of stimulating certain sizes of companies.

For the reasons of the overall employment situation, first of all, the stabilization effect of small and medium sized enterprises is considered (job creation); to what extent small and medium sized enterprises reach job creation goal under the transformation process, or in other words, whether it has positive influence on employment policy and, accordingly, on social inequality, is first of all assessed according to the number of employees in small and medium sized enterprises.

At present, social inequality increasingly strengthens the trend from business entrepreneurship to social entrepreneurship. It can be said that business entrepreneurs, according to their interests, move towards social entrepreneurship. Effectively operating markets create mechanisms, which lead to "good" behavior. This is the most important feature of the rationally functioning society. As for the prospects of social entrepreneurship, expansion of entrepreneurship concept at the social arena may lead to such an outcome, when people who are skeptical about business, become more open towards entrepreneurship as a type of activity. This is the way which by means of increased participation in entrepreneurship promotes fair distribution of wealth.

Keywords: Social entrepreneurship, business entrepreneurship, business functions, social inequality, social interests, interest groups, conflicts of interest.
JEL Codes: L26, L32, L33,

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 3, გვ. 117-129
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 3, pp. 117-129

სამეწარმეო უნივერსიტეტი – ბიზნესის ინოვაციური განვითარების მნიშვნელოვანი რგოლი

ინეზა გაგნიძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი
ineza.gagnidze@tsu.ge

ნაშრომში გაანალიზებულია მსოფლიოში დღეისათვის უნივერსიტეტების ეფექტიანი მოდელის - სამეწარმეო უნივერსიტეტის ფორმირების მნიშვნელობა საქართველოში ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის 2008-2015 წწ. ანგარიშებზე დაყრდნობით, მოცემულია საქართველოში ბიზნესის განვითარების ხარისხის შეფასება. შემოთავაზებულია ბიზნესის განვითარებისადმი სისტემური მიდგომა, რაც ემყარება საქართველოს რეგიონებში სამეწარმეო უნივერსიტეტების ჩამოყალიბების იდეას. დასაბუთებულია სამეწარმეო უნივერსიტეტების მნიშვნელოვანი როლი ბიზნესისა და საერთოდ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: ცოდნის სამკუთხედის მოდელი; გლობალური კონკურენტუნარიანობა; ბიზნესი; განათლება; მეცნიერება; სამეწარმეო უნივერსიტეტი.

საქართველოში ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2014 წლის 1 ივნისიდან, ამოქმედდა სახელმწიფო პროგრამა - "აწარმოე საქართველოში" და საქართველოს მთავრობის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2016 წლის 13 ივლისისთვის, მხარდაჭერილია 186 საწარმო, ინვესტიციის ჯამური მოცულობა შეადგენს 407 მლნ ლარს, შეიქმნა 8050-ზე მეტი სამუშაო ადგილი. პროგრამის მიზანია წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრიის განვითარების მხარდაჭერა. პროგრამა ხორციელდება 2 მიმართულებით:

1.წარმოების წახალისება; 2.სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავების წახალისება. პროგრამა სამ კომპონენტს მოიცავს: ფინანსური

მხარდაჭერა; ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა; საკონსულტაციო მომსახურება.

2016 წლის ზაფხულიდან დაიწყო პროგრამა - „მიკრო გრანტები მთის განვითარებისთვის“. მაღალმთიან რეგიონში ბიზნესის წამოწყების მსურველებს შესაძლებლობა ეძლევათ პროექტის საშუალებით, სახელმწიფოს მხრიდან მიიღონ 5000-დან 15000 ლარამდე თანადაფინანსება და წამოიწყონ ბიზნესი, რაც ზოგადად მთის შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს.

ეკონომიკური თეორიის კლასიკურ სახელმძღვანელოებში აღნიშნულია, რომ მთავრობის მხრიდან სამრეწველო პოლიტიკის გატარებისას საწარმოების მხარდაჭერის “გასამართლებლად **სამი მიზეზი** შეიძლება გამოვყოთ: **პირველი,** შეიძლება ბაზარზე არსებობდეს გარკვეული შეფერხებები ახალი კომპანიებისა და ახალი საწარმოებისთვის სესხების გაცემის თაობაზე. დასაშვებია, რომ ბანკები და სხვა კრედიტორები გაუთვითცნობიერებელნი აღმოჩნდნენ ამ ახალ საქმეში; **მეორე,** ბაზარმა შეიძლება ნელა უზრუნველყოს შესაბამისი ტრენინგები და უნარ-ჩვევები; **მესამე,** შეიძლება არსებობდეს მნიშვნელოვანი დადებითი გარე ეფექტები, როცა ერთმანეთის მსგავსი მწარმოებლები ერთსა და იმავე ადგილზე არიან განთავსებულნი” [1, გვ.254].

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში აღწერილია ბიზნესის დასაწყებად ყველაზე პრობლემური ფაქტორები. 2015-2016 წწ. ანგარიშში ბიზნესის კეთების ყველაზე მნიშვნელოვან შვიდ პრობლემას შორისაა (რიგითობა დაცულია): სამუშაო ძალის არაადეკვატური განათლება, ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობა, არაადეკვატური ინფრასტრუქტურა, ინფლაცია, პოლიტიკის არასტაბილურობა, სამთავრობო ბიუროკრატიის არაეფექტიანობა, ინოვაციურობის არაეფექტიანი შესაძლებლობები. ამ პრობლემების ზემოქმედების მნიშვნელოვნად შერბილება (ინფლაციის გარდა) შესაძლებელია საქართველოში სამეწარმეო უნივერსიტეტების ფორმირებით. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშებში ბოლო სამი წელია “სამუშაო ძალის არაადეკვატური განათლება” თავისი მნიშვნელობით 1-2 ადგილზეა.

სამეწარმეო უნივერსიტეტები განაპირობებენ ცოდნის სამკუთხედის მოდელის (განათლება-მეცნიერება-ბიზნესი) ეფექტიან ფუნქციონირებას ეკონომიკაში. მეცნიერებისა და განათლების პოლიტიკაზე ასეთი უნივერსიტეტების დადებით გავლენაზე ჩვენ ადრეც ვწერდით [11, გვ.121-133], ამჯერად, ბიზნესის განვითარებისთვის მათ წვლილზე ვიმსჯელებთ.

საქართველოში ბიზნესის განვითარების ხარისხი საერთაშორისო შეფასებების მიხედვით

ცნობილია, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში მოცემულია ცალკეული ქვეყნის ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანობის საბოლოო შეფასება 100-ზე მეტი მაჩ-

საქართველოში ბიზნესის განვითარების ხარისხის შეფასების ზოგიერთი მაჩვენებელი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის 2008-2015 წლების ანგარიშების მიხედვით [*2, გვ.168-169; 3, გვ.150-151; 4, გვ.162-163; 5, გვ. 182-183; 6, გვ.174-175; 7, გვ.192-193; 8, გვ.188-189; 9, გვ.176-177*]

ცხრილი 1

	მაჩვენებლები	წლები							
		2008-2009	2009-2010	2010-2011	2011-2012	2012-2013	2013-2014	2014-2015	2015-2016
1	გამოკვლეული ქვეყნების რაოდენობა, სულ	134	133	139	142	144	148	144	140
2	მათ შორის საქართველოს პოზიცია	90	90	93	88	77	72	69	66
3	**მდგენელი 11. ბიზნესის განვითარების ხარისხი** (დაკავებული პოზიცია და ქულა)	112 (3,4)	113 (3,3)	111 (3,3)	110 (3,4)	113 (3,4)	120 (3,5)	113 (3,5)	112 (3,5)
4	ადგილობრივი მიმწოდებლების რაოდენობა	131	130	137	138	137	136	138	137
5	ადგილობრივი მიმწოდებლების ხარისხი	131	129	131	130	131	129	120	117
6	კლასტერების განვითარების დონე	91	85	98	102	116	116	112	120
7	კონკურენციული უპირატესობების ხასიათი	79	81	82	73	81	91	80	75
8	ფასეულობათა ჯაჭვი	92	89	93	87	84	96	106	108
9	საერთაშორისო დისტრიბუციის კონტროლი	111	92	88	95	105	103	99	95
10	პროდუქტის საწარმოო პროცესების განვითარების ხარისხი	84	101	116	110	112	119	114	110
11	მარკეტინგის მასშტაბი	97	97	102	107	104	107	104	89
12	მზაობა უფლებების დასათმობად	87	107	115	116	127	127	118	118
13	ინოვაციურობის შესაძლებლობა	97	119	112	103	116	118	110	121
14	კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე	121	124	132	124	125	128	126	127
15	წარმოება-უნივერსიტეტი კავშირი	109	122	134	126	134	132	128	128

ვენებლის მიხედვით, რომლებიც გაერთიანებულია 12 მდგენელში. ეს მდგენელები თავის მხრივ დაჯგუფებულია ქვეყნის ეკონომიკაზე ზეგავლენის სფეროსა და ხარისხის მიხედვით. საქართველოში ბიზნესის განვითარების ხარისხის შესაფასებლად მაჩვენებლები ავიღეთ ინოვაციისა და განვითარების ხარისხის ფაქტორების ჯგუფიდან, რომელთა გავლენის ხარისხი ეკონომიკის გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე შეფასებულია 10%-ით. ისინი გაერთიანებულია მე-11 და მე-12 მდგენელებში - ბიზნესის განვითარების ხარისხი და ინოვაციები. ცხრილი 1 ასახავს 2008-2015 წწ ქვეყნის ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანობის საერთო შეფასებას, ბიზნესის განვითარების ხარისხის მდგენელის შეფასებას, მასში გაერთიანებულ 9 მაჩვენებელს და დამატებით 3 მაჩვენებელს ინოვაციების მე-12 მდგენელიდან.

როგორც ცხრილიდან (1) ჩანს, 2008-2015 წწ. საქართველომ 90-ე ადგილიდან გადაინაცვლა 66-ე ადგილზე, რაც მნიშვნელოვანი წინსვლაა (24 პოზიციით). თუმცა, ჩვენი საკვლევი საკითხის გარშემო არსებული მაჩვენებლების მიხედვით, ქვეყანას სახარბიელო მდგომარეობა არ აქვს. საანალიზო პერიოდში გაუარესებულია ადგილობრივი მიმწოდებლების რაოდენობის (6 პოზიციით), კლასტერების განვითარების დონის (29), ფასეულობათა ჯაჭვის (16), პროდუქტების საწარმოო პროცესების განვითარების ხარისხის (16), უფლებების დასათმობად მზაობის (31), ინოვაციურობის შესაძლებლობების (24), კვლევასა და განვითარებაზე კომპანიების დანახარჯების (6) და წარმოება-უნივერსიტეტი კავშირის (19) მაჩვენებლები.

ცხრილიდან ჩანს, რომ გაუმჯობესებულია ადგილობრივი მიმწოდებლების ხარისხის (14 პოზიციით), საერთაშორისო დისტრიბუციის კონტეროლის (16) და კონკურენციული უპირატესობების ხასიათის (4) მაჩვენებლები.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის პოზიცია (66-ე ადგილი 140 ქვეყანას შორის 2015-2016 წლების ანგარიშში) მნიშვნელოვნად უსწრებს (ხანდახან თითქმის 2-ჯერ) ანგარიშის - "ინოვაციისა და განვითარების ხარისხის ფაქტორების" ჯგუფიდან ამოკრებილი მაჩვენებლების მიხედვით დაკავებულ პოზიციას (მაგალითად, კვლევასა და განვითარებაზე კომპანიების დანახარჯების მაჩვენებელი (127-ე ადგილი 140 ქვეყანას შორის) და წარმოება-უნივერსიტეტი კავშირის მაჩვენებელი (128), კლასტერების განვითარების დონე – 120). ეს კი დღეისათვის მოწინავე ქვეყნების ეკონომიკის განვითარების სტრატეგიებში ქვაკუთხედად ქცეული "ცოდნის სამკუთხედის", "სამმაგი სპირალის", "ღია ინოვაციების" მოდელების აბსოლუტურ იგნორირებაზე მიუთითებს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას და აშკარად მეტყველებს განათლების, მეცნიერების და ბიზნესის მიმართულებით ეფექტიანი სისტემური კავშირების არარსებობასა და პოლიტიკის არაეფექტიანობაზე.

სამეწარმეო უნივერსიტეტი – უახლესი თაობის უნივერსიტეტი

ეკონომიკურ ლიტერატურაში სამეწარმეო უნივერსიტეტზე (Enterpreneurial University) მსჯელობა 1998 წლიდან დაიწყო [10, გვ.2]. ამ ხნის მანძილზე მას სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენებდნენ, კერძოდ, ტექნოლოგიის ტრანსფერის უნივერსიტეტი, ინოვაციური უნივერსიტეტი და საბაზრო უნივერსიტეტი. ასეთი უნივერსიტეტის სხვადასხვა მახასიათებელზე ადრეც ვწერდით [11], ამჯერად, ცხრილში (2) მოცემულია უნივერსიტეტების მახასიათებლები რვა მაჩვენებლის მიხედვით მათი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, რომელიც ჯ.გ. ვისემაზე დაყრდნობით მოცემული აქვთ პ. კუროსა და ჯ. მატილას [12].

უნივერსიტეტების მახასიათებლები მათი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე

ცხრილი 2

	I თაობა	II თაობა	III თაობა
მიზანი	**განათლება**	**განათლება +კვლევა**	**განათლება +კვლევა+ ნოუ-ჰაუს გამოყენება**
როლი	ნდობაზე დამოკიდებული	ბუნების კვლევა	ფასეულობების ჩამოყალიბება
მეთოდი	სქოლასტიკური	თანამედროვე მეცნიერება, მონოდისციპლინური მიდგომა	თანამედროვე მეცნიერება, ინტერდისციპლინური მიდგომა
ამზადებს	პროფესიონალს	პროფესიონალს + მეცნიერი	პროფესიონალი+ მეცნიერი+ მეწარმე
ორიენტაცია	უნივერსალური	ეროვნული	გლობალური
სწავლების ენა	ლათინური ენა	ნაციონალური ენა	ინგლისური ენა
ორგანიზაციული მოწყობა	ფაკულტეტები, კოლეჯები	ფაკულტეტები	უნივერსიტეტი ინსტიტუტები
მენეჯმენტი	კანცლერი	არასრული განაკვეთით მომუშავე აკადემიური პერსონალი	პროფესიული მენეჯმენტი

ცხრილიდან (2) ჩანს, რომ სამწარმეო უნივერსიტეტს მართავს პროფესიული მენეჯმენტი. ასეთი უნივერსიტეტების მიზანია სტუდენტების განათლება დაუკავშიროს მათთვის ისეთი კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რითაც ისინი შეძლებენ ნოუ-ჰაუს მიღწევების პრაქტიკაში გამოყენებას. სამეწარმეო უნივერსიტეტებში თანამედროვე მეცნიერება ვითარდება ინტერდისციპლინური

მიდგომის საფუძველზე და კურსდამთავრებული თავისთავში აერთიანებს პროფესიონალს, მეცნიერსა და მეწარმეს, აქ ორიენტაციაა როგორც ლოკალური, ასევე გლობალური პრობლემების გადაწყვეტაზე.

ბიზნესის მხრიდან სამეცნიერო კვლევების წარმოების აუცილებლობის შესახებ

ცნობილია, რომ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმის პარალელურად, შვეიცარიაში ლოზანის საერთაშორისო მენეჯმენტის განვითარების ინსტიტუტში 300-ზე მეტ მაჩვენებელზე დაყრდნობით იკვლევენ ქვეყნების მსოფლიო კონკურენტუნარიანობას. ფინანსური შესაძლებელობების სიმწირის გამო, ეს ცენტრი იკვლევს მხოლოდ ყველაზე წარმატებულ 61 ქვეყანას, სადაც სამწუხაროდ, საქართველო არ არის. მკვლევარები ქვეყნის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელთა შორის ანგარიშობენ **სამეცნიერო ინფრასტრუქტურის მაჩვენებლებს.** ამ მაჩვენებლების ნაწილი განხილულია ბიზნესთან მჭიდრო კავშირით, კერძოდ, ეს მაჩვენებლებია: დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე (მლნ აშშ$), დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, როგორც მშპ-ის %-ული წილი, დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე მოსახლეობის ერთ სულზე, ბიზნესსექტორის მიერ გაწეული დანახარჯები როგორც მთლიანად, ასევე როგორც მშპ-ის %-ული წილი, ქვეყანაში კვლევებისა და განვითარების სამსახურებში დასაქმებულთა რიცხოვნობა (სრული საშტატო განაკვეთების რაოდენობა), ქვეყანაში კვლევებისა და განვითარების სამსახურებში დასაქმებულთა რიცხოვნობა მოსახლეობის ერთ სულზე (სრული საშტატო განაკვეთების რაოდენობა, პრომილეში), ქვეყანაში კვლევებისა და განვითარების სამსახურებში დასაქმებულთა რიცხოვნობა ბიზნესსექტორში (სრული საშტატო განაკვეთების რაოდენობა, ათასი) [13].

ამგვარად აშკარაა, რომ ევროპელი მკვლევარები სამეცნიერო კვლევებს ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილავენ. გავიხსენოთ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშში ინოვაციების მდგენელის მაჩვენებელი - „კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე“. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბიზნესის ინოვაციური განვითარებისთვის სამეცნიერო კვლევების წარმოების დიდ მნიშვნელობას მსოფლიოში აღიარებული ორივე კვლევითი ორგანიზაცია უსვამს ხაზს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ არ ვართ მომხრე ბიზნესმა მექანიკურად გაწიოს დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე. აქ მნიშვნელოვანია ბიზნესის წარმომადგენლებს გააზრებული ჰქონდეთ ის, რომ ბიზნესის გრძელვადიანი წარმატებისთვის აუცილებელია სამეცნიერო კვლევების საფუძველზე ბაზრისთვის ახალი პროდუქტების მიწოდება ან არსებულის განახლება, ხოლო კადრების მომზადება-გადამზადებისთვის - საგანმანათლებლო ერთეულებთან მჭიდრო კავშირი.

ცნობილია, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებასთან ერთად რეფორმები განხორციელდა განათლებისა და მეცნიერების ერთმანეთთან დაახლოვების კუთხითაც. შედეგად, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დიდი უმრავლესობა მექანიკურად, გრძელვადიანი ხედვისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიასთან კავშირის გარეშე, შეუერთეს უნივერსიტეტებს, რამაც უფრო მძიმე ვითარებაში ჩააყენა ისედაც გადარჩენის ზღვარზე მყოფი ინსტიტუტები. ამჟამად უკუპროცესია დაწყებული, კერძოდ, კვლევით ინსტიტუტებს შესთავაზეს დამოუკიდებლად საქმიანობის უფლების აღდგენა და ისინი ცდილობენ მოძებნონ თავისი ადგილი საქართველოს „სამეცნიერო“ ცის ქვეშ. თუმცა, ბოლო პერიოდში გატარებული ასეთი მოუმზადებელი რეფორმების გამო, ინსტიტუტებში მკვლევართა როტაციისა და პროფესიული კადრების მოზიდვის პროცესი სათანადოდ ვერ წარიმართა, რის შედეგადაც მიღებული საკადრო პოლიტიკის არაეფექტიანობა დასტურდება საქართველოში მკვლევართა ასაკობრივი შემადგელობით, რასაც ასახავს ცხრილი 3.

2014 წელს საქართველოში მკვლევართა ასაკობრივი შემადგენლობა

ცხრილი 3

მკვლევართა საშუალო ასაკი	56	-
65-ზე მეტი ასაკის	586	32,4%
60-65 წლის	292	16,1%
40-60 წლის	730	40%
40 წლამდე ასაკის	202	11,5%
სულ	1810	100%

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოში მკვლევართა საშუალო ასაკი 56 წელია, ხოლო მათი უმრავლესობა (40%) ორი წლის წინ იყო 40-60 წლის ასაკში, ხოლო მეორე, ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი იყო 65-ზე მეტი ასაკის (32,4%). მკვლევარებს შორის 40 წელზე ახალგაზრდა მხოლოდ 11,5%-ია [14, გვ.47]. ეს ნიშნავს იმას, რომ კვლევით ინსტიტუტებში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებას დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

მნიშვნელოვან პრობლემებზე მიუთითებს დოქტორანტების მიხედვით არსებული სტატისტიკაც. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2014 წელს ქვეყანაში დოქტორანტების რაოდენობა იყო 3410, ხოლო 2015 წელს - 3765. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დოქტორანტების უმრავლესობა უნივერსიტეტების სტუდენტია და კვლევით ინსტიტუტებთან პირდაპირი კავშირი არ აქვთ. გასათვალისწინებელია დოქტორანტების განაწილება სადოქტორო პროგრამების მიხედვით. 2015 წელს განაწილების ასეთი სურათი იყო: სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი - 44%, ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება - 18%, მეცნიერება - 14%, საინჟინრო დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები - 9%, სოფლის მეურნეობა - 1% და

ა.შ. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ არც კვლევითი ინსტიტუტების განვითარების გრძელვადიანი ხედვაა ეფექტიანი და არც სადოქტორო პროგრამების სტრუქტურაა მორგებული ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტული დარგებისა და ინოვაციური განვითარების პოლიტიკას.

დავუბრუნდეთ პროგრამას - "აწარმოე საქართველოში", მისი კოორდინატორები არიან: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. პროგრამის განმახორციელებელი უწყებებია: სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, სსიპ სოფლის მეურნეობის მართვის სააგენტო, სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების საagენტო. დარწმუნებით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ამ პროგრამაში უმაღლესი სასწავლებლების ჩართვის პირობებში შედეგები გაცილებით მაღალი იქნებოდა. ცნობილია, რომ საქართველოს რეგიონებში მოქმედ უნივერსიტეტებში ხორციელდება ბიზნესის მიმართულების საბაკალავრო პროგრამები და თუ "აწარმოე საქართველოში" საპროგრამო-საკონკურსო ინიციატივების ბიზნეს გეგმების შედგენისას ან საკონსულტაციო მომსახურებაში შესაბამისი რეგიონის პროფესურა და სტუდენტები მიიღებდნენ მონაწილეობას, ეს მათთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და დამატებითი ინტერესის გაჩენის, ხოლო პროგრამისთვის - ახალი იდეების შეთავაზების დამატებითი წყარო გახდებოდა.

პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სოფლის მეურნეობა, ხოლო მასში კი - მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობის, მაღალტექნოლოგიური მესაქონლეობის ფერმის, ცხოველების, ფრინველების თევზების საკვების საწარმოს, კაკლოვნების გადამუშავების, მატყლის, ტყავის გადამუშავების, დაფნის, ჩაის, თამბაქოს გადამუშავების და სხვა მიმართულებები. ბუნებრივია, ახალი საწარმოს, სათბურის ან ფერმის გახსნა შესაბამისი კადრების მომზადებასაც ითვალისწინებს, თუმცა, პროექტების განხორციელებისას ცოდნა მხოლოდ ერთ ფირმაში რჩება და თუ იგივე პროფილის ახალი საწარმო საქართველოს სხვა რეგიონში უნდა გაიხსნას, ტრენინგსა და სწავლებაზე კვლავ იხარჯება თანხა უცხოეთში.

ჩვენი აზრით, ამ მიმართულების ტრენინგებზე პროფესიული ან საბაკალავრო პროგრამის პედაგოგის ან მეცნიერ-მკვლევარის ჩართვით, რამდენიმე ეფექტი მიიღება: პირველი, რომ პედაგოგი/მეცნიერი მიიღებს უახლეს ტექნოლოგიურ ცოდნას და წლის მანძილზე თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, აუდიტორიასა თუ ლაბორატორიაში, გადასცემს უამრავ სტუდენტს; მეორე, სტუდენტის ცოდნა სწრაფად დაუახლოვდება საერთაშორისო სტანდარტს და სამუშაო ძალის ბაზარზე ის უფრო კვალიფიციური გავა და/ან უნივერსიტეტის დამთავრებისას საკუთარ ბიზნესს უფრო გაბედულად წამოიწყებს; მესამე, მუდმივად უცხოეთში ტრენინგებზე მხოლოდ ბიზნესისთვის თანხის ხარჯვით, ადგილობრივი მეცნიერები და პედაგოგები ფეხს ვერ აუწყობენ თანამედროვე

ტექნოლოგიების განვითარების მოთხოვნებს და განათლება-მეცნიერება კიდევ უფრო დაშორდება ბიზნესს, რაც შეაფერხებს ამა თუ იმ დარგში ეროვნული კადრების მომზადებას ბიზნესის გრძელვადიანი განვითარებისთვის.

მიმდინარე პროცესების პარალელურად, ვფიქრობთ, აუცილებელია საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებში პროფესურისა და სტუდენტების მიზნობრივი მონაწილეობაც. აქ კი, სოფლის მეურნეობის მიმართულებით მომზადებული დოქტორანტთა საერთო რაოდენობის 1%, არსებულ არასახარბიელო სურათს ვერ შეცვლის. მისასალმებელია, რომ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი აფინანსებს სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების კვლევას, მაგრამ ეს თანხებიც კვლევისა და განვითარების ერთიანი ეფექტიანი საინოვაციო სისტემის შექმნას უნდა მოემსახუროს, რაც შემდგომში მეცნიერების დაფინასებისთვის საჭირო თანხების შემცირებას გამოიწვევს, ვინაიდან თავად მეცნიერება შეძლებს საკუთარი კვლევების ნაწილობრივ დაფინანსებას ბიზნესთან თანამშრომლობით.

ბიზნესსა და მეცნიერებას შორის აუცილებელი საქმიანი კავშირის დასაბუთებას შევეცდებით საქართველოში ღვინის წარმოების მაგალითზე. ცხრილში (4) მოცემულია ადგილწარმოშობის და გეოგრაფიული აღნიშვნების ღვინოების რაოდენობა ძირითადი ქვეყნების მიხედვით, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ იტალია ლიდერობს ორივე მაჩვენებლის მიხედვით.

ევროკავშირში ადგილწარმოშობის და გეოგრაფიული აღნიშვნების ღვინოების რაოდენობა ძირითადი ქვეყნების მიხედვით [15, გვ. 15]

ცხრილი 4

ძირითადი ქვეყნები ადგილწარმოშობის ღვინოების მიხედვით	
იტალია	476
საფრანგეთი	376
ესპანეთი	97
ძირითადი ქვეყნები გეოგრაფიული აღნიშვნების ღვინოების მიხედვით	
იტალია	129
საბერძნეთი	97
საფრანგეთი	75

ერთი მხრივ, ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე, ევროკავშირში დაცულია 18 ქართული ადგილწარმოშობის ღვინო. მეორე მხრივ, საქართველოში, მარტო კახეთის რეგიონში 120-ზე მეტი ღვინის მწარმოებელი კომპანია ფუნქციონირებს და პროფესიონალი სომელია არ სჭირდება იმის დასაბუთებას, რომ საფერავის ჯიშის ყურძნისგან დამზადებული ღვინოები ერთმანეთისგან განსხვავდება კახეთის ნებისმიერი მუნიციპალიტეტისა თუ სოფლის მიხედვით. აღნიშნულის მიუხედავად, ის მაინც ერთი

სახეობის ღვინოდაა დარეგისტრირებული ევროკავშირის ბაზარზე. ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში მეღვინეობის ბიზნესს, განათლებასა და სამეცნიერო კვლევებს შორის "მწყრალი" დამოკიდებულებაა, რაც, საბოლოო ანგარიშით, საქმიანობის წარუმატებლობას განაპირობებს. მაგალითად, თუ თელავის უნივერსიტეტს ხელი შეეწყობა სამეწარმეო უნივერსიტეტად ფორმირდეს, მაშინ იქ შეიქმნება ბიზნესინკუბატორი, საპატენტო ოფისი, კვლევითი ლაბორატორია და სხვა სტრუქტურები, რაც ერთ სივრცეში გააერთიანებს განათლებას, მეცნიერებასა და ბიზნესს. ამით აღმოცენდება სინერგიული კავშირი და მეცნიერულად იქნება შესწავლილი და დასაბუთებული ქართული ღვინოების მრავალფეროვნება და ევროკავშირში დარეგისტრირებული ღვინოების ზემოაღნიშნული რაოდენობა გაცილებით მოიმატებს.

ანალოგიურად შეიძლება ვიმსჯელოთ ევროკავშირში დარეგისტრირებულ სხვა პროდუქტებზეც. მაგალითად, მინერალური წყალი, რომლის მხოლოდ 3 სახეობაა დარეგისტრირებული, მაშინ როცა "საქართველოში მინერალური წყლების 2000-ზე მეტი ბუნებრივი და ხელოვნური გამოსავალი არსებობს" [16, გვ.712-713]. სამწუხაროდ, არც ამ მიმართულების კვლევა-შესწავლა მიმდინარეობს იმ დონეზე, რომ ამ მნიშვნელოვანმა კონკურენციულმა უპირატესობამ თავისი შედეგი მისცეს საქართველოს ეკონომიკას სამკურნალო, ჰიგიენური თუ პარფიუმერული წარმოების განვითარებით, რაც, ჩვენი აზრით, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება შეიძლება გახდეს.

აღსანიშნავია, რომ მრავალ უნივერსიტეტში შეიქმნა ბიზნეს ინკუბატორები, თუმცა, მათი საქმიანობის ეფექტიანი შედეგების მიღწევა გაჭირდება, თუ ისინი ისეთ საქვეყნო პროექტებში არ იქნება ჩართული, როგორიცაა პროგრამა "აწარმოე საქართველოში", "სტარტაპ საქართველო" და სხვ.

სახელმწიფოს მხრიდან კვლევისა და განვითარებისთვის (R&D-თვის) სუბსიდიების გამოყოფას რამდენიმე მიზეზი აქვს, კერძოდ, "საზოგადოებრივი უკუგება ამ პროექტებზე აჭარბებს კერძო გადაწყვეტილებების მიმღებთა უკუგებას. ამ მიმართულებით გაწეული სახელმწიფო დანახარჯების გამართლების ორი მიზეზი არსებობს: **პირველი,** სახელმწიფოს შეუძლია თავი მოუყაროს რისკს თავის პორტფელში პროექტების დიდი რაოდენობის საშუალებით (რაც ერთგვარად ათანაბრებს წარუმატებელი და წარმატებული პროექტებისგან მიღებულ დანახარჯსა და სარგებელს). **მეორე,** პროექტები რომც არ იყოს წარმატებული, სახელმწიფოს შეუძლია გადაანაწილოს ეს ტვირთი მოსახლეობაზე: ყველა ადამიანის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის 1% ერთი წლის განმავლობაში უფრო დიდ გაჭირვებასაც აანაზღაურებს" [1, გვ.253].

დასკვნები განსჯისთვის

ვფიქრობთ, სამეწარმეო უნივერსიტეტების ფორმირება საქართველოს რეგიონებში, ხელს შეუწყობს ქვეყანაში განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის განვითარების ინტეგრირებული და ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირებას, ადგილობრივი ეკონომიკის პოტენციალის სათანადო დონეზე შესწავლასა და გამოვლენას, ამის შედეგად კი, ბიზნესის ახალი მიმართულებების დაწყებას.

სამეწარმეო უნივერსიტეტის ფორმირება ქვეყანაში ბიზნესის განვითარების მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე პირდაპირ ზემოქმედებს, კერძოდ, ის აუმჯობესებს:

- კლასტერების განვითარების დონის მაჩვენებელს (ვინაიდან კლასტერი ესაა გეოგრაფიული ნიშნით კონცენტრირებული, ურთიერთდაკავშირებული კომპანიების, სხვადასხვა სახის სპეციალიზებული მიმწოდებლების, შესაბამისი დარგების ფირმათა ჯგუფები, აგრეთვე მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანიზაციები (მაგ: უნივერსიტეტები, სტანდარტიზაციის სააგენტოები, სავაჭრო ორგანიზაციები და ა. შ.), განსაზღვრულ სფეროებში კონკურენტები, მაგრამ ამასთან ერთობლივად მომუშავენი. და შედეგად, სამეწარმეო უნივერსიტეტი გვევლინება კლასტერის ფორმირების ბაზად. კლასტერები მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მკვლევარების მიერ მიჩნეულია მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განმაპირობებელ მნიშვნელოვან ფაქტორად [2, გვ.55]);

- პროდუქტების საწარმოო პროცესების განვითარების ხარისხის მაჩვენებელს (ვინაიდან, საუნივერსიტეტო სივრცეში სამეცნიერო კვლევის საფუძველზე მოხდება საწარმოო პროცესების დახვეწა და განვითარება);

- ინოვაციურობის შესაძლებლობების მაჩვენებელს (ვინაიდან საუნივერსიტეტო სივრცე გააერთიანებს განათლებას მეცნიერებასა და ბიზნესს თავიდანვე იქნება პროექტში გათვალისწინებული დანახარჯების მინიმიზაცია, გარემოზე ზემოქმედება, რისკები, კადრებით უზრუნველყოფა და სხვა);

- კვლევასა და განვითარებაზე კომპანიების დანახარჯების მაჩვენებელს (ბიზნესი დაინახავს რა, რომ განათლებასა და მეცნიერებასთან კავშირი, მისთვის დანახარჯების მინიმიზაციით მაქსიმალურ შედეგების მიღწევის გზა აღმოჩნდება, ის აუცილებლად დაინტერესდება სამეწარმეო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით);

- "წარმოება-უნივერსიტეტი" კავშირის მაჩვენებელს (ვინაიდან სამეწარმეო უნივერსიტეტებში იქმნება ბიზნესინკუბატორები, ტექნოლოგიის ტრანსფერის ოფისები, საპატენტო ოფისები და სხვა).

სამეწარმეო უნივერსიტეტების ფორმირების ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში, ზემოაღნიშნულის გარდა, ხელს შეუწყობს ადგილობრივი სამეცნიერო კადრების გაზრდას და ტვინების გადინების შემცირებას, რეგიონში მო-

სახლეობის დამაგრებას, უმუშევრობის შემცირებას და შემოსავლების ზრდას, ახალი ბიზნესის წარმოწყებისას ბარიერების შემცირებას, ეკონომიკის განვითარებისადმი სისტემურ მიდგომას, სამეცნიერო კვლევების მოგებიანობას და სხვა.

ამგვარად, სამეწარმეო უნივერსიტეტების ფორმირება ახალციხეში, ბათუმში, გორში, ზუგდიდში, თელავსა თუ ქუთაისში, აუცილებლად მისცემს სტიმულს ადგილობრივი ეკონომიკის პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენას და განვითარების ახალი შესაძლებლობების გაჩენას.

ლიტერატურა:

1. ეკონომიკა – დ. ბეგი, ს. ფიშერი, რ. დორნბუში, თარგმანი ინგ., თბ., 1999.
2. World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2008-2009, Country/Economy Profiles, Georgia. http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2008-09.pdf
3. World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2009-2010, Country/Economy Profiles, Georgia. http://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2009-2010
4. World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2010-2011, Country/Economy Profiles, Georgia. http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetiti venessReport_2010-11.pdf
5. World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2011-2012, Country/Economy Profiles, Georgia. http://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2011-2012
6. World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2012-2013, Country/Economy Profiles, Georgia, http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2012-13.pdf
7. World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2013-2014, Country/Economy Profiles, Georgia.http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2013-14.pdf
8. World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2014-2015, Country/Economy Profiles, Georgia, http://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2014-2015
9. World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2015-2016, Country/Economy Profiles, Georgia. http://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2015-2016
10. Guerrero M., Urbano D., The Development of an entrepreneurial university, Springer Science+Business Media, LLC 2010;
11. გაგნიძე ი., სამეწარმეო უნივერსიტეტი - განათლებისა და მეცნიერების ეფექტიანი პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი რგოლი, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი VIII, №4, თბ., 2015, გვ. 121-133.

12. Kyrö P., Mattila J., Towards future university by integrating Entrepreneurial and the 3rd Generation University concepts, p. 4-5.*See in:*Wissema, J.G. (2009). *Towards the Third Generation University: Managing the University in Transition*. Edward Elgar Publisher., 2012.
13. http://www.imd.org/uupload/imd.website/wcc/BE_list.pdf
14. Bregvadze T., Medjad K., Research performance in Georgia: analysis and recommendations, Tbilisi, 2014.
15. გაბუნია დ., გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა ევროკავშირსა და საქართველოში, თბ., 2014; http://www.inovdev.ge/uploads/files/78497Gabunia-Statia-Geo.pdf
16. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 6, თბ., 1983.

The Entrepreneurial University - An Important Element for Effective Business Development

Ineza Gagnidze

Associate Professor, Doctor of Economics
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Ineza.gagnidze@tsu.ge

The paper analyzes the importance of the formation of entrepreneurial university for business development in Georgia. Based on the World Economic Forum's Global Competitiveness Reports (2008-2015) there is given the assessment of the degree of business development in Georgia based on 13 indicators. There is grounded a big role of scientific researches in business development in Georgia. There is analyzed the age composition of researchers in Georgia and the distribution of doctoral students according to the doctoral programs, from where it clearly appears that the distribution doesn't meet the goals of country's economic development. There is proposed a systematic approach to the development of business which is based on the idea of the formation of entrepreneurial universities in Georgia's regions,

Keywords: Model of knowledge triangle, global competitiveness, business, education, science, entrepreneurial university
JEL Codes: O31, O38, O39

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 3, გვ. 130-137
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 3, pp. 130-137

ერგონომიკული ეკონომიკა – ინოვაციური ეკონომიკის ზედნაშენი

ლია კვარაცხელია

სტუ-ის ასოცირებული პროფესორი
lia_lugela@mail.ru

ნაშრომში განხილულია „ინოვაციური პროდუქტის“ და „ინოვაციური ეკონომიკის“, „ეფექტიანი ინოვაციური ეკონომიკის“ და „ერგონომიკული ეკონომიკის“ წარმოშობა-განვითარების მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. აღნიშნულია, რომ “ინოვაციური პროდუქტის” წარმოშობა და შემდგომ ბაზარზე დამკვიდრება დაკავშირებულია „ეფექტიან ინოვაციურ ეკონომიკასთან“, რომელიც „ ეკონომიკის“ არსებობის საფუძველია . დახასიათებულია მეცნიერული ცოდნის, იდეის, აღმოჩენის და გამოგონების ინოვაციად გარდაქმნის პროცესი. ამასთან განხილულია ინოვაციური იდეის, ინოვაციური პროდუქტის და ინოვაციური პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის შედეგობრივი კავშირები. ინოვაციური პროცესის განვითარების პირველი ეტაპი იწყება ინოვაციური იდეით და წარმოადგენს ბაზისს შესაბამისი ზედნაშენისთვის, ამიტომ ამ ეტაპზე დაშვებული შეცდომები შეიძლება სავალალო აღმოჩნდეს ნებისმიერი ფირმის საქმიანობისთვის. ამასთან, მოცემულია ინოვაციური პროდუქტის მწარმოებელი ფირმის შიდა და გარე რისკ-ფაქტორები.

საკვანძო სიტყვები: „ეფექტიან ინოვაციური ეკონომიკა“; „ერგონომიკული ეკონომიკა“; „ინოვაციური ეკონომიკა“; გლობალური ინფრასტრუქტურა.

innovatio ლათინური სიტყვაა და უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით “განახლებას”, ახალ წარმონაქმნს ნიშნავს. ინოვაცია (ახალშემონაღები) ახალი, ეფექტიანი პროდუქტის (მომსახურების) მიღების, მისი წარმოების წესის და შემდგომში შიგა და საგარეო ბაზარზე რეალიზაციის პროცესის შედეგია. იგი არის შემოქმედებითი პროცესის დამასრულებელი ეტაპი მისი პრაქტიკაში განხორციელების თვალსაზრისით. თუ შემოქმედება გულისხმობს სიახლის შექმნას, ინოვაციის შინაარსში იგულისხმება შექმნილი სიახლის პრაქტიკაში გამოყენება. [7]

ამდენად, როგორც სამეცნიერო-საწარმოო ციკლის საბოლოო შედეგი, იგი განიხილება ინოვაციური პროცესებიდან მოუწყვეტლივ.

ტერმინი „ინოვაცია„ გასული საუკუნის 30-იან წლებში ჯოზეფე შუმპეტერმა ახსენა თავის ნაშრომში „ეკონომიკური ციკლები“(1939წ.) შუმპეტერმა ინოვაცია განსაზღვრა , როგორც ყველა ახალი კომბინაციის კომერციალიზაცია. აქვე ავტორი აღნიშნავს, რომ როცა ხდება ტექნოლოგიის დონეზე რადიკალური ცვლილება, საქმე ეხება გამოგონებას, ხოლო, როცა ეს გამოგონება ბიზნესში ერთვება, საქმე ეხება ინოვაციას. ე. ი. ინოვაცია ეს არის პროცესი, როდესაც იდეა, აღმოჩენა ან გამოგონება იძენს ეკონომიკურ შინაარსს.

„ინოვაციური პროდუქტის“ შექმნას საფუძვლად უდევს როგორც იდეა, ასევე აღმოჩენა და გამოგონება. პროფესორ ლეო ჩიქავას მოსაზრებით{2}, გამოგონება არის საზოგადოებაში დაგროვილი მეცნერული ცოდნაზე დამყარებული სიახლე და ტექნიკური მიღწევები. აღმოჩენაში კი გულისხმებს ისეთ მეცნიერულ სიახლეს, რომელიც ნათელს ფენს ამოუცნობ კანონზომიერებებს და რევოლუციური ცვლილებები შეაქვს სამყაროს შემეცნებაში (მაგ. ატომური ენერგია). იქვე ავტორი მიუთითებს, რომ აღმოჩენასა და გამოგონებას შორის არსებობს დიალექტიკური კავშირი, რადგან რიგი მეცნიერული აღმოჩენები გამოგონებაზე დაყრდნობით გაკეთდა{2}.

ზოგადად, „ინოვაციური პროდუქტის“ შექმნას ახასიათებს რისკიანობის მაღალი დონე, რის გამოც „ინოვაციური პროდუქტის“ დამკვიდრება - მისი ეფექტიანი ეკონომიკური შედეგი - არაპროგნოზირებადია. უფრო მეტიც, ინოვაციური პროდუქტის ეკონომიკური განუსაზღვრელობაზე და კაპიტალდაბანდებათა მაღალრისკიანობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ინოვაციების 90% წარუმატებელია, ხოლო მხოლოდ 10% აღწევს საბოლოო ეკონომიკურ შედეგს{9}. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ზოგადად ინოვაციური პროდუქტის დაახლოებით 10% არის ეკონომიკური შინაარსის მატარებელი, ანუ შეიძლება მივაკუთვნოთ „ეფექტიან ინოვაციურ ეკონომიკას“, რომელსაც თნამედროვე ეკონომიკური ტერმინოლოგიით, საკვანძოთ შეიძლება ვუწოდოთ „ერგონომიკული ეკონომიკა“. **უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით, ერგონომიკა** (ნიშნავს ergon - “მუშაობა-მორგება“, nomos “კანონი”, ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 40-იანი წლების დამლევს ინგლისში) არის მეცნიერება, როლის მიზანია შეიქმნას ოპტიმალური სისტემა: “ადამიანი-მანქანა” - ბიოლოგიის, ფიზიოლოგიის, ფუნქციონალური ანატომიის, ფსიქოლოგიისა და ტექნიკურ მეცნიერებათა თანამედროვე მიღწევების დახმარებით, გამოინახოს შრომისა და ყოფა-ცხოვრების ყველაზე უფრო კომფორტული პირობები{10}. ე.ი. გამოგონების და აღმოჩენის დეტალები კომპლექსურად, სისტემურად უნდა იყოს მიმართული მაქსიმალური კომფორტის შექმნაზე, რათა მიღებულ იქნეს მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტი. რაც უფრო მეტად არის შექმნილ „ინოვაციურ პროდუქტში“ მიღწეული კომფორტული პირობები და მას ირგებს საზოგადოება, მით უფრო მეტად

მკვიდრდება ესა თუ ის გამოგონება თუ აღმოჩენა საზოგადოებაში. ეს მდგომარეობა კი ეკონომიკაში ასახავს იმ მომენტს, როდესაც „ეფექტიანი ინოვაციური ეკონომიკა“ და „ერგონომიკული ეკონომიკაზე“ ერთმანეთს ავსებს, ერთმანეთზე პირდაპირპროპორციულად აისახება. „ინოვაციური პროდუქტის“ გენეზისი შეიძლება გრაფიკულად გამოვსახოთ შემდეგნაირად:



ინოვაციური პროდუქტის განმარტების შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება, ალბათ იმდენი, რამდენი ექსპერიმენტიცაა ამ სფეროში: ინოვაციურო პროდუქტი, ეს არის ახლებური აზროვნების შედეგი, რომელიც ქმნის ღირებულებას, სიმდიდრეს, სოციალურ კეთილდღეობას; რომლის საშუალებით ხდება ახლის შექმნა ან ძველის ახლებურად, ხელახლა მოწყობა; ან ინოვაციური პროდუქტი არის რაღაც ახლი, და სერთოდ ინოვაცია არის ის, რაც გააუმჯობესებს ადამიანთა ცხოვრებას. ახალი სიახლის შექმნა ყოველთვის უკავშირდება ინოვაციურ პროცესს და ინოვაციურ საქმიანობას. ინოცაციური პროცესი ემსახურება მეცნიერული ცოდნის ინოვაციებად გარდაქმნას. იგი მთლიანობაში მოიაზრება ისეთ საქმიანობად, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა რესურსული წყაროს გამოძებნას, მოზიდვას და კვლავწარმოებით პროცესში ჩართვას, მეცნიერებატევადი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას ახალი მიდგომებისა და ტექნოლოგიების საშუალებით. თანამედროვე ბიზნესის სამყარო სწრაფად ცვალებადია და ცვლილებების ტემპს ზრდის ტენდენცია გააჩნია, რაც ინოვაციების მძლავრი ნაკადით და გლობალური **ინფრასტრუქტურის** არსებობით აიხსნება.

ცხადია, როცა ფირმას სურს კონკურენტულ გარემოში დამკვიდრება, მას უნდა შეეძლოს თავდაცვა. საუკეთესო დაცვა შეტევაა და ფირმა თავად უნდა იყოს ინოვაციების „გენერატორი“. ინოვაციური საქმიანობის შესახებ მეცნიერული გამოკვლევები გასული საუკუნის 70-იანი წებიდან გააქტიურდა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ი.შუმპეტერმა, მან ინოვაციურ საქმიანობას შემოქმედებითი საქმიანობა უწოდა, რომელიც „თვითონ ირჩევს მიზანს და ასრულეს თავის ფუნქციას“[2].

ინოვაციური პროდუქტის განვითარების ეტაპები

ინოვაციური პროდუქტის შექნმის პროცესი იწყება იდეის წარმოშობიდან და გრძელდება მის დანერგვამდე. კონკრეტული შედეგის მიღებამდე ხდება იდეის ეტაპობრივი განვითარება, სადაც ყოველი მომდევნო ეტაპი ვითარდება.ინოვაციური პროდუქტის განვითარების ეტაპები, სადაც ბაზისი ინოვაციური პროდუქტის შექმნისა იდეიდან იწყება, გამოისახება შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ინოვაციური იდეა
2. ინოვაციური პროდუქტი წარმოება
3. ინოვაციური პროდუქტის ბაზარზე შესვლა
4. ინოვაციური პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი

ინოვაციური საქმიანობას გადამწყვეტი მნიშნელობა აქვს წარმოების ტექნოლოგიური დონისა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საქმეში. იგი მიმართულია სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების შედეგების გამოყენებაზე ახალი ან სრუყოფილი საქონლისა თუ მომსახურების მიღების, მათი წარმოების წესისა და შიგა და საგარეო ბაზარზე შემდგომი ეფექტიანი რეალიზაციის მიზნით.

იდეა უნდა განხორციედეს და ამდენად ეს ეტაპი არის ბაზისი ფირმის შემდგომი განვითარებისა, ამიტომ აქ დაშვებული შეცდომა შეიძლება ფირმისთვის სავალალო აღმოჩნდეს. ზოგადად ყველა პროდუქტის წარმოება იწყება რაღაც იდეიდან. ერთი წარმატებული პროდუქტის შესაქმნელად საჭიროა ათობით იდეის დამუშავება. იდეას სჭირდება ეკონომიკური და კომერციული არგუმენტაცია. ინოვაციური იდეის დანერგვამდე უნდა გამოირიცხოს იდეების ის ნაწილი, რომელიც კომპანიას მოგებას ვერ მოუტანს. ეფექტური ინოვაციური იდეების დანერგვა იწყება მაშინ, თუ ინოვაციური იდეა არ არის კომპანიის ინტერესების მიღმა და მისი განხორციელებისათვის კომპანიას გააჩნია შესაბამისი რესურსები და ტექნოლოგია. ზოგადად, ორგანიზაციამ გადაწყვეტილების მიღებამდე ინოვაციის დანერგვის პროცესამდე და წარმოებამდე უნდა გაითვალისწინოს ფირმის **შიგა და გარე რისკის** კატეგორიები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდებს ინოვაციებიდნ მიღებული შემოსავლების ზრდაზე.

2) მეორე ეტაპი- მოიცავს თავად პროდუქტის წარმოებას ,

ინოვაციური პროდუქტის წარმოების რისკის შიგა და გარე ფაქტორები

ინოვაციური პროდუქტის წარმოების შიგა რისკის გარემოს მიეკუვნება:

სტრატეგიული რისკი – რომელიც გულისხმობს რისკის ისეთ სახეს, როდესაც ახალი პროდუქტის მიზანი და როლი არ შეესაბამება ორგანიზაციის სპეციფიკურ მოთხოვნებს;

ბ) **საბაზრო რისკი** – როდესაც არსებობს საშიშროება იმისა, რომ ახალი პროდუქტი არ დააკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნებს;

გ) საწარმოს რისკი – როდესაც ახალი ინოვაციური პროდუქტის წარმოებას და განვითარებას ვერ უზრნველყოფს ფირმა გაწერილ დროში და საკუთარი ბიუჯეტის საშუალებით;

დ) დარგობრივი რისკი უკავშირდება დარგის სპეციფიკას, მაგ. ინოვაციების დანერგვა კონსტრუქციული მასალების წარმოებაში უფრო რისკიანია, ვიდრე მისი დანერგვა სასურსათო საქონლის წარმოებაში.

ე) საკადრო რიკი-რაც უკავშირდება პერსონალის არასწორ მართვას.

გარე რისკის კატეგორიას მიეკუთნება: (იხ. ნახ.1)

ა) **პოლიტიკურ-სამართლებრივი რისკი-** როდესაც სახელმწიფო სოციალ-პოლიტიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად ქვეყნის შიგნით ზღუდავს დემოკრატიულ-სამარლებრივ უფლებებს;

ბ) **საკანონმდებლო ცვლილებათა რისკი-** უკავშირდება კანონმდებლობაში ცვლილებებს. მაგ. საგადასახადო კოდექსში ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს საწარმოს მოგების შემცირება ან საერთოდ ზარალი.

გ) **ფინანსური რისკი-** სახელმწიფოს მიერ საკრედიტო რესურსბის არაეფექტიანი მართვა, რამაც შეიძლება გამოიყენოს სავალუტო კურსის ცვლილება, ინფლაცია, შედეგად მივიღებთ მოგების შემცირება ან ზარალს.

ინოვაციური პროდუქტის წარმოების რისკის გარე გარემო



(ნახ. 1)

ფირმის რისკის შიგა და გარე ფაქტორების გათვალისწინების შემდეგ იწყება ინოვაციურირსაქმიანობა. ინოვაციური საქმიანობის განხორციელებაში მონაწილეობს სხვადასხვა სახის რესურსების ერთობლიობა. ინოვაციური პოტენციალი ეყრდნობა ინტელექტუალურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, საწარმოო, მატერიალურ და ფინანსურ პოტენციალს. ამ ეტაპზე ინოვაციური საქმიანობა მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

ა) ინოვაციური პროექტის დაგეგმვა - ეს პროცესი შედგება რამდენიმე ეტაპისაგან. ინოვაციური გუნდი პასუხისმგებელია ახალ პროდუქტზე და ახორციელებს ახალი პროდუქტის შეფასებას. მიმდინარეობს მისი განხილვა წარმოების, მარკეტინგის, ფინანსების და კონკურენციის კუთხით. განისაზღვრება შესაბამისი ბიუჯეტი და განხორციელდება წინასწარი მარკეტინგული და ტექნიკური კვლევა. ხდება პროდუქტის სამუშაო ვერსიის შექმნა. კეთდება ალტერნატიული პროდუქტის ნიშნებისა და კომპონენტური სპეციფიკაციების მონახაზი, იწერება პროექტის გეგმა, რომელიც მოიცავს მომავალი განვითარების, წარმოების და გაყიდვების ხარჯების შეფასებას. საბოლოოდ ინოვაციური პროექტის მონახაზი გადაეგზავნება ტოპმენეჯერს გადაწყვეტილების მისაღებად და ვიზირებისათვის.

ბ) ინოვაციური პროდუქტის განვითარება ახალი პროდუქტი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მოლოდინს, შემდეგ ის იქცევა კვლევისა და ტესტირების ობიექტად. ხდება პროდუქტის კონვერტირება ლაბორატორიაში საბოლოო ნაწარმად და მიმდინარეობს მისი ტესტირება. მზადდება შესაბამისი პროდუქტის განვითარების ანგარიში, რომელიც ძირითადად მოიცავს კვლევის შედეგებს, წარმოების შესაბამის გეგმას და მონახაზს, პროდუქციის შესაძლებლობებს, მოთხოვნებს, მარკეტინგული ტესტის გეგმას და ფინანსური პროგრამის კვლევას.

გ) ბაზრის შესწავლა. ინოვაციური პროდუქტი ბაზარზე წარმოადგენდა კომპანიის საიდუმლოებას. ახლა მენეჯმენტი სცილდება კომპანიის ფარგლებს და ახალი პროდუქტის წარდგენა ხდება პირდაპირ მომხმარებლებთან. ბაზრის შესწავლა, ეს არის კონტროლირებადი ექსპერიმენტი შეზღუდულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე. ამ პროცესის მთავარი მიზანია ზოგადი მარკეტინგული სტრატეგიის შეფასება. მოგვიანებით ხდება ამ პროცესში მიმდინარე აღმოჩენების ანალიზი და განვითარების მოცულობის განსაზღვრა. ბაზრის ტესტირების ფაზის წარმატებით დასრულების შემდეგ, სრულდება მარკეტინგის გეგმა და პოდუქტი მზად არის წარმოებისთვის.

დ). **ინოვაციური პოდუქტის ხარისხის დონე და გაყიდვა**. – ეს არის ეტაპი, როდესაც კომპანია გაიტანს ინოვაციურ პროდუქტს ბაზარზე. ამ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ორგანიზაციულ სტრუქტურას და მენეჯმენტს, რომელიც საჭიროა მარკეტინგული სტრატეგიის განხორციელებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასევე ისეთი საკითხები, მაგალითად: როგორიცაა სრულყოფილი დიზაინი, პროდუქციის ფასი, ხარისხის კონტროლი და ა.შ.

რაც შეეხება ინოვაციური პროდუქტის წარმოების და დანერგვის რისკების გარე სამყაროს, ის ძირითადად რეგულირდება სახელმწიფოს ინოვაციური

პოლიტიკით, როგორც სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს ინოვაციების დარგში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის მიზნებს, მიმართულებებს და მეთოდებს. ინოვაციური პოლიტიკის ძირითად ამოცანას თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც შეძლებს სამამულო ინტელექტუალური პოლიტიკისა და თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიღწევების გამოყენებას კონკურენტუნარიანი პროდუქციის საწარმოებლად.

ინოვაციები იმდენად მნიშნელოვანია სახელმწიფოსათვის, რადგანადაც იგი ინსტრუმენტია ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, შემოსავლების ზრდისთვის ახალი და ფართო საინვესტიციო შესაძლებლობების წარმოსაჩენად. სწორედ ამიტომაც, 2014 წლის 19 თებერვალს საქართველოში შეიქმნა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. ინოვაცია და კრეატიულობა აუცილებელი პირობაა ქვეყნის მდგრადი ზრდისა და განვითარებისათვის. 2000 წლიდან მოყოლებული გლობალური ეკონომიკა ყოველწლიურად 3.2%-ით ით იზრდება, ამ ზრდის ძირიტადი ფაქტორი ინოვაციებია. ინოვაცია კონკურენციის, ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის გადამწყვეტი წყაროა. მსოფლიო ბანკმა 2013 წლის ივნისში გამოქვეყნა დასკვნის სახელწოდებით - „ინოვაციების ხელშეწყობა საქართველოში“, რომლის თანახმად, ქართული კომპანიები, რომლებიც აქტიურად გამოიყენებენ ინოვაციებს, 30% -ით მეტ სამუშაო ადგილებს ქმნიან, ვიდრე არაინოვაციური კომპანიები.საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ფოკუსირდება მომსახურებების, ინსტრუმენტების, პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების ფორმირებაზე. სააგენტო მონაწილეობს კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ ცოდნის, ინოვაციების და კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობაში. სააგენტო ხელს უწყობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვასა და გამოყენებას სხვადასხვა სფეროში, რათა აამაღლოს მათი ეფექტიანობა. სააგენტო აქტიურადაა ჩართული ტექნოლოგიური პარკების, ინოვაციების ცენტრების, ინოვაციების ლაბორატორიების, აქსელერატორების და ბიზნეს-ინკუბატორების შექმნასა და მათი განვითარების ხელშეწყობაში.ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ერთ-ერთ მთავარი მიზანია წარმოადგენს საქართველოში მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის, ელექტრონული კომერციის, დისტანციური მუშაობის, კომპიუტერიზაციის დაჩქარებისა და სხვა ელექტრონული სერვისების განვითარება და გამოყენების ხელშეწყობა. სააგენტო გახსნილია საერთაშორისო ურთიერთობებისთვისაც. მიზნობრივი პროგრამების და პროექტების მეშვეობით იგეგმება ინოვაციების და ტექნოლოგიების, მათ შორის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დონორებთან თანამშრომლობა.

ლიტერატურა:

1. აბრალავა ა. ეკონომიკის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, თბ; 2012.
2. ჩიქავა ლ, ინოვაციური ეკონომიკა, თბ; 2006წ.
3. პაიჭაძე ნ. ადამიანური რესურსების დაგეგმვის თავისებურებანი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ჟურნ. "ეკონომიკა და ბიზნესი", 2012, # 6.
4. ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გეგია, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბ., 2011, გამომ. ,,ნეკერი".
5. პაპავა ვ., მიქიაშვილი ნ. კაპიტალისა და შრომის მწარმოებლურობა, მაკროეკონომიკური მოდელირება. თბ., 1999.
6. თ. ხომერიკი. მენეჯმენტი. თბილისი. "ინოვაცია". 2006.
7. Армстронг М. Практика управления человеческими ресурсами. 8-е издание. Перевод с английского. М., 2008.
8. Армстронг М. Практика управления человеческими ресурсами. 10-е издание. Перевод с английского. М., 2012.
9. Минин Б. А. изовретательская деятельност и создание новои техники. М. 1981. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=16344

Ergonomic Economy as the Superstructure of Innovative Economy

Lia Kvaratskhelia

Associate Professor,

Georgian Technical University

lia_lugela@mail.ru

The article deals with cause-and-effect relationships of "innovative product" and "innovative economy", "effective innovation economy" and "ergonomic economy's" origination and development. It is noted that the emergence of "innovative products" and the subsequent gaining a foothold in the market is related to the effective innovative economy," which is the basis of the existence of "ergonomic economy." There is characterized transformation process of scientific knowledge, ideas, discoveries and inventions to the innovation. The paper discusses effect relationships of innovative ideas, innovative products and innovative product's lifecycle. The first phase of the development of the innovation process starts with an innovative idea and is a basis for the relevant superstructure, so at this point the mistakes could be disastrous for any firm's activities. In addition, there are given internal and external risk factors of the firm producing innovative product.

Keywords: Effective innovative economy, ergonomic economy, innovative economy, global infrastructure.

JEL Codes: O12, O30, O31

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 3, გვ. 138-143
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 3, pp. 138-143

მენეჯმენტი ✧ მარკეტინგი ✧ ტურიზმი
MENEGMENT ✧ MARCETING ✧ TOURISM

კიდევ ერთხელ მარკეტინგის არსისა და ფუნქციების შესახებ

გიორგი შუბლაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ეკონომიკის ორგანიზაციის ყველაზე რაციონალურ ფორმად მიჩნეულია საბაზრო ეკონომიკა, რომელიც ემყარება ბიზნესის თავისუფლებას და კონკურენციას. ამიტომ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსხვავებული მნიშვნელობა ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტების მომზადებას. ამ მხრივ დიდი როლი აკისრია ბიზნესის, მარკეტინგის და მენეჯმენტის შესახებ სასწავლო დისციპლინების დაუფლებას, რომლებიც ორგანულ კავშირშია ერთმანეთთან. აღნიშნულ და სხვა დისციპლინებს შორის ფუძემდებლური ადგილი უკავია მარკეტინგს – საწარმოს (ფირმის) კონკურენტული ბრძოლის იარაღს.

მიუხედავად იმისა, რომ მარკეტინგის ევოლუციას გააჩნია საუკუნოვანი ისტორია (მისი სამშობლოს – აშშ-ის უნივერსიტეტებში მარკეტინგის კურსის წაკითხვა დაიწყო XX საუკუნის დასაწყისში), საზღვარგარეთულ და ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი აზრი მარკეტინგის არსისა და ფუნქციების შესახებ. ზოგიერთი წყაროს მონაცემებით არსებობს მარკეტინგის დაახლოებით 4000 განმარტება [7, გვ. 8].

საკვანძო სიტყვები: მოთხოვნილება; მოთხოვნა; საქონელი; გაცვლა; ბაზარი; საბაზრო ეკონომიკა; ბიზნესი; მარკეტინგი; მენეჯმენტი.

მარკეტინგის არსის საკითხისთვის

თავდაპირველად მარკეტინგის ცნებას უკავშირებდნენ საქონლის გასაღებას, ვინაიდან მისი წარმოშობა განპირობებული იყო საქონლის რეალიზაციის სიძნელეებით მსხვილმასშტაბიანი წარმოებისა და კონკურენციის გამწვავების პირობებში. მაგრამ, პრაქტიკამ აჩვენა, რომ თუ საქონელი წარმოებულია გადახდისუნარიანი მოთხოვნილების, ანუ მომხმარებელთა (მყიდველთა) მოთხოვნის გა-

უთვალისწინებლად, ზედმეტია მსჯელობა მისი ეფექტიანი გასაღების (გაცვლის) თაობაზე. ამიტომ მარკეტინგის ცნების შინაარსმა განიცადა არსებითი ცვლილებები საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის პირობების ცვლილებათა შესაბამისად. დღეს მარკეტინგი გამოიყენება ეკონომიკისა და ბიზნესის ყველა დარგსა და სფეროში (წარმოება, ვაჭრობა, საბანკო საქმე, ტურიზმი და ა. შ.). ნებისმიერი საწარმოს (კომპანიის) ეფექტიანი მუშაობა დამოკიდებულია მისი მარკეტინგული სამსახურის წარმატებულ საქმიანობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე უაღრესად მნიშვნელოვანია თანამედროვე მარკეტინგის არსის მართებული გარკვევა, მარკეტინგის ცნების სწორი დეფინიცია. ავტორთა უმეტესობა მთლიანად იზიარებს მარკეტინგის კლასიკოსად აღიარებული ამერიკელი პროფესორის ფილიპ კოტლერის დეფინიციას მოცემულ საკითხზე: "მარკეტინგი ადამიანისეული საქმიანობის სახეა, რომელიც მიმართულია საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე გაცვლის საშუალებით" [6, გვ. 47]. მარკეტინგის მოყვანილი განმარტებისაგან არსებითად არ განსხვავდება "მარკეტინგის საფუძვლების" მე-12-ე გამოცემაში მოცემული განსაზღვრა: "...ჩვენ მარკეტინგს განვსაზღვრავთ, როგორც პროცესს, რომლის მეშვეობითაც ცალკეული პიროვნებები და ორგანიზაციები ფასეულობების შექმნითა და სხვებთან მათი გაცვლით იღებენ იმას, რაც მათ სურთ და ჭირდებათ" [2, გვ. 5].

ჩვენი აზრით, მოყვანილ განმარტებებში მარკეტინგის არსი არაადეკვატურად ასახავს მის მიერ შესასრულებელ ძირითად ფუნქციებს. კერძოდ, ამ განმარტებებში აქცენტი კეთდება "საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე გაცვლის საშუალებით", მაშინ როდესაც მარკეტინგის თანამედროვე გაგებაში მისი მთავარი დანიშნულებაა მომხმარებელთა მოთხოვნის (ბაზრის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის) გამოკვლევა (შესწავლა) და პროგნოზირება, პროდუქტის წარმოების შეგუება მოთხოვნის და არა მოთხოვნილებების (მით უმეტეს საჭიროებების) დაკმაყოფილებასთან. არც ერთ საწარმოს (ფირმას, კომპანიას) არ აინტერესებს ცალკეული პირის და პირთა ჯგუფების საჭიროებანი და მოთხოვნილებები; ნებისმიერი საწარმოსთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მათ მოთხოვნას (ბაზრის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს).

მაშასადამე, ნებისმიერი ცნების (კატეგორიის) დეფინიცია უნდა ასახავდეს მოცემული კატეგორიის არსებით ასპექტებს (მხარეებს). თანამედროვე მარკეტინგის არსებითი ასპექტია მოთხოვნის შესწავლა და პროგნოზირება და მიღებული მარკეტინგული ინფორმაციის მაქსიმალური გათვალისწინება პროდუქციისა და მომსახურების წარმოების (შექმნის) პროცესში. წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმოები (კომპანიები) ვერ შეძლებენ მიაღწიონ ბიზნესის ძირითად მიზანს _ მოგების მიღებას. ჩვენი აზრით ადეკვატურია შემდეგი დეფინიცია: მარკეტინგი საქონელზე (მომსახურებაზე და სხვ.) მოთხოვნის შესწავლა _ პროგნოზირებაა მის დასაკმაყოფილებლად გაცვლის საშუალებით მოგების მისაღებად. მარკეტინგის ასეთი დეფინიცია არის მოცემული "მარკეტინგის საფუძვლების" სახელმძღვანელოში, რომელიც გამოიცა 2009 წელს (ჩვენი რედაქციით) და განთავსებულია ინტერნეტში [3, გვ. 30].

მარკეტინგის ფუნქციების შესახებ

ნებისმიერი ეკონომიკური კატეგორიის არსი აისახება მის მიერ შესასრულებელ ფუნქციებში. მარკეტინგის ფუნქციებში მოიაზრება საქმიანობის მხოლოდ ის სახეები, რომლებიც დამახასიათებელია მისთვის და გამოხატავს მარკეტინგის არსს. ასეთი ფუნქციებია: ბაზრის კომპლექსური გამოკვლევა; სასაქონლო ასორტიმენტის განსაზღვრა (დაგეგმვა); საბაზრო სტრატეგიის დამუშავება და ფასწარმოქმნა; მოთხოვნის ფორმირება და გასაღების სტიმულირება.

სამწუხაროდ, "გამოყენებითი ეკონომიკის" ამერიკული სახელმძღვანელოს მეოთხე გამოცემაში, რომელიც გადმოთარგმნილია ქართულ ენაზე და დამტკიცებულია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამხმარე სახელმძღვანელოდ უფროს კლასელთათვის, მარკეტინგის განმარტება გადმოცემულია ძველი ინტერპრეტაციით: "საქმიანობა, რომელიც ხელს უწყობს წარმოებული საქონლისა და მომსახურების წარმატებულ რეალიზაციას" [1, გვ. 216]. გარდა ამისა, ამ სახელმძღვანელოში მარკეტინგის მთავარი ფუნქციები გადმოცემულია საქონლის ყიდვა-გაყიდვასა და რეალიზაციაზე ორიენტაციით: ინფორმაციის მოგროვება, საქონლის ყიდვა, ტრანსპორტირება, შენახვა და სხვ. [1, გვ. 97]. მოცემულ შემთხვევაში მარკეტინგი გაიგივებულია სავაჭრო-გასაღებით და საშუამავლო საქმიანობასთან, როგორც ამას აკეთებენ სხვა ავტორებიც.

ისეთ სოლიდურ სახელმძღვანელოში, როგორიცაა ლუის ბუნისა და დევიდ კურტცის "თანამედროვე მარკეტინგი" (თარგმ. ინგ-დან რუს. ენაზე, 1039 გვ.) და განკუთვნილია უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისათვის, ჩვენი აზრით, მარკეტინგის არსი და ფუნქციები განხილულია მხოლოდ მარკეტინგული აისბერგის (ფ. კოტლერის სიტყვებით) პოზიციიდან. ამ სახელმძღვანელოში პირდაპირ აღნიშნულია: "მარკეტინგის არსია გაცვლის პროცესი, რომლის მსვლელობაში ორი ან მეტი მხარე, რომ დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნები, ერთმანეთთან ცვლიან რაიმე ფასეულს" [4, გვ. 11]. ასეთ დასკვნას ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან მარკეტინგულ საქმიანობაში ძირითადი მიზანი მიიღწევა, პირველ რიგში, პროდუქტების შექმნის გზით [5, გვ. 5], რომლებიც შეესაბამება მომხმარებელთა მოთხოვნას. სხვანაირად პროდუქტები (საქონელი) ვერ შეძლებს გახდეს რაიმე ფასეული სამომხმარებლო მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და გაცვლის პროცესის განხორციელებისათვის. ამასთან, მარკეტინგისთვის არსებითია სამომხმარებლო მოთხოვნის გამოვლენა ბაზრის კომპლექსური შესწავლის საფუძველზე.

რაც შეეხება მარკეტინგის ფუნქციებს, ლ. ბუნისა და დ. კურტცის წიგნში აღნიშნულია, რომ "მარკეტინგი უპასუხებს რვა უნივერსალური ფუნქციის რეალიზაციას: ყიდვა, გაყიდვა, ტრანსპორტირება, შენახვა, სტანდარტიზაცია და კლასიფიკაცია, ფინანსირება, გარისკვა და მარკეტინგული ინფორმაციის მიღება. ზოგიერთს ამ ფუნქციებიდან ასრულებენ მწარმოებლები, ზოგიერთს _ რიტეილერები, ხოლო სხვას – მარკეტინგული შუამავლები, რომლებსაც უწოდებენ

მებითუმეებს" [4, გვ. 42]. როდესაც მსჯელობაა მარკეტინგის უნივერსალური (ძირითადი, მთავარი) ფუნქციების შესახებ, როგორც წესი, მათში მოიაზრება ისეთი ფუნქციები, რომლებიც დამახასიათებელია მარკეტინგისათვის ეკონომიკისა და ბიზნესის ყველა დარგსა და სფეროში (როგორც ეს შემოთავაზებულია ჩვენ მიერ მარკეტინგის დეფინიციისას) და არა ის ფუნქციები, რომლებიც სრულდება ბიზნესის სხვადასხვა სუბიექტების მიერ. დასახელებული რვა ე. წ. მარკეტინგის უნივერსალური ფუნქციებიდან (ისინი კონკრეტულად დახასიათებულია ნახაზების, აგრეთვე ტექსტის სახით), ზოგიერთი ფუნქცია (ფინანსირება, გარისკვა და სხვ.) როდი შეიძლება მიეკუთვნოს მარკეტინგის ფუნქციებს, მაშინ როდესაც მარკეტინგისათვის ძირითადი რგოლი წარმოება, კერძოდ პროდუქტების (ღირებულების) შექმნა მიზნობრივი ბაზრის (სეგმენტის) კომპლექსური გამოკვლევის საფუძველზე, ფუნქციების გრძელ ჩამონათვალში არ არის. ამგვარად, ფაქტობრივად, სახეზეა ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული მარკეტინგის გაიგივება სავაჭრო-გაცვლით საქმიანობასთან.

მარკეტინგისა და მენეჯმენტის კავშირურთიერთობის საკითხისათვის

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე ის, რომ ბევრი ავტორი (მარკეტოლოგი) მარკეტინგს განიხილავს როგორც მმართველობით პროცესს, როგორც საწარმოების (ორგანიზაციების) მართვის სისტემას, როგორც წარმოებისა და საქონლის (მომსახურების) გასაღების მართვის სისტემას ან კიდევ როგორც საბაზრო მართვის კონცეფციას, და ამით მარკეტინგს აიგივებენ მენეჯმენტთან. მართალია, საწარმოს (კომპანიის) დონეზე მარკეტინგი და მენეჯმენტი გადაჯაჭვულია ერთმანეთთან, მაგრამ მენეჯმენტი გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მარკეტინგი. მენეჯმენტი თავისი შინაარსით ნიშნავს საწარმოს (ორგანიზაციის) და მისი საქმიანობის ყველა სახის, მათ შორის მარკეტინგული საქმიანობის მართვასაც (მარკეტინგის მენეჯმენტი). ამიტომ, კომპანიის ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტს წარმოადგენს მარკეტინგის კურატორი (მარკეტინგის დირექტორი), ხოლო მარკეტინგის განყოფილების უფროსს (გამგეს) – მარკეტინგის მენეჯერი. მარკეტინგი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ბიზნესის ფილოსოფიას, ხოლო მენეჯმენტი – ბიზნესის მართვის ფილოსოფიას. ზოგიერთი ავტორი მარკეტინგს მიიჩნევს უფრო ფართო ცნებად, ვიდრე მენეჯმენტს [7, გვ. 11], რაც არ არის მართებული. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისური "მენეჯმენტი" და ქართული "მართვა" არ არის სინონიმები. სიტყვები – "მენეჯმენტი" და "მენეჯერი" არ ითარგმნება ქართულ და სხვა ენებზე (და არც არის ამის საჭიროება). "მართვა" გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე "მენეჯმენტი", ვინაიდან მართვას ადგილი აქვს როგორც საზოგადოებაში, ასევე ბუნებაში, მექანიკურ სისტემებში (საქონლის ხარისხის მართვა, ავტომობილის მართვა, სახელმწიფოს მართვა და ა. შ., მაგრამ, მთლიანად კომპანიის, მისი მარკეტინგული სხვა საქმიანობის მენეჯმენტი). ამრიგად, მე-

ნეჯმენტი, როგორც წესი, ნიშნავს მართვას ბიზნესის სფეროში, ხოლო მენეჯერი ⅓ ბიზნესმენის მიერ დაქირავებულ მუშაკს. ამიტომ მინისტრის ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფო მოხელის მენეჯერად მოხსენიება უსაფუძვლოა.

მოცემულ პრობლემასთან უშუალო კავშირშია გამონათქვამი: "მარკეტინგის მართვა მოთხოვნის მართვაა" [6, გვ. 57]. ჯერ-ერთი, მარკეტინგის მართვა კომპლექსური პრობლემაა და მისი შეზღუდვა ბაზრის მხოლოდ ერთ-ერთი ძირითადი ელემენტით – მოთხოვნით, ალოგიკურია. მარკეტინგის არსიდან გამომდინარე, მისი პირველი და ძირითადი ფუნქციაა ბაზრის (ყველა მისი ელემენტის) კომპლექსური გამოკვლევა; მეორე – მოთხოვნის მართვა ნონსენსია, ვინაიდან მოთხოვნა ბაზრის ყველაზე დინამიკური ელემენტია და მისი მართვა შეუძლებელია. როგორც ცნობილია, შეუძლებელია მართვა იმისა, რისი დაგეგმვაც არ შეიძლება. მოთხოვნა შეუძლებელია დაიგეგმოს, შეიძლება მისი შესწავლა, გამოკვლევა და პროგნოზირება.

* * *

მაშასადამე, მარკეტინგი წარმოადგენს მომხმარებელთა მოთხოვნის შესწავლას და პოგნოზირებას საქონელზე (მომსახურებაზე), მის დაკმაყოფილებას გაცვლის საფუძველზე მოგების მიღების მიზნით. მარკეტინგის არსი თავის გამოხატულებას პოულობს მის ფუნქციებში. მარკეტინგის ძირითადი ფუნქციებია: ბაზის კომპლექსური გამოკვლევა (შესწავლა), სასაქონლო ასორტიმენტის განსაზღვრა (დაგეგმვა), ფასწარმოქმნა, მოთხოვნის ფორმირება და გასაღების სტიმულირება.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ მარკეტინგის მოცემული მთავარი თემის ჯეროვანი გაშუქება უაღრესად მნიშვნელოვანია სტუდენტთა მიერ მარკეტინგის – საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუძემდებლური სასწავლო დისციპლინის, საფუძვლიანად დაუფლებისათვის.

ლიტერატურა:

1. გამოყენებითი ეკონომიკა (ნ. შაპირო და სხვ.). თარგმანი ინგლისურიდან, თბ., 1997.
2. კოტლერი ფ., ამსტრონგი გ. მარკეტინგის საფუძვლები. თარგმანი ინგლისურიდან, თბ., 2015.
3. მარკეტინგის საფუძვლები: სახელმძღვანელო პროფ. გ. შუბლაძის რედაქციით, თბ., 2009.
4. Бун Л., Куртц Д. Современный маркетинг: пер. с англ. 11-ое изд. М., 2005.
5. Голубков Е. П. Маркетинговые исследования: теория, методология и практика. 3-е изд. М., 1995.
6. Котлер Ф. Основы маркетинга: пер. с англ. М., 1995.
7. Шаповалов Г. М. Товарный маркетинг. М., 2000.

Once Again About the Essence and Functions of Marketing

Giorgi Shubladze

Doctor of Economics, Professor

The paper deals with the issues of the essence and functions of marketing. Initially, the concept of marketing was associated with the sale of goods, as its appearance was due to the difficulty of realization (sale) of goods in the conditions of large-scale production and increased competition. Therefore, the content of the concept of marketing has undergone significant changes in accordance with changes in the conditions of production and sale of goods. Today, marketing is used in all sectors of the economy and business.

Marketing - the study and forecasting of the demand for goods and services, its satisfaction through the exchange in order to get profit. The main functions of marketing: a comprehensive market research, identification of product range, pricing, demand generation and sales promotion.

Keywords: need, demand, commodity, exchange, market, market economy, business, marketing, management.
JEL Codes: M30, M31, M39

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 3, გვ. 144-149
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 3, pp. 144-149

უცხოელი ვიზიტორების ტურისტული ხარჯების სტატისტიკური კვლევის მეთოდოლოგიური საკითხები

ნინო აბესაძე, მარინა მინდორაშვილი, ნინო ფარესაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია ტურიზმის სფეროს რაოდენობრივი ანალიზისა და ტურისტული ხარჯების სტატისტიკური შეფასების მეთოდოლოგიური საკითხები. იმის გათვალისწინებით, რომ არასათანადო და არათავსებადი ინფორმაციული უზრუნველყოფის პირობებში ვერ ხერხდება ტურისტული პოტენციალის ზუსტი გაანგარიშება მთელი თავისი მოსალოდნელი შედეგებითა და პროგნოზებით, ავტორები ასაბუთებენ ბაზრის ამ სეგმენტზე ინფორმაციის მოპოვებისათვის შერჩევითი გამოკვლევის ჩატარების აუცილებლობას შემთხვევითი და პროპორციული შერჩევის წესების გამოყენების გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტატიაში განხილულია კვლევისათვის აუცილებელი პოპულაციისა და ამ პოპულაციიდან შერჩევის წესების განსაზღვრისა და ტურიზმის სფეროში სტატისტიკური დაკვირვების ინსტრუმენტარის მომზადების (შესაბამისი კითხვარის მომზადება, მისი შევსების ინსტრუქცია, დაკვირვების ჩატარების ადგილი, ვადები, მათი მიღების ფორმები, წესები და ა.შ.) საკითხები.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი; მარკეტინგი; სტატისტიკური შეფასება; ტურისტული ხარჯები

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიო ეკონომიკაში ყველაზე მზარდი პოტენციალი მომსახურების სფეროში დაფიქსირდა. ბუნებრივია, მომსახურების, და კერძოდ ტურიზმისადმიგაზრდილმა ინტერესმა საქართველოშიც და გააჩინა ახალი მოთხოვნები მისი საფუძვლიანი გამოკვლევის მიმართ.

უდავოა, რომ როგორც სხვაგან, ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენების შესაფასებლად, ტენდენციების გამოვლენისა და სტატისტიკური კანონზო-

მიერებების დასადგენად აუცილებელია ობიექტური ინფორმაცია,რაც ტურიზმის სტატისტიკური აღრიცხვის საერთაშორისო მეთოდოლოგიის სრულყოფილ ადაპტაციას და პრაქტიკულ რეალიზაციას მოითხოვსადგილზე. ტურიზმის სტატისტიკაში ძირითადი პრობლემები უკავშირდება ინფორმაციის მოპოვების სირთულესა და არასრულ აღრიცხვიანობას. დღეისათვის საქართველოში ისეთი სურათი იქმნება, რომ რეალურად ვერ ფასდება ტურიზმის ინდიკატორები და შესაბამისად, ვერც მათი რაოდენობრივი ანალიზი ხდება. საქმე იმაშია, რომ ერთი მხრივ, ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორში ტურიზმი, როგორც საქმიანობის სახე, ცალკე არ არის გამოყოფილი. ამიტომ ის ინფორმაცია, რომელიც გარკვეული დოზით მოიცავს ტურისტულ მოვლენებს, ჩაშლილია მომსახურების სხვადასხვა დარგებსა და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში.მეორე მხრივ, მომსახურების სხვადასხვა დარგებშიც სრულად არ ხდება მომსახურების სფეროს იმ ობიექტების მოცვა, სადაც ტურიზმია გაბნეული, რის გამოც ტურიზმის ძირითად ინფორმაციული უზრუნველყოფის წყაროები დივერსიფიცირებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და საგადასახდელო ბალანსის მონაცემებსა და აგრეთვე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული კვლევის მასალებსა და ექსპერტული შეფასებით მიღებულ შედეგებს შორის.

საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ტურიზმის სტატისტიკური ანგარიშები ეფუძნება საერთაშორისო მაკროეკონომიკურ ბაზას, კერძოდ, ეროვნულ ანგარიშთა სისტემასა (ეას) და საგადასახდელო ბალანსს (სგ). ტურიზმის სატელიტური ანგარიშები წარმოადგენს ანალიტიკურ ხერხს, რომელიც გვაძლევს ტურისტული სექტორის შემუშავების საშუალებას ეას-ის კონტექსტში. სრული ტურისტული სატელიტური ანგარიშები სხვა მნიშვნელოვან პუნქტებთან ერთად გვაძლევს დეტალურ მონაცემებს ტურისტულ ხარჯებზე, რაც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ, თუ როგორ კმაყოფილდება ტურისტული მოთხოვნა შიდა მიწოდებისა და იმპორტის ხარჯზე.

არასათანადო და არათავსებადი ინფორმაციული უზრუნველყოფის პირობებში კი ვერ ხერხდება ტურისტული პოტენციალის ზუსტი გაანგარიშება მთელი თავისი მოსალოდნელი შედეგებითა და პროგნოზებით. ამიტომ შერჩევითი გამოკვლევის ჩატარება ბაზრის ამ სეგმენტზე აუცილებელ და საინტერესო შედეგებამდე მიგვიყვანს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე ტურიზმის ზეგავლენის განსაზღვრის ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბების წინაპირობას შექმნის.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე ეტაპზე ფრიად აქტუალურია საქართველოს ტურისტული პოტენციალის რაოდენობრივი შეფასება, ტურისტული ხარჯების კომპლექსური სტატისტიკური შესწავლა, კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიური აპარატის ფორმირება და მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე სათანადო პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება..ამიტომ, მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი ,,უცხოელ ვიზიტორთა ტურისტული ხარჯების სტატისტიკური კვლევან უნიკალური და ინოვაციურია. მის ძირითადი

მიზანს წარმოადგენს უცხოელ ვიზიტორთა ტურისტული ხარჯების კომპლექსური სტატისტიკური ანალიზი, რის გამოც მას აქვს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა როგორც მიკრო, ასევე მაკროდონეზე..

აღნიშნული პროექტი არისტური ზმის სფეროში რაოდენობრივი ანალიზისა და ტურისტული ხარჯების სტატისტიკური შეფასებისადმი ერთ-ერთ მიდგომა, რომელიც უცხოელ ვიზიტორთა მიერ გასაწევი ხარჯების მოლოდინებს უკავშირდება. კვლევა ორიენტირებულია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტაზე: როგორი იყო უცხოელი ვიზიტორების ხარჯების სტრუქტურა, ტურისტული კომპანიებისა და ტურისტული პროდუქტების კონკურენტუნარიანობა, რომ საჭიროების შემთხვევაში მოხდეს საჭირო რეკომენდაციების შემუშავება მათი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.

როგორც აღვნიშნეთ, ტურისტული ხარჯები ტურისტული ბაზრის მონიტორინგის მაჩვენებლებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, ამიტომ წინამდებარე გამოკვლევაში მიზნად დავისახეთ თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში ტურისტების მიერ გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოძიება განთავსების, კვების, ტრანსპორტირების, რეკრეაციული, კულტურული, სპორტული საქმიანობის, მაღაზიების მონახულებისა და სხვ. ჭრილების მიხედვით. აგრეთვე, კვლევა ითვალისწინებს საერთაშორისო ტურიზმში გაწეული ხარჯების დიფერენცირებას დროისა და ადგილის, ასევედაფინანსების წყაროების მიხედვით,რამაც უზრუნველყო ოჯახური, სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული, სოციალური, წამახალისებელი და პრემიალური ტურიზმის შესახებ ინფორმაციის სრული პაკეტის ფორმირება.

კვლევის ჩასატარებლად დავეყრდენით ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგიურ პრინციპებს. შერჩევის ხერხებიდან გამოვიყენეთ შერეული მეთოდი, რომელიც გულისხმობს საკუთრივ შემთხვევითი და პროპორციული შერჩევის წესებს, რადგან საკუთრივ შემთხვევითი მეთოდი ყველაზე მიუკერძოებელ შედეგებს უზრუნველყოფს, ხოლო პროპორციული მეთოდი ყველაზე მისაწვდომია პროექტის რესურსების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს აეროპორტებიდან საერთაშორისო შემომსვლელი ვიზიტორების მოუწესრიგებელი პოპულაციიდან (შერჩევის ბაზა), სრულიად შემთხვევითი პრინციპით გარკვეული ნაწილის შერჩევას და მის პროპორციულ განაწილებას ჩვენთვის სასურველი ნიშნის (გაწეული ხარჯების) მიხედვით ქალაქებს შორის.

ფრიად მნიშვნელოვანი იყო ტურიზმის სფეროში სტატისტიკური დაკვირვების ინსტრუმენტარის მომზადება, რაც გულისხმობდა შესაბამისი კითხვარის დიზაინს, შევსების ინსტრუქციას, დაკვირვების ჩატარების ადგილის, ვადების, მათი მიღების ფორმების, წესების და ა.შ. განსაზღვრას.16 კითხვისაგან შემდგარი კითხვარი შედგენილი იყო რესპონდენტთა სქესის, ასაკის, სამუშაო სტატუსის, მოქალაქეობის, საქართველოში ვიზიტებისა და გატარებული ღამეების რაოდენობის, განთავსების საშუალებების ტიპის, ჩამოსვლის მიზნის, სატრანსპორტი

საშუალების სახეობის, მონახულებადი ადგილების, ტურისტული პაკეტის სახეობის, ფასის, გაწეული ხარჯების და ა.შ. მიხედვით.

უცხოელ ვიზიტორთა კვლევამ მოიცვა 2016 წლის აპრილ-აგვისტოში საქართველოში საჰაერო ტრანსპორტით ჩამოსული უცხოელი ვიზიტორები. ამიტომ, აუცილებელი ინფორმაციის შეგროვება და მისი თავმოყრადდაჯგუფება განხორციელდა საქართველოს უმსხვილესი აეროპორტების მიხედვით.

ჩვენი გაანგარიშებისა და საპილოტე კვლევის საფუძველზე, განისაზღვრა წამსვლელ უცხოელ ვიზიტორთა რეპრეზენტატული პოპულაცია, რომელმაც შეადგინა 2167 ადამიანი (ე.ი შერჩევის ზომად განისაზღვრა 2167 ინტერვიუ). შერჩევის ბაზად გამოყენებული იქნა 2016 წლის მაის-აგვისტოსათვის გადაყვანილ მგზავრთა ნაკადების მონაცემები თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის აეროპორტების თვითმფრინავების განრიგის, ფრენების საშუალო რიცხვისა დაგაყიდული ბილეთების მიხედვით. (საერთაშორისო ფრენების ოფიციალურ განრიგზე დაყრდნობით განისაზღვრა თვის მანძილზე ყოველდღიური, დღეგამოშვებით და ერთეული ფრენების რაოდენობა, გადაყვანილ მგზავრთა საშუალო რიცხვი, რის საფუძველზეც შეწონილი საშუალო არითმეტიკულით მივიღეთ ზემოაღნიშნული რიცხოვნობა).

თავდაპირველად, ქალაქების მიხედვით რესპონდენტებისათვის განისაზღვრა შემდეგი კვოტები:400 - თბილისი, 200 - ქუთაისი და 200 -ბათუმი. ამ კვოტების რეგიონებზე გადანაწილება მოხდა თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში ჩამოსული ვიზიტორების რიცხოვნობის პროპორციულად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის პროცესში ზემოაღნიშნულ პროპორციულ განაწილებაში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა, რაც განაპირობა სეზონურობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა. ამის გამო, ქუთაისის აეროპორტში გამოკვლეული უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის შემცირების ხარჯზე გავზარდეთ რესპონდენტთა რაოდენობაბათუმში.

რესპონდენტები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ მიღებული პასუხები გამოყენებული იქნებოდა მხოლოდ განზოგადებული სახით სტატისტიკური კვლევის მიზნით, ამიტომ სრულად იქნა დაცული კვლევის ანონიმურობა და შეგროვილი მონაცემები დამუშავდა ანალიტიკური მიზნებისთვის.

კვლევა ტარდებოდა სამეცნიერო გრანტით განსაზღვრული პერიოდის პირველი ორი ტრანშის მიხედვით ყოველთვიურად და კვლევის სამიზნე სეგმენტი მოიცავდა საქართველოში შემოსული უცხოელ ვიზიტორებს, 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობას, რომლებიც სამიზნე თვის მანძილზე ესტუმრნენ საქართველოს (არსებული მეთოდოლოგიით მონაცემების განზოგადება ხდება სამიზნე თვეზე). შედეგების შეწონვა და იმპუტაცია ხორციელდება თითოეული კონკრეტული თვის მიხედვით.

სამივე აეროპორტიდან მიღებულიმონაცემებიპარალელურად ერთიან ბაზაში იტვირთება და ანალიზდება „შ ეხცელ“-ის და „შშშ 20” პროგრამების საშუალებით, სორტირების, ფილტრაციის, რეკოდირების, კროსტაბულაციის, ტიპოლოგიური, სტრუქტურული და ანალიზური დაჯგუფებების, ჯგუფური და კომბი-

ნაციური ცხრილების მომზადების და სხვადასხვა სტატისტიკური ინდიკატორების გამოთვლის საფუძველზე.

თუ შევაჯამებთ ჩატარებული კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საკითხებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ განხორციელდა: ტურიზმის ინფორმაციული უზრუნველყოფის წყაროების დეტალური დახასიათება; კვლევისათვის აუცილებელი პოპულაციის განსაზღვრა და ამ პოპულაციიდან შერჩევის წესების განსაზღვრა; ტურიზმის სფეროში სტატისტიკური დაკვირვების ინსტრუმენტარის მომზადება (შესაბამისი კითხვარის მომზადება, მისი შევსების ინსტრუქცია, დაკვირვების ჩატარების ადგილი, ვადები, მათი მიღების ფორმები, წესები და ა.შ.); კვლევის მასალის ეტაპობრივი შეტანა, სორტირება, ფილტრაცია, რეკოდირება, კროსტაბულაცია, ტიპოლოგიური, სტრუქტურული და ანალიზური დაჯგუფება, ჯგუფური და კომბინაციური ცხრილების მომზადება და სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლების გამოთვლა სათანადო ანალიზისათვისკომპიუტერული პროგრამა SPSS–ის გამოყენებით. მნიშვნელოვანია, რომ კვლევის პროცესში დაინერგა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ტურიზმის სტატისტიკის მეთოდოლოგია; შესწავლილ იქნატურისტული ხარჯების სტრუქტურა ტერიტორიული, გენდერული, ასაკობრივი, პროფესიული, განათლების, ეკონომიკური აქტივობის და სხვანიშნის მიხედვით.

ამჟამად, მუშავდება რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკური აღრიცხვის სრულყოფის საკითხებზე, რომელიც წარედგინება საქსტატს, საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

ლიტერატურა:

1. ნ. აბესაძე, რ.ქინქლაძე. ქ.ჩიტალაძე. სტატისტიკა ტურიზმისათვის.თბ.,2014.
2. Alternative methodologies for studying the tourism experience. http://www.goodfellowpublishers.com/free_files/Chapter%2010-afe06955ded846d9978f7a4bfe466367.pdf
3. Basic questionnaire proposed by WTO to estimate visitor expenditure associated to inbound tourism.http://www.sesrtcic.org/imgs/news/Image/Basic%20questionnaire.visitor%20expenditure.pdf
4. Methodological manual for tourism statistics. Version 3.1 Eurostat. Manuals and guidelines. 2014 edition.
5. Methodology in tourism research. http://www.journals.elsevier.com/annals-of-tourism-research
6. Lorraine Brown, Research methods in tourism. Bournemouth University. 2009
7. Larry Dwyer,Recent Advances in Tourism Economics. https://elgarblog.com/2013/09/27/recent-advances-in-tourism-economics-by-larry-dwyer/
8. Research Methods in Tourism: Quantitative and Qualitative Approaches. https://elgarblog.com/2012/09/07/research-methods-in-tourism-quantitative-and-qualitative-approaches-by-larry-dwyer/
9. Research on International Experiences in Measuring Visitor Expenditure Associated with Inbound Tourism.https://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2002/02-38.pdf
10. http://www.e-unwto.org/doi/abs/10.18111/9789284406173.2
11. www.geostat.ge

Methodological Issues of the Statistical Research on Foreign Visitors Travel Costs

Nino Abesadze

Associate Professor, Doctor of Economics
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Marine Mindorashvili

Associate Professor, Doctor of Economics
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Nino Paresashvili

Associate Professor, Doctor of Economics
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

The article deals with the methodological issues of the statistical assessment of quantitative analysis of tourism sphere and travel costs for. Given that the tourism potential can not be calculated accurately with all its expected results and forecasts in the conditions of inappropriate and incompatible information support service the authors justify the necessity for conducting a random sample survey on this segment of the market for obtaining information considering the use of random and proportionate rules.

Therefore, the article deals with the issues of necessary population for research, determination of selection rules from this population, the preparation of tools (relevant questionnaire, instruction for its completion, place for making observation, dates, their admission forms, rules, etc) for statistical observation in tourism sphere.

Keywords: tourism, market, statistical assessment, tourist expenses
JEL Codes: L80, L83, L84

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 3, გვ. 150-159
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 3, pp. 150-159

მაღალტექნოლოგიური კარდიოლოგიის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

რევაზ ჯორბენაძე

მედიცინის აკადემიური დოქტორი,
გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის
ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი,
revaz.jorbenadze@ecc.ge

თენგიზ ვერულავა

მედიცინის აკადემიური დოქტორი,
გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის
ხარისხის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
Tengiz.verulava@iliauni.edu.ge

მთელ მსოფლიოში მოსახლეობის საერთო სიკვდილიანობის სტრუქტურაში სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები იკავებს წამყვან ადგილს. განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის ზრდა ხდება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირების ფონზე. განვითარებულ ქვეყნებში, სადაც შეინიშნება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის შედეგად მოსახლეობის დაბერება, სიკვდილიანობის მიზეზების სტრუქტურაში ბუნებრივად იზრდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წილი. თუმცა, განვითარებულ ქვეყნებში, ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვნად შემცირდა გულის იშემიური დაავადებით სიკვდილიანობა, რაც მიღწეულ იქნა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, დაავადებათა პრევენციის, რისკის ფაქტორებთან ბრძოლის (დიაბეტი, სიმსუქნე, ჰიპერტენზია, თამბაქოს მოხმარება), კლინიკურ პრაქტიკაში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მაღალტექნოლოგიური მეთოდების დანერგვით. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსური პოლიტიკის ერთ-ერთი ელემენტია მაღალტექნოლოგიური კარდიოლოგიური სერვისები, როგორც

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ადრეულ ეტაპებზე გამოვლენის და მათი ეფექტური მკურნალობის მეთოდი. მაღალტექნოლოგიური კარდიოლოგიის განვითარების პრობლემების აქტუალურობა დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ იგი წარმოადგენს როგორც უარყოფითი დემოგრაფიული ტენდენციების დაძლევის, ასევე დაავადების გამო შრომისუუნარობის შემცირების და შედეგად, ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთ საშუალებას. ასეთ სერვისებზე ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემები მოითხოვს მაღალტექნოლოგიური კარდიოლოგიის განვითარების სათანადო სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას.

საკვანძო სიტყვები: გულ-სისხლძარღვთა დაავადებები; მაღალტექნოლოგიური კარდიოლოგია; ჯანდაცვა.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ეპიდემიოლოგია

როგორც აღინიშნა, საქართველოს მოსახლეობის საერთო სიკვდილიანობის სტრუქტურაში სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებს უკავია პირველი ადგილი. 2014 წელს, საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის მონაცემების მიხედვით, სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზებია: სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები - 42.0%, სიმსივნეები – 11.5%, ტრავმები - 3.9%, სიკვდილის არაიდენტიფიცირებული მიზეზები - 29.4% (იხ. ცხრილი 1).

სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფთა სიკვდილიანობის საქართველოში, 2012-2013 წწ. [1, გვ. 87]

ცხრილი 1

წლები	ყველა სახეობის ავადმყოფობით დაავადებულთა და გარდაცვლილთა რაოდ.		მათ შორის: სისხლის მიმოქცევის სიტემის დაავადებულთა და გარაცვლილთა რაოდ.	
	ავად-მყოფთა რაოდ.	გარდაცვლილთა რაოდ.	ავადმყოფთა რაოდ.	გარდაცვლილთა რაოდ.
2012	49348	1098.9	20002	445.4
2013	48553	1082	18693	416.6

ვაშინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვების და შეფასების ინსტიტუტის (IHME) და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაწილეობით, 2014 წელს საქართველოში განხორციელებული გლობალური ავადობის ტვირთის კვლევის (Global Burden of Disease Study – GBD) მიხედვით, 1990 და 2013 წლებს შორის სხვადას-

ხვა დაავადებით გამოწვეული ნაადრევი სიკვდილიანობის გამო, სიცოცხლის დაკარგული წლების სხვაობის ყველაზე მაღალი წილი გულ-სისხლძარღვთა დაავადებებზე მოდის [2].

საყურადღებოა, რომ იზრდება სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობების როგორც პრევალენტობის, ასევე ინციდენტობის მაჩვენებელი (ცხრილი 2).

სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობა საქართველოში, 2004–2013 [1. გვ. 161]

ცხრილი 2

	წლის ბოლოს რეგისტრირებული შემთხვევები	პრევალენტობა მოსახლეობის 100000 სულზე	ახალი შემთხვევები	ინციდენტობა მოსახლეობის 100000 სულზე
2004	235429	5385.5	70648	1616.1
2005	256981	5892.2	82533	1888.0
2006	282701	6427.9	83166	1891.0
2007	288964	6584.6	71198	1622.4
2008	306573	6993.3	74379	1696.7
2009	326421	7400.3	96038	2177.3
2010	337651	7582.9	98193	2205.2
2011	363488	8107.4	103466	2307.7
2012	355657	7919.9	133411	2970.8
2013	425232	9476.6	196348	4375.7

საქართველოში გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის ზრდა ხდება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირების ფონზე. აღნიშნულისგან განსხვავებით, განვითარებულ ქვეყნებში შეინიშნება ჯანმრთელობის მდგომარეობის პოზიტიური ევოლუცია, რომელსაც თან ახლავს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის შედეგად მოსახლეობის დაბერება. შესაბამისად, სიკვდილიანობის მიზეზების სტრუქტურაში ბუნებრივად იზრდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წილი. აშშ-ში 1990-იანი წლების ბოლოს, 1980 წელთან შედარებით გულის იშემიური დაავადებით სიკვდილიანობა შემცირდა 25%-ით. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში ასეთი პროგრესი მიღწეულ იქნა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, დაავადებათა პრევენციის (დიეტა დაბალი ცხიმის და ნახშირწყლების), რისკის ფაქტორებთან ბრძოლის (დიაბეტი, სიმსუქნე, ჰიპერტენზია, თამბაქოს მოხმარება), კლინიკურ პრაქტიკაში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მაღალტექნოლოგიური მეთოდების დანერგვით.

მოსაზრებები გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის გზებზე

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება. ამ მხრივ გასათვალისწინებელია, რომ გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების გავრცელების შემცირება დაკავშირებულია კომპლექსურ სოციალურ-ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებთან. შესაბამისად, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკას უნდა ჰქონდეს კომპლექსური ხასიათი და მოიცავდეს შემდეგ ღონისძიებებს:

- დაავადებათა პრევენცია;
- დაავადებათა დიაგნოსტიკა (დაავადებათა ადრეულ ეტაპებზე გამოვლენა, სანამ იგი არ გამოიწვევს შეუქცევად პათოლოგიურ ცვლილებებს);
- მკურნალობა (სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენება);
- მეორეული პრევენცია და პაციენტების რეაბილიტაცია.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრევენცია გულისხმობს საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის (რაციონალური კვება, ფიზიკური მომზადება) ფართოდ გავრცელებას, თამბაქოს მოხმარებასთან, ალკოჰოლიზმსა და ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებასთან, გარემოს დაბინძურებასთან ბრძოლას, ანუ ადამიანთა იმ არასასურველი კულტურული, ქცევითი სტერეოტიპების თანდათანობით დაძლევას, რაც ამ დაავადებების განვითარების რისკფაქტორებია.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დიაგნოსტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა ადრეულ ეტაპებზე დაავადების ნიშნების იდენტიფიცირება, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს მის ეფექტური მკურნალობის შესაძლებლობებს. მაგალითად, გულის იშემიური დაავადების მქონე პაციენტები, ადრეულ ეტაპზე მკურნალობის შემთხვევაში, როგორც წესი, სრულიად ჯანმრთელები და შრომისუნარიანები ხდებიან, ხოლო პაციენტი, რომელსაც უკვე ჩამოყალიბებული აქვს მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი, შესაძლოა ინვალიდი დარჩეს ყველაზე ეფექტური მკურნალობის ჩატარების შედეგადაც. დიაგნოსტიკურმა პროგრამებმა უნდა უზრუნველყოს 40 წელს გადაცილებულ პირთა პერიოდული (ყოველწლიური) გამოკვლევა, ხოლო სხვადასხვა რისკფაქტორის ქვეშ მყოფ პირთა გამოკვლევა - 30-35 წლიდან. პროგრამა უნდა მოიცავდეს მინიმუმ ეკგ-ის შესწავლას. დაავადებათა პირველი ნიშნების გამოვლენისას საჭიროა პაციენტების უფრო სიღრმისეული დიაგნოსტიკა, რაც საშუალებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს სისხლძარღვის შევიწროების ადგილმდებარეობა და ხარისხი და შეირჩეს მკურნალობის ოპტიმალური სტრატეგია.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობის ეფექტურობა განისაზღვრება ადეკვატური მეთოდის შერჩევით. მაგალითად, გულის იშემიური დაავადების დროს გულის სისხლით მომარაგების მოშლის აღდგენა შესაძლოა

მიღწეულ იქნეს კონსერვატიული (მედიკამენტები) ან ქირურგიული (მათ შორის ენდოვასკულარული) მეთოდებით. დღეისათვის შეინიშნება ენდოვასკულური პროცედურების ზრდის ტენდენცია, რასაც ხშირ შემთხვევაში შეუძლია შეცვალოს მკურნალობის ქირურგიული და კონსერვატიული მეთოდები. ენდოვასკულურ პროცედურებს აქვს გარკვეული უპირატესობა: პირველ რიგში, ტრადიციული ქირურგიული მეთოდებისაგან განსხვავებით, მას თან ახლავს მინიმალური ტრავმატული ეფექტები, რაც პაციენტის საავადმყოფოში დაყოვნებას 2-3 დღემდე ამცირებს, ხოლო რიგ შემთხვევაში, საშუალებას იძლევა ოპერაციები ჩატარდეს ამბულატორიულად. მეორე მხრივ, მედიკამენტოზური მეთოდებისგან განსხვავებით, რასაც, როგორც წესი, შეუძლია კორონარული სისხლძარღვების ათეროსკლეროზის კლინიკური გამოვლინებების მხოლოდ შემსუბუქება, ენდოვასკულარული პროცედურები მიზნად ისახავს მიოკარდიუმის სისხლით მომარაგების გაუარესების ძირითადი მიზეზების აღმოფხვრას - დაზიანებული სისხლძარღვის იმ ნაწილის იძულებით გაფართოებას, სადაც მოშლილია სისხლის ნორმალური მიმოქცევა.

ამ სიტუაციაში აუცილებელია გულის იშემიური დაავადებებათა მკურნალობის არსებული სტერეოტიპების რადიკალურად შეცვლა, რომელიც ეფუძნება მცდარ იდეას, რომ ნებისმიერი ქირურგიული ჩარევა (მათ შორის, ენდოვასკულური) არის "უკანასკნელი ზომა" და გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც მედიკამენტოზური თერაპიის პოტენციალი პრაქტიკულად ამოწურულია, და პაციენტის სიცოცხლეს ექმნება რეალური საფრთხე. ამასთან, არაადეკვატურად ხანგრძლივი კონსერვატიული მკურნალობა, ჩვეულებრივ, განაპირობებს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს როგორც მცირე ინვაზიური პროცედურების, ასევე ქირურგიული ოპერაციების ეფექტურობას და შემდგომი გამოყენების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, გულის იშემიური დაავადების ნათელი და დასაბუთებული მონაცემების არსებობის შემთხვევაში, პაციენტს დაუყოვნებლივ უნდა ჩაუტარდეს კორონარული არტერიების გამოკვლევა კომპიუტერული ტომოგრაფიის ან შერჩევითი კორონარული ანგიოგრაფიის მეშვეობით. ერთი ან რამდენიმე კორონარული არტერიების მნიშვნელოვანი შევიწროების გამოვლენის შემთხვევაში, საჭიროა მიოკარდიუმის რევასკულარიზაციის სხვადასხვა პროცედურის გამოყენების ეფექტიანობის შეფასება. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ენდოვასკულური ან ქირურგიული ოპერაციების ჩვენება, ან როდესაც გულის სისხლძარღვების მდგომარეობა უკვე აღარ გვაძლევს ამ პროცედურების შესრულების საშუალებას, პაციენტებს უნდა ჩაუტარდეთ კონსერვატიული მკურნალობა (მედიკამენტები). ეს წესი უნდა გახდეს გულის იშემიური დაავადების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის "ოქროს სტანდარტი".

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამედიცინო მომსახურების სისტემაში ძალიან მნიშვნელოვანი რგოლია მეორეული პრევენცია და რეაბილიტაცია. ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, იგი ჯერ კიდევ აღრეული ჩამოყალიბების

სტადიაშია. პირველ რიგში, ეს ეხება პაციენტების რეაბილიტაციას, რომლებიც საჭიროებენ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ადაპტაციას და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის გადატანის და ქირურგიული ოპერაციების შემდეგ ქცევის ძველი სტერეოტიპების რადიკალურ ცვლილებას. საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ პაციენტები გადიან მკურნალობისა და რეაბილიტაციის მოკლე კურსს, მაგრამ შემდეგ მათზე თითქმის არ ხორციელდება სამედიცინო მეთვალყურეობა.

ქვემოთ მოცემულ სქემაში წარმოდგენილია მოსახლეობის გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით სიკვდილიანობის და ინვალიდობის შემცირების ღონისძიებათა ძირითად ელემენტები:

საქართველოს მოსახლეობის გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისაგან სიკვდილიანობის და ინვალიდობის შემცირების განხორციელების პოლიტიკის ძირითად ელემენტები



მაღალტექნოლოგიური მეთოდების როლი გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში

განვითარებულ ქვეყნებში გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეული მძიმე გართულებებისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, XX საუკუნის შუა პერიოდიდან განხორციელებული ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგად, კლინიკურ პრაქტიკაში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მაღალტექნოლოგიური მეთოდების დანერგვამ. შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდა გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან განკურნებაში მედიცინის შესაძლებლობები, რამაც, თავის მხრივ, გაზარდა იმ პაციენტების რაოდენობა, რომლებიც დაუბრუნდნენ სრულფასოვან სამუშაოს და აქტიურ ცხოვრებას. ასე, მაგალითად, დღესდღეობით არ არის სადავო, რომ მაღალტექნოლოგიური მეთოდების (სისხლძარღვების ტრანსლუმინური ბალონური ანგიოპლასტიკა, სტენტირება და მიოკარდის პირდაპირი რევასკულარიზაციის ოპერაცია) მეშვეობით შესაძლებელია გულის სისხლძარღვების ათეროსკლეროზის უარყოფითი ეფექტების თითქმის მთლიანად აღმოფხვრა.

საქართველოში, მაღალტექნოლოგიური კარდიოლოგიის სერვისების მოცულობის პოტენციალის შეფასებისას, გასათვალისწინებელია განვითარებულ ქვეყნებთან შედარებითი ანალიზი (ცხრილი 3) [2]

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბოლო წლებში საქართველოში მაღალ ტექნოლოგიური კარდიოლოგიის განვითარების მიუხედავად, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, შეინიშნება მნიშვნელოვანი ჩამორჩენა. შესაბამისად, აუცილებელია მაღალტექნოლოგიური კარდიოლოგიის განვითარების გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავება, როგორც გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის მნიშვნელოვანი ელემენტი. მისი უმთავრესი მიზანია მაღალტექნოლოგიური კარდიოლოგიის როლის გამოკვეთა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გავრცელების და მისგან სიკვდილიანობის შემცირებაში.

საქართველოში მაღალტექნოლოგიური კარდიოლოგიის განვითარების პრობლემა კომპლექსური ხასიათისაა და დაკავშირებულია მწირ დაფინანსებასთან, სამედიცინო დაწესებულებების არასაკმარის მატერიალურ ბაზასთან, ადეკვატური ადამიანური რესურსების დეფიციტთან.

ტექნოლოგიური მიღწევები მედიცინაში აფართოებს პაციენტების სამედიცინო მომსახურების შესაძლებლობებს, შედეგად, საზოგადოებაში ჩნდება სხვადასხვა დაავადებისაგან განკურნების ან მდგომარეობის შემსუბუქების იმედი. ამასთან, მაღალტექნოლოგიური სერვისების საბაზრო ფასი შეიძლება აღემატებოდეს როგორც მოსახლეობის, ასევე სახელმწიფოს გადახდისუნარიანობის დონეს, რაც უარყოფითად ზემოქმედებს მათ ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის მნიშვნელოვანი ჩამორჩენის გამო, მაღალტექნოლოგიურ კარდიოლოგიაზე შეზღუდული ფინანსური ხელ-

მისაწვდომობა ქმნის მისი დაფინანსების, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანთა რესურსების უზრუნველყოფის პრობლემებს, შესაბამისად, სერვისების მიწოდების მოცულობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება მასზე მოთხოვნას.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობისას მაღალტექნოლოგიური პროცედურების გამოყენების შედარებითი მაჩვენებლები
(პროცედურების რაოდენობა მოსახლეობის 1 მლნ სულზე გათვლით)

ცხრილი 3

	კორონარული ანგიოგრაფია	ტრანსლუმინარული ბალონური ანგიოპლასტიკა	კორონარული სისხლძარღვების სტენტირება	კორტაკორონარული შუნტირება
საქართველო	690	-	262	121
რუსეთი	512	-	126	108
ავსტრია	4061	1146	848	468
ბელგია	4798	1536	931	-
ბულგარეთი	397	126	38	78
ჩეხეთი	2265	724	504	469
ესტონეთი	1530	388	237	323
ფინეთი	2522	607	365	921
საფრანგეთი	4009	1560	1501	408
გერმანია	-	2194	-	-
საბერძნეთი	1660	382	322	-
უნგრეთი	1667	249	191	281
ისრაელი	4719	2377	-	879
იტალია	2846	962	-	-
ლატვია	1120	365	260	237
ლიტვა	1622	523	127	241
ნიდერ-ლანდები	-	1091	-	-
პოლონეთი	1520	527	298	303
რუმინეთი	531	77	75	49
ესპანეთი	1646	581	449	162
შვედეთი	-	-	-	659
შვეიცარია	3907	1358	991	565
ბრიტანეთი	-	564	473	444

საქართველოში გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მაღალტექნოლოგიური მეთოდების განვითარებისათვის, პირველ რიგში, უნდა შეფასდეს მაღალტექნოლოგიური კარდიოლოგიის პროცედურებზე ობიექტური მოთხოვნები. ამით შესაძლებელია განისაზღვროს

სათანადო სამედიცინო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას და შესაბამისი ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფაზე მოთხოვნები. საქართველოში, 2013 წლის მონაცემებით, გულის იშემიური დაავადებით დაახლოებით 88660 ადამიანია რეგისტრირებული. მათგან გარკვეულ ნაწილს აქვს დაავადების მძიმე ფორმები, რომელთა მიმართ, ამ ეტაპზე, მედიცინა უძლურია. პაციენტთა მეორე ნაწილს გააჩნია დაავადების შედარებით მსუბუქი ფორმები, რაც არ საჭიროებს მაღალტექნოლოგიური სამედიცინო დახმარების გაწევას. აქედან გამომდინარე, ყველა პაციენტი არ საჭიროებს მაღალ სამედიცინო ტექნოლოგიებს. თუმცა, გულის იშემიური დაავადებით პაციენტთა დიდი რაოდენობისათვის ეს აუცილებელი პროცედურაა.

მაღალტექნოლოგიური კარდიოლოგიის განვითარების პრობლემის აქტუალურობა დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ იგი უარყოფითი დემოგრაფიული ტენდენციების დაძლევის საშუალებაა. მაღალტექნოლოგიური კარდიოლოგიური სერვისები უნდა განვიხილოთ როგორც გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსური პოლიტიკის ერთ ერთი ელემენტი. ასეთ სერვისებზე ეკონომიკური და ფიზიკური ხელმისაწვდომობის პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს მაღალტექნოლოგიური კარდიოლოგიის განვითარების სათანადო სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას.

ლიტერატურა:

1. ჯანმრთელობის დაცვა. სტატისტიკური ცნობარი. 2013. საქართველო. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი. თბილისი. 2014 წ.
2. გლობალური ავადობის ტვირთის კვლევა (Global Burden of Disease Study – GBD) საქართველოში. ვაშინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვების და შეფასების ინსტიტუტი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. 2014 წ.

The Problems and Prospects of the Development of High-Tech Cardiology in Georgia

Revaz Jorbenadze
MD, PhD
Executive Director of Chapidze Emergency Cardiology Center
revaz.jorbenadze@ecc.ge

Tengiz Verulava
MD, PhD
Chief of Quality Management Department at
G. Chapidze Emergency Cardiology Center
Professor, Ilia State University
Tengiz.verulava@iliauni.edu.ge

Worldwide, the cardiovascular diseases are the leading causes in overall mortality rate. Unlike developed countries, in Georgia, increase of mortality rate of cardiovascular diseases is carried out in the light of reduced average life expectancy. In developed countries, where life expectancy has been increasing as a result of an aging population, the proportion of deaths from cardiovascular diseases grows naturally. However, in developed countries, in recent decades, significantly reduced mortality rate from cardiovascular diseases, which was achieved through healthy lifestyles, diseases prevention, implementation of high-tech methods for the diagnosis and treatment in clinical practice. High-tech Cardiology services are main elements of a comprehensive policy against the cardiovascular diseases. With These services are available early detection and effective treatment of cardiovascular diseases. Development of high-tech cardiology is urgency connected to the reduction of negative demographic trends, as well disability from such diseases and as a result economic growth. Financial and geographical affordability and accessibility to such services requires the development of high-tech cardiology proper state policy.

Key words: Georgia, cardiovascular diseases, high-tech cardiology services
JEL Codes: I10, I11, I118

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 3, გვ. 160-170
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 3, pp. 160-170

საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის პროგნოზირება ნეირონული ქსელების მეშვეობით (თბილისის მაგალითზე)

ნინო ბერაია

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
MRICS, აუდიტორ-შემფასებელი

უძრავი ქონების ბაზრის პროგნოზირების მეთოდებს შორის მეტად აქტუალურია ნეირონული ქსელების მეთოდი [8. გვ.66; 3. გვ. 217].

დინამიკური ქაოსის თეორიის მიხედვით, რომელიც აგებულია ქაოტურობისა და სტოქასტიკურობის (შემთხვევითობის) ურთიერთდაპირისპირებაზე, ყოველი ქაოტური რიგი, როგორც დეტერმინირებული დინამიკური პროცესი უშვებს დროითი პროგნოზირებას შესაძლებლობას, რომელიც „პროგნოზირების ჰორიზონტით“ განისაზღვრება. ბაზრის ის მონაწილე, რომელიც „ხმაურიან“ ქაოტურ რიგებში ბაზრის კანონზომიერების დადგენის უკეთეს მათემატიკურ მეთოდებს ფლობს, სხვა მონაწილეებთან გარკვეული კონკურენტული უპირატესობა აქვს.

ტექნიკური ანალიზის ცნობილი სპეციალისტის ა. ელდერის აზრით [4, გვ. 56], საფასო მრუდი აფიქსირებს ბაზრის კოლექტიურ ცნობიერებას და დინამიური ქაოსის თეორიის გამოყენებას ასაბუთებს მოთამაშეთა ქცევის წინასწარმეტყველებისათვის. კორექტული პროგნოზირებისათვის საჭიროა არჩეულ იქნეს მოდელი, რომელიც დროითი რიგის წინა პერიოდის ქცევაზეა აპრობირებული და შემდგომში მკაცრად უნდა მოხდეს ამ მოდელის დაცვა.

სხვა სიტყვებით, პროგნოზი უნდა ეყრდნობოდეს ნათელ პროგრამულ ალგორითმს, რომელიც ელექტრონული გამოთვლითი მანქანისთვისაა შემუშავებული. ოღონდ მკვლევარმა ეს ალგორითმი უნდა შექმნას. დადგა საკითხი, რომ გამოეყენებინათ კომპიუტერი სტრატეგიის შექმნაში, რომლის მიზანია მრავალი ინდიკატორებიდან აარჩიოს ოპტიმალური და შემდეგ განსაზღვროს ადეკვატური სტრატეგია. ნეირონული ქსელების ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც XX საუკუნის 90-იან წლებში დაიწყეს [2, გვ. 5], ფართოდ დაინერგა პრაქტიკაში და უზრუნ-

ველყოფს მსგავსი სირთულის ამოცანების გადაწყვეტას. ნეიროქსელურ ტექნოლოგიებს იყენებენ როგორც ინვესტორები, ასევე მსოფლიო რეიტინგული სააგენტოები, რომელთათვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნის ბაზრებს შორის კორელაციები.

საკვანძო სიტყვები: უძრავი ქონების ბაზარი; უძრავი ქონების ეკონომიკა; უძრავი ქონების ბაზრის პროგნოზირება; ნეირონული ქსელები.

ნეირონული ქსელების უპირატესობები

ნეიროქსელების მეთოდი შედის მრავალფაქტორული მოდელირების ანალიტიკური მეთოდების კლასში, რაც აგებულია მოაზროვნე არსებების სწავლების და ტვინის ფუნქციონირების პრინციპებზე. იგი გარკვეული ცვლადების პროგნოზირების საშუალებას იძლევა მას შემდეგ, რაც გავლილია ე.წ. სწავლების ეტაპი არსებული ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე. ნეირონული სისტემები თვითსწავლების უნარის მქონე სისტემებია და აგებულია ადამიანის ტვინის ნეირონების მოქმედების პრინციპის საფუძველზე შექმნილი მოდულებისაგან.

ნეიროქსელების ტექნოლოგიების უპირატესობა სხვა ტექნოლოგიებთან შედარებით შემდეგია[8 გვ 30]:

1. ნეიროქსელური ანალიზი, ტექნიკური ანალიზისაგან განსხვავებით (მონაცემების სტატისტიკური დამუშავება), შემავალ ინფორმაციას არ უყენებს რაიმე სახის შეზღუდვებს. ეს ინფორმაცია ერთდროულად შეიძლება იყოს არამარტო უძრავი ქონების ფასის დროითი რიგების ინდიკატორები, არამედ ასევე მაკროეკონომიკური მაჩვენებლების და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ცვლილების დროითი რიგებიც;

2. ტექნიკური ანალიზისაგან განსხვავებით, ნეიროქსელებს შეუძლია არჩეული ინსტრუმენტისათვის ოპტიმალური ინდიკატორების პოვნა და მოცემული რიგისათვის ოპტიმალური პროგნოზირების სტრატეგიის (მოდელის) აგება. უფრო მეტიც, ეს მოდელები შეიძლება ადაპტირებულ იქნეს საბაზრო პირობების ცვალებადობის მიმართაც, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა, აქტიურად განვითარებადი ბაზრებისათვის, თუნდაც ისეთისათვის, როგორც საქარ;

3. ნეიროქსელური მოდელირება ეყრდნობა დაუმუშავებელ მონაცემებს ყოველგვარი წინასწარ დადგენილი პირობებისა და შეზღუდვების გარეშე. მნიშვნელოვანია ის, რომ მონაცემები საკმარისი უნდა იყოს ნეირონული ქსელის „სწავლებისათვის“.

პროგნოზირება მონაცემთა ექსტრაპოლაციაა, მაგრამ ნეირონული ქსელები ფაქტობრივად, ინტერპოლაციის ამოცანას ხსნის, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პროგნოზირების საიმედოობას. ფინანსური დროითი რიგის პროგნოზირება დადის ნეიროქსელის ტიპიურ ამოცანამდე - ცვლადების სიმრავლის ფუნ-

ქციის აპროქსიმაციამდე მოცემული მაგალითების ნაკრების მიხედვით X_tდროითი რიგის ჩაღრმავების პროცედურით მრავალგანზომილებიან (*d* განზომილებიან) ლაგურ სივრცეში[7].

ამრიგად, საკმარისი ზომის დ განზომილებიან სივრცის არჩევის შემდეგ, შესაძლებელია გარანტირებულად მივიღოთ რიგის მომავალი მნიშვნელობის ცალსახა დამოკიდებულება მისი დ-წინა მნიშვნელობებისაგან: $X_t = F(X_{t-d})$. ანუ დროითი რიგის პროგნოზირება მრავალცვლადიანი ფუნქციის ინტერპოლაციამდე დადის (ტაკენსის თეორემა).

რადგან ფინანსური დროითი რიგები (ქაოტური დინამიკა) შეიცავს კომპონენტს, რომლიც პროგნოზირება შესაძლებელია, უძრავი ქონების ბაზრის ანალიზისათვის ნეიროქსელური პროგნოზირების გამოყენება გამართლებულია.

ნეიროქსელური ანალიზისას ანალიტიკოსმა არ უნდა გამოთქვას თავისი აზრი სხვადასხვა ბაზრის ინდიკატორთა შორის კავშირის ხასიათის შესახებ. კავშირების სახის დადგენა და წონის კოეფიციენტების მინიჭება ხორციელდება თავად სწავლების პროცესში. ნეირონულ ქსელებს შეუძლია მოძებნოს მონაცემების მოცემული რიგის შესატყვისი ოპტიმალური ინდიკატორები და მათი მოშველიებით ააგოს ისევ ამ კონკრეტული მონაცემთა რიგების შესაბამისი პროგნოზირების სტრატეგია. ამ მეთოდის ნაკლი მრავალფაქტორული სტატისტიკური მოდელირების მსგავსია - ყოველი ფაქტორისათვის საჭიროა გამოთვლებში ჩაიდოს საკუთარი წინასწარი პროგნოზი.

ნეიროქსელური მოდელირების მაგალითები

შესაძლებელია ნეიროქსელური მოდელირების სხვა მეთოდებთან კომბინირება, მაგალითად დისკრეტულ სივრცულ-პარამეტრულ მოდელირებასთან. პროგნოზირების ეს მეთოდი ეყრდნობა ბაზრის ანალიზის მეთოდს [9], რომელიც იყენებს დისკრეტულ სივრცულ-პარამეტრულ მოდელირებას და შემდეგ ნეიროქსელურ ანალიზს მიმართავს.

რაც შეეხება დისკრეტულ სივრცულ-პარამეტრულ მოდელირებას - ის ბაზრის ყველა სეგმენტის მდგომარეობის ამსახველი ინდიკატორების ნაკრებია, რომელიც მიღებულია უძრავი ქონების ობიექტების სხვადასხვა პარამეტრების კვეთით: ზომა, ადგილმდებარეობა, ობიექტის ჩაბარების ვადა და სხვა [13].

მნიშვნელოვანია [10] ნეიროქსელური მოდელირების მაგალითი მოსკოვის უძრავი ქონების ბაზრის საფუძველზე. განხილულ მაგალითში ქსელის გამოსასვლელზე იყო როგორც სავაჭრო და საოფისე უძრავი ქონების ქირის განაკვეთები, ასევე საცხოვრებელი ბინების ფასები. შესასვლელზე კი მიეწოდებოდა შემდეგი მაჩვენებლების სტატისტიკური მონაცემები:

1. მთლიანი შიგა პროდუქტი;
2. სამრეწველო პროდუქტების წარმოების მოცულობა;
3. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა;

4. ინვესტიციები ძირითად კაპიტალში;
5. სამომხმარებლო ფასების ინდექსი;
6. უმუშევრობის საერთო დონე;
7. მოსახლეების დანაზოგი;
8. მოსახლეობის ხელთ არსებული ნაღდი ფული;
9. ექსპორტის მოცულობა;
10. იმპორტის მოცულობა;
11. ეროვნული ვალუტის კურსი;
12. საშუალოთვიური ხელფასი;
13. ინფლაციის დონე;
14. საპარლამენტო/საპრეზიდენტო არჩევნების სიახლოვე;
15. პოლიტიკური სტაბილურობა.

აღნიშნული მოდელირებისას გამოყენებული იყო ნეირონული ქსელი ერთი დაფარული ნეირონული შრით. შესასვლელებზე $X_1,\ldots X_n$ მიწოდებული სიგნალები გამრავლდა ყოველი შესასვლელის შესაბამის წონით კოეფიციენტზე და განისაზღვრა ნეირონის გაღიზიანების დონე. გამომავალი სიგნალი მიიღება დამალული შრის აგზნებული ნეირონების ჯამური სიგნალის არაწრფივ ფუნქციაში გატარებით. არაწრფივ ფუნქციად არჩეული იყო სიგმოიდური ფუნქცია, რომელიც უწყვეტია და შესაძლებელია მისი დიფერენცირება რამდენჯერაც საჭირო გახდება:

სადაც d – მუდმივი წანაცვლებაა;

W_i – შემავალი სიგნალების წონა (სინაპსები)

$$C_a = \frac{1}{1+e^{d-\sum_{i=1}^{n} X_1 W_1}}, (1)$$

ცდომილების გასაზომად იყენებენ საშუალოკვადრატულ ცდომილებაა, რომელიც განისაზღვრება როგორც გამოსასვლელი სიდიდესა და საჭირო სიდიდეს შორის სხვაობის კვადრატების ჯამი:

სადაც C_i^T – ქირის განაკვეთის სიდიდეებია, რომელიც მოდელიდანაა მიღებული (მიღებულ იქნა ქსელის სწავლების შედეგად);

$$E = \sqrt{\frac{1}{n}\sum_{i=1}^{n}(C_i^T - C_i^{\pi})^2}, (1)$$

C_i^{Π} – ქირის განაკვეთის რეალური სიდიდეები.

არასტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის შემთხვევაში პროგნოზის გაკეთებისას, მიზანშეწონილია სცენარული პროგნოზრება. მეთოდის გამოყენების წინ გამოიყოფა საპროგნოზო პერიოდის ეტაპები. პირველ ეტაპზე განისაზღვრება 2-3 განვითარების შესაძლო სცენარი და მათი შედეგები, შემდეგ 2-3 სცენარი ყოველი შედეგისათვის მეორე ეტაპზე და ასე შემდეგ.

ყოველი სცენარის ყოველ ეტაპზე კეთდება მისი რეალიზაციის ალბათობის ექსპერტული შეფასება, ახლო მდგომი სცენარები გაერთიანდება, ხოლო ნაკლებ ალბათური კი ამოვარდება განხილვიდან.

თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის საფასო ინდექსების პროგნოზირება

თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის საფასო ინდექსების ნეირონული ქსელებით პროგნოზირების მიზნებისათვის შეირჩა შემდეგი ცვლადები:

- დამოკიდებული ცვლადი – თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის ფიშერის ინდექსი [14];
- დამოუკიდებელი ცვლადები - ამოცანის მიზნებიდან გამომდინარე შევარჩიეთ შემდეგი ცვლადები: მშენებლობის მოცულობა, დასრულებული საცხოვრებელი შენობების ფართი, ,ტრანზაქციების რაოდენობა უძრავი ქონების ბაზარზე (საცხოვრებელი ფართები), ფულადი გზავნილების მოცულობა, სადეპოზიტო საპროცენტო განაკვეთი, სასესხო საპროცენტო განაკვეთი, მშენებლობისათვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსი, საშუალო თვიური ხელფასი, არჩევნების სიახლოვე, ეროვნული ვალუტის კურსი.

დროითი მწკრივების სიხშირე - ყველა მონაცემი კვარტალურია. შესაძლებელია თვიური ან წლიური მონაცემების მწკრივების გამოყენებაც, მაგრამ ყოველთვიური დროითი მწკრივის აგებისათვის ზოგიერთი ცვლადის ყოველთვიური მაჩვენებლის მოპოვება არ იყო შესაძლებელი, თან უნდა გვახსოვდეს, რომ უძრავი ქონება გრძელვადიანი აქტივია [1 გვ173, 6 გვ 46] და ყოველთვიური მონაცემების ანალიზი აზრს მოკლებულია. მეორე შემთხვევაში, ანუ წლიური მონაცემების გამოყენებისას, დროითი მწკრივების სიგრძე არ იქნებოდა საკმარისი სარწმუნო კვლევის ჩასატარებლად, ანუ კვლევაში გამოყენებული ყოველი ცვლადის 35 მონაცემის მაგივრად, მხოლოდ 9 მონაცემი გვექნებოდა.

კვლევის შემდეგ ეტაპზე მოხდა მონაცემების სკალირება - მათი გარდაქმნა 0.1 და 1-მდე დიაპაზონში მოქცეულ სიდიდეებად. სკალირება საშუალებას იძლევა უფრო ეფექტურად განხორციელდეს ნეირონული ქსელების სწავლება. დროითი მწკრივების პროგნოზირების მთავარი დაშვება შემდეგია: ისტორიულ მონაცემებში არსებული კანონზომიერებები ცვლადებს შორის მომავალშიც იგივე სახით იარსებებს.

პირველ რიგში, დროითი მწკრივი იყოფა ორ ნაწილად. პირველი ნაწილი გამოიყენება ნეირონული ქსელების სწავლებისათვის, მეორე ნაწილი კი მოდელის ქცევის ტესტირებისათვის. მონაცემების მწკრივის გაყოფის ზოგადი წესი შემდეგია: მწკრივის 70% განკუთვნილია სწავლებისათვის, ხოლო 30% მოდელის ტესტირებისათვის.

შემდეგ ეტაპზე ხდება ნეირონული ქსელების არქიტექტურის შერჩევა:

კვლევაში გამოვიყენეთ ქსელის 3 შრე. დაფარული ნეირონული კვანძების რაოდენობა ექვსის ტოლია, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადების რაოდენობა ათი. ზოგადი წესია, რომ ვირჩევთ პირამიდულ განლაგებას, გამოსავალი კვანძის, ანუ დამოკიდებული ცვლადის რაოდენობა კი ერთის ტოლია.

ვირჩევთ სწავლების გენეტიკური ოპტიმიზაციის მეთოდს და გავუშვებთ სწავლების იტერაციულ ციკლებს, მოდელი თავად ირჩევს წონებს და იტერაციულ ციკლებს ვიმეორებთ მანამ, სანამ კვადრატული ცდომილების მნიშვნელობა არ მიაღწევს სასურველ შედეგს. აღნიშნული მოდელის ფარგლებში კვადრატული ცდომილების მნიშვნელობა ითვლება დამაკმაყოფილებლად, როდესაც მისი სიდიდე 0.001-ის ტოლია ან ნაკლები. წინააღმდეგ შემთხვევაში, სწავლების პროცესს ვიმეორებთ.

სწავლების დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღების შემდეგ ნეირონული ქსელის ტესტირება ხორციელდება. ამ კონკრეტული ნეირონული ქსელისათვის მოდელის სწავლებისათვის საჭირო გახდა 15 100 იტერაციის შესრულება.

ნეირონული ქსელის არქიტექტურა შემდეგია – სამ-დონიანი ქსელი , 10 შემავალი, 5 დაფარული და 1 გამომავალი შრით.

სწავლება შესრულდა გენეტიკური ოპტიმიზაციის მეთოდით - 66 წონითი კოეფიციენტის გამოყენებით, საშუალო კვადრატულმა სიზუსტემ 15100 იტერაციის შემდეგ მიაღწია სასურველ დონეს, კერძოდ, MSE=0.00813, ანუ ნაკლებია 0.001-ზე.

ნეირონული სამშრიანი ქსელის სწავლების შედეგები

ცხრილი 1

MSE	0.000813
AE	0.020314
Test MSE	
No. Of Layer	3
No. Of HL1	5
No. Of HL2	0
Input Nodes	10
Output Nodes	1
Mean	0.18381
Std Dev	0.239415
Iterations:	15100

სწავლების ეტაპის შედეგად მიღებული სინაპსისის გრაფიკი შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. გრაფიკი 1):

სინაპსისის გრაფიკი

გრაფიკი 1



საწყისი და ნეირონული ქსელების სწავლებით მიღებული დამოკიდებული ცვლადის შედეგების გრაფიკების ზედდებიდან ჩანს, რომ სწავლების შედეგი დამაკმაყოფილებელია და მოდელის სიზუსტე საკმაოდ მაღალია (ის. გრაფიკი 2).

საწყისი და ნეირონული ქსელის სწავლების შედეგად მიღებული მრუდები
გრაფიკი 2.



მიღებული მოდელის ტესტირება ხდება საწყისი მონაცემების მეორე ნაწილის საფუძველზე, რომელიც საწყისი მასივის დაახლოებით 30% უდრის.

ნეირონული ქსელის ტესტირების ეტაპის შემდეგ ტესტირების შეცდომამ 0.00564 შეადგინა, რაც შეიძლება დამაკმაყოფილებელ შედეგად ჩაითვალოს, რადგან განსხვავება სასწავლო კლასტერის საშუალო კვადრატულ ცდომილებასთან დიდი არ არის (იხ. ცხრილი 2).

ნეირონული ქსელის ტესტირების შედეგები

ცხრილი 2

MSE	0.000813
AE	0.020314
Test MSE	0.0056466
No. Of Layer	3
No. Of HL1	5
No. Of HL2	0
Input Nodes	10
Output Nodes	1
Mean	0.18381
Std Dev	0.239415
Iterations:	15100

პროგნოზირების ეტაპისათვის მოხდა დამოუკიდებელი ცვლადების განსაზღვრა და მათ საფუძველზე დადგინდა დამოკიდებული ცვლადის სიდიდეები.

დამოუკიდებელი ცვლადების პროგნოზირებისას, შემდეგ ვარაუდს დავეყრდენით: სამშენებლო დარგის ციკლურობის კვლევიდან [14] ჩანს, რომ ციკლის პიკი იყო 2012 წელს და საპროგნოზო პერიოდის განმავლობაში მშენებლობების მოცულობები სავარაუდოდ შემცირდება. ეროვნული ვალუტის კურსის შემთხვევაში ვივარაუდეთ, რომ საპროგნოზო პერიოდში ვალუტის კურსი არ შეიცვლება, ხოლო დანარჩენი ცვლადები განისაზღვრა წრფივი აპროქსიმაციის მეშვეობით (იხ. გრაფიკი 3)

ნეირონული ქსელებით პროგნოზირებული უძრავი ქონების ბაზრის ინდექსი

გრაფიკი 3



ცხრილი 3 გვიჩვენებს სამშრიანი ნეირონული ქსელით პროგნოზირების შედეგებს და პროგნოზირების სანდოობის კოეფიციენტებს.

სამშრიანი ნეირონული ქსელით პროგნოზირების შედეგები და სანდოობის კოეფიციენტები

ცხრილი 3

პერიოდი	Y	სანდოობის კოეფიციენტი
IV.2015	0.549644	93.76%
I.2016	0.515476	90.21%
II.2016	0.481187	89.42%
III.2016	0.387208	62.84%

პროგნოზირების დასრულების შემდეგ განხორციელდა მონაცემების უკუსკალირება რეალური მნიშვნელობების გამოთვლის მიზნით.

როგორც გრაფიკი 3 და ცხრილი 4-დან ჩანს, საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის ფიშერის ინდექსი 2015 წლის მეოთხე კვარტალში იმატებს მესამე კვარტალთან შედარებით და თითქმის უტოლდება 2015 წლის მეორე კვარტლის მაჩვენებელს, ხოლო მომდევნო სამი კვარტლის განმავლობაში თბილისის საცხოვრებელი ბაზრის ინდექსი ვარდნის სტადიაშია.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ აღნიშნული კვლევა საინტერესო იქნება ბაზრის დინამიკის პროგნოზირებისათვის, დაეხმარება ინვესტორებსა და პორტფოლიოს მმართველ კომპანიებს თავიანთი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას, აღნიშნული კვლევის შედეგები ასევე ყურადსაღები იქნება უძრავი ქონების ბაზრის სხვა მონაწილეთათვის.

ლიტერატურა:

1. Ball, M. Is there an office replacement cycle? Journal of Property Research, Vol.20, No.2, 2003, pp.173-189.
2. Beltratti A, Margarita S., P. Terna, Neural Networks for Economic and Financial modeling, 1995, p.400.;
3. E. Alba, R. Martí. Metaheuristic Procedures for Training Neural Networks, 1997, p. 249.
4. Elder A. Trading for a Living: Psychology, Trading Tactics, Money Management. John Wiley and Sons, New York, NY, 1993, p.56
5. Hoyt, H. One hundred years of land values in Chicago. The relationship of the growth of Chicago to the rise in its land values, 1830-1933. The University of Chicago, US, 1933 pp.452
6. Shiller, R.J. Speculative Asset Prices (Nobel Prize Lecture). Cowles Foundation Discussion Paper No. 1936, Yale University, 2014. pp.46.
7. Weigend A.S., Gershenfeld N.A, Time Series Prediction: Forecasting the Future and Understanding the Past. Addison Wesley, 1994
8. Воронин В.А. Моделирование рынка недвижимости в условиях финансо-экономического кризиса /Воронин В.А.//Практика Оценки/ под ред. Я.И. Маркуса. –М.: Экономика, 2009. - №10 (37), октябрь. – 66 с.
9. Евстафьев А.И., Гордиенко В.А. Прогнозирование индикаторов рынка недвижимости путём двумерного разложения дискретной пространственно-параметрической модели на основе применения нейросетей.
10. Комаров С.И. Прогнозирование стоимости земельных участков для индивидуального жилищного строительства (на примере Московский области): диссертация на соискание ученой степени кандидата экономических наук: 08.00.05. – Москва 2007.
11. Снитюк В.Е. Применение метода стохастической релаксации для прогнозирования рынка недвижимости. Международная научная конференция «Нейросетевые технологии и их применение. − Краматорск. − 2003.
12. Стерник Г.М. Технология анализа рынка недвижимости. – Изд. АКСВЕЛЛ, М.:2005. – 203 стр.
13. Сергей Шумский, Предсказание финансовых временных рядов, http://articles.mql4.com/ru/542;
14. ბერაია ნ, ნაცვალაძე მ,. უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობის ანალიზი (თბილისის მაგალითზე). ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, №4, 2015, გვ 100-112.

Residential Real Estate Market Prognosis with Neural Networks (Case of Tbilisi)

Nino Beraia

Doctoral Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business
MRICS, Auditor-Valuer

The article introduces the use of Neural Networks to predict the Residential Real Estate Index in Tbilisi, Georgia. A neural network with three levels, with one hidden layer was trained using 10 input variables and Fisher Index of residential property as an output variable. For the networks, the Genetic Optimization learning method was used. The best fitting training data set was obtained from a Neural Network architecture composed by five neurons in the hidden layer. The model gave good predictions with MSE=0.00813. It is suggested that the Neural Network model could be used as a tool for the reliable prediction of real estate market prediction. The findings of the study will be useful for the investors and portfolio manager companies in decision making regarding strategy, the type of the real estate and the location, also other participants of real estate market.

Keywords: Real estate market, real estate economics, real estate market prognosis, neural networks
JEL Codes: J40, J41, J45

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 3, გვ. 171-175
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 3, pp. 171-175

არჩევნების ჩატარება რეიტინგულ – რანჟირებული სისტემით

გურამ მეტეხელი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ - პროფესორი,

გურაბ კოლხიდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

2016 წლის 23 ივნისს დიდ ბრიტანეთში ჩატარდა რეფერენდუმი, ევროკავშირში ყოფნა არ ყოფნასთან დაკავშირებით, რომელშიც მოსახლეობის დაახლოებით 52%-მა ხმა მისცა ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გამოსვლას. ამავე დროს, არ იყო და ვერც იქნებოდა გათვალისწინებული მოსახლეობის საკმაოდ დიდი რაოდენობის (დაახლოებით 48%-ის) აზრი.

იმ შემთხვევაში, თუ რეფერენდუმი ჩატარდებოდა წინამდებარე სტატიის ავტორთა მიერ შემოთავაზებული, რეიტინგულ-რანჟირებული სისტემის გამოყენებით, მიღებული შედეგები, პროცენტული გადანაწილების მიუხედავად, გაცილებით უფრო მაღალი დონის ლეგიტიმაციით იქნებოდა დასაბუთებული. ამ საკითხს ქვემოთ კიდევ შევეხებით, აქვე აღვნიშნავთ, რომ შესაძლებელია სისტემა დაიყოს ცალ-ცალკე - რეიტინგულადაც და რანჟირებულადაც.

საკვანძო სიტყვები: რანჟირება; რეიტინგი; არჩევნები; ბიომეტრია; იდენტიფიცირება; ინფორმაციული ტექნოლოგიები; ლეგიტიმაცია; IQ ტესტი.

ამომრჩეველთა სიის ფორმირება

ყველაზე დიდი პრობლემა, რომელსაც ვაწყდებით სიის ფორმირების დროს, არის საარჩევნო უბნებსა და ოლქებში ამომრჩეველთა განსხვავებული რაოდენობა, აქედან გამომდინარე, ხმათა სხვადასხვა წონადობა, ანუ სხვადასხვა ოლქში მცხოვრებ ამომრჩეველს სხვადასხვა სიძლიერის ბიულეტენი აქვს. მეორე პრობლემა, არსებითია: ამა თუ იმ უბნის მომავალი დეპუტატი, პარლამენტში წარმოადგენს არა კონკრეტულად ამ ოლქის ინტერესებს, არამედ მთელი ქვეყნის წინაშე წამოჭრილი ამოცანების გადამწყვეტ ფიგურას (ეს პრობლემა ძირითადად მაჟორიტარული არჩევნების წინაშე დგას) [1].

დასახელებული პრობლემების გადასაჭრელად გთავაზობთ შემდეგს: ამომრჩეველთა სრული სია შედგეს პირადი ნომრის თანმიმდევრული დალაგებით, შემდეგ მოხდეს ამ სრული რაოდენობის გაყოფა ასარჩევი მანდატების რაოდენობაზე, რითაც მივიღებთ არა საარჩევნო უბნებს, არამედ ამომრჩეველთა ჯგუფებს, რომლებიც შესაძელბელია შედგებოდნენ სხვადასხვა რაიონში მცხოვრები ადამიანებისაგან. ამ ჯგუფებს შორის რაოდენობრივი სხვაობა იქნება მაქსიმუმ 1 ამომრჩეველი, ხოლო ქვეყნის ბედ-იღბლის პრობლემის გადაწყვეტა ერთნაირად უნდა აღელვებდეს, როგორც ბათუმელ, ასევე თელაველ ამომრჩეველს.

ამ პრობლემის წამოჭრა და გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ბიომეტრიული იდენტიფიცირების [4] გამოყენებით, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის შემთხვევაში.

რეიტინგების საკითხისათვის

სხვადასხვა საპრობლემო საკითხთან ერთად, დღის წესრიგში დგება ასარჩევი სუბიექტის მეტ-ნაკლები უპირატესობის განსაზღვრა, ანუ ვირჩევთ A-ს, თუ არა და B-ს და ა.შ. ამ შემთხვევაში გთავაზობთ შემდეგს: თითოეულ ამომრჩეველს მივცეთ არა ერთი, არამედ, მაგ. 5 ბიულეტენი. აქვე მივცეთ უფლება მას, რომ ეს 5 ბიულეტენი გადაანაწილოს ნებისმიერი კომბინაციით, ნებისმიერ კანდიდატზე. რა თქმა უნდა, გამოყენებული ბიულეტენების მაქსიმუმი არ უნდა აღემატებოდეს დასაშვებს, ხოლო მინიმუმი უნდა უდრიდეს 0-ს.

მაგალითისთვის მოვიყვანთ გამარტივებულ შემთხვევას: დავუშვათ, ასარჩევია A, B და C კანდიდატები და გვყავს სამი K, L, M ამომრჩეველი. ვთქვათ, K ამომრჩეველმა თავისი 5 ბიულეტენიდან 3 მისცა A-ს, 2-B-ს და 0-C-ს. L ამომრჩეველმა A-ს მისცა 0, B-ს 2 და C-ს -3.

M ამომრჩეველმა A-ს მისცა 2, B-ს 2 და C-ს 1. დაჯამების შედეგად მივიღებთ, რომ A-მ მიიღო 5 ბიულეტენი, B-მ - 6 ბიულეტენი და C-მ 4. აქედან ჩანს, რომ B კანდიდატს არ მიუღია არც ერთი პირველი ადგილი და მიუხედავად ამისა, ხმათა საერთო რაოდენობით, უმაღლესი ქულა დაიმსახურა

[5]. ავტორთა მოსაზრებით, ეს გაცილებით უფრო მაღალლეგიტიმურია, ვიდრე დამკვიდრებული სხვადასხვა საარჩევნო პროცედურის შესრულების დროს გვაქვს [1].

რანჟირების პრობლემა

შემდეგი პრობლემა, რომელსაც ნაკლებად ექცევა ყურადღება, არის ის, რომ ასარჩევი პიროვნებებისადმი მოთხოვნა უმაღლეს კატეგორიას უნდა შეესაბამებოდეს, ხოლო ამომრჩევლები ერთმანეთთან სრულად გათანაბრებული იყოს.

ამასთან დაკავშირებით გვინდა ერთი უმარტივესი მაგალითი მოვიყვანოთ: სხვადასხვა ავტორის მიერ, თუნდაც ყველაზე მარტივ ერთ თემაზე დაწერილი ნაშრომი, შესრულების დონით, არსებითად განსხვავებული იქნება ერთიმეორისაგან ავტორების კვალიფიკაციიდან გამომდინარე. ეს პრობლემა საკმაოდ წარმოჩინდება არჩევნების შედეგების გაანალიზების დროს, ამიტომ, გთავაზობთ პრობლემის შემდეგნაირად გადაწყვეტას: ამომრჩეველთა სრულ შემადგენლობას ჩაუტარდეს IQ ტესტირება, მიღებული მონაცემები დაიყოს, თუნდაც 3 ჯგუფად (შესაძლებელია სხვა რაოდენობაც), უმაღლესი შეფასების მქონე პირებს მიეკუთვნოს 3-ის ტოლი კოეფიციენტი, საშუალოს -2, ხოლო დანარჩენს -1. მიკუთვნებული კოეფიციენტები უნდა გადავამრავლოთ რეიტინგით მინიჭებულ ბიულეტენთა რაოდენობაზე, ანუ 5-ზე. აქედან მივიღებთ, რომ უმაღლესი დონის ამომრჩეველს ექნება 15 ბიულეტენი, საშუალოს -10, ხოლო მე-3 ადგილზე გასულებს - 5 ბიულეტენი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ოპონენტების მიერ მომავალში სეგრეგაციის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს კატეგორიულად არ ვეთანხმებით.

პრობლემის გადაწყვეტა

რანჟირებული სისტემის ზემოთ მოყვანილი მაგალითი აუცილებლად მოითხოვს შემდეგ დამატებებს:

1. IQ სერთიფიცირების გამოცდები უნდა განხორციელდეს, მინიმუმ ერთხელ წელიწადში;

2. ამომრჩეველს, სურვილის მიხედვით, მისი მონაცემის გაუმჯობესების უფლება უნდა მიეცეს მინიმუმ 3 თვეში ერთხელ.

აღნიშნული ტექნოლოგიის გამოყენებით მივიღებთ გაცილებით მაღალი ლეგიტიმაციის პარლამენტს და ჩატარებული პლებისციტი ან რეფერენდუმი გამორჩეული იქნება საგრძნობლად დიდი დამაჯერებლობით.

ბიომეტრული იდენტიფიცირების გამოყენება ძალიან ბევრ დადებით შედეგს მოგვცემს არა მარტო ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებში, არამედ ეკონომიკის ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი, საბანკო გადარიცხვებისა და ტრანზაქციების დროს [3].

იმის გამო, რომ პლასტიკურ ბარათს ჩაანაცვლებს ბიომეტრული იდენტიფიცირება, შეუძლებელი იქნება პიროვნების მიერ კონფიდენციალური მოქმედების გადაცემა სხვა პირზე. მაგალითად, ერთი დეპუტატის მიერ, თუნდაც ნდობით აღჭურვილი პირისგან მიღებული უფლებამოსილების (პლასტიკური ბარათის) გამოყენება მრავალჯერადად.

***

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ განხილული ტექნოლოგიის დანერგვა წარმოადგენს ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის წინ გადადგმულ ნაბიჯს. აგრეთვე ეს მეთოდოლოგია მოიცავს ხელოვნური ინტელექტის მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან ელემენტებს. ამოცანის განხორციელება და სრულფასოვნად გადაწყვეტა მოგვცემს მნიშვნელოვან ფისკალურ ეფექტს.

ზემოთ მოყვანილი ტექნოლოგიის გამოყენებით, დიდ ბრიტანეთში რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში, პროცენტების იგივე გადანაწილების დროსაც კი, მაქსიმალურად იქნებოდა გათვალისწინებული ყველა მოქალაქის სურვილი

მოცემული ტექნოლოგია და მისი გაფართოებული ვარიანტი რომელიც განხილული იქნება შემდგომ სტატიებში, მოგვცემს არამარტო ამომრჩეველთა სიის რეიტინგულ-რანჟირებულ ვარიანტს, არამედ გაჩნდება საშუალება, რომ ასარჩევმა სუბიექტებმა პარალელურად გაიარონ პროფესიონალური და წესიერების კრიტერიუმები. ეს შეიძლება განხორციელებულ იქნეს წესიერების კრიტერიუმის კოეფიციენტის მათემატიკური ანალიზის გამოყენების შედეგად, რომელშიც ჩადებული იქნება, აგრეთვე, სიცრუის დეტექტორის აპარატი.

ყოველივე აღნიშნულის დანერგვის შემთხვევაში, ავტორთა აზრით, სისტემა უნიკალური და საუკეთესო ვარიანტი იქნება არა მარტო საქართველოსათვის, არამედ ნებისმიერი ქვეყნის საარჩევნო სისტემის გაუმჯობესებისთვის. საქართველო გამოვა მსოფლიოში დემოკრატიული არჩევნების ჩამტარებელთა ავანგარდში.

ლიტერატურა:

1. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, თბ., 2011.
2. ნადარეიშვილი გ. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, მოკლე კურსი, თბ., 2001.[1]
3. ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეგულაცია N910/2014 „ელექტრონული იდენტიფიკაცია და სანდო სერვისები ელექტრონული

1 ლიტერატურის სიაში მეორე ნომრად დასახელებული ნაშრომის იდეები კონკრეტული მინიშნების გარეშე მოწონებული და გათვალისწინებულია სტატიის ავტორთა მიერ.

ტრანზაქციებისთვის“, 23 ივლისი, 2014 . http://eurlex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?qid=1409220583805&uri=OJ:JOL_2014_257_R_0002
4. Антон Михайлов, Bankir.Ru 24.01.2011. Биометрические технологии на защите банковских информационных систем.
5. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში, საკონფერენციო მასალები, თბ., 22-23 ოქტომბერი, 2015. ზ.კოლ-ხიდაშვილი, ბიომეტრული იდენტიფიკატორის გამოყენებით საბანკო გა-დარიცხვების და არჩევნების ჩატარების პროცედურის შემუშავება, 155 გვ.

Conduct of Elections under the Rating - Ranked System

Guram Metekheli
Assistant Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Zurab Kolkhidashvili
Doctoral Student
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

The introduction of discussed technology represents a significant step forward in the formation of information society. This methodology also includes small but important elements of artificial intelligence. Accomplishment and comprehensive solution of the task will allow us to achieve the fiscal effect.

Through the above provided technology, in case of conducting the UK referendum, even in distributing percentages, all the citizens' desire would be maximally taken into account.

The given technology and its expanded version which will be discussed in subsequent articles will give us not only rating-ranked version of the voters' list, but there will be opportunity for the subjects to be chosen to go through professional and decency criteria simultaneously. This can be implemented as a result of the use of mathematical analysis of the decency criteria coefficient where will be put also the lie detector device.

In case of the introduction of the above noted, in the authors' opinion, the system will be unique and the best option would be not only for Georgia, but for the improvement of any country's electoral system. Georgia would be at the forefront of the conduction of democratic election in the world.

Keywords: Ranking, rating, elections, biometrics, identification, information technology, legitimacy, IQ test.

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 3, გვ. 176-195
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 3, pp. 171-195

საერთაშორისო ვაჭრობის პრობლემები
PROBLEMS OF INTERNATIONAL TRADE

საქართველოს სავაჭრო ბალანსის დეფიციტი და მისი დაძლევის გზები

უშანგი სამადაშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის
ასოცირებული პროფესორი
u.samadashvili@mail.ru

სტატიაში, საქართველოს სავაჭრო ბალანსის დეფიციტის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, შემუშავებულია მისი დაძლევის ძირითადი გზები.

ნაჩვენებია, რომ ყველა უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან საქართველოს აქვს ქრონიკული უარყოფითი სავაჭრო სალდო. 2015 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 9 928 მლნ დოლარი შეადგინა, რაც 2014 წლის მაჩვენებელზე 13%-ით ნაკლებია.რ ექსპორტი შემცირდა 23%-ით და 2 204 მლნ დოლარი შეადგინა; იმპორტი შემცირდა 10%-ით და 7 724 მლნ დოლარით განისაზღვრა. სავაჭრო დეფიციტმა კი შეადგინა 5520 მლნ დოლარი.

აღნიშნულის დაძლევისათვის, ავტორის აზრით, მიზანშეწონილია: ექსპორტის წახალისება, ოპტიმიზება და დივერსიფიკაცია; არაგონივრული იმპორტის ჩანაცვლება და რეექსპორტის გონივრული გამოყენება.

ამასთან, სავაჭრო ბალანსის გაჯანსაღების შემოთავაზებული რეცეფტი საჭიროებს კორექტივს ყოველი პარტნიორი ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით. ყოველივე ამის შედეგად, ვფიქრობთ, ეტაპობრივად შემცირდება უარყოფითი სალდო და მივიღებთ დადებით სავაჭრო ბალანსს.

საკვანძო სიტყვები: სავაჭრო ბალანსი; სავაჭრო ბალანსის დეფიციტი; ექსპორტის წახალისება; ექსპორტის ოპტიმიზება; ექსპორტის დივერსიფიკაცია; იმპორტის ჩანაცვლება; რეექსპორტი.

საქართველოს სავაჭრო ბალანსის პოზიტიური ანალიზი

საგარეო ვაჭრობის ბალანსსა და მის ცალკეულ ასპექტებზე მსოფლიოს მეცნიერ-ეკონომისტებს მრავლად აქვთ ნაშრომები. მიუხედავად ამისა, საქართველოში ეს პრობლემები, კომპლექსურად და ქვეყნის პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, მაინც ნაკლებ შესწავლილ სფეროდ ითვლება. წინამდებარე გამოკვლევა სწორედ არსებული სიცარიელის შევსების ერთ-ერთი მოკრძალებული ცდაა.

აღიარებულია, რომ საგარეო ვაჭრობა არის ექსპორტის იმპორტად გადაქცევის სპეციფიკური ტექნოლოგია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტი ტოლია ან მეტია იმპორტზე. ასევე, ლოგიკურია, რომ საგარეო ვაჭრობა, ანუ ქვეყნის კარგახსნილობა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ ეს იმ შემთხვვაში, როცა ექსპორტი იმპორტს აბალანსებს ან სჭარბობს. საქართველოში კი იმპორტი ექსპორტს 3,8-ჯერ აღემატება. სავაჭრო ბალანსის ამგვარი უწონასწორობა, ანუ ქრონიკული დეფიციტი, ერთი მხრივ, მეტყველებს გარესამყაროსთან საქართველოს უპირატესად ცალმხრივ ეკონომიკურ ინტეგრაციაზე და, მეორე მხრივ იმაზე, რომ ქართული ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული იმპორტზე, რადგან ქვეყანა გაცილებით მეტს მოიხმარს, ვიდრე აწარმოებს, ანუ საქართველო არის არა წარმოებაზე, არამედ უპირატესად მოხმარებაზე ორიენტირებული ქვეყანა **[1].** წლების განმავლობაში იმპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის ზრდას ხელს უწყობს მოხმარების და არა წარმოების სტიმულირება, რაც, უმეტესწილად უზრუნველყოფილია სამუშაო ძალის ექსპორტით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, საერთაშორისო ტურისტებით, უცხოური გრანტებით, დახმარებებით, ლარის სიმყარით და სხვ.

ცნობილია, რომ საგარეო ვაჭრობა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთოებების ყველაზე უფრო ადრეული და მასობრივი ფორმაა. კონკრეტულად როგორ გამოიყურება მისი დინამიკა საქართველოში 2007-2015 წლებში, იხ. ცხრილი.

ცხრილიდან ჩანს, რომ 2015 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 9933 მლნ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 13 %-ით ნაკლებია. აქედან **ექსპორტი** 2204 მლნ დოლარს შეადგენს (23 %-ით ნაკლები). **ექსპორტის შემცირეზის მაღალი მაჩვენეზელი ძირითადად განაპირობა საქართველოს ექსპორტის სტრუქტურამ.** კერძოდ, მსოფლიოში მიმდინარე სავალუტო რყევებისა და მისგან გამოწვეული ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად, **მოთხოვნა განსაკუთრეზით შემცირდა არა პირველადი მოთხოვნის სასაქონლო პოზიციეზზე, ღვინოზე, სპირტიან სასმელეზზე, მინერალურ წყლეზზე, უალკოჰოლო სასმელეზზე, თხილზე და ა.შ; ანუ საქართველოს ტრადიციულ საექსპორტო პროდუქციაზე.** ექსპორტის კლება უკავშირდება, ასევე, საბაჟო

საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა 2007-2015 წწ. (მლნ დოლრი) [14]

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016 წ. იანვარი-მარტი
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	6444	7797	5634	6935	9225	10413	10921	11454	9933	2145
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	1232	1495	1134	1677	2187	2376	2910	2861	2204	443
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი(CIF)	5212	6302	4500	5257	7038	8037	8012	8593	7729	1703
საგარეო ვაჭრობის სალდო	-3980	-4806	-3367	-3580	-4852	-5661	-5102	-5733	-5525	-1260

პოლიტიკის ცვლილების გამო აზერბაიჯანსა და სომხეთში ავტომობილების რე-ექსპორტისა და არმატურის შემცირებას.

იმპორტი 7729 მლნ დოლარის ტოლია (10%-ით ნაკლები). იმპორტის შემცირება ძირითადად სამომხმარებლო საქონლის იმპორტის ხარჯზე მოხდა, ხოლო საინვესტიციო და შუალედური საქონლის იმპორტის კლების წვლილი მთლიანი იმპორტის კლებაში გაცილებით ნაკლები იყო. კერძოდ, იმპორტის შემცირებას ხელი შეუწყო ლარის დევალვაციამ, ანუ იმპორტის გაძვირებამ, ასე-ვე, ნავთობსა და ხორბალზე ფასების შემცირებამ. საქართველოს უარყოფით-მა სავაჭრო ბალანსმა 2015 წელს 5525 მლნ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 56% შეადგინა, რაც სარკისებური შედარების მეთოდით უფრო მეტია.

„საქსტატის" ინფორმაციით, 2015 წელს საქართველოს საგარეო **სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან** 3165 მლნ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 6%-ით მეტია. აქედან ექსპორტი 646 მლნ დო-ლარი იყო (4 %-ით მეტი), ხოლო იმპორტი 2518 მლნ დოლარი (6%-ით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 32% შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 29 % და იმპორტში 33 % (2014 წელს შესაბამისად 26, 22 და 28 %). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 34 % (2014 წელს 30%). **როგორც ვხედავთ, იმპორტი ექსპორტს 3,9-ჯერ აღემატება, რაც საქართველოს მოხმარებაზე ორიენტირებულობაზე მეტყველებს.**

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2015 წელს 2808 მლნ დო-ლარი შეადგინა (2014 წელთან შედარებით 22%-ით ნაკლები). აქედან ექ-სპორტი 840 მლნ დოლარი (43 %-ით ნაკლები), ხოლო იმპორტი 1968 მლნ დოლარი იყო (7 %-ით ნაკლები). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების წილი 28 % იყო, მათ შორის ექსპორტში 38% და იმპორტში 25% (2014 წელს შესაბამისად 31, 51 და 25%). 2015 წელს დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 20 % (2014 წელს 11%). **როგორც ვხედავთ, იმპორტი ექსპორტს 2,3-ჯერ აღემატება, რაც ევროკავშირის შესაბამის მაჩ-ვენებელზე უკეთ გამოიყურება.**

2015 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 64 % შეადგინა. **უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია** თურქეთი (1517 მლნ დოლარი), რუსეთი (789 მლნ დოლარი) და აზერბაიჯანი (783 მლნ დოლარი).

2015 წელს, სასაქონლო ჯგუფებიდან, **უმსხვილეს საექსპორტო ათე-ულში** პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა - 271 მლნ დოლარი და მთელი ექსპორტის 12% შეადგინა. მეორეა ფეროშენად-ნობების ექსპორტი, რომელიც 195 მლნ დოლარს და შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 9%-ს უდრიდა. მესამე ადგილზე მსუბუქი ავტომობილების ჯგუფი იმ-ყოფებოდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 180 მლნ დოლარი და მთელი ექსპორტის 8% შეადგინა. **როგორც ვხედავთ, ექსპორტის სახით უპირატესად რესურსები, ანუ დაბალი დამატებული ღირებულების პროდუქტი გაედინე-ბა და არა მზა პროდუქტი.**

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2015 წელს სამკურნალო საშუალებები იყო, რომლის იმპორტმა 745 მლნ დოლარი და მთელი იმპორტის 10% შეადგინა. მეორე ადგილზეა ნავთობი და ნავთობპროდუქტების სასაქონლო ჯგუფი 657 მლნ დოლარით, რაც იმპორტის 9%-ა. მესამე ადგილზე მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი დაფიქსირდა 461 მლნ დოლარით (იმპორტის 6 %) **[2]. როგორც ვხედავთ, იმპორტის სახით უპირატესად მზა პროდუქტი - მაღალი დამატებული ღირებულების პროდუქტი შემოედინება და არა რესურსები.**

ცხრილიდან ჩანს, ასევე, რომ საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2007- 2015 წლებში (2009 წლის გამოკლებით) ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც დადებითი მოვლენაა. **სამწუხაროდ, ზრდის ტენდენციით ხასიათდება სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდოც, რაც ცალსახად უარყოფითად უნდა შეფასდეს.**

საქართველოს სავაჭრო ბალანსის ნორმატიული ანალიზი

როგორც ითქვა, საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა (დეფიციტმა) 2015 წელს 5525 მლნ დოლარი შეადგინა. რომ არა ესოდენ დიდი უარყოფითი სავაჭრო სალდო, საქართველოს ორჯერ მეტი ბიუჯეტი ექნებოდა. საქმე ისაა, რომ სავაჭრო დეფიციტი იფარება აღებული ვალით. ამ უკანასკნელის მომსახურება კი ბიუჯეტის ხარჯზე ხდება, რაც ზრდის მის დეფიციტს.

ამასთან, ქვეყანაში იმპორტის სახით უპირატესად მზა პროდუქტი შემოედინება და არა რესურსები. სამკურნალო საშუალებებსა და მსუბუქ ავტომობილებთან ერთად მრავალი ჩვეულებრივი სამომხმარებლო საქონელიც კი გარედან შემოგვაქვს, მაშინ როდესაც მოსახლეობის ნახევარი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. **საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ აგრარული ქვეყანაა, წარმოებული ხორბლით, ხორცითა და ხორცპროდუქტებით, რძითა და რძის პროდუქტებით ბოსტნეულით და ა. შ. ადგილობრივ მოთხოვნილებებსაც ვერ აკმაყოფილებს, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ ექსპორტზე.** საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტირება ნაკლებად ხდება მეზობელ თურქეთში. სამაგიეროდ ამ ქვეყნიდან ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დიდი რაოდენობის იმპორტი (ჩვენი გათვლებით დაახლოებით 40 000 დასაქმებული ადამიანის ეკვივალენტია, თუკი ამ რაოდენობის პროდუქციის წარმოება საქართველოში მოხდებოდა). Eეს იმიტომ, რომ თურქეთის მთავრობა ახდენს სოფლის მეურნეობის სუბსიდირებას, შესაბამისად, იქ მოწეული მოსავალი იმდენად იაფი ჯდება, რომ ქართული პროდუქცია ვერ უწევს მას კონკურენციას.

ექსპორტის სახით კი უპირატესად რესურსები გაედინება და არა მზა პროდუქტი. ასე, მაგალითად, 2016 წლის პირველ კვარტალში უმსხვილესი საექსპორტო ჯგუფი სპილენძის მადნები და კონცენტრატები იყო 84.1 მლნ

დოლარით (37.7%–იანი ზრდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით); შემდეგ მოდის ავტომობილების რეექსპორტი– 37.6 მლნ დოლარით (34.8%–იანი კლება); თხილი – 33 მლნ დოლარი (36.1%–იანი კლება); ფეროშენადნობი – 26.79 მლნ დოლარი (44.4%–იანი კლება); აზოტოვანი სასუქები – 23.2 მლნ დოლარი (3.2%–იანი კლება); მინერალური წყლები – 19.3 მლნ დოლარი (14.6%–იანი კლება); ღვინო – 19.2 მლნ დოლარი (23.7%–იანი კლება); სამკურნალო საშუალებები – 19 მლნ დოლარი (24.5%–იანი ზრდა); ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული – 17.7 მლნ დოლარი (40%–იანი ზრდა); არადენატურირებული ეთილის სპირტი და სპირტიანი სასმელები – 17.1 მლნ დოლარი (74.7%–იანი ზრდა) **[3].**

რა განსხვავებაა რესურსების (ვთქვათ, ვაშლისა) და მზა პროდუქტის (ვთქვათ, ვაშლის ჯემის) ექსპორტს შორის?- ვაშლში გაცილებით ნაკლებია დამატებული ღირებულება, ცოტა ფულს იღებ, ვაშლის წვენში, ვაშლის კომპოტში, ვაშლის ჯემსა და ჩირში გაცილებით მეტს - ანუ დამატებულ ღირებულებას ქმნის ქვეყანაში. ჯემს რომ აკეთებ, საწარმო გაქვს, იქ საქმდება ადამიანები, რომელთაც რხელფასს უხდი, ისინი სხვა რბიზნესის საქონელს ყიდულობენ. ექსპორტზე - მეტს გადაგიხდიან რრადგან მზა რპროდუქტია. ასევე, ჩვენი თხილი რომ გააქვთ, იქიდან ვიღაც კარგ შოკოლადს გააკეთებს და გაცილებით ძვირად გაყიდის, ანუ ქვეყნის რგანვითარების შემდეგი ეტაპი იქნება, რომ ეს თხილიანი შოკოლადი ჩვენ გავაკეთოთ. ის ადამიანი კი რომელზეც დღეს ვამბობთ, რომ მხოლოდ სახლი და პატარა მიწა აქვს და უნდა დავეხმაროთ, რწავა და იმ ქარხანაში იმუშავებს **[4].**

რა განსხვავებაა, ვთქვათ, ხორბლისა და ფქვილის იმპორტს შორის-?-თუ ძირითადი მომწოდებლებისაგან (რუსეთი, ყაზახეთი, უკრაინა და სხვა) შემოვიტანთ ფქვილს და არა ხორბალს, ამით ქართული წისქვილკომბინატების ნაწილი უმოქმედოთ დარჩება, ეს დააზარალებს ადგილობრივ ფერმერებსაც, რომლებმაც მოწეული ხორბალი ამ წისქვილკომბინატში უნდა დაფქვან, უმუშევრად დარჩენა დაემუქრება 10 ათასამდე ადამიანს და მეღორეობის ფერმერულ მეურნეობებსაც მოაკლდება ქატო. როგორც ერთი, ისე მეორე ტენდენცია ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილებისა და შემოსავლების მულტიპლიკაციის (გამრავლების) შემაფერხებელია. **იმპორტჩამნაცვლებელი პოლიტიკა კი ქმნის ეროვნულ საქონელს, სამუშაო ადგილებს, შემოსავლებსა და ზოგავს ვალუტას.**

საერთოდ, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობა, არამედ ისიც თუ ქვეყნის სავაჭრო ბრუნვა უპირატესად რისგან შედგება. ანუ, თუ სავაჭრო ბალანსში მნიშვნელოვნად სჭარბობს იმპორტი (როგორც ეს საქართველოშია) ეს არის სერიოზული პრობლემა, ხოლო თუ - ექსპორტი, ეს ძალიან კარგია. **სამწუხაროდ, ყველა უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან (თურქეთი, რუსეთი, უკარიანა, აზერბაიჯანი, ევროკავშირის ქვეყნები, აშშ თუ სხვა) საქართველოს აქვს ქრონიკულად უარყოფითი სავაჭრო სალდო.**

ამ ფონზე ლოგიკურად ისმის კითხვა-რა **ვუყოთ საქართველოს კრიტიკულ იმპორტს, ანუ უარყოფით სავაჭრო სალდოს, რომელიც არსებობს, საერთოდ და, ყველა უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან იქნება ეს თურქეთი, რუსეთი, უკარიანა, აზერბაიჯანი, ევროკავშირის ქვეყნები, აშშ თუ სხვა?** -ამ მიმართებით არსებობს მდიდარი მსოფლიო გამოცდილება. მაგალითად, იაპონელებმა, რომელთაც აქვთ მომავლის საკმაოდ კარგი ხედვა, 1946 წლიდან დაიწყეს ეროვნული ლოზუნგის რეალიზაცია, რომლის არსია-პან ექსპორტი, ან სიკვდილინ. ამ ლოზუნგის რეალიზებისათვის მათ შეისწავლეს წარმატებული ქვეყნების საიდუმლოებანი და აღმოაჩინეს, რომ ეს არის საზღვაო ფლოტი. დღეს იაპონიის საზღვაო ფლოტი მსოფლიოში მესამეა აშშ-სა და რუსეთის შემდეგ; მათ განჭვრიტეს, რომ პერსპექტივაში მოსალოდნელი იყო სათბობ-ენერგეტიკული რესურსების კრიზისი. ამიტომ აშშ-გან განსხვავებით მათ შექმნეს მცირელიტრაჟიანი ავტომანქანები და ამით დაიპყრეს ბაზარი. აშშ კი ამ აზრამდე ცოტა მოგვიანებით მივიდა; იაპონელებმა დაინახეს, რომ თანამედროვე ეკონომიკაში მთავარი იყო ცოდნა, ამიტომ იმხანად მათ 5000 ახალგაზრდა „დესანტი“ გადასხეს აშშ-ისა და დასავლეთის მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებში. ეს ახალგაზრდობა ახალი ცოდნითა და უნარებით დაბრუნდა სამშობლოში და გაზარდა ექსპორტი, ჩაანაცვლა არაგონივრული იმპორტი, გამოაჯანსაღა სავაჭრო ბალანსი და განავითარა ეროვნული ეკონომიკა. ცნობისათვის, საქართველო საზღვაო ქვეყანაა, რაც მისი ერთ-ერთი უპირატესობაა ამიერკავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, მაგრამ ჩვენს საზღვაო ინფრასტრუქურას არ შემორჩა არც ერთი საზღვაო ლაინერი, თუ ტანკერი, რომელიც წარსულში 80-ს აღემატებოდა. ჩვენი გემები ზოგი დაიჭრა და ისე გაიყიდა, ზოგიც დაცურავს სხვა ქვეყნების დროშების ქვეშ ზღვაში **[5]**

სამხრეთ კორეამ, ასევე, წაახალისა ექსპორტი და ამით მეტ პროგრესს მიაღწია, ვიდრე ფილიპინებმა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებმა (არგენტინა ბრაზილია, ჩილე), რომლებიც XX საუკუნის 80-იან წლებამდე მიმართავდნენ იმპორტის ჩანაცვლებას. შევნიშნავთ, რომ **იმპორტის ჩანაცვლების სტრატეგია ადგილობრივი ბაზრის დროებით დაცვასა და ადგილობრივი საწარმოო შესაძლებლობებით ეკონომიკურ ზრდას გულისხმობს. ექსპორტით სტიმულირებული ზრდის სტრატეგია კი ცდილობს მსოფლიო ბაზრები ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის გამოიყენოს. ექსპორტის ხელშეწყობით ეკონომიკური ზრდა იმპორტის ჩანაცვლების საპირისპირო სტრატეგიაა, რომელიც პოპულარული იყო 1960-იან წლებში.**

ექსპორტის მკვეთრი ზრდაა, ასევე, ჩინეთის ეკონომიკის აღმავლობის ერთ-ერთი ძირითადი საგარეო ფაქტორი. ჩინურ საქონელს ბევრი კონკურენტული უპირატესობა აქვს, თუმცა, სახელმწიფო დამატებით ასტიმულირებს ექსპორტზე ორიენტირებული მეწარმეობის ეკონომიკას. სახელმწიფო საგარეო ბაზრებზე მიმართულ საწარმოებს დაბალი გადასახადებით, კრედიტებით და სხვა პრეფერენციებით უზრუნველყოფს **[6].**

აღსანიშნავია, რომ სინგაპურსა და ჰონ-კონგში იმპორტისა და რეექ-სპორტის ხარჯზე სავაჭრო ბრუნვა მშპ-ის 200-400%-საც კი აღწევს. ეს აზიური ქალაქ-სახელმწიფოები მთლიანად ვაჭრობაზე და ფინანსურ საქმიანობაზეა დამოკიდებული. მათი ვრცელი და ღრმა ნავსადგურები ერთ-ერთი დატვირთულია ტვირთბრუნვის თვალსაზრისით მთელ მსოფლიოში,რ იმიტომ, რომ ეს ქვეყნები არიან სავაჭრო და ფინანსური ჰაბები (ცენტრები).

მოხმობილი საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ინვესტიციების მოზიდვით სამამულო პროდუქციის საშინაო და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება და **ექსპორტის წახალისება** ექსპორტიორების ინფორმირებით, რეგრესიული გადასახადებით, კრედიტებით, დაზღვევით, სავალუტო კურსით, ტრანსპორტირებით, ლოგისტიკითა და სხვა პრეფერენციებით. ამასთან, საჭიროა ექსპორტის **ოპტიმიზება** ანუ რესურსებთან შედარებით უპირატესობა მიენიჭოს მზა პროდუქტის გატანას. ამას ხელს შეუწყობს ქართული ბიზნესის საერთაშორისო ბაზრების კონკურენტულ გარემოში მოქცევა, რაც გააჩენს მწარმოებლურობის უფრო მეტად ზრდის სტიმულს და შესაბამისად, გამოიწვევს უფრო მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქტების ექსპორტზე გადასვლას. ასევე, უნდა განხორციელდეს სავაჭრო პარტნიორებისა და საექსპორტო პროდუქციის **დივერსიფიკაცია (გამრავალფეროვნება),** ქართული კომპანიების ახალ ბაზარზე შეღწევა და დამკვიდრება.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ექსპორტის ზრდაზე მართლაც უარყოფითად იმოქმედა რეგიონში გაუარესებულმა მდგომარეობამ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფებას არ უნდა ჰქონდეს რისკ-მენეჯმენტის რაღაც გეგმა ამ საფრთხეების შემცირებისათვის. მაგალითად, აზერბაიჯანში ავტომობილების რეექსპორტის შემცირებასთან დაკავშირებით (2014 შედარებით 2015 წელს 63.6 მლნ დოლარით შემცირდა მსუბუქი ავტომობილების რეალიზაცია), ბიზნესი აცხადებს, რომ მთავრობას უბრალოდ ინფორმირება უნდა მოეხდინა აზერბაიჯანში შემოღებული რეგუალაციების შესახებ. უნდა ვაღიარით, რომ ინფორმაციისა და კომუნიკაციის მიმართულებით მთავრობას მართლაც სერიოზული პრობლემები აქვს. საავტომობილო ბიზნესი დღესაც გაურკვეველ მდგომარეობაშია და არ იცის საით წავიდეს.

როგორც ეტყობა, საქართველოს მთავრობას ადრევე უნდა განეხორციელებია ე.წ. ტექდათვალირება. ამით გაიცხრილებოდა ოც წელზე მეტი ხნის ავტომობილები და ავტოპარკი უფრო გაახალგაზრდავდებოდა. ეს რომ არ გაკეთდა, ამიტომაა ქვეყანა ეკოლოგიური კატასტროფისა და ტოტალური „საცობების“ წინაშე. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვით საერთოდ შეწყდება იმპორტი იაპონიიდან. ეს გადაწყვეტილება, ალბათ, უფრო პოლიტიკური მოტივით არის განპიროებებული, რადგანაც საქართველოს განვითარების ვექტორი ევროპისკენ იხრება. ვფიქრობთ, უკეთესი იქნებოდა რეფორმა პირდაპირ „ევრო ოთხით“ დაგვეწყო და არა მარჯვენასაჭიანი სტანდარტით. გავხედოთ მეზობლებს, რომელთაც ჩამოვრჩით.

ეს ძალიან ცუდია. მაგალითად, უკრაინა გადადის „ევრო 5-ზე“. რუსეთი არის „ევრო 4-ზე“ და ფიქრობს გადავიდეს „ევრო 5-ზე“ . ევროპაში უკვე „ევრო 6-ია.“ აზერბაიჯანმა გვაჯობა, რომელიც გადავიდა „ევრო 4-ზე“. ამიტომ ჩვენ უნდა მივყვეთ და მოვერგოთ რეგიონის სტანდარტებს.

2015 წელი მართლაც არ იყო სახარბიელო ავტობიზნესისათვის. გარდა აზერბაიჯანისა, გაყიდვები შემცირებულია სომხეთშიც (2014 წელთან შედარებით 41.7 მლნ დოლარით), რაც აისახება ექსპორტის კლებაში **[7]. სწორედ** ამიტომ აუცილებელია, რომ ჩავდგეთ რეგიონის ფერხულში და გადავიდეთ ახალ რელსებზე. სხვა გამოსავალი უბრალოდ არ არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეკოლოგიური კატასტროფა გარდაუვალია, რადგანაც არსებულს კიდევ ძველი პარკი დაემატება და ვერსად გაიყიდება ძველი ავტომობილები. შედეგად, საქართველო გახდება ევროპისა და ამერიკის ძველი ავტომანქანების სასაფლაო. საქართველო რეგიონის ჰაბად რომ ჩამოყალიბდეს, საჭიროა ჩადგეს იმ ფერხულში, რა ფერხულშიც დგას რეგიონი. მაგალითად, ნორვეგია, მართალია, არ არის ევროკავშირის წევრი, მაგრამ ევროპარლამენტის მიერ როგორც კი რაღაც ახალი კანონი მიიღება, უკვე ორი კვირის შემდეგ, ყოველგვარი შესწორების გარეშე, ნორვეგიის პარლამენტი იღებს ოსლოში, რათა ნორვეგიის საკანონმდებლო რეგულაციები მოერგოს ევროკავშირისას და მისგან არ გაუცხოვდეს **[8, გვ.215].**

შევნიშნავთ, რომ გლობალიზაცია, ეკონომიკური ღიაობა, ანუ სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაცია შეიძლება იყოს კარგიც და ცუდიც. სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაცია განვითარების სხვადასხვა დონის მქონე ქვეყნებს შორის სულ სხვაგვარად ვითარდება და ეს ავტომატურად ყველასათვის მომგებიანი თამაში ვერ იქნება. ეკონომიკური თეორიის თანახმად (მაგალითად, რამოდენიმე ხნის წინ პოლ კრუგმანის მიერ შემუშავებული თეორიიის თანახმად) სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგები დადებითია მხოლოდ მაშინ, როდესაც საწყისი უთანაბრობა მცირეა. დიდი სხვაობების შემთხვევაში, ყველაზე სუსტი პარტნიორისთვის შედეგები შეიძლება ნეგატიური იყოს. მაგალითად, აღმოსავლეთ გერმანიის სწრაფმა ინტეგრირებამ დასავლეთ გერმანიასთან, განვითარების შედარებით მაღალი დონის მიუხედავად, დიდი ზიანი მიაყენა ყოფილ გდრ-ს, რომელმაც სამუშაო ადგილების 50% დაკარგა: აღმოსავლეთ გერმანიის ფირმები, რომლის პროდუქტიულობა 3-ჯერ დაეცა, ვერ უწევდნენ კონკურენციას დასავლეთ გერმანიის ფირმებს **[9,128-129].** ჩვეულებრივ, როდესაც პარტნიორ ქვეყნებს შორის საწყისი უთანაბრობა დიდია, მაშინ განვითარებული ქვეყნები განვითარებადი ქვეყნებისაგან იაფად იძენენ რესურსებს (იმპორტი) და მზა პროდუქციას ყიდიან (ექსპორტი) ძვირად. შესაბამისად, განვითარებული ქვეყნები სულ უფრო მდიდრდებიან, ხოლო განვითარებადი ქვეეყნები კი სულ უფრო ღარიბდებიან.

ისმის კითხვა-საგარეო სავაჭრო ურთიერთოებების ლიბერალიზაციის ფონზე როგორ განვსაზღვროთ საქართველოში წარმოებული საქონ-

ლის შეფარდებითი უპირატესობა?- საჭიროა შევხედოთ საქართველოსა და საერთაშორისო ბაზრებს და ამის მიხედვით ვივარაუდოთ უნდა გავიდეს თუ არა ესა თუ ის რესურსი და საქონელი საგარეო ბაზარზე. მაგალითად, **ვაშლის** დაბალი საშინაო ფასი მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს აქვს შეფარდებითი უპირატესობა ამ საქონლის წარმოებაში და ვაჭრობის განთავისუფლების შემდეგ ექსპორტიორი გახდება. **საწვავზე** მაღალი საშინაო ფასი კი იმაზე მეტყველებს, რომ დანარჩენ მსოფლიოს აქვს შეფარდებითი უპირატესობა ამ საქონლის წარმოებაში და საქართველო იმპორტიორი გახდება.

ლიბერალიზაციისას, როდესაც საქართველოს ვაჭრობის საშუალება ეძლევა ის ვაშლის ექსპორტიორი ხდება, ამ საქონლის მწარმოებლების მდგომარეობა უმჯობესდება, ხოლო მომხმარებლებისა უარესდება, რადგანაც ვაშლი ძვირდება. როდესაც საქართველო საწვავის იმპორტიორი ხდება, მომხმარებლის ეკონომიკური მდგომარეობა უმჯობესდება, რადგანაც საწვავი იაფდება, მწარმოებლისა - უარესდება. ორივე შემთხვევაში, ვაჭრობის სარგებლიანობა დანაკარგებზე მეტია. სხვაგავარად, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციისას საშინაო ფასები უნდა გამოუთანაბრდეს მსოფლიო ფასებს. თუ ეროვნული ფასი დაბალია მსოფლიოზე-აიწევს და პირიქით. თუ წახალისდა ექსპორტი, ქვეყანაში შეიძლება იგივე პროდუქციის დეფიციტი შეიქმნას და ფასებმა აიწიოს.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სამწუხაროდ, წარმოების დიდი მოცულობების მიღწევას, რაც აუცილებელია მასშტაბის ეფექტისათვის (აწარმოე ბევრი და იაფად) და შესაბამისად, საფასო ბრძოლაში მოსაგებად, თითქმის ვერც ერთ დარგში შევძლებთ. პრობლემატურია მუშახელის კვალიფიკაციაც, რაც, აგრეთვე, ხარისხიანი პროდუქტის და მომსახურების წარმოების შესაძლებლობას დიდი ხნით, ასევე, თითქმის ვერც ერთ დარგში მოგვცემს. საქართველო შეზღუდული რესურსების ქვეყანაა და ყველა სახის ნედლეული არ აქვს. **სწორედ ამიტომ, სჯობს აქცენტი გაკეთდეს ქართული სურსათის უვნებლობასა და პროდუქციის უსაფრთხოებაზე, საავტოროობაზე, ტრადიციულობაზე, ეკოლოგიურობაზე, ბიოპროდუქტზე და ამით მოხდეს მომხმარებლის ცნობიერებაში მისი პოზიციონირება.**

ისმის კითხვა-განვითარებით ჩვენზე წინმდგომმა ქვეყნებმა ეკოლოგიური, ბიოპროდუქტების წარმოებაზე რატომ გააკეთეს არჩევანი და რა იღონეს ამ მიმართებით?

-მათ ამოძრავებდათ: ექსპორტის სტიმულირება და ამით ეკონომიკური სარგებლის ანუ ეფექტის მიღება; სოფლის მეურნეობისა და მთლიანად სოფლის ეკონომიკის განვითარება; სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარება და დემოგრაფიული მდგომარეობის გამოჯანსაღება, ანუ - გლეხის დამაგრება სოფლად, სამუშაო ადგილების გაჩენა და დემოგრაფიული სიტუაციის გამოსწორება.

ყველა ამ მიზნის მიღწევა ეკოლოგიურ ბიოპროდუქტს შეუძლია: მისი წარმოებით, დარეგისტრირებითა და ბრენდირებით, ანუ მომხმარე-

ზელთათვის გაცნობითა და მოწონებით. ამ საქმეში მნიშვნელოვანია გეოგრაფიული აღნიშვნა, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ იმ რეგიონში უნდა იყოს ის ნედლეული, რომლისაგანაც დამზადებულია კონკრეტული დასახელების პროდუქტი. საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ სურსათის ადგილწარმოების დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციისათვის დასკვნა გაცემული აქვს ოთხ შემთხვევაში. ესაა: ქუთაისის მწვანილი, მაჭახელას თაფლი, ტყიბულის მთის ჩაი და ახალქალაქის კარტოფილი.

თავის დროზე, „დააზანდე საქართველოში (Invest in Georgia)" კამპანიაზე, ბევრი ფული და დრო დაიხარჯა, თუმცა, გონივრული განხორციელების შემთხვევაში, ქვეყნის ეკონომიკისათვის ბევრად უფრო ეფექტიანი შეიძლება აღმოჩნდეს სწორედ კამპანია -**„წარმოებულია საქართველოში**", რომელიც თვით ინვესტორებისთვისაც კი გაცილებით უფრო საინტერესოს გახდის საქართველოს, ვიდრე პირველი. ვინაიდან ფულის დაბანდება იქ, სადაც მხოლოდ იურიდიული პროცედურებია გამართული და ნაკლები ბიუროკრატიული ბარიერები არსებობს, შეიძლება ნაკლებად საინტერესო აღმოჩნდეს, ვიდრე იქ, სადაც ამასთან ერთად წარმოებული პროდუქციის გასაღების უკეთესი შესაძლებლობებიც იქნება, ვთქვათ, ევროკავშირში, თურეთში და სხვაგან **[10].**

არც თუ იშვიათად საზღვარგარეთ ადგილობრივი საწარმოების ჩამოყალიბება ერთადერთი ხერხია ეროვნულ ბაზარზე შეღწევისა. ასე მაგალითად, იაპონური ფირმები, ქმნიან რა საწარმოებს დიდ ბრიტანეთში და მექსიკაში, ამით ხელფეხი ეხსნებათ, ერთი მხრივ, ევროგაერთიანებისა და, მეორე მხრივ, თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო ამერიკული ბაზარზე შეღწევისათვის. არადა, ექსპორტირებით ამ ბაზრებზე შეღწევა მათ ერთობ გაუჭირდებოდათ **[11, გვ.38].**

ამასთან დაკავშირებით ლოგიკურია გავიხსენოთ როგორ იწყება ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ფუნქციონირება. შემოდის გაზქურების მწარმოებელი ეგვიპტური კომპანია "ფრეშ ჯორჯია", რომლის საქმიანობის სფერო სხვადასხვა მოდიფიკაციის გაზქურებისა და ელექტროტექნიკის გამოშვება-რეალიზაციაა. რომელსაც, როგორც გაირკვა, ევროკავშირში შესატანი გაზქურების კვოტები ამოეწურა და კიდევ ჰქონდა გარკველი გამოუყენებელი შესაძლებლობანი დამატებითი გაზქურების წარმოებისა. საქართველო იმხანად ევროკავშირთან სარგებლობდა GSP+ (გენერალიზებული პრეფერენციების სისტემით) და ეს პროდუქცია შედიოდა სწორედ პრეფერენციების ნუსხაში. ამდენად, კომპანია "ფრეშ ჯორჯიამ", გამოიყენა ეს გამოუყენებელი შესაძლებლობანი, აწარმოა საქართველოში გაზქურა, დაუსვა დამღა „წარმოებულია საქართველოში" და ისე გაიტანა ევროპაში **[12]**.

ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს მიმზიდველი სომხეთის, აზერბაიჯანის, ცენტრალური აზიის ქვეყნებისა და ჩინეთისთვისაც. მწარმოებლურობაში რომ საქართველო ჩინელ მწარმოებლებს ვერ აჯობებს, აქ ორი აზრი არ არსებობს. **მაშ, რაშია ჩვენი უპირატესობა? -ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის**

შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდეგ საქართველოს ძირითადი კონკურენტუპირატესობაა ევროკავშირის ბაზარზე სატარიფო ბარიერებისაგან თავისუფალი დაშვება, რომელსაც გონივრული და ეფექტიანი გამოყენება ესაჭიროება.

სავაჭრო დივერსიფიკაცია სხვა არაფერია თუ არა ბაზრების გეოგრაფიული არეალისა და პროდუქციის დივერსიფიკაცია, ანუ გამრავალფეროვნება. შესაბამისად, საქართველომ უნდა მოახდინოს არა მხოლოდ ტრადიციული საქონლის, არამედ მრავალი ახალი შეფარდებითი უპირატესობის საქონლის ექსპორტირება როგორც ტრადიციულ, ასევე პოტენციურ და სტრატეგიულ გეოგრაფიულ ბაზრებზე. მაგალითად, ბოლო დრომდე ქართული ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტის 85% მოდიოდა რუსეთზე, 10% უკრაინაზე და 5% ევროკავშირზე. ამიტომაც იყო, რომ რუსეთის მიერ 2006 წელს საქართველოს მიმართ გამოცხადებული ემბარგოს შემდეგ საქართველოს ექსპორტის 85% ჰაერში გამოეკიდა. აღნიშნულმა სავაჭრო სანქციებმა თვალნათლივ დაგვანახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის საგარეო ვაჭრობის, ანუ ექსპორტისა და იმპორტის დივერსიფიცირება, ანუ მისი გეოგრაფიული არეალის და სასაქონლო სტრუქტურის გაფართოება **[13].** ნათქვამია -"ზოგი ჭირი მარგებელიაო" და სწორედ ამავე "ემბარგომ" უბიძგა საქართველოს ეზრუნა ახალი ბაზრების (ევროკავშირი, თურქეთი, აშშ, ჩინეთი და სხვა) მოძიებაზე და მათი მოთხოვნების შესატყვისი პროდუქციის წარმოებაზე, ანუ დივერსიფიკაციაზე, რის შედეგადაც ექსპორტმა დაიწყო ზრდა რუსეთის გარეშეც. თუმცა, 2012 წელს, ქვეყნის მმართველობაში "ქართული ოცნების" მოსვლის შემდეგ, რუსეთთან ურთიერთობა გარკვეულწილად დარეგულირდა, ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან მოიხსნა ემბარგო და რუსეთთან სავაჭრო ბრუნვა, განსაკუთრებით ექსპორტის ნაწილში, მნიშვნელოვნად გაიზარდა. **ამაზე მეტყველებს საქართველო-რუსეთს შორის ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები 2012-2015 წლების იანვარ-აპრილში მლნ დოლარებში.** 2012 წელი: ექსპორტი 7,5 და იმპორტი 149; 2013 წელი: ექსპორტი 72 და იმპორტი 146; 2014 წელი: ექსპორტი 87 და იმპორტი 164,5; 2015 წელი: ექსპორტი 40 და იმპორტი 179 **[14].** 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, ექსპორტის დაახლოებით ორჯერ შემცირების ძირითადი მიზეზია რუსეთ-უკრაინის ომი, ნავთობზე მსოფლიო ფასების შემცირება და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მიერ რუსეთის მიმართ დაწესებული საბაჟო და სავიზო სანქციები. **ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველომ განახორციელა ღვინის ბაზრების გეოგრაფიული დივერსიფიცირება და ორიენტაცია მოახდინჟ შედარებით სტაბილურ პერსპექტიულ და სტრატეგიული მნიშვნელობის ბაზრებზე.**

შესაბამისად, 2015 წლისთვის დაფიქსირდა ღვინის, **როგორც ტრადიციული ბაზრების დივერსიფიკაცია:** რუსეთი - 14 660 981 ბოთლი, ყაზახეთი - 4 004 586 ბოთლი, უკრაინა - 2 569 ბოთლი, ყირგიზეთი - 172 536 ბოთლი;

ასევე **პერსპექტიული ბაზრების დივერსიფიკაცია:** პოლონეთი - 1 260 870 ბოთლი, ლატვია - 924 792 ბოთლი, ესტონეთი - 389 274 ბოთლი, გერმანია - 211 236 ბოთლი, ნიდერლანდები - 47 232 ბოთლი და საფრანგეთი - 29 100 ბოთლი და **სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბაზრების დივერსიფიკაცია:** ჩინეთი - 1 807 955 ბოთლი, აშშ - 209 339 ბოთლი, იაპონია - 126 686 ბოთლი, კანადა - 147 636 ბოთლი, ისრაელი - 33 720 ბოთლი, სამხრეთ კორეა - 24 054 ბოთლი და სხვა **[15].**

რამ განაპირობა ქართულ ღვინოზე მოთხოვნის ზრდა ტრადიციულ, პერსპექტიულ და სტრატეგიულ ბაზრებზე? ზოგადად, საზღვარგარეთის ტრადიციულ და ახალ ბაზრებზე ქართულ ღვინოზე ცნობადობის ამაღლებამ, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გამოფენებში, კონფერენციებსა და ღვინოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობამ. იმისათვის, რომ ქართულმა ღვინომ ახალი ბაზრებიც აითვისოს და მისმა ცნობადობამაც მოიმატოს, უნდა ჩატარდეს მეტი მარკეტინგული და პიარკამპანიები, დეგუსტაციები, სხვადასხვა სახის სარეკლამო კამპანიები და ჩვენი უნიკალურობა ვაჩვენოთ მსოფლიოს. ქვევრი არის ყველაზე უნიკალური, რაც ჩვენ გაგვაჩნია მეღვინეობის სფეროში, ეს არის ჩვენი ქვეყნის სახე, ჩვენი ისტორია, ჩვენი ტრადიცია. ესაა ნიშა, რომლითაც შეგვიძლია დავაინტერესოთ, წარვსდგეთ და ჩვენი მნიშვნელოვანი განაცხადი გავაკეთოთ მსოფლიოს ღვინის ბაზარზე.

საბჭოთა კავშირის პირობებში ქართველი გლეხი ვაშლით დატვირთული სატვირთო მანქანით მიდიოდა რუსეთში და იქიდან ცინცხალი "ჟიგულიითა" და სოლიდური შემოსავლით ბრუნდებოდა. ახლა კი, ქართველ გლეხს თითქმის დაკარგული აქვს რუსული ბაზარი, შესაბამისად, შემოსავალი და ამ ბაზარზე მისი ადგილი მოლდავურ, პოლონურ და ჩინურ ვაშლს უჭირავს. აღნიშნულის გამო, ქართველმა მეხილემ თავის გადარჩენის მიზნით შეამცირა ვაშლის სავარგულები და მის მაგიერ კარტოფილისა და სხვა ბოსტნეულის მოყვანა დაიწყო, ანუ არსებითად ხელი მიჰყო ნატურალურ მეურნობას, რამაც საბაზრო ურთიერთობების განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა. იმისათვის, რომ ქართველმა მეხილეებმა შეძლონ საერთაშორისო ბაზრზე ჯეროვანი მეტოქეობა გაუწიონ მოლდოველ, პოლონელ და ჩინელ მწარმოებლებს, მათ ხილის მოყავნისა და ხეხილის ბაღების მოვლა-პატრონობის თანამედროვე მეთოდები უნდა აითვისონ, რათა მსხვილი, ხრაშუნა, არომატული და ლამაზი შეფერილობის ვაშლი აწარმოონ. ასევე, ვაშლი ცივ საცავებში თვეების მანძილზე უნდა შეინახონ, რათა წელიწადის ნებისმიერ დროს ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება შეძლონ. ამასთან, აუცილებელია თანამედროვე ვაშლის ჯიშების მოყვანა, საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით.

არც ისე შორეულ წარსულში დამკვიდრებული იყო მოსაზრება, რომ საქართველოს მთავარი საექსპორტო ბაზარი რუსეთია, ხოლო მთავარი საექსპორტო პროდუქტი ღვინო და მინერალურ წყლებია. ცხადია, რუსეთის ბაზრის ღიაობა და მასშტაბი საინტერესოა ნებისმიერი ქვეყნის საექსპორტო მიზნების-

თვის, თუმცა, რუსეთის მხრიდან იძულებითმა შეზღუდვებმა საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ახალი მოთამაშეები და, რაც მთავარია - ახალი პროდუქცია წამოწია წინა პლანზე.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის **2015 წლის** სტატისტიკური მონაცემებიც ცხადყოფს, რომ ქვეყნის ეკონომიკას, ერთი შეხედვით, საკმაოდ მოულოდნელი სავაჭრო ბაზრები და რესურსი აქვს ათვისებული, კერძოდ: სავაჭრო ბრუნვის მიხედვით **2015 წლის საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორთა ათეულში შედის:** თურქეთი -1 517 მლნ დოლარი, რუსეთი- 788 მლნ დოლარი, აზერბაიჯანი -783 მლნ დოლარი, ჩინეთი - 713 მლნ დოლარი, უკრაინა- 515 მლნ დოლარი, გერმანია - 507 მლნ დოლარი, ირლანდია- 458 მლნ დოლარი, ბულგარეთი- 382 მლნ დოლარი და სომხეთი- 352 მლნ დოლარი **[16].**

დსთ-ს და მეზობელ ქვეყნებთან ერთად, საქართველოსთან გეოგრაფიულად სხვადასხვა მანძილზე დაშორებული თურქეთის, ჩინეთის, გერმანიის, ირლანდიისა და ბულგარეთის გამოჩენა საქართველოსთვის ერთ-ერთი მთავარი მიღწევაა **ბაზრების გეოგრაფიული არეალის დივერსიფიკაციის თვალსაზრისით. ბაზრების გეოგრაფიული დივერსიფიცირების** დამადასტურებელია, ასევე ის, რომ თუ რუსეთის მიერ 2006 წელს საქართველოს მიმართ გამოცხადებულ ემბარგომდე და რუსეთ-საქართველოს ომამდე საგარეო ვაჭრობაში ნომერი პირველი პარტნიორი რუსეთი იყო, მერე მას თურქეთი ჩაენაცვლა. ეს არის სავსებით ბუნებრივი მოვლენა, რადგანაც ნებისმიერი ქვეყანა საერთაშორისო ვაჭრობას, პირველ რიგში, მეზობელ ქვეყანასთან ანვითარებს. რუსეთთან დაძაბულმა პოლიტიკურმა ურთიერთობამ ხელი შეუწყო საქართველო-თურქეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებასა და გაღრმავებას **[17,გვ.173].**

საექსპორტო საქონლის დივერსიფიცირებაზე კი მეტყველებს ის, რომ არც ისე შორეულ წარსულში (2004-2009წწ) საქართველოს ექსპორტულ პროდუქციაში #1 მუხლი **"გაჭირვების ექსპორტი",** ანუ "ჯართის ექსპორტი" იყო, რომლის დროსაც საწარმოს მფლობელი მოკლევადიანი მიზნების მიღწევისათვის ინვენტარებსა და მანქანა-დანადგარებს ყიდდა. როგორც იქნა "ჯართი" აღარ არის უპირველესი მუხლი. იგი ჩაანაცვლა შედარებით **„ნაკლები გაჭირვების ექსპორტმა"** - მსუბუქი ავტომანქანების რეექსპორტმა, რომელმაც 2014 წლიწყნ, ასევე, დაკარგა პოზიცია პარტნიორ ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი) ახალი საბაჟო რეგულაციების შემოღების გამო. ამჟამად ექსპორტში სჭარბობს **„იძულებითი ექსპორტი",** ანუ დაბალი დამატებული ღირებულების შემცველი რესურსები-თხილი და კაკალი, ნედლი ნავთობი, მინერალური და ქიმიური სასუქები. უფრო კონკრეტულად, 2015 წელს სასაქონლო ჯგუფებიდან, საექსპორტო ათეულში **პირველი ადგილი** სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა- 270.6 მლნ დოლარი და მთელი ექსპორტის 12.3% შეადგინა. **მეორე ადგილზეა** ფეროშენადნობების

ექსპორტი 194.5 მლნ დოლარი და 8.8%. **მესამე ადგილზეა** მსუბუქი ავტომობილები, ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 179.6 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 8.2% შეადგინა. ავტომობილების აღმოჩენა საქართველოს მთავარ საექსპორტო ჯგუფში, ცხადია, აბსოლუტურად მოულოდნელი იყო XX საუკუნის 90-იანი და თუნდაც 2000-იანი წლების დასაწყისის გადმოსახედიდანაც, თუმცა, საკანონმდებლო გარემომ, ტრანზიტის პირობებმა და საქართველოს ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდგომარეობამ ეს ჯგუფი უკვე რამდენიმე წელია მყარად დაამკვიდრა საექსპორტო პროდუქციის ლიდერთა რიგებში.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა თხილი და კაკალი, რომლის ექსპორტის მოცულობა 2014 წლის მონაცემთან შედარებით შემცირებულია, თუმცა, საბოლოო ანგარიშით ეს პროდუქცია საექსპორტო ათეულში შედის - ბოლო წლების მანძილზე უკვე ტრადიციულად; ასევე ძალიან საინტერესოა საქართველოს სამ მთავარ სავაჭრო პარტნიორთან - აზერბაიჯანთან, თურქეთსა და უკრაინასთან ვაჭრობის დინამიკა. თუ უკრაინასთან საესპორტო პროდუქციის ხუთეულში, კვლავ ღვინო და მინერალურ წყლები შედის, აზერბაიჯანთან და თურქეთთან სავაჭრო დინამიკა ახალი საექსპორტო პროდუქციის გამოჩენაზე გვამცნობს: 2015 წელს საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული პროდუქციის პირველ ხუთეულში, ტრადიციულ ფეროშენადნობებთან ერთად, შედის - ფქვილი, ხორცი ან ხორცის სუბპროდუქტები, ტრიკოტაჟი და ქალის კოსტუმები და კომპლექტები; აზერბაიჯანში განხორციელებული ექსპორტიდან კი პირველ ადგილზე მსუბუქი მანქანებია, ხუთეულში ასევე გვხვდება სატვირთო ავტომანქანები და ცოცხალი მსხვილფეხა პირუტყვი.

რუსეთსა და უკრაინაში ღვინის ექსპორტის ბაზრის ალტერნატიული ბაზრების ძიებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ **ევროკავშირი,** ალბათ, ასეთ ალტერნატივად ვერ გამოდგება, რამდენადაც იმიტომ, რომ ევროკავშირის ბაზარზე ქართულ ღვინოს ჰყავს საკმაოდ ძლიერი კონკურენტები კალიფორნიის შტატის (აშშ), ჩილეს, არგენტინის, ურუგვაის, სამხრეთ აფრიკის, ავსტრალიის პორტუგალიის, იტალიის, საფრანგეთის, ჩეხეთის, უნგრეთისკ და მოლჯოვკს ღვინოების სახით. ქართული ნაწარმის ევროკავშირის ბაზარზე დამკვიდრება გართულებულია იმის გამოც, რომ ამ ბაზარზე ჩეხეთის ღვინო 6-ჯერ, ხოლო მოლჯკვური ღვინო სკმჯერ უფრო იაფია**[18,გვ.5]. აღნიშნულის გამოა, რომ 2015 წლის მონაცემებით, ქართული ღვინო ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტირებული საქონლის ათეულის ბოლოშია მოქცეული, ხოლო მინერალური წყლები ათეულშიც კი ვერ მოხვდა [19].**

"ახალი სამყაროს" (ავსტრალია და ახალი ზელანდია, კალიფორნიის შტატი, ჩილე, არგენტინა, ურუგვაი და სამხრეთ აფრიკა) ღვინოები რუსეთშიც იყიდება. საქართველომ რუსეთში ელიტარული ღვინოების ნიშა სწორედ მაშინ დაკარგა, როცა იქ ევროპიდან და "ახალი სამყაროდან" ელიტარული ღვინოების აქტიური შემოტანა დაიწყო. ქართულზე უფრო დაბალი ხარისხის

ღვინოები რუსეთში ბულგარეთიდან, რუმინეთიდან და გერმანიიდან შედის. თუმცა, გერმანიიდან დაბალი ხარისხის ღვინოებთან ერთად ელიტარული ღვინოებიც შედის. ცხადია, რომ, ვინც ბაზარზე ელიტარული ღვინოების ნიშას ირჩევს, ძვირადღირებულ ღვინოებს დაამზადებს, რომელთა ფასიც შედარებით მაღალი იქნება. ვინც მასობრივ ნიშას ირჩევს, ღვინის ფასი, შესაბამისად, უფრო დაბალი იქნება. **არ არის აუცილებელი, ელიტარული ღვინო ძვირი ღირდეს. ის საავტორო ღვინოა, რომლის მწარმოებელიც არ ფიქრობს პროდუქციის რაოდენობაზე და ღვინოს თავისი უნიკალური სტილით ამზადებს. ის ლიმიტირებული რაოდენობით მზადდება [20].**

ხშირად აპელირებენ, რომ რუსეთი არასტაბილური და არაპროგნოზირებადი სავაჭრო პარტნიორია და მიანიშნებენ 2006 წლის 28 მარტს მის მიერ საქართველოს მიმართ გამოცხადებულ ემბარგოზე, როდესაც რუსეთმა აკრძალა საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ღვინისა და მინერალური წყლების იმპორტირება. ხაზგასასმელია, რომ მაშინ რუსეთი არ იყო WTO-ს (მსოფლიო სავაჭრო ოგანიზაციის) წევრი და არც ამ აკრძალვას ჰქონდა ოფიციალური ხასიათი, რადგანაც იმხანად ამის მარეგულირებელი კანონმდებლობა რუსეთს არ გააჩნდა **[21,გვ.53].**

ამჟამად კი, საქართველოს მთავრობამ რუსეთის ბაზარზე ქართული ფირმების დაბრუნებასა და აქტიურ ოპერირებას ხელი არ უნდა შეუშალოს. თვით ფირმებმა კი რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმის სამსახურს უნდა წარუდგინონ თავიანთი წარმოებული პროდუქციის ხარისხის, უვნებლობისა და უსაფრთხოების დამადასტურებელი აუცილებელი დოკუმენტაცია, რომელსაც უნდა დაურთონ ამ საქონლის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბაზარზე (აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, ჩინეთი, იაპონია და სხვ.) დაშვების მოწმობები. რუსეთის ბაზარზე მათი პროდუქციის დაშვებაზე მორიგი უარის შემთხვევაში კი, საქართველოს მთავრობას ამ ფირმების ინტერესების დაცვა უკვე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მოუწევს. **[22,გვ. 11-12]**

ინფორმაციისათვის, ვიტყვით იმასაც, რომ მსოფლიოს მასშტაბით ემბარგოს (ეკონომიკური სანქციების) დაწესებაში აშშ ლიდერობს, რომლის ანგარიშზეც მოდის ბოლო 40 წლის განმავლობაში დაწესებული ემბარგოების ორი მესამედი **[21,გვ.53].** მაგრამ, მის როგორც სავაჭრო პარტნიორის, არასაიმედოობასა და არაპროგნოზირებულობაზე, რატომღაც არავინ ლაპარაკობს.

ქართული ღვინის შესვლა გარკვეულად გართულებულია აშშ-იც, რადგანაც ამ ბაზარზე ძალინ პოპულარულია ადგილობრივი-კალიფორნიული ღვინოები, მათი ბაზარი გაჯერებულია ჩილეს, არგენტინის, ავსტარალიის ღვინოებით. ამ ბაზარზე, ვთქვათ, იგივე „საფერავის“ ფასი დაახლოებით სამი დოლარია, მსგავსი ტიპის ადგილობრივი ღვინო კი 70 ცენტი ღირს **[23,გვ.22].**

სამაგიეროდ, ღვინის ბაზრის საკმაოდ დიდი პოტენციალია ჩინეთში, რომელიც თავად ღვინის უმსხვილესი მწარმოებლების ხუთეულშია. ჭქ წელიწადში 3 მლრდ ლიტრი ღვინოზეა მოთხოვნა. აქედან საქართველომ 1%-იც რომ

მოიპოვოს, ეს არის 30 მლნ ლიტრი ღვინო. თუმცა, გასათვალისწინებელია, ისიც რომ ჩინეთში ღვინის შეტანაზე მაღალია ტარიფი, ასევე დაბალია ქართული ღვინის ცნობადობა. მიუხედავად ამისა, ჩინეთი ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მეოთხე ადგილს იკავებს რუსეთის, ყაზახეთისა და უკრაინის შემდეგ**[24].**

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა საქართველომ გააგრძელოს წამოწყებული ორმხრივი მოლაპარაკება ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების შესახებ, რომელიც, სავარაუდოდ, 2016 წლის დამლევს დასრულდება და რომლის შემდეგაც ჩინეთს შეუძლია შეასრულოს ერთგვარი ლოკომოტივის როლი საქართველოს საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიკაციის საქმეში. ჩვენი აზრით, ჩინეთთან თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების დადების შედეგად, საქართველოს შანსი მიეცემა დაბალი ან ნულოვანი საბაჟო ტარიფებით შეიტანოს ღვინო და მინერალური წყლები, უალკოჰოლო გაზიანი სასმელები, თხილი, ჩაი, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, სპილენძის ჯართი და სხვა, ასევე, გაზარდოს უცხოური კაპიტალის მოცულობა ეროვნულ ეკონომიკაში. ვფიქრობთ, ჩინური ინვესტიციები განხორციელდება საექსპორტო წარმოებებში. ჩინელი ინვესტორებისათვის საქართველოშირ წარმოების ორგანიზება ძალზე მოსახერხებელი და მომგებიანი იქნება ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის, იაფი მუშახელის, ლიბერალური საგადასახადო სისტემის, მოგების რეპატრიაციის სიმარტივის და სხვა მიზეზთა გამო. თუმცა, უმთავრესია ის, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მათ ექნებათ ევროკავშირის ბაზარზე დაუბეგრავად შესვლის შესაძლებლობა.

ამავდროულად, „საერთაშორისო თამაშის წესების“ დაცვით, **მიზანშეწონილია ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობით არაგონივრული იმპორტის ჩანაცვლებაც** (მით უფრო, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურების დროს, იმპორტი უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე იმპორტშემცვლელი პროდუქციის ადგილზე წარმოება). იმპორტჩანაცვლების შემთხვევაში სამამულო პროდუქცია მინიმუმ იგივე ხარისხისა, მაგრამ შედარებით იაფი უნდა იყოს. იმპორტის გონივრულ ჩანაცვლებას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია საქართველოსთვის: შეიქმნება ახალი ბიზნესები, გაიზრდება სამუშაო ადგილები და ექსპორტის შესაძლებლობები, შემცირდება იმპორტი და მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე, მოსახლეობაში ჩამოყალიბდება იმპორტულთან შედარებით სამამულო პროდუქციის უპირატესობის მინიჭების მენტალურობა, წახალისდება ინოვაციური მიდგომები და ტექნოლოგიები.

ასევე, გონივრულად უნდა იქნეს გამოყენებული რეექსპორტი. რეექსპორტის ხელშეწყობისათვის საჭიროა საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის, ტრანზიტის პირობებისა და საკანონმდებლო გარემოს გონივრული გამოყენება, ასევე, რეექსპორტთან დაკავშირებული სპეციფიკური ოპერაციების მაქსიმალურად კომფორტულ პირობებში ჩატარება. სავაჭრო

დეფიციტის მქონე საქართველოს უნდა გააჩნდეს, აგრეთვე, საერთაშორისო სავალუტო რეზერვები, არანაკლებ ერთი თვის იმპორტის სამმაგი ოდენობისა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იქნება გამოყენებული.

ჩატარებული ანალიზიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს უარყოფითი სავაჭრო სალდოს (დეფიციტის) დაძლევისთვის მიზანშეწონილია სამამულო პროდუქციის საშინაო და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამით მასზე საშინაო და საგარეო მოთხოვნის ზრდა, ანუ მეტი: ექსპორტი, დივერსიფიკაცია, ოპტიმიზაცია, რეექსპორტი, გონივრული იმპორტი, ასევე, მეტი: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ფულადი გზავნილები და საერთაშორისო ტურისტი. სავაჭრო ბალანსის გაჯანსაღების ეს რეცეფტი უნდა კორექტირდეს ყოველი პარტნიორი ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით. ყოველივე ამის შედეგად, ვფიქრობთ, ეტაპობრივად შემცირდება უარყოფითი სალდო და მივიღებთ დადებით სავაჭრო ბალანსს.

ლიტერატურა:

1. კონლი ჯ. იმპორტის ჩანაცვლებას საქართველოსათვის ბევრი სასიკეთო შედეგის მოტანა შეუძლია – 24 საათი. 4 ნოემბერი, 2009.
2. commersant.ge. 20.01.2016.
3. Civil Georgia, Tbilisi / 4 იანვარი, 2016 /.
4. საწარმოთა მხოლოდ 5%-მა იცის სად უნდა ნახოს ინფორმაცია ევროკავშირის მოთხოვნების შესახებ. Commersant.ge 08.11.2015.
5. ტყეშელაშვილი გ., ტყეშელაშვილი ვ. საქართველოს პორტები გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში. ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების აქტუალური პრობლემები. 27-28 ივნისი, 2014 28 ივნისი.
6. ჩინეთის ეკონომიკური სასწაულის 7 მიზეზი, 25.10.2015. commersant.ge.
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo.
8. გრიშიკაშვილი ა. ჩვენ ევროპელები. თარგმანი პოლონურიდან, თბ.,2007წ.
9. I. Samson. And Olena Vasylchenko. EU PCA and ENP Policies for Georgia: How Economic integration with the European Unioun May Ease the Reform process and Economic Development in Georgia. Georgian Economic Trends,. 2004 No.4.
10. http://strategy.ge/2009/08/31/madeingeorgia/.
11. სამადაშვილი უ., გედევანიშვილი მ. საერთაშორისო ბიზნესი, ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა, თბ., 2012.
12. ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ამოქმედდა. ჟურნ. "აუდიტი, აღრიცხვა და ფინანსები", №1 (25), 2010.
13. კაკულია მ. ქართული ექსპორტის ევროპული ჰორიზონტი. გაზეთი "24 საათი", 2007 წ. 11 ივნისი.

14. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo.
15. Commersant.ge 05.11.2015.
16. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo.
17. მღებრიშვილი დ. მარკეტინგის აქტუალური თეორიული და პრაქტიკული საკითხები. თბ., 2012.
18. ზირაქიშვილი ლ., ქართული პროდუქცია მსოფლიო ბაზრებზე გასასვლელ პოტენციალს ვერ იყენებს. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, Aაპრილი, 2010.
19. ვინსენტზი v. სავაჭრო პოლიტიკა და საქართველოს ექსპორტი. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. 2006წ. ოქტომბერი.
20. ევროპელები მიხვდნენ, რომ გააქტიურების დროა. ვჭზ. „24 საათი“. 2006წ. 8 ივნისი, №125.
21. A. Uzagalieva. Economic Sanctions and Exports in Georgia. Georgian Economic Trends, April, 2007.
22. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების ვექტორის შესახებ. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2013.
23. ჟურნალი „კაპიტალი“, 2006წ. № 1.
24. ქართული ღვინო - ჩინეთის მილიონიანი ქალაქებისთვის. კვირის პალიტრა. 23 დეკემბერი, 2014; ყოველკვირეული ეკონომიკური დაიჯესტი - 10-14.03.2014.

Georgia's Trade Deficit and the Ways for Its Overcoming

Ushangi Samadashvili

Associate Professor, Doctor of Economic Sciences,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
u.samadashvili@mail.ru

In this paper, based on analysis and evaluation of Georgia's trade deficit, there were developed the basic directions of its overcoming.

It is shown that Georgia has a chronic negative trade balance with all the largest trading partner countries. The foreign trade turnover of Georgia in 2015 amounted to 9 928 million USD, which is 13% less than the 2014 figure. The export shrank by 23% and amounted to 2 204 million USD; the import decreased by 10% and amounted to 7 724 million USD. The trade deficit amounted to 5.52 billion US dollars.

For the reduction of the above, according to the author, it is recommended: export promotion, optimization and diversification; substitution of irrational import and rational use of re-export.

The proposed recipe for the improvement of trade balance should be adjusted to each partner country's specific characteristics. As a result, we think, a negative trade balance will be gradually reduced and trade balance will be improved.

Keywords: Trade balance, trade balance deficit, export promotion, export optimization, diversification of exports, import substitution, reexport
JEL Codes: F10, F13, F16

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 3, გვ. 196-208
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 3, pp. 196-208

პრეფერენცული სავაჭრო რეჟიმების გავლენა მსოფლიო ეკონომიკაში მცირე ქვეყნების ინტეგრირების წესრიგზე

მარინა თავართქილაძე

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი
tavartkiladzemariami@yahoo.com

ნაშრომი ეძღვნება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მიერ პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების გამოყენების შესაძლებლობებს და მოსალოდნელ შედეგებს. ასეთი რეჟიმებით სარგებლობის ეფექტები მსოფლიო ეკონომიკაში ოპტიმალური ინტეგრირებისთვის შეფასებულია ისეთი მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნის მაგალითზე, როგორიც საქართველოა. პირველი ნაწილი მოიცავს პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების არსის ანალიტიკურ განხილვას. ნაშრომში ასახულია ევროკავშირის საგარეო სავაჭრო რეჟიმების ზოგიერთი ასპექტის ანალიტიკური შედარება. ხაზგასმულია აღნიშნული ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკის დღევანდელი პრიორიტეტები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ***სასოფლო - სამეურნეო პრდუქციის*** წარმოების ხელშეწყობის შემსუბუქება, სატარიფო განაკვეთების შეზღუდვა, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (**DCFTA**) ეფექტიანი გამოყენება.

ნაშრომის მეორე ნაწილში საქართველოს, როგორც მცირე ეკონომიკის მაგალითზე, გაანალიზებულია სავაჭრო პრეფერენციებისთ სარგებლობის ერთდერთი ასპექტი; კერძოდ, საქართველოს მსხვილ პარტნიორს ევროკავშირსა და საქართველოს შორის შემუშავებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების გავლენის შეფასება ***სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობაზე,*** რაც განპირობებულია აღნიშნული სფეროს განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობით ქვეყნისათვის.

საკვანძო სიტყვები: GSP; DCFTA; მცირე ქვეყანა საერთაშორისო ვაჭრობაში; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით საერთაშორისო ვაჭრობა.

თანამედროვე მსოფლიო საერთაშორისო ვაჭრობის გარეშე წარმოუდგენელია. ხშირ შემთხევვაში სწორედ ვაჭრობაა პოლიტიკური კრიზისის თუ სამხედრო დაპირისპირების შემაკავებელი ან პირიქით წარმომქმნელი ფაქტორი. პროტექციონისტური პოლიტიკა მრავალი წლის განმავლობაში საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენდა. მისი შეზღუდვა ძალზე ძნელი და წინააღმდეგობებით დატვირთული პროცესია, რომელიც განსაკუთრებით მძიმედ მიმდინარეობს განვითარებად ქვეყნებში. ეროვნული ბაზრის დაცვა უმრავლესი ქვეყნის ხელისუფლებისთვის პირველმნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.ხშირ შემთხვევაში ეროვნული ბაზრის დაცვის არგუმენტი და ფარული პროტექციონიზმი პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად გამოიყენება განსაკუთრებით მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნების წინააღმდეგ. ამგვარი პოლიტიკა საბოლოო ანგარიშით ყველა პარტნიორისთვის წამგებიანია. იგი არ აძლევს ქვეყნებს საშუალებას გამოიყენონ შეფარდებითი და აბსოლუტური უპირატესობები, მასშტაბის ეკონომიის ეფექტი და სხვა შესაძლებლობები, რომლებიც მათ ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფს. ასეთი ეკონომიკური და პოლიტიკური ცალმხრივი სავაჭრო შეზღუდვებისგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ზარალდება საქართველოს ეკონომიკა. ჩაკეტილი ბაზარი, თავის მხრივ აკნინებს კონკურენტულ გარემოს და არ აძლევს ეროვნულ წარმოებას სწრაფი განვითარების სტიმულს, რეზერვების სრული დატვირთვისა და ბუნებრივი შერჩევის მექანიზმის ამუშავების საშუალებას.

პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმეგის ანალიტიკური განხილვა

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე ქვეყნების უმრავლესობას განსაკუთრებით კი მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, მრავალფეროვანი სავაჭრო რეჟიმები გააჩნიათ თავიანთ პარტნიორ ქვეყნებთან. აღნიშნული რეჟიმების ხასიათი შეიძლება განისაზღვროს ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებით; მათი მონაწილეობით რეგიონალურ და საერთაშორისო ეკონომიკურ გაერთიანებებსა და ორგანიზაციებში; ეკონომიკურად სუსტი ქვეყნებისათვის დახმარების პროგრამებით და ა.შ

საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის რეჟიმების თვალსაზრისით განასხვავებენ საბაზისო, უპირატესი ხელშეწყობის და პრეფერენციალურ რეჟიმებს. პრეფერენციული რეჟიმები, როგორც მისი დასახელებიდან ჩანს, შეღავათიანი რეჟიმებით ვაჭრობის პირობებს ითვალისწინებენ. გამოყენების წესის მიხედვით არსებობს პრეფერენციული რეჟიმების ორი ტიპი: სიმეტრიული და ასიმეტრიული. ქვეყნებს შორის მოქმედი სიმეტრიული პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმი შეღავათიანი სავაჭრო პირობების/ტარიფების ურთიერთდაწესებას ითვალისწინებს, ხოლო ასიმეტრიული რეჟიმის დროს შეღავათები ცალმხრივია და პრეფერენციების მიმღები ქვეყნისაგან საპასუხო შეღავათები არ მოითთხოვება. სიმეტრიულ პრეფერენციულ რეჟიმებს შორის ყველაზე გავრცელებული

ფორმებია უბაჟო/ თავისუფალი ვაჭრობისა და საბაჟო კავშირის რეჟიმები. ასიმეტრიული პრეფერენციული რეჟიმებით ვაჭრობა ყალიბდება ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომ სახელმწიფოებს შორის. Aამ სახის რეჟიმებს განვითარებული ქვეყნები ეკონომიკურად შედარებით უფრო სუსტ პარტნიორ ქვეყნებს ანიჭებენ, რაც გულისხმობს ცალმხრივი საბაჟო-სატარიფო შეღავთების (საპასუხო შეღავთების მოთხოვნის გარეშე) მინიჭებას და წარმოადგენს ეკონომიკური დახმარების ერთ-ერთ ფორმას. ასიმეტრიული პრეფერენციით მოსარგებლე (ბენეფიციარი) ქვეყნებისათვის დაწესებული შეღავათიანი ტარიფები უფრო დაბალია, ვიდრე **MFN** (უპირატესი ხელშეწყობის) რეჟიმით გათვალისწინებული ტარიფები და ხშირ შემთხვევაში პროდუქციის საბაჟო გადასახადისაგან მთლიანად გათავისუფლებას ითვალისწინებს. განვითარებული ქვეყნები სხვადასხვა დონის ასმიემეტრიულ პრეფერენციულ რეჟიმებს სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით (განვითარების დონე, გეოგრაფიული მდებარეობა, საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნების დაცვის ხარისხი, და სხვა) დაყოფილ ქვეყნების ჯგუფებზე ავრცელებენ.

ასიმეტრიული პრეფერნციული სავაჭრო რეჟიმის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმაა პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (Generalized System of Preferences - GSP), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ექსპორტს განვითარებადი და ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ათეულობით ქვეყანა სარგებლობს პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP) მაინც შეინიშნება აზრთა სხვადასხვაობა იმ ეფექტების დახასიათების დროს, რასაც GSP რეჟიმი განვითარებადი ქვეყნების კეთილდღობაზე ახდენს. მაშინ როდესაც, გროსმანი და საიკი [22] პომფრეტი [27] ნაშრომებში GSP რეჟიმების დადებით ეფექტებზე საუბრობენ, მრავალ მკვლევარს ეჭვი შეაქვს აღნიშნულ თეორიაში. ლიმაო [24] და კაგლარ ოძენი და ერიკ რეინჰარდსი [23] ემპირიულად ადასტურებენ, რომ GSP-ის დონორი ქვეყნები არაპროპორციულად ანაცვლებენ GSP-ით მგრძნობიარე საქონელზე სატარიფო შეზღუდვებს არასატარიფო ბარიერებით.

პრეფერენციული რეჟმების დახასიათებისას განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ევროკავშირის (GSP, GSP+) სქემები, რომლის თანახმადაც ქვეყნები ევროკავშირთან ვაჭრობის დროს უპირატები ხელშეწყობის რეჟიმზე გაცილებით დაბალი ან ნულოვანი ტარიფებით სარგებლობენ. სწორედ აქედან გამომდინარეა, რომ ევროკავშირი ვმო-ს მხოლოდ რამდენიმე ქვეყანასთან სარგებლობს MFN ტარიფებით.

სადღეისოდ, GSP -ის აქამდე არსებული სქემა გამარტივდა და არსებული შეღავთების ხუთი სისტემა შემცირდა სამამდე, ხოლო ბენეფიციარი ქვეყნების რაოდენობა 178-დან 92-მდე შემცირდა [1]

1. ***პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის ყველა ბენეფიციარი ქვეყნისთვის ხელმისაწვდომი პრეფერენციები.*** აღნიშნული სქემით სარგებ-

1 EU's Generalised scheme of Preferences (GSP), 2015. Available from http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2015/august/tradoc_153732.pdf

ლობს 30 ქვეყანა. სქემა გულისხმობს არამგრძნობიარე, ძირითადად სამრეწველო საქონელზე საბაჟო დაბეგვრის სრული მოხსნას (გაუქმება), და მგრძნობიარე საქონელზე, რომელთაც განეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების უმეტესობა, განაკვეთების შემცირება.

2. ***პრეფერენციები ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის*** ითვალისწინებს MFN საბაჟო გადასახადების გაუქმებას ყველა საქონელზე, გარდა სამხედრო დანიშნულების საქონლისა („ყველაფერი, გარდა იარაღისა"). ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების სიას ადგენს და პერიოდულად მასში ცვლილებები შეაქვს გაეროს და მასში დღევანდელი მდგომარეობით შედის დაახლოებით 49 ქვეყანა.

3. ***სპეციალური პრეფერენციები მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობისათვის.*** სექემით სარგებლობს 13 ქვეყანა (სომხეთი, ბოლივია, კაპე-ვერდე, პაკისტანი, გვატემალა, საქართველო, კოსტა-რიკა, მონღოლეთი, პანამა, პარაგვაი პერუ, ფილიპინები, სალვადორი) შეღავათების მინიჭება ხდება ზემოაღნიშნულ შეთავათებზე დამატებით, ადვალორული და სპეციფიკური საბაჟო გადასახადების გაუქმების სახით (გარდა შერეული გადასახადების სპეციფიკური კომპონენტისა). პროდუქციის 66 % ზე მოხსნილია ტარიფები.

ევროკავშირის GSP-ის სქემით მოსარგებლე ძირითადი ქვეყნებია: ინდოეთი, ბრაზილია, ტაილანდი, ბანგლადეში, ვიეტნამი, ინდონეზია და სხვა (ცხრილი 1), ხოლო ძირითადი საიმპორტო პროდუქციაა: ტექსტილი და ტანსაცმელი, მინერალური პროდუქტები, ცხოველები და ცხოველური წარმოშობის პროდუქტები და სხვა (ცხრილი 2).

ევროკავშირის GSP სქემის ძირითადი ბენეფიციარი ქვეყნები და მსხვილი სექტორები, 2013 წ.

ცხრილი 1

ქვეყანა	იმპორტი ევროკავშირის ბაზარზე მლრდ ევრო
ინდოეთი	11.7
ბრაზილია	4.4
ტაილანდი	4.2
ბანგლადეში	3.6
ვიეტნამი	3.2
ინდონეზია	3.06
მალაიზია	2.7
ოაკისტანი	2.6
უკრაინა	2.2

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ევროკომისიის მონაცემების საფუძველზე http://trade.ec.europa.eu

ევროკავშირის GSP სქემის ძირითადი ბენეფიციარი ქვეყნები და მსხვილი სექტორები, 2013 წ.

ცხრილი 2

პროდუქცია	იმპორტი ევროკავშირის ბაზარზე მილიარდი ევრო
ტექსტილი და ტანსაცმელი	13.1
მინერალური პროდუქტები	5.8
პლატმასი და რეზინები	4.5
მეტალები	3.8
ფეხსაცმელი	3.6
ცხოველები და ცხოველური წარმოშობის პროდუქტები	3.5

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ევროკომისიის მონაცემების საფუძველზე http://trade.ec.europa.eu

ევროკავშირის GSP და GSP+ სქემები, მეწარმეებს აძლევს საშუალებას მათი წარმოშობის 7200-მდე დასახელების პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე შეიტანონ ნულოვანი საბაჟო განაკვეთით, რაც ზდის ნაციონალური საქონლის კონკურენტუნარიანობას და უფრო მეტად შეუწყობს ხელს ნაციონალური ექსპორტის გაზრდას.

ევროკავშირის პრეფერენციალური სავაჭრო რეჟიმების ოპტიმალური გამოყენების *შესაძლებლოები*

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველო მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირების გზაზეა. 1997 წლიდან, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ, განვითარებულ ქვეყნებთან ვაჭრობისას პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP) სარგებლობამ, რასაც მოგვიანებით GSP + სავაჭრო რეჟიმები დაემატა, საქართველოსთვის უფრო ხელსაყრელი გახადა საგარეო ვაჭრობის პირობები და წაახალისა ექსპორტის ზრდა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ექსპორტის მთლიანი მოცულობა 4-ჯერ გაიზარდა.

აღსაღნიშვანია, რომ ევროკავშირი საქართველოს მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს, საგარეო ვაჭრობის 26.1% მოდის ევროკავშირზე, მას მოსდევს თურქეთი (17.2%) და აზერბაიჯანი (10,3%). საქართველოს ექსპორტი ბოლო ათწლეულის მანძილზე ევროკავშირთან

იზრდება პრეფერენციალური რეჟიმების ფონზე. ევროკავშირის ექსპორტმა საქართველოში შეადგინა 2014 წელს 1.91 მილიარდი ევრო. ძირითადი საექსპორტო პროდუქციაა: მინერალური პროდუქცია, მანქანა და ტექნიკა, ქიმიური პროდუქტები და სატრანსპორტო მოწყობილობა. საქართველოს გააქვს ევროკავშირში მინერალური პროდუქტები, სოფლის მეურნეობის პროდუქტები (უმეტესად თხილი), მზა ლითონები და ქიმიური პროდუქტები. დიაგრამა ნათლად აჩვენებს ექსპორტის დინამიკას ევროკავშირის ქვეყნებში[1]

დიაგრამა

საქართველოს ექსორტი ევროკავშირში წლების მიხედვით (2005-2014 წწ.)



ევროკავშირში გატანილი ექსპორტის ნაწილი GSP+ რეჟიმის ფარგლებში ხორციელდებოდა, რომლის წილიც ევროკავშირის მთლიანი ექსპორტის 40 % შეადგენდა საშუალოდ (ცხრილი 3).

საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში (მლნ. აშშ დოლარი, 2006-2014 წლები)

ცხრილი 3

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
GSP+ ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში	95.4	127.3	117.9	112.3	123.1	213.9	133.3	231.7	131.1
მთლიანი ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში	225.0	268.0	335.0	237.0	309.0	424.0	352.0	607.0	624.0
GSP+ პროცენტული წილი მთლიან ექსპორტში	42%	48%	35%	47%	40%	50%	38%	38%	21%

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემების საფუძველზე . http://www.economy.ge

1 ევროკომისიის მონაცემები: http://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/georgia/

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ამოქმედების შემდეგ 2009 წელს ურთიერთობები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ახალ ფაზაში შევიდა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა ითვალისწინებს ურთიერთობების გაღრმავებას სამი ძირითადი მიმართულებით - ასოცირების ხელშეკრულება (AA), რომელიც, ასევე, მოიცავს შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) და ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის შეთანხმებები. თუმცა, შედეგად, ლიბერალურმა სავაჭრო რეჟიმმა უფრო მეტად იმპორტის ზრდა გამოიწვია, რამაც, თავის მხრივ, სავაჭრო ბალანსში რეკორდულად მზარდი დეფიციტი განაპირობა და პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები დააფიქრა. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების რატიფიცირების შემდგომ GSP+ რეჟიმი გაუქმდება და ჩანაცვლდება DCFTA-ით, რომელიც უზრუნველყოფს ბაზრის ხელმისაწვდომობის ხელისშემშლელი ბარიერების ორმხრივ და ეტაპობრივ გაუქმებას. [9] შეთანხმება ითვალისწინებს 95%- მდე ტარიფის მოხსნას, ნავარაუდევია სამრეწველო საქონლით ვაჭრობის სრული ლიბერალიზაცია. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობას, ამ სფეროს ასევე შეეხება მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია, რიგი გამონაკლისის გარდა.

DCFTA-ს ძალაში შესვლის შედეგად არაერთი ტარიფი გაუქმდება, თუმცა მათი შეკვეცა პროდუქტების გატეგორიების მიხედვით, სხვადასხვა განაკვეთით მოხდება. მაგალითად, სასოფლო- სამეურნეო პროდუქტზე - ნიორზე გავრცელდება სატარიფო განაკვეთის კვოტა ხოლო დანარჩენ პროდუქტებზე შენარჩუნდება ბაზარზე შეტანის (საწყისი) ფასები.

ევროკომისიის ექსპორტის საკითხთა საინფორმაციო განყოფილების მიერ მოწოდებულ ინფორმაციის შესაბამისად, ჩამონათვალში ასევე შესულია გარკვეული დასახელების პროდუქტები, რომლებზეც ამჟამად ვრცელდება GSP+0 სატარიფო შეღავათები და შესაბამისად, მათ მიმართ ასევე ძალაშია შეტანის ფასი, ამგვარი პროდუქციაა: სუფრის ყურძენი, მჟავე ალუბალი, ქლიავი, სხვადასხვა სახეობის ხილის წვენი)

ევროკავშირის ქეყნებში ექსპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მხრივ ერთპიროვნული ლიდერია ახალი და ხმელი თხილი .ეს კატეგორია შეადგენს ევროკავშირში ექსპორტირებული მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 64%-ს და თავად ამ კონკრეტულ კატეგორიაში მთლიანი საექსპორტო მოცულობის 65%-ს. [9]

ექსპორტის პოტენციალის გაზრდა სოფლის მეურნეობაში შეზღუდულია ფერმერული მეურნეობებისა და მიწის ნაკვეთების ფრაგმენტაციის გამო. ევროკავშირის სტანდარტებისა და სერტიფიცირების მოთხოვნების დაკმაყოფილება ინდივიდუალური ფერმერებისთვის გართულდება კოოპერატივებთან შედარებით, ისევე როგორც გაძნელდება მათთვის რისკების აღება ახალ ბაზრებზე შესვლისა და თავიანთი პროდუქტის გატანის თვალსაზრისით, ევროკავშირის

მაღალკონკურენტული ბაზრების გათვალისწინებით. ამჟამად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორში დომინირებს პირველადი წარმოების პროდუქცია, ფერმერული მეურნეობები პროდუქციას ძირითადად თავიანთი მოხმარებისთვის ან ქაოსური გზით სავაჭროდ აწარმოებენ. ამდენად, კომპლექსური ღირებულებითი ჯაჭვის შექმნის გარეშე DCFTA-ს პოტენციური სარგებლის სრულად გამოყენება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტზე გათვლით, გაჭირდება.[1]

ყველაზე მეტად შესამჩნევი ზრდა ნავარაუდევია მსხვილფეხა პირუტყვის გამრავლებისა და და ხორცის პროდუქტების წარმოების (60%-ზე მეტი) და ბოსტნეულის, ხილის, თხილისა და და ზეთოვანი მარცვლეულის მოყვანის თვალსაზრისით (20%-ზე მეტი). მესაქონლეობის არსებული სტრუქტურა წარმოდგენილია დიდი რაოდენობით ინდივიდუალური ფერმერით, რომლებიც ძირითადად, პროდუქტს თავიანთი მოხმარებისთვის აწარმოებენ; ასევე შედარებით მცირე რაოდენობით კომერციალიზებული საოჯახო მეურნეობებით და მსხვილი საწარმოთი. სექტორის განვითარების სტიმულირებისთვის, დასაწყისისთვის, უნდა შეიქმნას ისეთი ძირითადი ინსტიტუტები, როგორიცაა საქონლის რეესტრი და ვეტერინარული სამსახურის განყოფილება. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს წარმოების ტექნიკის გაუმჯობესებაზე, პირუტყვის გამრავლებაზე, კვებაზე და ზოგადად, პირუტყვის ჯანმრთელობის დაცვაზე.

საქართველო-ევროკავშირს შორის მიღწეული შეთანხმებები და განსაკუთრებით DCFTA-ს ფორმატში გადადგმული ნაბიჯები ხელსაყრელ გარემოებას ქმნის ევრკავშირის ბაზარზე ქართული პროდუქციის ექსპორტის ზრდისთვის, მაგრამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დაბრკოლებას ქართული მხარისთვის წარმოადგენს საერთაშორისო და ევროკავშირის სტანდარტების დაკმაყოფილება. მეორე, მსოფლიო მასშტაბით, განსაკუთრებით კრიზისის შემდგომ პერიოდში, არასატარიფო ბარიერების ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა, რომელთა რანგსაც განეკუთვნება სხვადასხვა სტანდარტები და დიდ წილსაც იკავებს აქტიურად გამოყენებად არასატარიფო ბარიერებში, რომლებიც ერთ-ერთ ყველაზე მძიმე და გადაულახავ პრობლემას საქართველოსთვის წარმოადგენს არსატარიფო ბარიერები. არასატარიფო ბარიერების გამოყენების მიზეზი შეიძლება იყოს ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, სოციალური, პოლიტიკური ან კომბინირებული. არასატარიფო ბარიერების გამოყენება შეიძლება აგრეთვე, როგორც ვაჭრობის შემაფერხებელი ინსტრუმენტის სახით -სტანდარტების ამაღლებით ან დამატებითი ტექნიკური მოთხოვნების წაყენებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ვალდებულებები აქვს აღებული სტანდარტების გაუმჯობესებასა და ამ სტანდარტების ევროსტანდარტებთან დაახლოებაზე, სათანადოდ მაინც ვერ სრულდება შესაბამისი ღონისძიებები.[8] საქართველოში არ არსებობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორიები. ქარ-

1 (საქართველო: გზა DCFTA-სკენ http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eu_georgia/dcfta2012_01_en.pdf

თველ მეწარმეებს უხდებათ მეზობელი ქვეყნების ლაბორატორიებში წასვლა და შესაბამისი სერტიფიკატის აღება.

არასტარიფო შეზღუდვებში შეგვიძლია გამოვყოთ ბარიერების ორი მნიშვნელოვანი სახეობა:

1.ტექნიკური (TBT); 2.სანიტარიული და ფიტოსანიტარიული (SPS).

განვითარებულ ქვეყნებს აქვთ მაღალი სტანდარტები პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებით, რაც დაკავშირებულია შიდა მომხმარებლისა და გარემოს დაცვით. მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილება დიდ პრობლემას წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნებისთვის, ვინაიდან მათ უწევთ დამატებითი ხარჯების გაღება. აგრეთვე, მნიშვნელოვანია ტექნიკური ბარიერებიც, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის ტექნიკურ მახასიათებლებთან.

* * *

DCFTA სარგებლის მომტანი იქნება საქართველოსთვის იმ მოქალაქეთა კეთილდღეობის ამაღლების თვალსაზრისით, რომელთაც ექნებათ წვდომა უკეთესი ხარისხის პროდუქციასთან შიდა ბაზარზე და უფრო შორეული პერსპექტივით, გაეზრდებათ შემოსავლები ევროპასთან ინტეგრაციის შედეგად სტიმულირებული ახალი ბიზნეს-შესაძლებლობებისა და ეკონომიკური ზრდის გამო. შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმების გამოყენების წარსული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ვაჭრობა ცალსახად იხრება იმ პროდუქტებისკენ, რომლებზეც ვრცელდება აღნიშნული შეღავათები. DCFTA შეთანხმების ამოქმედებით გამოწვეული შესაძლო გვერდითი ეფექტებისა და გამოწვევების შერბილების მიზნით სასურველია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

• საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება სასოფლო-სამეურნეო სექტორისთვის, მისი საექსპორტო პოტენციალის შეფასებით და იმ სექტორების განსაზღვრით, რომლებშიც საქართველო, შესაძლოა, კონკურენტულ უპირატესობას ფლობდეს.

• მიზნობრივი სექტორალური პროგრამების და ინიციატივების შემუშავება კონკურენტულ დარგებში ექსპორტის პოტენციალის ზრდის მიზნით.

• არასატარიფო ღონისძიებებით დადგენილი მოთხოვნების შესრულებისათვის სერტიფიცირების პროცედურებში დახმარება, კონსულტაციების ჩატარება, ფერმერების სახლებისა და ტრენინგცენტრების როლის ზრდა.

• სახელმძღვანელოს შექმნა მწარმოებლებისთვის, სადაც მოცემული იქნება ვაჭრობასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

• განვითარებული ქვეყნების სტანდარტებთან (ISO, IEC, CEN, CENELEC) დაახლოების კონკრეტული ღონისძიებების ფორმირება მიზნობრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბების საფუძველზე.

საქართველოს ახალი სტანდარტებისა და ტექნიკური რეგულაციების, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა პოზიტიურ გავლენას იქონიებს სოფლის მეურნების სექტორზე იმ თვალსაზრისით, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება ორიენტირებული იქნება იმ სტანდარტებით პროდუქციის წარმოებაზე,

რომელსაც რეალიზაციის პერსპექტივები ექნება ევროკავშირისა და სხვა განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე და, ამავდროულად, მაღალი სტანდარტები შეზღუდავს საქართველოში იმპორტირებულ დაბალი ხარისხის პროდუქციას.

საბოლოო ანგარიშით, პრეფერენციული რეჟიმები ეხმარება მცირე ქვეყნებს განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე შეღწევაში. სქემაში ჩართვის სარგებელი შესაძლოა გამოხატული იქნეს ვაჭრობის გაზრდილი მაჩვენებლით, ინვესტორების მეტი ნდობითა და უფრო გარკვეული სამართლებრივი გარემოს ფორმირებაში დახმარებით, მომხმარებლის სარგებელში- უკეთესი პროდუქცია უფრო დაბალ ფასად, ბაზრის განვითარებით, დადებითი გავლენით ინოვაციებზე (ინტელექტუალური საკუთრების დაცვა), ქვეყნის რეფორმირებით, მოდერნიზებით და სხვა.

ლიტერატურა:

1. ბერუჩაშვილი თ, ყარაულაშვილი ა. მშვიდობაძე მ. "საქართველო და ევროკავშირი, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის ბიურო, თბილისი, 2006 წ.
2. გველესიანი რ, გოგორიშვილი ი. "ეკონომიკური პოლიტიკა", გამომცემლობა „უნივერსალი", თბ., 2012.
3. გოგორიშვილი ი. `ნაციონალური ეკონომიკური ინტერესები საქართველოს ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში" კონფერენციის `გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრდი განვითარების პერსპექტივები" მასალები, გამომცემლობა `უნივერსალი", თბ., 2009.
4. თავართქილაძე მ. `ევროკავშირის საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმების ეფექტიანობა მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში". კონფერენციის `გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრდი განვითარების პერსპექტივები" მასალები, გამომცემლობა `უნივერსალი", თბ 2009.
5. მესხია ი. "საერთაშორისო ვაჭრობა", თბილისი, თსუ, 2011.
6. პაპაჩაშვილი ნ. ხარისხის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს ექსპორტის კონკურენტუნარიანობის საკითხები, საკონფერენციო მოხსენებათა კრებული: საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებში: პრობლემები, პერსპექტივები, თბ., გამომც. უნივერსალი, თბ., 2011.
7. პაპაჩაშვილი ნ., ბაქრაძე გ. თანამედროვე გამოწვევები ევროკავშირის ბაზარზე საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტისთვის, პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, 28–29 ივნისი, 2013.
8. საქართველო-ევროკავშირის ბიზნესსაბჭოს გამოცემა" ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, 2014.
9. ვაჭრობის საკითხები, 2014, საქართველო ევროკავშირი. ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში.

10. Agostino, M. R., Aiello, F., & Cardamone, P. (2007). *Analysing the Impact of Trade Preferences in Gravity Models. Does Aggregation Matter?* Calabria: TradeAG Working Paper 07/4.
11. Anderson, J. E. (March 1979). A Theoretical Foundation for the Gravity Model. *American Economic Review, 9*(1), 106-116.
12. Anderson, J. E., & van Wincoop, E. (March 2003). Gravity with Gravitas: A Solution to the Border Puzzle. *American Economic Review, 93*(1), 170-192.
13. Baier, S. L., & Bergstrand, J. H. (March 2007). Do free trade agreements actually increase members' international trade. *Journal of International Economics, 71*(1), 72-95.
14. Bartels, L. (2007). The Trade and Development Policy of the European Union. *The European Journal of International Law, 18*(4), 715-756.
15. Baldwin, R. E and Murray, T. 1977 " MFN Tariff Regulations and Developing Country Trade benefits under GSP",The Economic Journal, Vol.87, No 345.
16. Brown, D.K 1989, " Trade and welfare effect of the European Schemes of the generalized System of Preferences", Economic department and Cultural Change, Vol. 37, No.4.
17. Bagwell, K.,Staiger, R.W., 1999 `` An Economic Theory of GATT" Amercan Economic Review 89,215-248
18. Borchert, I. (2009). Trade Diversion under Selective Preferential Market Access. *Canadian Journal of Economics, 42*(4), 1390-1410.
19. Bun, M. J., & Franc, K. J. (2003). *The Importance of Accountring for Time Trends when Estimating the Euro Effect on Trade.* **Tinbergen Institute. Tinbergen Institute Discussion Papers 03-086/2, revised 14 Oct 2004.**
20. Clark, D.P 1991 " Trade versus Aid : Distributions of Third World development Assisstance" Economic development and Cultural Change, Vol. 39,No 4.
21. Clarlk ,D.P., and Zerrilli, S 1992, " Non-Tariff Measures and Industrial Nation imports of GSP-Covered Products", Southern Economic Journal, Vol.59,No 2.
22. Grossman, G.M. and Sykes, A.O. 2005 "European communities-Conditions for the Granting of tariff preferences to developing countries", The American law institute.
23. Kaglar Ozden Eric Reinhardt, 2003, The Perversity of Preferences, The Generalized System of Preferences and Developing Country Trade Policies, 1976-2000, The World Bank, Development Research Group Trade.
24. Limao 2006, `Are Preferencial Trade Agreements with Non-trade objectives a Stumbling Block for Multilateral liberalization?" working paper 02-02. University of Maryland, department of economics, centre for International economics, College park.

p. 408.

25. Ludeman, R.D.,Mayda, A.M 2005 " Do countries free Ride on MFN?" mimeo
26. Official Journal of European Communities, Council Regulation No 980/2005.
27. Pomfret, R,1986 " the effects of Trade Preferences for developing countries" Southern Economic Journal, Bol 53, No 18-26.
28. of Georgian Economy." The Universal publishing house, Tbilisi, 2009, pp. 36-46.
29. Verheugen G. "The eurepean Neighbourhood Policy", Speech /04/141. Prime Ministerial Conference of the Vinius and Visegrad Democracies: "Towards a Wider Europe: the new agenda".Bratislava, 19 March 2005.

30. Association Agreement Between the European Union and the EUROPEAN ATOMIC ENERGY COMMUNITYAND THEIR MEMBER STATES, OF THE ONE PARTAND GEORGIA, OF THE OTHER PART, 2015.
31. A decision of Tokyo Rounds on the differentiated trade and most-favored-nation treatment and more pro-active participation of developing countries.
32. Treatment Under GATT for developing Countres" The Economic journal, Vol.100, No. 403.
33. http://eeas.europa.eu
34. http://www.economy.ge
35. http://exporthelp.europa.eu/thdapp/index.htm
36. http://unctad.org
37. http://www.usitc.gov

Impact of Preferential Trade Regimes on the Integration of Small Countries into the World Economy

Marine Tavartkiladze

Doctoral Student
Faculty of Economics and Business
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
tavartkiladzemariami@yahoo.com

The paper deals with the opportunities of using preferential trade regimes by transitional economies and their expected results. Effects of the use of these regimes in terms of optimal integration into global economy are assessed on the example of such a small open economy as Georgia. The paper has been prepared by applying deduction, induction, analysis and synthesis, abstraction and statistical methods of research

The majority of countries engaged in international economic relations, including highly developed countries, have various trade regimes established with their partner countries. The nature of those regimes may depend on economic and political interests of those countries, their participation in regional and global economic alliances and organizations, programs of assistance to weaker economies, et cetera. This paper provides an analytical comparison of some aspects of foreign trade regimes of the European Union, the United States and Japan. It underlines current trade priorities of these countries among which the important ones include: the easing of promotion of *agricultural production*, the restriction of tariff rates, the effective use of Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA) with the EU.

In terms of trade in goods and services, one can distinguish basic, most-favored-nation and preferential Regimes. Preferential regimes are especially worth noting.

Although dozens of countries enjoy the Generalized System of Preferences (GSP), one can still observe controversial opinions in describing the effects of GSP on the welfare of developing countries. While in their works Grossman and Sykes (Grossman, G.M. and Sykes, A.O. 2005 "European communities-Conditions for the Granting of tariff preferences to developing countries", The American law institute) and Pomfret (Pomfret, R, 1986 "the effects of Trade Preferences for developing countries" Southern Economic Journal, Bol 53, No 18-26) speak about positive effects of GSP regimes, many other researchers question them. Limao (Limao 2006, Are Preferential Trade agreements as stumbling blocks for Multilateral Trade Liberalization: Evidence for the US, American Economic review) and Caglar Ozden and Eric Reinhardt (Caglar Ozden & Eric Reinhardt, 2003, The Perversity of Preferences, The Generalized System of Preferences and Developing Country Trade Policies, 1976-2000, The World Bank, Development Research Group Trade) provide empirical evidence of GSP donor countries disproportionately replacing tariff restrictions on GSP-sensitive goods with non-tariff barriers.

In particular, it assesses the effect of EU-Georgia DCFTA on the ***trade in agricultural goods*** as this sector is of special social and economic importance to the country. This part of the paper discusses the trends in agricultural trade (primary production, processed goods); analyses factors impeding agricultural trade in view of existing tariffs and non-tariff barriers; provides the information in the context of DCFTA, thereby enabling to analyze possibilities of the development of Georgia's trade potential in agricultural production.

Conclusions are made on the basis of the research as to how preferential trade regimes assist small countries in entering markets of developed countries; what benefits can be derived from the engagement in these schemes, which translate into increased trade indicator, boosted confidence of investors and the establishment of more predictable legal environment; how customers benefit from better quality products at lower prices, the development of market, benevolent effects on innovations (protection of intellectual property), the reformation and modernization of the country, et cetera.

Problems are identified on the basis of the research and corresponding recommendations are provided including such important recommendations as to devise export promotion measures; to organize training courses for economic agents; to develop concrete measures of approximation with standards of industrialized countries (ISO, IEC, CEN, CENELEC) through establishing corresponding organizations. Moreover, recommendations are provided on the ways of effective use of preferential treatments.

Keywords: GSP, DCFTA, small-size country in global trade, international trade in agricultural production
JEL Codes: F13, F14, F15

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 3, გვ. 209-217
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 3, pp. 209-217

საერთაშორისო ვაჭრობის ტექნოლოგიების მნიშვნელობა მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის

თამთა მიქაბერიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

მსოფლიო ეკონომიკის განვითარება გლობალური კრიზისის პირობებში ინტეგრაციული პროცესების განსაკუთრებული გააქტიურებით ხასიათდება. ასეთი პროცესებიდან გამომდინარე, განვითარებად ქვეყნებს თავიანთი ეკონომიკების გადარჩენის მიზნით, საერთაშორისო ვაჭრობის განსაკუთრებული ხელშეწყობა და განვითარება მართებთ.

სტატიაში განხილულია საერთაშორის ვაჭრობის თანამედროვე ტექნოლოგიების მნიშვნელობა და როლი მცირე ღია ეკონომიკის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის. გაანალიზებულია მათზე ვაჭრობის ახალი თეორიების, ტენდენციებისა და საშუალებების გავლენა ტრანსნაციონალიზაციისა და ინტეგრაციული პროცესების ფონზე.

სტატიაში ხაზგასმულია, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და სასარგებლო იქნება საკომპენსაციო და ბარტერული ვაჭრობის ფორმების გამოყენება მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისთვის (მათ შორის საქართველოსთვის), რატომ წარმოადგენს „ფულის მონაწილეობის გარეშე გარიგებები“ ურთიერთსასარგებლო ინსტრუმენტს ურთიერთმოვაჭრე ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით თანამედროვე გლობალური კრიზისის პირობებში.

საკვანძო სიტყვები: შიგადარგობრივი ვაჭრობა; საკომპენსაციო გარიგება; ტრანსნაციონალიზაცია; ვაჭრობის ტექნოლოგიები.

მსოფლიო ეკონომიკის აქტუალურ საკითხებს შორისაა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში განვითარებადი ქვეყნების მონაწილეობის მნიშვნელობა და როლი. მათი ჩაბმა საერთაშორისო სავაჭრო ნაკადებში განუხრელად იზრდება, რასაც ცხადია. მოჰყვება, როგორც სარგებელი, ასევე პრობლემები. თითოეული ქვეყნის მიერ საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებით წამოჭრილი

საკითხების გადაწყვეტა უშუალოდ უკავშირდება მათი განვითარების მიმართულებების არჩევანს. არჩევანი კი არც თუ ისე დიდი აქვთ. მათ უნდა ჩამოაყალიბონ ან შედარებით ღია, ან შედარებით დახურული (ავტარკიული) ეკონომიკა.

სრულიად განსხვავებული საკითხია თითოეულმა ქვეყანამ ვისთან, რა პროდუქტებით ან რა ტექნიკური ინსტრუმენტების საშუალებით უნდა ივაჭროს. საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე ტექნოლოგიების, ახალი ფორმებისა და მიმართულებიის კვლევის სიმწვავე განსაკუთრებით აქტუალურია მცირე ღია ეკონონომიკის ქვეყნებისთვის, როგორიცაა საქართველო. 2014 წლის სექტემბერში საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რომლის რეგულაციები უკვე ძალაში შედის. შესაბამისად, სავაჭრო ნაკადების ახალი ფორმებისა და ტექნოლოგიების შესაძლებლობების კვლევა უნდა გახდეს ორიენტირი ქვეყნის შემგომი ეკონომიკური განვითარებისთვის.

საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე თეორიების კონცეფციური საკითხები

საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე თეორიებში, გამოვყოფთ ნეოტექნოლოგიური მიმართულების თეორიებს (მ. პოზნერის ტექნოლოგიური გარღვევის თეორია (1961წ) [1]; მ. კემპის მასშტაბის ეფექტის თეორია (1964წ.) [2]; პ. კრუგმანის არასრულყოფილი კონკურენციის თეორია (1979წ.) [3]; ბ. ბალასას დარგთაშორისი ვაჭრობის თეორია (1967წ.) [4]; რ. ვერნონის პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორია (1967წ) [5]; მ. პორტერის ერის კონკურენტული უპირატესობის თეორია (1986წ.) [6], რომლებიც თავის მხრივ ხსნის შიგადარგობრივი ვაჭრობის ხასიათსა და მიმართულებებს (ბ. ბალასა (1967)) [7, გვ.45]. მსოფლიო საქონელბრუნვის მოცულობის გადიდება ძირითადად შიგასაფირმო ვაჭრობაზე მოდის (ტრანსნაციონალური კორპორაციების ფარგლებში), ე.წ. შიგადარგობრივი ვაჭრობა - სხვადასხვა ქვეყნის ერთსა და იმავე დარგებს შორის მსგავსი (ერთგვაროვანი) სამრეწველო საქონლის შემხვედრი მიწოდების ზრდაა, ვაჭრობის ზრდა რესურსებით დაახლოებით ერთნაირად უზრუნველყოფილ ქვეყნებს შორის და ა. შ.

შიგადარგობრივი (Intra-Industry) ვაჭრობის წილი დროთა განმავლობაში იზრდებოდა. სხვადასხვა ქვეყანაზე დაკვირვების მიხედვით ვასკვნით, რომ შიგადარგობრივი ვაჭრობის ზრდა კონიუნქტურის ცვლილებასთან მჭიდრო კორელაციას ასახავს, ანუ სახეზეა შიგადარგობრივი ვაჭრობის ზრდის ტენდენცია, რომელიც კრიზის დროს უფრო ძლიერდება. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში მან 1970 წელს შეადგინა 53,2%, 1980 წელს - 74,7%, ხოლო 1990 წელს - 84,6%. გერმანიაში შესაბამისი მაჩვენებლები იყო 55,8; 56,6 და 72,2% [8, გვ20-21; 9]. მოგვიანებით კი, როგორც ევროკავშირის მონაცემებზე დაკვირვებამ აჩვენა, შიგადარგობრივი ვაჭრობის წილი საკმაოდ მაღალია გრუბელ-ლლოიდის ინდექსის[1] (GL) მიხედვით და 2014 წელს შეადგინა განვითარებულ ქვეყნებთან

1 გრუბელ-ლოიდის ინდექსი (GLj) – არის შიგადარგობრივი საერთაშორისო ვაჭრობის ინდექსი. რომლის მნიშვნელობა 0–1 შუალედში თავსდება. ამასთან, მისი მეტი სიდიდე შიგადარგობრივი ვაჭრობის მეტ წილზე მეტყველებს (ე.ი. თუ

0,63, ხოლო განვითარებადთან - 0,53 [10; 11; 12, გვ.1031-1036].

განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები, როგორიცაა აშშ და ევროკავშირი ჩართულნი არიან შიგადარგობრივ ვაჭრობაში სხვა განვითარებულ ქვეყნებთან, ხოლო, განვითარებად ქვეყნებს, როგორიცაა, მალაიზია და ტაილანდი, შიგადარგობრივი ვაჭრობა აქვთ სხვა განვითარებად ქვეყნებთან. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი და კორეის რესპუბლიკა ითვლებიან განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებად, ისინი სტრუქტურულად უფრო ახლოს არიან განვითარებულ ეკონომიკასთან, ვინაიდან მრეწველობაში წარმატებას მიაღწიეს, განსხვავებით სხვა ღარიბი და რესურსებით მდიდარი ქვეყნებისგან. შესაბამისად, ბოლო წლებში აღნიშნული ორი ქვეყნის შიგადარგობრივი ვაჭრობის წილი განვითარებად ქვეყნებთან იზრდება. დიაგარმა 1-ზე ნაჩვენებია სწრაფად განვითარებადი ღია ბაზრების მქონე ქვეყნების (ჰონკონგი, ჩინეთი, სინგაპური, მალაიზია, ტაილანდი) შიგადარგობრივი ვაჭრობის ზრდა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებთან. დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ყოველწლიური გამოცემა - მსოფლიო ვაჭრობის ანგარიში 2013-ზე დაყრდნობით.

დიაგრამა 1



დიაგრამაზე ნაჩვენები ქვეყნების შიგადარგობრივი ვაჭრობა ზრდადია უფრო მეტად განვითარებულ ქვეყნებთან, ვიდრე განვითარებადთან, რაც ძირითადად უკავშირდება წვრილი ელექტროტექნიკის პროდუქტების წარმოებას. ზოგ შემთხვევაში შიგადარგობრივი ვაჭრობის შემცირება ზემოთ აღნიშნული ქვეყნებისა (კერძოდ, ჰონგკონგი, ჩინეთი, სინგაპური), განვითარებად ქვეყნებთან. უკავშირდება სწორედ, სწრაფად მზარდი ბაზრების მქონე ქვეყნებს შორის შიგადარგობრივი ვაჭრობის ზრდას.

GLj =0, მაშინ მთელი ვაჭრობა დარგთაშორისია, ხოლო თუ GLj =1, მაშინ - შიგადარგობრივი.).

მოცემული ანალიზი ეყრდნობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2013 წელს გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მასალას შიგადარგობრივი ვაჭრობის ინდექსის შესახებ [11; 13]. თუმცა, აღსანიშნავია, რომ WTO-ს არ აქვს განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირება, რაც ართულებს კვლევის პროცესს.

ვაჭრობის თეორიის ტექნოლოგიური მიმართულება ხასიათდება არა მარტო ახალი თეორიების შემუშავებითა და ტრანსნაციონალური კორპორაციების გამოჩენით, არამედ მნიშვნელოვნად იცვლება საერთაშორისო ბაზრების სტრუქტურაც, რომლებსაც რასაკვირველია, ეკონომიკურ ურთიერთობათა ახალი ფორმები შეესაბამება. ეს საკითხი განსაკურებული მნიშვნელობისაა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისითაც, რადგან სწორედ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის ათვისება და გაფართოება დგას მსოფლიო ეკონომიკის გლობალური კრიზისიდან გამოსვლის დღის წესრიგში. შიგადარგობრივი ვაჭრობის თეორიის განხილვა და მასთან დაკავშირებული ახალი ეკონომიკური გარიგებების ფორმების სწორად მორგება თანამედროვე გამოწვევებისადმი ხელს შეუწყობს ფინანსური, ბუნებრივი რესურსებისა და ადამიანის ფაქტორის არაეკონომიკური გამოყენების შედეგად წარმოქმნილი დანაკარგების შემცირებას.

ამიტომაც მნიშვნელოვანია განვიხილოთ საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე ტექნოლოგიების როლი, ახალი ტექნიკური ინსტრუმენტები და საშუალებები ტრანსაციონალიზაციისა და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის ფონზე.

საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე ტექნოლოგიების ადგილი მსოფლიო ვაჭრობაში

თანამედროვე ეკონომიკების ტრანსნაციონალიზაციამ, კორპორაციების ჩარჩოებში ურთიერთდაკავშირებული ვაჭრობის და ტრანსფერული ფასების პოლიტიკის განვითარებამ, საბოლოო ანგარიშით, არსებითი გავლენა იქონია საერთაშორისო ვაჭრობის ოპერაციების ორგანიზაციულ ფორმებზე, საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურასა და აქედან გამომდინარე, საერთაშორისო კონკურენციის ფორმებზეც. კერძოდ, განვითარდა საკომპენსაციო გარიგებების ყველა შესაძლო ფორმა. საერთაშორისო საქმიანობაში საკომპენსაციო გარიგებები, ასევე იწოდება, საქონელბრუნვით ოპერაციებად, ან შემხვედრ ვაჭრობად. არსებობს შემხვედრი ვაჭრობის კლასიფიკაციისა და ტიპოლოგიზაციის ფორმების უამრავი რაოდენობა. მათ აერთიანებთ ერთი თვისება, ისინი წარმოადგენენ გაცვლის ფორმებს, რომლებიც საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნისა და მიწოდების ფორმირებაზე ნაკლებად არის დამოკიდებული.

გლობალურ ბაზარზე საერთაშორისო ვაჭრობის ტექნიკური ინსტრუმენტების სახეცვლილებები ტნკ-ის მიმართ სახელმწიფოების მხარდაჭერითაა განპირობებული. გლობალური ბაზრის გაფართოებას განუხრელად მოჰყვება სახელმწიფოთა ეკონომიკური ფუნქციების გაძლიერება და განვითარება.

ძნელია მოვიყვანოთ რეალური ციფრები, რაც მსოფლიო ვაჭრობაში საკომპენსაციო ვაჭრობის წილის ზრდას მოწმობს. მოცემული საერთაშორისო სტატისტიკის თანახმად, ეს წილი 5%-დან 40%-მდე ვარირებს [14]. უფრო ცალსახაა სპეციალისტების აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში საკომპენსაციო გარიგებების მოცულობა სწრაფად იზრდება. თავდაპირველად მსგავსი გარიგებები ახასიათებდა მხოლოდ ,,აღმოსავლეთ-დასავლეთს" შორის ვაჭრობას. შემდგომში, საკომპენსაციო პრინციპი გავრცელდა ,,ჩრდილოეთ-სამხრეთ" და ,,სამხრეთ-ჩრდილოეთ" შორის ვაჭრობაზე. ვაჭრობის საკომპენსაციო რეჟიმზე გადავიდა ათეულობით ქვეყანა პირველი სანავთობო კრიზისის (1972-1973წწ) შემდეგ და მრავალი მათგანი დღესაც სისტემატურად იყენებს შემხვედრი შესყიდვის სახელმწიფო ვალდებულების პრაქტიკას. შემხვედრი შესყიდვები კომერციული კომპენსაციის მეტნაკლებად გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს, მაგრამ ასევე აგრძელებს არსებობას ბარტერული ვაჭრობაც. იგი შედარებით გავრცელებულია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რომლებსაც დიდი საგარეო ვალები აქვთ და შესაბამისად შეზღუდულია საფინანსო შესაძლებლობებიც. წარმოების გამოსყიდვა (Buy-Back) გავრცელებულია ჩინეთში, რადგან ამ ქვეყნის ფაქტორული შესაძლებლობები და შიგა ბაზრის მოცულობა გრანდიოზულია. ამ დროს, შემხვედრი სამრეწველო შესყიდვები და ოფსეტური ვაჭრობა უფრო დამახასიათებელია იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც განსაზღვრული ინდუსტრიული და ტექნოლოგიური წანამძღვრები გააჩნიათ (ნოუ-ჰაუ), რაც ამ სახის ოპერაციების განხორციელებისთვის აუცილებელია [15, გვ.243].

მსოფლიო ვაჭრობის ახალი ფორმების ადგილი და როლი, რომელიც უმეტესად განპირობებულია მსოფლიო ეკონომიკისა და ვაჭრობის ტრანსნაციონალიზაციით, შეიძლება სქემტურად წარმოვიგინოთ შემდეგი სახით (იხ. დიაგრამა 2).

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის მოქმედი საგარეო-სავაჭრო გარიგებების მექანიზმები უფრო რთული და დახვეწილი ხდება. აღმოსავლეთი და სამხრეთი აფრიკის ქვეყნებმაც დაიწყეს მრავალმხრივი საკომპენსაციო სისტემის გამოყენება.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ სამმხრივი საფინანსო კომპენსაციის პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც ქვეყანა-ექსპორტიორისთვის გადახდა ხორციელდება მისთვის მისაღები (სავალუტო კრედიტების ან პროდუქციის) ტრანსფერის ფორმით, რომელსაც იმპორტიორი მესამე ქვეყნის მიმართ ახორციელებს. სხვა სიახლე ე.წ. საკომპენსაციო ობლიგაციების გამოშვება, რაც პირველად ინდონეზიასა და ავსტრალიაში იქნა გამოყენებული.

დიაგრამა 2

საერთაშორისო ვაჭრობის ფორმები[1]



[1] *შედგენილია ავტორის მიერ*

საერთაშორისო ორგანიზაციები საკომპენსაციო გარიგებებს განიხილავენ როგორც ორმხრივი ურთიერთობის პალიატიურ (დასახული ამოცანის დროებითი, ნაწილობრივი გადაწყვეტის) მეთოდს. მსოფლიო ვაჭრობაში ფულის მონაწილეობის გარეშე გარიგებების უპირატესობა აიხსნება იმით, რომ საკომპენსაციო გარიგებებს შეუძლია მნიშვნელოვნად შეარბილოს გლობალური კრიზისებით გამოწვეული ისეთი ნეგატიური ეფექტები, როგორიცაა: საერთშორისო ვაჭრობის ზდის ტემპის შენელება და არასტაბილურობა; ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ბაზრის მზარდი არამდგრადობა; სავალუტო კურსების არამდგრადობა; ნეოპროტექციონიზმის ზრდა მსოფლიო ვაჭრობაში; მაღალი დავალიანება ზოგიერთი განვითარებული, მრავალი განვითარებადი, აღმოსავლეთი ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებში; საკომპენსაციო გარიგების სისტემა უზრუნველყოფს სანედლეულო საქონლით მომარაგების უსაფრთხოებასა და სტაბილურობას. იგი წარმოადგენს ურთიერთსასარგებლო ინსტრუმენტს, როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნებისთვის;

საკომპენსაციო გარიგებები და ბარტერი შესაძლოა წარმოადგენდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ალტერნატივას, გარიგებების გარკვეული ხარჯების კუთხით. დასავლური ტექნოლოგიისა და ტექნიკის შეღწევა აღმოსავლეთ ბაზრებზე მნიშვნელოვანწილად სწორედ, საკომპენსაციო გარიგებების მეშვეობით ხდება [16, გვ. 105-130]. საკომპენსაციო გარიგებების საფუძველზე ხორციელდება ჩრდილოეთსა და სამხრეთის ქვეყნებს შორის ურთიერთობის განვითარება და საწარმოო თანამშრომლობის შესაძლებლობების ძიება.

* * *

დასასრულ, დასკვნის სახით აღვნიშნავთ შემდეგს: საკომპენსაციო გარიგებებში სამრეწველო პროდუქტის როლში შეიძლება ერთობლივი განვითარების პროექტები და ტექნიკისა და ტექნოლოგიის სფეროში თანამშრომლობა გამოდიოდეს. საკომპენსაციო გარიგებები სამრეწველო პროდუქტებზე წარმოიქმნა, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის გართულებაზე საპასუხო ქმედება. დღეს ის გვევლინება, როგორც გამოსავალი პერიოდულად გამწვავებული კრიზისული სიტუაციებიდან. საკომპენსაციო გარიგებებმა მნიშვნელოვანად შეცვალა საერთაშორისო ვაჭრობის სქემა. უფრო ფუნდამენტური ჭრილით, საერთაშორისო ვაჭრობამ და საერთაშორისო კონკურენციამ საკომპენსაციო გარიგებების ზემოქმედებით განიცადა ისეთი ცვლილებები, რამაც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურის სიღრმეებში შეაღწია. განვითარებული ეკონომიკების ინტეგრაციის ფონზე შეიზღუდა ქვეყნების ეროვნული სუვერენიტეტები და დაქვეითდა რეგულირების ეროვნული პოლიტიკის ეფექტიანობა. საერთაშორისო ასპექტით ამას არ გამოუწვევია დეზინტეგრაცია, პირიქით, განაპირობა ურთიერთდამოკიდებულების ზრდა მსოფლიო ეკონომიკაში ცალკეული სახელმწიფოების როლის ცვლილების გზით. სწორედ შემხვედრი და ბარტერული ტრანზაქციების ტექნოლოგიებმა კიდევ უფრო გააძლიერა შიგადარგობრივი ვაჭრობა და ურთიერთდამოკიდებულება როგორც ფირმებს, ასევე დარგებს შორის.

ჩვენი აზრით, ამ პროცესში საქართველო ცდილობს გააკეთოს სწორი არჩევანი საგარეო ვაჭრობის ეფექტიანი სტრუქტურისა და სწორი, საბოლოო მიზანზე ორიენტირებული სავაჭრო პოლიტიკის ჩამოყალიბების კუთხით.

რაც უფრო ინტენსიურია სავაჭრო ნაკადები ქვეყნებს შორის, მით უფრო ფატალურია მათი შემცირების შედეგები, განსაკუთრებით მცირე ღია ეკონომიკის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის. ასეთ სიტუაციაში მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო საფინანსო და სავაჭრო ორანიზაციების როლი. მათ უნდა შეიმუშაონ ერთიანი პოლიტიკა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სავაჭრო ტრენდების შემცირება და დაისახოს გრძელვადიანი სტრატეგიები მომავალი უსაფრთხო განვითარებისთვის.

მიმდინარე გლობალური კრიზისებისა და გეოპოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, საქართველოსთვის უალტერნატივოა რეგიონულ გაერთიანებებსა და მსოფლიო სავაჭრო სისტემებში ინტეგრირების გზა, რასაც დიდად შეუწყობს ხელს უახლესი სავაჭრო ტექნოლოგიების გამოყენება.

ლიტერატურა:

1. Posner, M.V. International Trade and Technical Change, *Oxf. Econ. Pap*. 13. 1961.
2. Kemp M. C. The Pure Theory of international Trade. Prentice-Hall, Englewood Cliffs NJ. Inc. 1964.
3. Krugman P. Increasing Returns, Monopolistic Competition, and International Trade. *Journal of International Economics*. 1979 No9.
4. Balassa B. Trade Creation and Trade Diversion in the European Common Market// Economic Journal. – 1967. - March – Intra-Industry Specialization: a Cross-Country Analysis//European Economic review 30.- 1986. – No. 1.
5. R.Vernon, The technology factor in Internationa economics. *The Journal of Political Economy*. February. 1967. Vol.67. №1.
6. Портер М. Международная конкуренция: конкурентные преимущества стран. / Пер. с англ. - М.: Международные отношения. 1993
7. Balassa B. Growth Strategies in Semi-Industrial Countries. *The Quarterly Journal of Economics*. February 1970.
8. Helpman E. The Structure of Foreign Trade. NBER Working Paper No.6752.-Cambridge. Ma, 1998.
9. Helpman E. Imperfect Competition and International Trade: Evidence from fourteen Industrial Countries. Journal of the Japanese and International Economics. 1987.
10. Grubel, H. G., Lloyd P. *Intra-Industry Trade: The Theory and Measurement of International Trade in Differentiated Products*. London: MacMillan. 1975.
11. World Trade Report 2013. WTO; https://www.wto.org/english/res_e/booksp_e/world_trade_report13_e.pdf.
12. Hellwin L. Trade policy and distortions in intra – Asian trade //Appl. economics. - L., 1995» - vol. 27, N11,
13. WTO: 2011 News items, Economic Research and Analysis https://www.wto.org/english/news_e/news11_e/rese_03oct11_e.htm.
14. Krugman, P., Intra-industry Specialization and the Gains from Trade . *Journal of Political Economy.* 1987. No. 5
15. Linder S. An Essay on Trade and Transformation. – N.Y., 1961.
16. Bernard A. B.,. Jensen J. B,. Redding S. J, and. Schott P. K . Firms in International Trade. *Journal of Economic Perspectives* 21, 3. 2007.

The Importance of International Trade Technologies for Small Open Economics

Tamta Mikaberidze

Doctoral Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
E-mail: mikaberidzetamta@gmail.com

The development of the world economy amid the global crisis is characterized by a rise in the integration. Depending on such processes, the developing countries require special support and development of international trade in order to save their economies.

The present paper aims to discuss and investigate the importance and role of advanced international trade technologies for small open developing countries, to analyze the impact of new theories of international trade, new forms and trends, technical instruments and facilities of the trade on the background of trans-nationalization and integration in the global economy.

This paper emphasizes the importance and advantages of the use of compensation transactions and counter trade for countries with small open economies (including Georgia), why those transactions are the mutually beneficial instrument both for developed and developing countries, especially amid the integration in the modern global economy and the global downturn.

Keywords: Intra-industry trade, compensation transactions, trans-nationalization, trade technologies.
JEL Codes: F40, F41, F43, N70

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 3, გვ. 218-222
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 3, pp. 218-222

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია
CRITICISM AND BIBLIOGRAPHY

გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ფუნდამენტური გამოკვლევა

საფინანსო-საკრედიტო და საბანკო ურთიერთობების აღიარებული მკვლევარის, პროფესორ ირაკლი კოვზანიძის კალამს ბევრი საინტერესო სამეცნიერო ნაშრომი ეკუთვნის, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საფინანსო და საბანკო კრიზისებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები. სარეცენზიო ნაშრომი* მესამე მონოგრაფიაა, რომელიც ასრულებს გამოკვლევათა ციკლს და სრულყოფილად სისტემურ ხასიათს ანიჭებს მეცნიერის მიერ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გაწეულ შრომას. ამასთან ერთად, პროფ. ი. კოვზანაძის ახალ მონოგრაფიას, წინა ნაშრომებისგან განსხვავებით, მკვეთრად გამოხატული თეორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათი გააჩნია და საკვლევი პრობლემისადმი ისტორიულ-ლოგიკური მიდგომების ერთიანობას ემყარება.

ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება 2007-2009 წლების გლობალური კრიზისის მიზეზების, ფაქტორების და სოციალურ-ეკონომიკური შედეგების ანალიზს. საკითხების გადმოცემა იწყება მსოფლიო ეკონომოკური კრიზისების რეტროსპექტიული მიმოხილვით, რომლის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: ეკონომიკური კრიზისი წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება-განვითარების ბუნებრივ-ისტორიულ ფორმას (წესს).

პირველი თავის მეორე პარაგრაფში საფუძვლიანადაა განხილული ეკონომიკური კრიზისის შესახებ სხვადახვა მიმართულების თვალსაჩინო მეცნიერ-ეკონონომისტების შეხედულებები. კერძოდ: ნ. დ. კონდრატიევის "კონიუნქტურის დიდი ტალღების თეორია", კ. ჟუგლარის საშუალო ვადიანი და რ. კიჩენის მოკლე ვადიანი ციკლები. ცალკე ადგილი ეთმობა "კაპიტალიზმის მხსნელის" – ჯ. მ. კეინზის მოსაზრებებს ეკონომიკური კრიზისის მექანიზმის და ანტიკრიზისული ღონისძიებების შესახებ. სათანადო ყურადღებაა გამახვილებული მონეტარისტების (მ. ფრიდმანი, კ. ბრუნერი. ა. მელცერი და სხვ.), ავსტრიული ეკონომიკური სკოლის(კ. მენგერი, ო. ფონ-ბავერკი, ლ. ფონ-მიზერი, მ. როტბარდი, ა. ფონ-ჰაიეკი და სხვა.) კონცეფციებზე ეკონომიკურ ციკლებთან მიმართებაში. სრულიად მართებულად მიგვაჩნია დასახელებული ავტორების გვერდით კ. მარქსის მოხსენიება, რომელიც საყოველთაოდაა აღიარებული კრიზისების თეორიის კვლევის ერთ-ერთ კალსიკოსად.[1]

1 И. Ковзанадзе. Уроки Мирового Экономического Кризиса и формирование новой модели развития. Тбилиси, 2016,217стр.

პირველი თავის მესამე პარაგრაფი მთლიანად ეთმობა გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის აღმოცენების კანონზომიერებების, განვითარების ეტაპების და სოციალურ-ეკონომიკური შედეგების ანალიზს. ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ თავისი სიმწვავითა და სიღრმით ეს კრიზისი შეიძლება შედარდეს 1929-1933 წლების "დიდ დეპრესიას" და სწორედ ამის გათვალისწინებით მიიღო მან "დიდი დეპრესიის" სახელწოდება. ავტორი წერს, რომ კრიზისის უშუალოდ წინა პერიოდში აშშ ხელისუფლების მიერ გატარებული მასტიმულირებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა იმ მიზნიდან გამომდინარეობდა, რომელიც ჯერ კიდევ ბ. კლინტონის ადმინისტრაციის მიერ იყო დასახული და ითვალისწინებდა აშშ-ში "საკუთრებაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნას." ამ მიზნის შესაბამისად, ჯ. ბუშის ადმინისტრაციამ პრაქტიკული ღონისძიებების გატარება დაიწყო, რის შედეგადაც 2006 წელს იმ ამერიკელთა ხვედრითმა წილმა, რომლებიც ფლობდნენ საკუთარ სახლებს 69%-ს მიაღწია და ბოლო ათი წლის მანძილზე 4%-ით გაიზარდა(გვ.52). ბინის მფლობელთა რიცხოვნობის ზრდა ძირითადად მიმდინარეობდა ე.წ. "სუბპრაიმ" – ნაკლებად უზრუნველყოფილი, ნაკლებად საიმედო ან არასაიმედო კრედიტების გაცემის გზით, რაც თავისთავად კრიზისის დაწყების მაღალი რისკის შეცველი იყო. ნაშრომში სკრუპულოზურადაა აღწერილი იპოთეკურ ბაზართან დაკავშირებული ფინანსური ინსტიტუტების – ბანკების, საინვესტიციო კომპანიების, სადაზღვევო და ჰეჯ-ფონდების საქმიანობაში სერიოზული ფინანსური სიძნელეების წარმოქმნის პროცესი, რომელიც ხშირ შემთხვევაში მათი გაკოტრებით დასრულდა. ნაჩვენებია, რომ ასეთი პროცესები განვითარდა როგორც აშშ-ში, ასევე ევროკავშირის ქვეყნებში, რაც იმას ნიშნავს, რომ აშშ იპოთეკურ ბაზარზე წარმოშობილმა კრიზისმა გლობალური ფინანსური კრიზისის ხასიათი შეიძინა. ამასთანავე, 2007 წლის აგვისტოდან დაიწყო ფინანსურ სფეროში არსებული კრიზისის გავრცელება არაფინანსურ სექტორში და ფინანსური კრიზისი საყოველთაო ეკონომიკურ კრიზისისში გადაიზარდა, რომელმაც ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში(საბერძნეთი, ისლანდია, უნგრეთი, ლატვია) პოლიტიკურ კრიზისსაც დაუდო სათავე. პროფ. ი. კოვზანიძე ჯეროვან ყურადღებას უთმობს მთავრობათა მიერ გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებების აღწერას. საუბრობს "რბილ ნაციონალიზაციაზე", რომელშიაც იგულისხმება გაკოტრების წინაშე მდგარი კომპანიების აქტივების დიდი ნაწილის შესყიდვა სახელმწიფოს მიერ, ცენტრალური ბანკების მიერ რაოდენობრივი შერბილების (Quantitive easing, QE) პროგრამების ამოქმედება და სხვ. ანტიკრიზისული ღონისძიებები ხორციელდებოდა როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივ, ასევე გლობალურ დონეზე. მაგალითად, ძალიან მნიშვნელოვანი იყო GG.20-ის რეგულარული შეხვედრები რომელთა შესახებ ვრცლადაა მოთხრობილი სარეცენზიო ნაშრომში.

ვფიქრობ, უაღრესად საყურადღებოა პირველი თავის მეოთხე პარაგრაფი, რომელშიაც ავტორი მსჯელობს გლობალური ფინანსური კრიზისის სიღრმისეულ მიზეზებზე. აქცენტი კეთდება "დერეგულირების, ფინანსური ინოვაციებისა და ბიზნესის სპეკულატიური ხასიათის სახიფათო ტრიადაზე"(გვ.74). უნდა შევნიშნოთ,

რომ ტრიადის თითოეული წევრი უშუალოდაა დაკავშირებული დანარჩენ სხვა წევრთან და გარკვეული აზრით, ისინი განაპირობებენ ერთმანეთს. ეკონომიკის საყოველთაო დერეგულირებამ, რომელიც 1970-იანი წლებიდან დაიწყო და განსაკუთრებით ფინანსური სექტორი მოიცვა, განაპირობა ფინანსური ინოვაციების-დერივატივების ფეთქებადი ზრდა. განხორციელდა ეკონომიკური სისტემის ფინანსებიზაცია და ეკონომიკურ ლიტერატურაში დამკვიდრდა "დერივატული კაპიტალიზმის", "დერივატული რევოლუციის", "სეკურიტიზაციის კრიზისის" ცნებები.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები (ფიუჩერსები, სვოპები, ვარანტები და ა.შ.), რომლებიც მათი შემქმნელების მიერ აღიქმებოდა ფინასური რისკებიდან თავდაცვის საშუალებად, თავად გახდნენ ახალი რისკების წყარო, რამეთუ მათ განაპირობეს ფინანსური ოპერაციების უკიდურესი გართულება და ფინანსური სფეროს გაუმჭირვალობის გაზრდა. დერივატივები ასევე გადაიქცა სპეკულატიური ოპერაციების არნახულად გაფართოების ინსტრუმენტად. 1990-იანი წლების დასაწყისში, როგორც ნაშრომშია აღნიშნული, სპეკულატიური კაპიტალის მოძრაობა უკვე ახდენდა მადესტაბილიზებელ ზემოქმედებას ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკაზე (გვ.90) და შესაბამისი მაგალითებიცაა მოყვანილი. სპეკულატიური ოპერაციების გაფართოებასთან პირდაპირ კავშირში განიხილება "მორალური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების" (moral hazard) პრობლემა, რასაც განსაკუთრებით ფინანსურ სფეროში ჰქონდა ადგილი. კერძოდ: "ბანკებისა და ფინანსური კომპანიების მენეჯერები, საიპოთეკო ბროკერები, თითქოსდა, ვერ ამჩნევდნენ სტრუქტურირებული პროდუქტებიდან შექმნილი ფინანსური პირამიდის უსწრაფეს ზრდას, ვინაიდან ასეთ ოპერაციებს სწრაფი და მნიშვნელოვანი მოგება მოჰქონდა, რომლისგანაც მათი ანაზღაურება ხდებოდა" (გვ.91). მორალური ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, დერეგულირებასთან, ფინანსურ ინოვაციებთან და სპეკულაციასთან ერთად ფინანსური კრიზისის წარმოშობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობა გახდა.

პროფ. ი. კოვზანაძის მონოგრაფიის მეორე თავი შეიცავს მრავალფეროვანი ანტიკრიზისული ღონისძიებების აღწერა-შეფასებას. როგორც ცნობილია აშშ-ის ხელისუფლების დამოკიდებულება კრიზისთან მიმართებაში გარკვეულ მეტამორფოზას განიცდიდა. კერძოდ, "ლემონ ბრაზერსი" – ერთ-ერთი უმსხვილესი საინვესტიციო ბანკი – კრისზისის გამო გაკოტრების წინაშე აღმოჩნდა და დახმარებისთვის მიმართა აშშ ფინანსთა სამინისტროს და ფედს, რომლებისგანაც უარი მიიღო. აღმასრულებელი და მონეტარული ხელისუფლება იმ დროს მიიჩნევდა, რომ კერძო სტრუქტურის ბედ-იღბალი საბაზრო ძალების თამაშის ჩარჩოში უნდა გადაწყვეტილიყო. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ნათლად აჩვენა ასეთი მიდგომის მცდარობა. "ლემონ ბრაზერსის" გაკოტრება, ფაქტობრივად, კრიზისული ჯაჭვის მაპროვოცირებელი ფაქტორი გახდა. მოგვიანებით ხელისულებამ დაიწყო მძიმე სიტუაციაში მყოფი ბანკებისა და კომპანიების ფინანსური დახმარება. ნაშრომში საფუძვლიანადაა გაანალიზებული ანტიკრიზისულ ღონისძიებათა მთელი პაკეტი: მთლიანად ეკო-

ნომიკასა და მის ფინანსურ სექტორში ლიკვიდობის მხარდაჭერა, საფინანსო და საკრედიტო ანსტიტუტების რესტრუქტურიზაცია, ეკონომიკისა და სოციალური სფეროს მხარდაჭერის ღონისძიებები, რეიტინგული სააგენტოების საქმიანობის რეგულირების გაძლიერება.

მესამე თავში, არსებითად, გრძელდება წინა თავის პრობლემების განხილვა და აქცენტი გადატანილია ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დონეზე (აშშ, დიდი ბრიტანეთი) და გლობალური მასშტაბით განხორციელებულ და გასატარებელ ინტიტუციურ და რეგულაციურ რეფორმებზე. გლობალურ დონეზე რეგულირების ინტიტუციური კარკასის შესაქმნელად უაღრესად მნიშვნელოვანია ფინანსური სტაბილურობის საბჭოს (Financial Stability Board) როლი. ასევე მნიშვნელოვანია საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის (შეთანხმებები ბაზელი I, ბაზელი II, ბაზელი III) რეკომენდაციების ზუსტი და თანმიმდევრული შესრულება. ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი ის მოთხოვნები, რომლებიც ბაზელის კომიტეტიდან მომდინარეობს, ნაჩვენებია მათი მნიშნელობა შეთანხმების მონაწილე ქვეყნებში საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუბნების თვალსაზრისით და ყურადღება გამახვილებულია ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე.

იმის მიუხედავად, რომ პროფ. ი. კოვზანაძის სარეცენზიო ნაშრომი გლობალური ეკონომიკის პრობლემებს ეძღვნება, მისი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა საქართველოს ეკონომიკისა და მისი საბანკო სექტორის განვითარების ტენდენციები, რომელსაც ნაშრომის მეოთხე თავის მეხუთე პარაგრაფი ეძღვნება. ზოგადი ეკონომიკური სიტუაციის მიმოხილვის ფონზე დაფიქსირებული ის მოცემულობა, რომ საბანკო სფერო კვლავ ინარჩუნებდა მოწინავე პოზიციას. ამასთან ერთად, საუბარია პრობლემებზეც, რომლებიც საბანკო სისტემას "მოწყვლადს ხდიდა ეკონომიკაში მომძლავრებული ნეგატიური პროცესების მიმართ"(გვ.221). მათ შორის პირველ რიგში დასახელებულია ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი დონე, რომელსაც ბოლო წლებში შემცირების ტენდენცია ახასიათებდა, თუმცა, იმპორტზე ძლიერი დამოკიდებულებიდან და სავაჭრო ბალანსის მწვავე დეფიციტიდან გამომდინარე, კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩებოდა. ასევე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა საოჯახო მეურნეობების საკრედიტო დავალიანების სწრაფი ზრდა, რომელმაც 2015 წლის 1 აგვისტოს მონაცემებით, 6,9 მლრდ ლარზე მეტი შეადგინა და 2010 წელთან შედარებით 1,6-ჯერ გაიზარდა(გვ.222). რა თქმა უნდა, საქართველოს საფინანსო-საბანკო სფეროს წარმატება გაცილებით შთამბეჭდავი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო გლობალური ფინანსური კრიზისისა და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვსიტოს ომის უაღრესად უარყოფითი ზეგავლენა, რომლის შერბილებას დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდა.

საგანგებოდ შევჩერდებით ნაშრომის ბოლო, მეხუთე თავზე, რომელშიაც გადმოცემულია ეკონომიკური განვითარების ახალი მოდელის შექმნისა და გლობალურ დონეზე სოციალ-ეკონომიკური დინამიკის საკითხები. აღსა-ნიშნავია, რომ თანამედროვე პირობებში ეკონომიკური თეორია მესამედ დადგა ეკონომიკური განვითარების პარადიგმის ცვლილების აუცილებლობის

წინაშე. წინა ორი ცვლილება მეოცე საუკუნეს უკავშირდება. 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა არა მარტო კატასტროფის წინაშე დააყენა კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკა, არამედ დიდი ინტელექტუალური ჩავარდნაც გამოიწვია. შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი მოიძებნა პარადიგმულ ცვლილებაში - ავტომატურ რეჟიმში თვითრეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის მოდელიდან კეინზის რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის დოქტრინაზე გადასვლაში. 1970-იანი და 1980-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელსაც წინ უძღოდა მწვავე ენერგეტიკული კრიზისი, ახალი პარადიგმული ცვლილება - კენზიანური დოქტრინიდან ნეოკლასიკურ "საბაზრო ფუნდამენტალიზმის" დოქტრინაზე გადასვლა გამოიწვია. ამჟამად ეკონომისტებს შორის გაცხოველებული დისკუსია მიმდინარეობს საკითხზე ჯ გამოიწვევს თუ არა 2007-2008 წლების გლობალური კრიზისი ახალ პარადიგმულ ცვლილებას ეკონომიკურ მეცნიერებაში და თუკი პასუხი დადებითია, რა მიმართულებით მოხდება ეს ცვლილება. სწორედ ამ კონტექსტში ცდილობს პროფ. ი. კოვზანიძე საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, რაც ჩვენი აზრით, მოსაწონი და მხარდასაჭერი მეცნიერული სიახლეა.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ი. კოვზანიძის მონოგრაფია "მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გაკვეთილები და განვითარების ახალი მოდელის ფორმირება" მართლაც გამორჩეული ნაშრომია თავისი მენიერული სიღრმით, საკითხთა ფართო სპექტრის მომცველობით და ნოვატორული იდეების სიუხვით. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იგი ჯეროვან ადგილს დაიმკვიდრებს გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პრობლემებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ მეცნიერულ გამოკვლევებს შორის. რუსულ ენაზე მისი გამოცემა მეცნიერის ნააზრევს ხელმისაწვდომს გახდის მკითხველთა ძალიან ფართო წრისათვის და ამ კონტექსტში, ვფიქრობთ, სასურველი იქნება მომავალში წიგნის ინგლისურ ენაზე გამოცემა.

ელგუჯა მექვაბიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ეკონ. მეცნ. დოქტორი

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 2, გვ. 223-225
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 2, pp. 223-225

ჩვენი იუბილარები
OUR ANNIVERSARIANS

პროფესორ რევაზ კაკულია – 80

ცნობილ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტს და სახელმწიფო მოღვაწეს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **რევაზ კაკულიას** დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. მისი ხანგრძლივი ცხოვრება და საქმიანობა სახელმწიფო თუ სამეცნიერო და პედაგოგიურ ასპარეზზე საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო შენს ქვეყანას, შენს ხალხს და იღვაწო ნათელი მომავლისათვის.

დარწმუნებული ვარ, რომ პროფესორ რევაზ კაკულიას მეცნიერულ, პედაგოგიურ, სახელმწიფოებრივ საქმიანობას იმდენად კარგად იცნობს საქართველოს ფართო საზოგადოება, რომ ჩემი შთაგონებები მისი პიროვნების დახასიათებისათვის ბევრს ვერაფერს ნიშნავს.

რევაზ კაკულიას სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობა ყოველთვის გამოირჩეოდა შემოქმედებითი ხასიათით. ის ხშირად იყო (დღეს, სამწუხაროდ, არა) ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან და ამოცანებიდან გამომდინარე მაღალი დონის სახელისუფლო საფინანსო-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შემუშავების ერთ-ერთი, თანაც წამყვანი თანაავტორი.

რევაზ შალვას-ძე კაკულია დაიბადა 1936 წლის 1 სექტემბერს, აბაშის რაიონის სოფელ ნორიოში.

მამა - შალვა კაკულია დაიღუპა მე-2 მსოფლიო ომში. დედა - მარიამ გვაზავა ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

რევაზ კაკულიამ 1954 წელს ვერცხლის მედალზე დაამთავრა დაბა აბაშის ვაჟთა საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელიც 1959 წელს წარჩინებით დაამთავრა.

ბატონმა რევაზ კაკულიამ პრაქტიკული საქმიანობის პარალელურად სწავლა განაგრძო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ,,ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის“ სპეციალობით და 1966 წელს - საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1993 წელს დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი თემაზე: ,,საქართველოს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის ფინანსური პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები საბაზრო ურთიერთობის პირობებში. მას 1996 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

რევაზ კაკულიას, როგორც ფართო დიაპაზონის მეცნიერ-მკვლევარს, თავის მონოგრაფიებსა და სხვა ნაშრომებში (გამოქვეყნებული აქვს 200-მდე ნაშრომი, რომელთაგან 10 მონოგრაფიაა და 25 სახელმძღვანელო), ორიგინალურად და საქმის ცოდნით აქვს განხილული ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ძირეული პრობლემები.

პროფესორ რევაზ კაკულიას კვლევის ობიექტებია: საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის სრულყოფა, საბაზრო ეკონომიკა, აგროსამრეწველო კომპლექსის მეურნეობრიობის სრულყოფა, დარგთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობები და სხვა.

რევაზ კაკულია ხუთი ათეული წლის მანძილზე თავის მდიდარ თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას ახმარდა ქვეყნის ეკონომიკისა და ფინანსების განმტკიცებას, აქტიურად მონაწილეობდა ეკონომიკური რეფორმებისა და ექსპერიმენტების განხორციელებაში, განსაკუთრებით - აგროსამრეწველო კომპლექსის სფეროში.

პროფესორი რევაზ კაკულია 1964 წლიდან დღემდე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც კითხულობდა და კითხულობს: ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, ეკონომიკური თეორიის, საგადასახადო საქმის და ფინანსების კურსებს. იგი წლების მანძილზე იყო ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.

პროფესორმა რევაზ კაკულიამ თავის გამოკვლევებში წარმოაჩინა, რომ ეკონომიკური კავშირების მოშლამ, ეროვნებათაშორისო შუღლმა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამ და 300 - ათასიანმა ლტოლვილთა მოვლა-პატრონობამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ 1994 წელს მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობამ 1990 წლის დონის მხოლოდ 27,5%, ხოლო 2010 წლისათვის - 76,8% შეადგინა.

საინტერესოა პროფესორ რევაზ კაკულიას მეცნიერულ-კვლევით საქმიანობაში მიღწეული შედეგები.

ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იან წლებში, ცენტრალიზებული გეგმიანი ეკონომიკის პირობებში, მან დაამუშავა და მისი ხელმძღვანელობით დაინერგა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რენტაბელობის ამაღლების კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ეყრდნობოდა ,,შიგა რესპუბლიკურ დოტაციას“.

სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონაში არსებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სამეურნეობათაშორისო საწარმოების მეურნეობრიობის ეკონომიკური პირობების გამოთანაბრების მიზნით, მის მიერ დამუშავებული და მთავრობის დადგენილებით XX საუკუნის 70-იანი წლებიდან შემოღებული იქნა საზოგადოებრივ მეურნეობებს შორის წმინდა შემოსავლის

გადანაწილების ახალი სისტემა. ეკონომიკურად ძლიერი საზოგადოებრივი მეურნეობებიდან: ჩაის, ციტრუსების, ყურძნის, ხილის, დაფნის, თამბაქოს და სხვა მაღალრენტაბელური პროდუქციის შესყიდვის ფასების შემცირების გზით, იქმნებოდა რესპუბლიკაში სათანადო სარეზერვო ფონდი სპეციალური დოტაციის ფონდის ანგარიშზე. რესპუბლიკის მთავრობის მიერ ყოველწლიურად მტკიცდებოდა იმ ზარალიან მეურნეობათა სია, რომელთაც ეძლეოდათ დოტაცია სახელმწიფოსათვის მიყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქტების მთლიანი ამონაგების მოცულობის 5-დან 70 %-მდე. ამით რესპუბლიკაში გამოინახა ისეთი მექანიზმი, რომლითაც მომგებიან მეურნეობებში შექმნილი წმინდა შემოსავლის (მოგების) გადანაწილება ხდებოდა ზარალიანი მეურნეობების ეკონომიკური განმტკიცებისათვის.

პროფესორი რევაზ კაკულია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა: ფინანსების, სახელმწიფო ბიუჯეტის და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფორმირების პრობლემებს. ეს სწორედ ის პრობლემებია, რომელთა შესწავლაც პროფესორ რევაზ კაკულიას სამეცნიერო-კვლევითი კონცეფციის მთავარი მიზანია.

მეტად საინტერესოა მის მიერ უკანასკნელ პერიოდში საქართველოს მაგალითზე დამუშავებული ფინანსური ეკონომიკის მეცნიერული კვლევის ახალი მიმართულება, რასაც იგი კვლავაც აგრძელებს.

პროფესორი კაკულია თავის ნაშრომებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ღრმა ეკონომიკური კრიზისი, რომლის მარწუხებშიც არის ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება მოქცეული, შესაძლებელია აღმოფხვრილი იქნეს ხოლოდ საგანგებო ღონისძიებების გატარებით, რაც მიმართული იქნება წარმოების დაცემისა და მოსახლეობის გაღატაკების დასაძლევად, ეროვნული ეკონომიკის არსებული სტრუქტურების რადიკალურად შესაცვლელად მეორე ქვედანაყოფის სასარგებლოდ. ამისათვის აუცილებელია სოციალური საბაზრო მეურნეობის ფორმირება და მეცნიერულად დასაბუთებული და მიზანმიმართული სახელმწიფო სტრუქტურული, ინსტიტუციური, საკრედიტო და ფასების პოლიტიკა.

ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევისა და რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის, მისი აზრით, აუცილებელია ეკონომიკის არსებულ მდგომარეობას მიეცეს სწორი, პირუთვნელი და ობიექტური შეფასება; ამის საფუძველზე განისაზღვროს მიზანი, რომლის მისაღწევადაც უნდა შემუშავდეს მწყობრი სისტემა.

დაბოლოს, დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს და კვლავაც წარმატებულ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ვუსურვებთ ბატონ რევაზ კაკულიას.

გედევან ხელაია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

14.09.2016

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 2, გვ. 226-228
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 2, pp. 226-228

* * *

ქართული მეცნიერების დიდი დანაკლისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი და საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 69 წლის ასაკში გარდაიცვალა **იაშა (იაკობ) მესხია** - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის ხელმძღვანელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ქართველ საზოგადოებას, ქვეყნის განვითარების უაღრესად საპასუხიმგებლო ეტაპზე, გამოაკლდა დიდი მამულიშვილი, ნოვატორი, მეცნიერი მაღალი კომპეტენციის მოღვაწე, თვალსაჩინო პედაგოგი, სიკეთით, ადამიანებზე ზრუნვით გამორჩეული მეგობარი, ეროვნული ტრადიციების ერთგული და დიდი ქომაგი.

ბატონ იაშას ცხოვრება რთული და წინააღმდეგობრივი იყო. იგი მეცნიერების წიაღში აღიზარდა და მან გაიარა მეცნიერული საქმიანობის თითქმის ყველა საფეხური - იყო წარჩინებული სტუდენტი, გამორჩეული ასპირანტი, დოქტორანტი. იაშა მესხიამ საქმიანობა დაიწყო უმცროსი მეცნიერმუშაკის თანამდებობაზე და წლების მანძილზე ნაბიჯ-ნაბიჯ განვლო გზა, ყველა საფეხური, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტამდე. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არა მხოლოდ ეკონომიკურმა მეცნიერებამ, არამედ მთლიანად საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებამ დაკარგა უნიჭიერესი მეცნიერ-მკვლევარი, რომელიც ხშირად დროს უსწრებდა ხოლმე, კარგად იცნობდა ეკონომიკური მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს, პრობლემებს, ხედავდა მათი გადაწყვეტის გზებს, ფორმებს, მიმართულებებს.

ბატონ იაშას მეცნიერად ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტმა, მსოფლიოში აღიარებულმა სსრკ ნეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა ეკონომიკურ-მათემატიკურმა ინსტიტუტმა, მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. სწორედ დასახელებულ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებში დაამთავრა ასპირანტურა და დოქტორანტურა, დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო

დისერტაციები მან. ბატონი იაშას მეცნიერად ფორმირებაში დიდი ღვაწლი აქვთ მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერებს, მის მასწავლებლებს და შემოქმედებით მეგობრებს: ნობელის პრემიის ლაურეატს ლეონიდ კანტოროვიჩს, აკადემიკოსებს აბელ აგანბეგიანს, ნიკოლოზ ფედორენკოს, სტანისლავ შატალინს და სხვებს.

ბატონმა იაშამ სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო საქართველოს საგეგმო კომიტეტთან არსებულ ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ მუშაკად და წლების მანძილზე იყო ამავე ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, განყოფილების გამგე და დირექტორი.

ბატონი იაშა 1985 წელს ინიშნება სსრკ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის აღრიცხვის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორად. სხვადასხვა დროს მუშაობდა ეკონომიკისა და ფინანსთა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ფინანსთა და სტატისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელად. აღნიშნულ თანამდებობებზე წარმატებულმა საქმიანობამ განაპირობა ბატონი იაშას აქტიური ჩართვა დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის პრობლემების დაუშავებასა და გადაწყვეტაში. მისი მეცნიერული შრომების დიდი ნაწილი სწორედ აღნიშნულ თემატიკას ეძღვნება. ამ პერიოდში მკაფიოდ და მასშტაბურად გამოვლინდა ბატონ იაშას უნიკალური ორგანიზატორული თვისებები, სამეცნიერო პოტენციალის მობილიზების და პრობლემების ფართო ხედვა, მეცნიერულ ლოგიკაზე დაფუძნებული მიდგომების მასშტაბები, რთულ საზოგადოებრივ პროცესებში ღრმად წვდომის უნარი. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა - საზოგადოებამ იგი ფართო ერუდიციის, ნოვატორული მიდგომებით გამორჩეულ მეცნიერ-მკვლევარად აღიარა. იგი გახდა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (2004) და ორჯერაა დაჯილდოებული ღირსების ორდენით (2001 და 2014).

ბატონ იაშა აქვს გამოქვეყნებული 400-მდე სამეცნიერო ნაშრომი ქართულ და უცხო ენებზე, მათ შორის 35 მონოგრაფია და სახელმძღვანელო. მას მონაწილეობა აქვს მიღებული 40-ზე მეტ ადგილობრივ და საერთაშორისი სამეცნიერო კონფერენციაში, მათ შორის ესპანეთში, თურქეთში, პოლონეთში, გერმანიაში და ა.შ.

სხვადასხვა წლებში იაშა მესხია იყო საქართველოში გამომავალი თითქმის ყველა სამეცნიერო და ორი უცხოური ჟურნალის სარედაქციო კოლეგიების წევრი. მისი მთავარი რედაქტორობით გამოიცემოდა ჟურნალები: „გადასახადები“ და „ფინანსური კონტროლი“.

ბატონი იაშა სტუდენტი-ახალგაზრდობის აღზრდის პროცესში ახალგაზრდობიდან ჩაერთო. იგი ლექციებს კითხულობდა ქვეყნის სხვადასხვა სასწავლებელში. იყო კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორი, თბილისის საფინანსო-ეკონომიკური აკადემიის რექტორი, ქუთაისის წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის კათედრის გამგე. უკანასკნელ წლებში ხელმძღვანელობდა ივ. ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათადრას. პედაგოგიურ სამუშაოზე გამოავლინა ლექტორის, აღმზრდელის საუკეთესო თვისებები: ღრმა ცოდნა, გამჭრიახობა, კომუნიკაციის უნარი, დამაჯერებლობა და სხვ. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. ბატონი იაშა სტუდენტ ახალგაზრდობაში მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ბატონი იაშა დიდი ნიჭის, ღრმა ცოდნის, კრეატიული აზროვნების წყალობით მუდამ ავლენდა დროის გამოწვევებით განპირობებულ სიტუაციებში ადეკვატური მოქმედების უნარს. იგი თავისი ცხოვრების წესით ყოველთვის დროის მოთხოვნების დონეზე იყო. ეს კარგად გამოჩნდა უაღრესად რთულ სიტუაციაში სახელმწიფოს მართვის ერთ-ერთ ცენტრალურ რგოლში - კონტროლის პალატის ხელმძღვანელად მუშაობისას. აქ გამოვლინდა მისი პრინციპულობა, საქვეყნო საქმისადმი ერთგულება, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის სულისკვეთება, განსაკუთრებით, ეკონომიკური უსაფრთხოების ყოველმხრივ დაცვის უნარი, მან მუშაობის საკუთარი სტილით დაადასტურა, რომ იგი დიდი ერუდიციის მოღვაწედ ჩამოყალიბდა.

მაღალი ნიჭი, შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა, თავმდაბლობა, პასუხისმგებლობა, საქმიანობის ყველა ეტაპზე და სიტუაციაში, ადამიანებზე ზრუნვის მომადლებული უნარი, ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულება ერთ მთლიანობაში ქმნიდა მის პიროვნულ მომხიბვლელობას, რაც საზოგადოებაში მას უქმნიდა ლიდერი პიროვნების სტატუსს. იაშა მესხია ნდობის კაცი იყო.

ბატონმა იაშამ განვლო ღვთის და განგების მიერ მისთვის გამოყოფილი ცხოვრების გზა ღირსეულად, როგორც ჭეშმარიტმა მეცნიერმა, აქტიურმა მოქალაქემ, ერთგულმა მეგობარმა და უბრალოდ ღირსეულმა პიროვნებამ.

გვჯერა, რომ იაშა მესხიასნაირ პიროვნებას ქვეყანა არ დაივიწყებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი,
ეკონონიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია.

გამოცემაზე მუშაობდნენ:
ნათია დვალი
ნინო ებრალიძე

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue,
Tbilisi 0179 Tel +995 (32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge